ISSN 0132-6023

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ცისკარი

8

1979

ეროვნული ბიბლიოთეკა



180

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ცისკარი

267

გამოცემის ოცდამეერთე წელი

8

აგვისტო

1979

თბილისი

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა

ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტისა და მწერალთა კავშირის ორგანო

# შ ი ნ ა ა რ ს ი


ახალი თარგმანები

3. ალექსანდრ პუშკინი — ლექსები. თარგმნა მურმან ჯგუბურიამ

პროზა, პოეზია

5. ზურაბ კუხიანიძე — ლექსები
8. გიორგი ხორგუაშვილი — ზვარაკები. მოთხრობა
51. ვანო ჩხიკვაძე — ლექსები
55. ვახტანგ ხარჩილავა — ლექსები
58. კარლო კობერიძე — ცხენი. მოთხრობა. დასაწყისი
74. ნოდარ ნარსია — ლექსები
77. თეიმურაზ აბულაძე — ლექსები
80. გურამ დოჩანაშვილი — ერთი რამის სიყვარული, დაფარვა რომ სჭირდება ანუ მესამე ძმა კეჟერაძე. სათავგადასავლო მოთხრობა
108. ლაერტ ჩართოლანი — სიცოცხლეს გაუმარჯოს. მოთხრობა

50 — შოთა ნიშნიანიძე

117. შოთა ნიშნიანიძე — ლექსები
121. ნოდარ დუმბაძე, თენგიზ ბუაჩიძე, გურამ ფანჯიკიძე, ვალერიან კანდელაკი, შალვა ამისულაშვილი, ემზარ კვიტაიშვილი, გიორგი ბაჩეჩილაძე, მურმან ჯგუბურია, სოსო სიგუა — მილოცვები.

კრიტიკა, პუბლიცისტიკა

130. თედო ბექიშვილი — სიყვარულით მოწეული გაზაფხული
134. ლერი ალიმონაკი — მახსოვრობა
137. ვახტანგ იმნაიშვილი — ვინ ყიდდა ავსტრიაში ქართულ ხელნაწერებს
142. ქეთევან ხაჩიაშვილი — დაკარგული ძმა
146. გიორგი ეკიზაშვილი — აბსურდის ცნებისათვის ალბერ კამიუს ფილოსოფიაში

პირველი შთაბეჭდილება

154. ზურაბ ლეშკაშელი — გამარჯვებული სიკეთე
155. ვაჟა ყუბუსიძე — ბრძნობა — კეთილი, აზრი — ღირსი მიყურადღების
156. გიორგი მაჭუტაძე — ქმნა ნათლისა
158. კონსტანტინე ამირიძე — „ყაბუსნამე“ ქართულად

159. კულტურული ცხოვრების ქრონიკა



მთავარი რედაქტორი
ბორის ფოცხიშვილი

სარედაქციო კოლეგია:
ჭაბუა ამირეჯიბი,
გურამ გვერდწითელი,
გივი გეგეჭკორი,
რისმაგ გორდეზიანი,
გიორგი გუგლია,
ნოდარ დუმბაძე,
მერაბ ელიოზიშვილი,
ედუარდ მენაბდე,
იოსებ ორჯონიკიძე,
ოტია პაჭკორია
(მთ. რედაქტორის მოადგილე),
გურამ ფანჯიკიძე,
ნუგზარ შატაიძე,
ჯანსუღ ჩარკვიანი,
გივი ძნელაძე,
ნუგზარ წერეთელი,
თამაზ წივწივაძე,
ტარიელ ჭანტურია,
რეზო ჭეიშვილი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# თარგმანები

## ალექსანდრ პუშკინი

### ვ ა ზ ი

მე არ მივტირი ციმციმა ვარდებს,
ადრე გადამჭკნარს ასე,
რადგანაც მიყვარს ოდითგან ვაზი,
აცოცებული მთაზე.
მიყვარს მთიანი სოფლის მშვენება,
შუქი მზიანი ქარვის,
ნაზი, სუსტი და მწყაზარი, როგორც
თითები ტურფა ქალის!

### დასავლელი სლავების სიმღერებიდან

როცა დამაგდო მე პარასკევამ,
როცა ნაღველმა დამრია ხელი,
ასე მირჩევდა კეთილი ენა:
,,წადი, დიმიტრი, სად ზღვაა ვრცელი,
იქ არი ყოფა, მოგეცა ლხენა,
იქ გაატარე ცხოვრება შენი.

იქ აბრეშუმის მოსავთ ხალათი,
იქ გადაბმული უყვართ ნადიმი,
იქ აგევსება ვერცხლით კალათი,
სიმართლე არი, არა ქადილი,
რა ბედენაა, ქვეყნად მარადის
გეჭიროს ხმალი ამოწვადილი.
გასწი, ქეიფში გალიე ჟამი ,
თავს ნუ მოიდრეკ ბედის წინაშე,
იქ ქალიშვილი ვარდივით ჰყვავის,
აუწერელი ამკობს სინაზე.
გასწი, დიმიტრი, გასტოპე წყალი,
გაინავარდე მტრების ჯინაზე!"



კ. მარქსის სახ. საქ. სსრ
სახელმწიფო რესპუბლიკ.
ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეშმაკი ნების გავხდი მორჩილი,
ბეჭი ამიწვა ბედმა დაღივით,
ქვად მიჩანს პური ჩემთვის მოწვდილი,
და უსახლკაროდ დავძრწი ძაღლივით.
მე დამცინიან ქვეყნის ქალები,
როცა ვიგონებ მამულის მთვარეს,
სხვანაირია მათი თვალები,
დავიწყებიათ სამშობლო მხარე,
ვარ ჩემთვის მარტო, ფერნამკრთალევი
და გადარგული ხეხილის დარი.

აქ არვინ გეტყვის ტკბილ გამარჯვებას,
აქ შენთვის გული არავის სტკივა,
აქ ისე ვცხოვრობ, ვით ჭიანჭველა,
რომელსაც მალე დაახრჩობს წვიმა!

## ძ ი ძ ა ს

ჩემი ძირმწარე ყრმობის მალამოვ,
ბებრუხუნაო ჩემო კეთილო,
დიდი ხანია მელი ამაოდ,
ფიჭვების ტევრში გამოკეტილო.
ქოხის სარკმელთან ზიხარ მდუმარი
და გაკმედილი შორს იმზირები,
მეპოტინები ფიქრში გუმანით
და გიშეშდება ხელში ჩხირები.
ხან მივიწყებულ შარას გაჰყურებ,
ხან გეყურება ჭიშკრის ჭრიალი,
ოხერი დარდი გიმტვრევს საგულეს
და არ გასვენებს იჭვი ტიალი.
ხან გეჩვენება...

თარგმნა მურმან ჯგუბურიამ



## ზურაბ კუხიანიძე

# რიკ-ტაფელას თამაში

1.

რიკს ღონივრად შემოვკრავდი
ბზისგან გათლილ ტაფელას,
მერე თვალ-ყურს ვადევნებდი
რიკის ხმას და გაფრენას.

ჭახათაში,
საკირესთან,
ამაყნი და ყინჩები
სისწრაფეს და ღონეს ვცდიდით
ფეხშიშველა ბიჭები.

„წუ!“ — და რიკი მიფრინავდა
თან მივსდევდით ფრთებგაშლით...
საკირეშიც ჩავარდნილა, —
მზისფერ წყალწითელაშიც.

ეკალ-ბარდსაც შერევია —
მზეში ნაცრიმცრიმები;
მის ძებნაში
დაგვსისხლვია
გაკნაჭული წვივები.

ზოვი რიკი ჩავარდნილა
აქაფებულ მორევში,
ზოგჯერ კიდევ,
გარხირულა
ხავსმოდებულ ყორეში.

შემოვკრავდი
გაწაფული
მარჯვე ხელით ტაფელას,
მერე მზერას ვადევნებდი
რიკის ცაში გაფრენას.

2.

ნავარდ-ნავარდ,
ღიღინ-ღიღინ,
მიჰყვებოდა რიკს რიკი
და გვეგონა ეს ცხოვრება
წყაროს ტკბილი ლიკლიკი.

მერე ხმები დაგვიბოხდა,
მიჯრით მიჰყვა წელს წელი...
და ცხოვრება თავს დაგვატყდა,
ვით ზვავი და მეწყერი.

გავიარე ათასნაირ
ჭირში,
დარდუბალაში,
მაგრამ მაინც გამიგრძელდა
რიკ-ტაფელას თამაში.

ოღონდ გვერდით არ მიდგანან
ფეხშიშველა ტოლები,
შეიცვალა,
შეიცვალა,
შეიცვალა როლები.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჭახათური ალუბლები
დროის წალდმა დაბელა;
რიკი მე ვარ
და ცხოვრებას
ხელთ უჭირავს ტაფელა.

მარჯვედ მირტყამს:
აბა, სწრაფად
გაფრინდიო, — მიკივის,
და ვაწყდები ღობე-ყორეს
გატყორცნილი რიკივით.

ხან ამღვრეულ მდინარეში
გადამაგდებს ტკაცანით,
ხან დედაა,
ხან ბოროტი,
გულქვა დედინაცვალი.

ხან ჩამაფრენს,
სადაც ლურჯი
სათიბები ბიბინებს,
ხან თეთნულდის ძირში დამსვამს,
ხანაც გამაციმბირებს.

ხანაც ლაღად მომატარებს
უცხო ზღვებს და ქარაფებს, —
არლინგტონზე,
ჯონ კენედის, —
ყრუ საფლავთან ჩამაფრენს.

ხან ტუნდრაში მიმაქროლებს,
თეთრ ღამეთა სათევად,
ხან დამარჭობს
თერგთან, როგორც
მამა-პაპურ სატევარს.

ხან ჩამაგდებს საკირეში,
სადაც ქვა დუღს ჩაშლილი,
ხან შემომსვამს იფნის ტოტზე,
მგალობელი შაშვივით.

3.

ასე ულვთოდ დამატარებს,
ხან მალაღებს,
ხან მთელავს...
მე რიკი ვარ,
მე რიკი ვარ,
სხვას უჭირავს ტაფელა.

ხან ეკლებით მშანთავს,
ხანაც —
მახვევს ციცინათელებს...
კიდევ კარგი,
კიდევ კარგი,
თვალს თუ ვინმე მადევნებს.

## ყველაფერი მოხდება

ყველაფერი ყოფილა —
კოცნაც, ღვინოც და ვალიც...
ცოტა — ლხინი ფოფინა,
მწუხარება — მრავალი.

ყველაფერი მომხდარა,
მუშტით, კეტით, კოლტითა...
იჭვი, როგორც კოდალა,
ბევრჯერ გულს მიკორტნიდა.

ყველაფერი ვიგემე
ყანწით, თასით, ხაპითა...
და ოცნებებს, ვით ვემებს,
ჩაუვლიან ნაპირთან.

ყველაფერი იქნება,
ყველაფერი მოხდება,
გული გარდაიქმნება,
წლები ამიოხრდება.

მოიმტვრევა ცის ქიმი,
იალბუზიც დადნება
და დოლაბი წისქვილის —
თავზე დატრიალდება...

ყველაფერი იქნება,
ჭადრებიც და ვერხვებიც, —
მტერს ვერ შევურიგდები,
მტერს ვერ გადავეხვევი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# კოლაუ ნადირაძე ქუთაისში

ხვამლის მთიდან მორბის ცივი
ქარი სტვენით და კივილით;
გატეხილი ორბის ცხვირით
მივაბიჯებ ფაკირივით.

მომაყარე მკერდს წინწკალი,
გავაგოროთ ნარდი გზაზე...
შლეგო ქარო, ვერ მიცანი? —
კოლაუ. ვარ, ნადირაძე!

იქ, ბაგრატზე ამაფრინე,
იას მოვკრეფ, და რა იას...
ცაო, მხრებზე დამაფინე
შენი ლურჯი დარაია.

ვერ ავხსენი ფერმიმცხრალი
საუკუნო დარდი ტაძრებს...
ბაგრატის ცავ, ვერ მიცანი? —
კოლაუ ვარ, ნადირაძე!

წყლისპირიდან, აუ, ნიავს
ჩემსკენ მოაქვს აფრით ტაში, —
სუფრა ხომ არ გაუშლიათ
პაოლოს და გაფრინდაშვილს?!

ისევ იმავ ფერის არის,
რიონი და ლანდი მთაზე...
თეთრო ხიდო, ვერ მიცანი? —
კოლაუ ვარ, ნადირაძე!

აქ ტკბილ ყრმობის სუნთქვა ისმის,
პირველ კოცნის მახსოვს ეშხი...
წლებს დავეძებ ქუთაისის
იმ ძველ სადარბაზოებში.

სულში მზედ შლის ფრთებს ციცარი,
გული რატომ გადმირაზეთ,
გოგოებო, ვერ მიცანით? —
კოლაუ ვარ, ნადირაძე!

●

ტიციანის წიგნი — ერთ დროს რომ ჩაყლაპა სამუმმა,
მე და ვახტანგ ჯავახაძემ გადავწერეთ მალულად.

ბროწეულისფერი ფარჩის ყდითაც გავალამაზეთ,
წიგნის ერთი ეგზემპლარით ვაპურებდით ათასებს.

ხან რიონისპირელ ბიჭებს ვუკითხავდით დუდუნით,
სად იყო და სად არ იყო, გაჩნდებოდა თუთუნიც.

ხანაც შტერ-შტერ გოგოებთან, თავზე ხელის აღებით,
მკრეხელურად ზოგ-ზოგ ლექსსაც ჩვენად გავასაღებდით.

იყო ომი., ობოლ ბიჭებს გვციოდა და გვშიოდა...
და იმ წიგნის სითბო ტანში ღველფად გ-დადიოდა.

ის დღეები და ბავშვობა გაქრა, როგორც მირაჟი.
დღეს ლექსები იბეჭდება ათასობით ტირაჟით.

ზოგ-ზოგს მტვერი ეფინება, ზოგზე კიდევ კატა წევს,
ბევრი წიგნი რომც აკრძალონ, სტრიქონს არვინ გადაწერს.

ვის რად უნდა, ჩემო ვახო, იმნაირი ლექსები,
გოგოებთან წასაკითხად თუ ვერ დაესესხები.

ვის რად უნდა, ძმაო, წიგნი მოლექსო და მორითმო,
სტრიქონების ნაკვერჩხლებზე ხელებს თუ ვერ მოითბობ.

თეთრ იალტის ქვებზე გართხმულ ბიჭებს თუ ვერ გადარევ
და რიონზე დროშასავით თუ ვერ ჩამოატარებ!..

---

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გიორგი ხორგუაშვილი

# ზვარაკები

## 1. სანადიროდ წასულიყვნენ

რის ნიჭი აღარ მოუმადლებია არსთა განმრიგეს ენრიკო ბიწაძისათვის, მაგრამ ის ერთია თავი და თავი... უნიკალური გონება-მოხერხება აქვს, უნიკალური და ბევრი შენატრის მის ბედსა. მაგან რომ ცხოვრება იცის, სოლომონ ბრძენსაც შეშურდებოდაო.

ვინ ასწავლისო ამდენსა! — ჰკვირობენ მის საქმესა და სულში ჩაუხედავები.

ვინა და, თვითონ ცხოვრებაო, —სახეს დაიბრძენებს ზოგ-ზოგი მოვიშვიშე.

არა, თავკაც-ძმაკაცებიო, — უმალვე მიუგებენ მეშურნენი, რომლებიც ასე მომრავლებიან ბოლო ჟამს.

ეს როგორაო?

როგორაო და...

ყმაწვილობაშივე ჩათესვიაო გულში მამის ნათქვამი: გუთნისდედად თუ მაღალი ღმერთი გყავს, ეშმაკები ვერას დაგაკლებენო.

და ენრიკოსაც უპირველეს მიზნად უქცევია ის, რომ უფროსი დაიგუთნისდედაოს. ზოგ-ზოგი ყრანტალასი არ იყოს, მასაც აუჟინებია: თავკაცია მაღალი ღმერთიცა და დაბალიცაო. რასაც ისა ბრძანებს, იგი უნდა აცხადდეს, თუნდა საწალმართო იყოს და თუნდა საუკუღმართოო.

უფროსი იკითხავს: წყალი აღმა მიდის?!

„სულ ჩხრიალ-ჩხრიალითაო". —ერთბაშად შესძახებენ ვანარჩენი ყარტალ-ყურტალანი, მოადგილეები და ნაცვლები რომ შეურქმევიათო.

„ამ მუხას ვაშლი ასხია, ხომ?!"

„რა თქმა უნდა!"

„უჰ, როგორ დახუნძლულია!"

„ვაშლია და რა ვაშლი!"

„ნეტავი, თვალი მომცა და მაკურებინა!" — ერთმანეთს არ აცლიან ხელქვეითნი და მათი მლვალეობაც ის არის, რომ უყოყმანოდ უკრან კვერიო.

თუ რომელიმეს გაუწყრება ღმერთი და სიმართლეს იტყვის, ვაი იმის ბრალი, ისე ეტირება ყოლა, ვერც გაიგებს. უფროსია ყველაფერი, თუ ვისმეს ეთქმის, იმას ეთქმის უწინარესად: ჩვეუნიერება — ეს მე ვარო! ჰოდა, გინდა უფროსის გულთან მიჩვეულხარ და გინდა საუფროსო გპყრობია. როგორც უფროსს, ისე შემოგცინცინებს დიდიც და პატარაც, ღიმილს არ გამოგილევენ და სიყვარულს... არაფერზე დაგაგულ ნაკლულებენ, პირიქით... რასაც ინებებ, ყველაფერს აიცხადებ. თავად ხომ შენდები და შენდები და სხვის ბედსაც ამღერებ კამათელივით. ვისაც გინდა, ააშენებ, ვისაც გინდა — დააქცევ. და ეს ცხოვრებაც აშენება-დაქცევის თამაშიაო. დიახ, ორივე ერთია: უფროსობაც და მისი გულისსწორობაც და თუ არჩევაზე მიდგა საქმე, უფროსობას უფროსის ძმაკაცობა სჯობია. შენი საქმე იმას აკ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეთებინე. ტყუილად კი არა რჩეობენ ხოლმე სხვისი ხელით ნარის გლეჯასო, — იტყვის ხოლმე ენრიკო ბიწაძე. თავიდანვე მოჰყვება ამ ცნებას და ამდენი გამოცდილების პატრონს აღარც უჭირს მისი აცხადება.

არა, მაინც როგორაო?!

ეს საიდუმლოება ენრიკოს ნიჭიერებაა და რაკი ასეთ სამარედ უქცევია გული, ჩვენც ნუ შევეცდებით თვალის ჩაპარებას.

ისე კი, ზოგი არამკითხე გულის სარქველს მაინც წაურტყამს ხოლმე ხელსა და სხვასაც წაეტუტუნება, თითქოს ენრიკო ბიწაძეს ისეთი ყნოსვა აქვს, თვით საქვეყნოდ განთქმული მეძებრებიც ვერ შეედრებიანო.

რაიონში ჯერ კაციშვილმა არ იცის, ხად და როდის უნდა მოევლინოს ახალი მესვეური, რომ ენრიკო უკვე კაიხნის გაცნობიერებულია. ერთი ითქმება თუ არა, თუნდაც სათუო, უმალვე შეიტყობს იგი. მერე სულ იმის ფიქრშია, თუ როგორ ესროლოს უხილავი ქამანდი ახალი უფროსის გულსა.

ვინა მსტოვრობს?! ხმალი რომ მოუღეროთ, ვერ ათქმევინებთ.

აბელ ვარდანაშვილის გაუფროსებაზე ადრევე ჩაუჩურჩულებიათ ენრიკოსთვის, მაგრამ ახალი მესვეურისათვის ახალი შიშიც მოუყოლებიათ:

— ხო-ხო-ხო! იცით, რა ღვთისცეცხლი ყოფილა ის ჩვენი ახალი ხელმძღვანელი?!

— ძეხორციელი ვერ მიუდგება, თურმე!

— შვილი რომ მოუნათლო, სიტყვას არ წამოგაშველებს!

— მყინვარწვერივით უკარებაა!

— ვაი იმას, ვინც რამეს შებედავს! — გულს შემოჰყრიათ ზოგ-ზოგებს.

მაშინ უფრო ურწმუნებიათ ენაწინამასწარათა ნათქვამი, როცა სამბრძანებელო სკამზე დაჯდარა ახალი მესვეური.

დაბჯდარა და პირველ დღესვე დაუქნევია თითი: ვისაც რა ცოდვა გაწევთ კისერზე, თვითონვე აღიარეთ და უთქმელად მოშორდით საცოდვილო ადგილებსა, თორემ ქრისტეს ტირილი იქნებაო.

ცოდვილებს ჯერ მხოლოდ მუქარა ჰგონებიათ და სხვა რაღაცის გაფრთხილებად უგუმანიათ... მაგრამ მერე, სიტყვა საქმედ რომ უქცევია და ერთ კვირაში მიურევ-მოურევია დიდ-დიდნი მხვეჭელნიც და მცირე-მცირე მპარავნიც, მაშინ კი კანკალი ასტყდომიათ ჯერჯერობით გადარჩენილთ.

— ხო-ხო-ხო! რა დღეში ჩაყარა ეს საცოდავები?!

— ერთმანეთზე არ აფარა!

— ვინ ვის გაასწრებს!

— ხვთის რისხვაა!

— განკითხვის დღეა! — გული მოუოხებიათ სეირის მოყვარულთ.

— ჰა-ჰა-ჰა! ჩვენი ენრიკო რასა იქმს?! — ჩაუქირქილებიათ მეშურნეებს.

— სამარეში ხელსაკრავად გამზადებულივით ცახცახებს, თურმე.

— უკვე ზურგზე ყავს მოგდებული ახალ უფროსს.

— ისე გაანადგურებს, რომ პირველკაცობა კი არა, ბოლოკაცობაც ენატრებოდეს! — გადადიოდა ყურიდან ყურში.

ენრიკოს მშვენივრად სცოდნია, ვისაც წამოუკიდებია იგი, მაგრამ მოთმინება ურჩევია.

„დამასწარით?! ჰმ?! დამაცადეთ, ვნახოთ, ვინ გადაიხარხარებს ბოლოს!“ — გულში ჩაუტრიალებია ბოლმა, მაგრამ მაინც არ გატეხილა, მაინც იმედიანად მიუგია შინაურებისათვის:

— ნუ გეშინიათ, ჩემო მოყვასნო, ჩვენი დროშა მაინც იფრიალებს. ბუზსაც ვერ აგიფრენენ, ბევრი მოსულა ეგეთი ფახაფუხითა, ალმასობა და ფოლადაურობა დაუჩემებია, მაგრამ ადრე თუ გვიან მაინც მორბილებულა შემთბარი სანთელივითა და ბოლოს დამტკბარა კიდეც ყინულშაქარივით.

გასულა ხანი და ენრიკოს კიდევ ამაყად დაუბიჯებია მიწაზე.

---

**გიორგი ხორგუაშვილი**

**ზვარაკები**

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეშურნე-მჭორავთ კი ისევ დაურხევიათ ხმა:

— კიდევ ჩაუწყვია ამ ფეხებიდან მოცვეთილსა. ისეთი კაცისათვის დაურეკინებია, რომ ენა დაბმია საწყალ უფროსს. რას გიშლისო, გეგმას გადაჭარბებით გისრულებს და ისეთი უხეში დარღვევებიც არ მეგულება, რომ ხელჩასაკიდად ღირდესო. ჭორიკანებს ნუ აჰყვები, შურისგან ასავსავებენ ენას. ასეა თუ ისეა, ეგ ერთი კაცი უნდა შემინახოო.

შენ გენერალი, მე ჯარისკაციო, ხმაშებზარვით მიუგია ახალ წინამძღოლს. და მთელ საათს მჯდარა გაოგნებული ყურმილის დადების მერე. ერთს გეუბნებიან და მეორეს გაკეთებინებენო, — გულშივე ჩაუბრუნებია ჩივილი.

ჰოდა, იმჯერადაც ალჩუზე დამჯდარა ენრიკო ბიწაძის კოჭი, სიხარულით შეუხედავს მზისათვის და ძმაკაცებში წაუტრაბახია კიდეც: აბელ ვარდანაშვილს კი არა, დაუმარცხებელ სარდალს ჩავაგებინებ ამოღებულ ხმალსაო.

— ეგეც არაფერი, დროებით გაყუჩდება ახალი უფროსი, მერე მაგასაც უნახავს მუღამს დე...

— მაგის მუღამიც მშვენივრად იცის, მაგრამ ზემოდან რომ დაურეკიათ...

— ეჰ, შვილოსან, გამრეკელების მაგიერ რომ დამრეკელები მომრავლებულან სათავეშივე, რას უნდა გახდეს საქმის მოწალმართე!

— თუ ნამდვილად სიმართლე აწუხებს იმ ჩვენს ახალ უფროსს, მივა იმ დამრეკელთან, დაარწმუნებს, ისიც შეეშვება სხვაც და მაგ შენ ენრიკოსაც მიეზღვება საკადრისი.

— ჰო, ეგრე იქნება, ადრე თუ გვიან ენრიკო ბიწაძესაც ეტირება დედა! — იმედი არ გადასწურიათ მეშურნეებს.

ტალიკ-ტალიკი ბიჭები, ვინც ენრიკოს ღიმილით ხარობდა ამ ქვეყანაზე, საგონებელში ჩავარდნილან და თავიანთ წინამძღოლს ისე მისჩერებიან, ვითარცა მხსნელ მოსეს.

ენრიკოს კი საღონებელი ძარღვიც არ შეტოკებია, ჩვეულებრივ მოუპირმცინარებია, გამომცდელად მისჩერებია შეციცინებულებს და:

— პირი აქვს ჩვენს ახალ უფროსს?
— უწინარესად ეს უკითხავს.

— უპირო კაცი სადა თქმულა!

— კუჭიც აქვს, ხომ?!

— არც უკუჭო გაგვიგონია.

— ცოლ-შვილი ჰყავს?

— მგონი, ორი პირი.

— არ გადამრიო!

— მაგდენი არ ვიცი, მაგრამ სამ-სამი ვაჟკაცით რომ მოაქვს თავი, ამას წყალი არ გაუვა. ერთს მოსკოვში დაუმთავრებია სავაჭრო-ეკონომიური და იქვე დაუტოვებიათ სასპირანტოდ, მომდევნო თბილისში სწავლობს სამედიცინოზე და სამეცნიერო მოხსენების თემად „ჰიპოკრატეს ფიცი“ მიუციათ, ბოლოლა ეხლა ამთავრებს საშუალოს და იურისტობისათვის ეჭინჭრება ტანი.

— აგაშენათ ღმერთმა!... მშობლები თუ ჰყავს?

— კი, ორივე მხრიდან, თავისიც და ცოლისაც.

— დედმამიშვილები?

— მაგ მხრივაც ბედნიერი კაცი ყოფილა.

— აბა, რაღა გავიშვიშებთ, თქვე ცალტვინა ვირიშვილებო! — მხიარულად შემოუტევია.

ტალიკ-ტალიკ ბიჭებს შვებით ამოუსუნთქიათ.

— მაგ თქვენს ახალ უფროსს ისე დაგიბამთ, როგორც სააღდგომო ბატკანს.

ბიჭებს ღიმილი გადასთამაშებიათ სახეზე.

— მერე, ხომ იცით, რაც არის საჭირო?

— ეგრე არიფებად გვთვლი?

— ვიცით რომელია, შენ არ მოგვაჭრევინე ჭიპი მაგ საქმეში?

— ჰოდა... — კვლავ გამომცდელად შეუთვალიერებია მხსნელსა.

— გასაგებია.

ბიჭები დაიმედებულნი დაფანტულან.

ენრიკო კი მარტოკა დარჩენილა და: „აიღებს, თუ არ აიღებს? საკითხავი აი ეს არის!“ — ამოუოხრია ღრმად ჩაფიქრებულს. დიდხანს უწვალებია ამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

კითხვას... „აილებს!“ სიხარულით წამოუძახია ბევრი ჭოჭმანის მერე. „აიღებს, მაგრამ როგორ?! პირდაპირ შეთავაზება აჯობებს თუ შუაკაცს დაისაჭიროებს? უშუამავლოდ უფრო გაეხარდება... იმ ცხონებულ წინა უფროსსაც ეგრე უყვარდა... მესამე პირი რის მაქნისიაო... მაგრამ რა ვიცი, ამ ახალს როგორ ესიამოვნება!.. ძმაკაცი ხომ არ არის, რომ პირდაპირ ხელებში მივაჩეჩო... ისევ სჯობია... ჯერ პირი ვუკითხო... ასე თუ ისე, სიხარულით შეიწირავს, მაგრამ რამდენი დასჭირდება პირველი პირისსანახავი?... იმ წინა უფროსივით არ გადმომიყაროს უკან, მზესუმზირას ფული ხომ არ არისო... აიღებს, მაგრამ ვისით? როგორ?!.. რამდენს?!“ — კვლავ ჩაღრმავებია ჰამლეტივით, მაგრამ მასავით არ ჩაძირულა სევდისა და უიმედობის მორევში...

ენრიკო რაღა ენრიკო იქნებოდა, იმედიანი პასუხი არ გაეცა ამ დაპირველებულ კითხვაზე, „ყოფნა არყოფნისათვის“ რომ ამოუტოლებია. ეს მძიმე კითხვაც დაიმორჩილა. ვისით და როგორ მოახერხა, ვერც ამ საიდუმლოებაში გამოვტეხავთ.

იმჯერადაც მარჯვედ უსროლია ქამანდი, უსროლია და არც აუცდენია. ერთი პირობა აფართხალებულა ახალი მესვეურის გული, ღონივრადაც გაუბრძოლია, მაგრამ ველარ დაუხსნილა და ჩათრევას ჩაყოლა უმჯობინებია.

ენრიკოს გამოუცნობი ღიმილით მიუყურადებია და თავისთვის ჩაუქირქილებია:

„გაბმულხარ, ჩიტო, მახეში,
გაჩერდი, ნულარ ფრთხიალებ“.

მაგრამ სხვა მოქამანდენიც შესტოქებიან, ისინიც მარჯვენი, უფრო ხელბარაქიანები.

ერთმანეთის შური წაჰკიდებიათ მეტოქეებს, და ეს გულს უკაწრავდა ენრიკოს ბიჭებს უფრო.

— ბევრი მტერი გყავთ, ენრიკო აფრასიონოვიჩ, ძალიან ბევრი. — კვლავ დაკოპილან ტალიკ-ტალიკი ბიჭები.

— ვიცი, ჩემო მოყვასნო, ვიცი! — ღიმილით მიუგია, — მაგრამ სულაც არ მაღონებს ეს ამბავი, პირიქით... ხომ იცით, ვისა ჰყავს ბევრი მტერი?!

ბიჭებს ერთმანეთისათვის შეუხედავთ.

— კაი ყმას, — პირს სიცილი მოსძალებია ენრიკოს და დაუმატებია: „ცუდას რად უნდა მტერობა, კარგია მუდამ მტრიანიო“.

— ჰოდა, დიდი სიფრთხილე გმართებთ.

— ნუ დარდობთ, ჩემო კეთილნო, ფეხებზეც ვერ მიკბენენ. ეგენი რომ მიდიოდნენ, მე მოვდიოდი...

კვლავ დაიმედებული გაუსტუმრებია ბიჭები, თვითონ კი ისევ ჩაფლულა ფიქრებში. მის გულსაც შეგზნებია შურის სახმილი, უფრო დიდი და ვარვარა. შეშურებია და შეშინებია კიდეც მეტოქე-მეშურნეებისა, რომლებიც უკვე ამოსტოლებიან მას. მიტომ უფრო უსროლია ქამანდი მეორედ. იმჯერად კი აღარ აფართხალებულა უფროსის გული, თვინიერად გატრუნვია. მაგრამ ამით მხოლოდ იმისთვის მიუღწევია ენრიკოს, რომ ახალ უფროსს ხელი მოუთათუნებია და უთქვია: უჩემოდ ბუზს ვერავინ აგიფრენს. მიდი, შენ— შენი... ოღონდაც ფრთხილად, არც მწვადი დაწვა და არც შამფურიო...

ახალი ხელმძღვანელი, თურმე, ნუ იტყვი, იგივენაირად მოქცევია სხვებსაც, ვისი დანახვითაც ელეთმელეთი მოსდიოდა ნაპირველებ კაცს. იმიტომ შეგზნებია შურის სახმილი, რომ ერთი შიმშა გადაუსვია იმ ახალ მესვეურს მისთვისაც და მისი მეტოქისთვისაც, ვინც ხოჭოებივით დაცოცავდნენ მიწაზე მაშინ, როცა ენრიკო ბიწაძე ვეფხვივით დახტუნაობდა და ლომიც კატად მიაჩნდა.

იმ ხოჭოების ჯინაზე უფრო გაძლიერებია დაპირველების ჟინი.. არა, ნამდვილად უცოტავია იმჟამინდელი მდგომარეობა. თუ გულზე არ გამოიბამდა ახალ წინამძღოლს, ბევრი მეშუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რნე გადაუვლიდა გულზე, ვერც მტერს გასცემდა პასუხს და ვერც მოყვარეს. მიჩვეული მაინც არ ყოფილიყო პირველკაცობას, გამჯდარი მაინც არა ჰქონოდა მისი გემო!..

ჰოდა, ვერა და ვერ დასცხრომია დაპირველების ჟინი, მაგრამ „როგორ?“ — კვლავ უწვალებია ამ კითხვას, რომელზეც მალე გაუცია შესაფერისი პასუხი.

— მისი ჰობი? — ჩუმჩუმად გაუკითხია სანდო ბიჭებში.

— ვერ გავიგეთ.

— ძაან მალავს. — ტუჩები ამოუბრეციათ.

— უჰობო გამოგვადგა! — სიმწრით უხუმრია ერთსა.

— არ იქნება რაღაცა არ იტაცებდეს! — იმედი არ გადასწურვია ენრიკოს და კვლავ გაუკითხია იმათში, ვინც აქ მობრძანებამდე გულზე ბმია აბელ ვარდანაშვილს.

— ნადირობის ტრფიალიაო. — საიდუმლოდ ჩაუჩურჩულებიათ.

ეს სენკეთილი ყმაწვილობაშივე შეჰყრიაო ბატონ აბელს. ბიჭობაშივე დაუგდია თვალმარჯვე მონადირის სახელი. მწყერი არ წაუვიდოდა იმის თოფის ლულას და დამფრთხალი კურდღელი. დიდრონ-დიდრონი ნადირისთვისაც ბევრჯერ დაუმიზნებია და იქვე გაუგორებია კიდეც. ჭაბუკობისას მოკლული ჯიხვის რქები ისევ ამშვენებსო მამაპაპეული მარნის ღედაბოძს, — ღიმილ-ღიმილით მიუხარებიათ ენრიკოსთვის. რომელ ბოროტს წამოუყრანტალებია, თითქოს დაბმულ ბატკანსაც ვერ მოარტყამს ის შენი აბელ ვახტანგიჩიო. ეს გესლიანი სიტყვები ერთი ყურიდან შეუშვია ენრიკო ბიძაწეს და მეორედან გაუშვია სიცილ-სიცილით.

მე რომ ბედი მქონოდა, მონადირედ დავიბადებოდიო. ყასიდად დაუჩივლია, თორემ არც ეგ ხელობა ყოფილა უცხო ხილი ენრიკოსთვის. ყმაწვილობაშივე ეხერხებოდა თურმე წვრილმან უენოთა ხოცვა-ჟლეტა. დაიჭერდა ორკაპა შურდულს, ამოუკიქავდა თვალსა და შეუბრალებლად ჟუჟავდა უცოდველ ჩიტჩიტებს, ხან რომ სახმობად გაფენილ ხორბალს მიესეოდნენ და ხანაც მაღლა ხეხილებზე ჟივილ-ხივილობდნენ. გუბეების პირად გამოყვინტული ბაყაყებისთვისაც ბევრჯერ აუგია წესი და მეზობლის იხვ-ჭუჭულებისთვისაც, რის გამოც არაერთგზის მიუტყეპიათ კიდეც. მაგრამ მაინც ვერ დაუშლევინებიათ უჯერმაჯერო ნადირობა. მერე, მოზრდილობაში მაინცდამაინც აღარ მისტანებია ამ ხელობას. ზოგნი ჩურჩულებდნენ, არ დასჭირებია, თორემ არავითარ შემთხვევაში არ ჩაიხშობდა დაუნდობელი მხოცველის ნიჭსაო.

აბელის გათავკაცებისას კი...

მაშ, ნადირობის ტრფიალი ყოფილაო?! ავშენებულვარ და ეგ არი! რაო, ვითომდა ვერ შევძლებო? ჰა-ჰა-ჰაა. რა სასაცილონი არიან ჩემი მეშურნენი. თქვენ ჯერ კარგად არ იცნობთ, ვაჟბატონებო, ენრიკო ბიწაძეს.

აბა ერთი გავიხსენოთ ძველებურიო, — უთქვამს თავისთვის და მეორე დღესვე გადაუკიდია თოფი. საქვეყნოდ განთქმულ მონადირეს — ცაცია ამირინდოს ასდევნებია, მთვლემარე ნიჭისთვის წაუღიტინებია, უცდია, უვარჯიშია, უცულმოდგინებია და ორიოდე კვირაში ისე დახელოვნებულა, რომ ოსტატისთვის უჯობნია, საგულდაგულოდ ნარჩევი ლეკვი მოუყვანია, დიდოსტატისთვის გაუწრთვნევინებია და ისეთი მონადირე დამდგარა, რომ ტოლი არ დაეძებნებოდა, თურმე, მთელ საბრძანებლოში.

და ის დღე უნატრია, რომ ახალ წინამძღოლს ეხილა მისი სამონადირეო ნიჭი და მარიფათი.

ეს ნატვრაც მალე ასრულებია. ერთად გადაუკიდიათ ორლულიანი თოფები და გაუნავარდებიათ სანადირო ველზე, სადაც მონკავშირის თავმჯდომარის ჭკუა-მოხერხების წყალობით ისე უხვობდა სახოცი, რომ სანადიროდ გახალისებულ ავთანდილსაც და მის სასიმამროსაც შეშურდებოდათ. ჰა თოფი და ჰა სათოფე! და მეთოფე ენრიკოსაც აუმღერებია თავისი ნიჭი. რამდენჯერაც ამოუკიყია თვალი, იმდენჯერ დაუფართფატებია ნასუქი მწყერი თუ უწყინარი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ქედანი და ბატონ აბელსაც ვერ დაუფარავს აღტაცება.

— ეს რა თვალი გქონია, ბიჭო!

— თქვენი შეწევნითა, აბელ ვახტანგიჩ, თქვენი. ისეთ ხალისს მმატებთ, რომ თუნდა ქალის ბეჭედში გავაძვრენ ტყვიას... მაგრამ თქვენთან მაინც რას მოვალ! — ღიმილსაც გააყოლებდა სიტყვას.

— რა მარჯვედ მოარტყი!

— ესეც თქვენი წყალობაა! — კვლავ გაუთამამდებოდა, რადგან მშვენივრად ამჩნევდა, რომ ბატონ აბელს დიდ სიამოვნებას ჰგვრიდა ასეთი სათითლიბაზო სიტყვები.

— კიდევ ფრიადი, კიდევ! — მხარზე ხელს დაარტყამდა, როცა ენრიკოსგან დაჭრილი კურდღელი აკოჭლდებოდა.

— ფრიადი თქვენს კაცობას! — უმალვე მიუგებდა ენრიკო, რომელსაც სატრფოს ხელის შეხებასავით სიამოვნებდა უფროსის ხელის დარტყმა, ძუძუს გოჭივით გაუტვრინდებოდა და თავისთვის წაიღიღინებდა საყვარელ სიმღერას: „ჩემი ხარ, ვერსად წამიხვალ...“

●

აქაოდა ნადირობის ტრფიალიაო ახალი მესვეური, დროს იხელთებდა თუ არა, ნადირობაზე ჩამოუგდებდა სიტყვას ენრიკო ბიწაძე.

ბატონი აბელიც სიამოვნებით გაიხსენებდა სანადირო თავგადასავალს, ხიფათებითა და ფათერაკებით აღსავსეს. ცოტას კი არა, ბევრს გადააჭარბებდა, ან სულაც მტკნარ ტყუილს დაახეთქებდა და ისე დამაჯერებლად განაგრძობდა, თითქოს ხალასი სიმართლე ყოფილიყოს, ჰყვებოდა და თან გულში ეცინებოდა. ენრიკოს რა გამოეპარებოდა, მაგრამ ოდნავადაც არ შეიმჩნევდა. პირიქით, უფრო მოიგულუბრყვილოებდა თავსა და გაკვირვებით ამოიტყოდა:

„ვააჰ!“

„რასა ბრძანებთ!“

„არ გადამრიოთ!“

„განსაცვიფრებელია, აბელ ვახტანგიჩ, განსაცვიფრებელი!“

უფრო მეტის სატრაბახოდ წაახალისებდა, თან თვალებში შესციცინებდა ახლის თქმის მოლოდინში და ისე გულმოდგინედ ისმენდა, თითქოს მარცვალ-მარცვალ სჯეროდა უფროსის მოგონილი. ისმენდა და თან გულში ქირქილებდა უფრო დიდხანს და ვერმისახვედრად, ვიდრე მთხრობელი.

აბელ ვარდანაშვილი კი სინანულით დასძენდა:

— ეეჰ, რა კარგია ჯეელობა!

— ღმერთო მომკალი, ნუთუ იმ ასაკში გგონიათ თავი, ახალგაზრდობას რომ დანატრიან?! ოცი წლის ბიჭივით გამოიყურებით, აბელ ვახტანგიჩ, ოცი წლის.

— ვითომ? — კმაყოფილების ღიმილს დაიმჩნევდა.

ენრიკოს თვალს არც ეს გამოეპარებოდა და უფრო საამო სიტყვებს მოიმარჯვებდა ენის წვერზე.

— ვერ შეამჩნიეთ, აბელ ვახტანგიჩ, თქვენი ცქერით რომ ვერა ძღებოდა ის ულამაზესი ქალი, იმ შორით მოსულ დელეგაციას რომ ახლდა?! მერე რა ახალგაზრდა იყო, რა ნუგბარი; ისეთი ჩანდა, მგონი, კაცის თითიც არ დაჰკარებოდა იმის ნუკრივით ტანსა... აკი ვეღარც დამალა თქვენდამი სიმპათია და თანმხლებს წასჩურჩულა კიდეც: რა მომხიბლავი ჯენტლმენიაო. და მერე ისე ხარბად მოგაჩერდათ, რომ კინაღამ თვალებით შეგჭამათ.

— მართლა?! — ისე აღტაცებულიყო, თითქოს ახლაც იმავე თვალებით მისჩერებოდა ის ყმაწვილი ქალი.

— შვილებს გეფიცებით!

აბელს ისღა დარჩენოდა, რომ უკლებლივ ერწმუნებინა და კმაყოფილებით განაბულიყო.

ენრიკო კი თავისას განაგრძობდა:

— აფსუსი არ არის, აბელ ვახტანგიჩ, რომ თქვენი ყურით არ მოისმინეთ ის გულის ამათრთოლებელი სიტყვები?! რა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დასანანია, რომ ხელიდან გაუშვით ის კარს მომდგარი ბედნიერება! სხვა უთქვენო ზურგს შეაქცევდა ყველას და ყველაფერს, იმ ციდან მოვლენილ ანგელოზს მიილუტუნებდა გულზე და ნეტარებას მიეცემოდა. მაგრამ თქვენ იმდენად თავდაჭერილი ბრძანდებით, საზოგადო საქმეს იმდენად მაღლა აყენებთ პირადულ ბედნიერებაზე, რომ შორიდანვე დათრგუნეთ იმ ქალის მომხიბლავი ღიმილი, უარყავით ბოძებული სიამოვნება და მისით ტკბობას ამჯობინეთ რაიონის მიღწევებსა და პერსპექტივებზე საუბარი. სხვანაირად ვერც მოიქცეოდა თქვენნაირი ქველი ხელმძღვანელი. ეჰ ძმაო, მართლა მძიმე ყოფილა მონომახის ქუდი, რომლის ტარება მხოლოდ წოდებულთა ხვედრია.

აბელი იუხერხულებდა გადამეტებულ ქებას და სიტყვას ბანზე აუგდებდა:

— მოუცლელობას რა ვუთხრა, თორემ ერთი განადირება ერთ სიცოცხლედ მიღირს.

— ჭეშმარიტებაზე ჭეშმარიტებაა, ბატონო აბელ, ძალიან დიდი ტვირთი გაწევთ მხრებზე. ან კი როგორ ასდიხართ. ხუმრობა ხომ არ არის ამხელა რაიონის წინამძღოლობა და მერე ეხლანდელ დროში, როცა ასე ბევრს ითხოვენ ზემოდანაც და ქვემოდანაც. თქვენი ყოველი წუთი მილიონის ფასია, მაგრამ მაინც უნდა გამონახოთ დრო დასასვენებლად. ულმერთოდ ნუ ექცევით თქვენს თავს. თქვენი ჯანმრთელობა ჰაერივით საჭიროა მთელი საზოგადოებისათვის. თქვენ უნდა ცოცხლობდეთ ასი სიცოცხლით. ნეტავი შეიძლებოდეს, რომ ჩვენნაირმა უბრალო ადამიანებმა მოვიკლოთ წლები, რათა თქვენ შეგმატოთ. ვინ მამაძაღლი არ გაიმეტებდა თუნდაც სიცოცხლის ნახევარს!

— კარგი, მეტისმეტს ნუ...

— დიახ, მეტისმეტი თავმდაბალიც ბრძანდებით და ეს უფრო გამაღლებთ ყველას თვალში.

ბატონი აბელი კვლავ აიჭინჭრებოდა სიამოვნებისგან.

— რაც მე თქვენ გიცნობთ, სულ მოუცლელობას უჩივით. სულ დროს ნატრობთ ხალხის სამსახურისათვის, მაგრამ არც ის დაგავიწყდეთ, რომ დიდი ადამიანებიც იცლიდნენ დასასვენებლად. რამეთუ შეგონებული ჰქონდათ ხალხის სიბრძნე: დასვენება კაცს არ მოაცდენსო. მიტომაც ასნაირ გასართობსა და გულსაამოს ეტანებოდნენ. ყველა თავის ჰობითა ხარობდა. რომელი ერთი შევახსენოთ. ალექსანდრე მაკედონელს ცხენის ჯირითი ჰყვარებია ულმერთოდ და, ჩვენში დარჩეს, ზარსაც აგორებდა. ჩასხდებოდნენ ისა და თავისი სარდლები მოცლილობის ჟამსა და მუხლები ჰქონდათ გამოთქვეფილი ზარის გორებითა. და მერე, იცით, რაზე იბაგუნებდნენ კამათლიან ხელსა? ქალაქების წაგება-მოგებაზე: დიდ ქალაქებსა და სამთავროებს ისე ჩადიოდნენ სათამაშო ბანკში, როგორც თქვენ აბაზიანი ჩააგდოთ გასართობ „სეკაში". რაში ენაღვლებოდათ, მე შენ გეტყვი, ცოტა ქვეყნები ეტიალათ. შაჰინ-შაჰ აბაზს ხომ ტოლი არ მოეძებნებოდა ქალების მუსუსობაში. ცხრაას ოთხმოცდაცხრამეტ ცოლსა ქმრობდა და იმათს ალერსში ატარებდა თავისუფალ დროს... მას არც ნაპოლეონ ბონაპარტი ჩამორჩებოდა გულწუწკობაში და მეორე არანაკლებ ჰობი ჰქონდა — მეტისმეტი სიხარბე ნადავლისა, სახელმწიფო არ გადაურჩებოდა გაუძარცვავი, ცხენის ნალი რომ მოეხელთებინა, საფრანგეთში მიარბენინებდა.

ბატონი აბელი ცნობისმოყვარეობით შესცქეროდა. და იმდენად დაინტერესდებოდა, რომ სიმართლის სასწორზე აღარ შეაგდებდა ენრიკოს მონაყოლს სინამდვილე-სიცრუის გასარჩევ-ასაწონად. წახალისებული ენრიკო კი განაგრძობდა:

— მათი აზრები და საქციელი თუ თქვენთვის უცხოა და მაინცდამაინც დიდ მისაბაძს ვერ დავინახავთ, ჩვენი სათაყვანებელი დიდი ადამიანების პირად ცხოვრებაში ჩავაპაროთ ცალი თვალი მაინც...

აქ კი სიტყვას გაითბობდა და:

— დავით აღმაშენებელს დიდ სიამოვნებას ანიჭებდა ურა-კვიცების ხედნაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ხმალაობა-ფარიკაობაშიც არავის წააყენებდა წინა. სიყვარულისთვისაც იცლიდა, სალექსოდაც და ბევრ თავგამოდებულ მოშაირესაც გაახუნებდა.. მეფე ერეკლეს სასთუმალი ხომ უნაგირი გახლდათ, მაგრამ ოჯახისთვისაც გამონახავდა დროსა თვრამეტი შვილის მამა და გართობისთვისაც. ცხოველებსაც კი იადამიანებდა, შვილივით ეალერსებოდა საყვარელ თხას — ბიჟინას, რომელსაც ლექსები და სიმღერებიც კი უძღვნეს. რა ეგენი, რა სხვები... რა ვიცი, რომელი გამოჩენილი თუ უჩინარი მეფე და სარდალი აღარ იცლიდა გასართობად, რისთვისაც ხუმარის თანამდებობაც კი ჰქონდათ შემოღებული მეფის კარზე და ხშირ შემთხვევაში ნიჭიერი მაცინარა უფრო მეტი პატივისცემითა და სიყვარულით სარგებლობდა, ვიდრე მხედართმთავარი, მეჭურჭლეთუხუცესი, გინდა მწიგნობართუხუცესი... ჩვენს დიდებულ მეფეებს ხომ დედის მუცლიდანვე ჰქონდათ თანდაყოლილი ნადირობის ნიჭი და სიყვარული, გარეული ტახისა თუ ყელშეღერებული ირმის ხოცვისას ისეთივე სიამაყით ივსებოდნენ, როგორც სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში გამარჯვებისას. მათი მარჯვენისა და გონების ვარჯიშს სასიამოვნო შედეგებიც მოჰყოლია. ნადირობაში გუნებაგამხიარულებულთ მკლავიც უმამაცურდებოდათ, გულიც და ხელიც უძლიერდებოდათ, ერთიასად მოუზღვავდებოდათ ენერგია, რომელსაც ხალისით ახმარდნენ ქვეყანასა და ხალხის სამსახურს... უფრო მეტიც, მეფის ერთ განადირებას დიდი ისტორიული ამბავიც მოჰყოლია... საამისოდ ერთი მათგანიც იკმარებდა. ვახტანგ გორგასალს რომ არ ენადირა, თბილისიც არ იქნებოდა... ჰოდა, თქვენც გირჩევთ, აბელ ვახტანგიჩ, ხანდახან მაინც მოიცალოთ ხოლმე გასართობად, უფრო კი სანადიროდ. მერწმუნეთ, დიდად სასარგებლო იქნება თქვენთვისაც და საზოგადოებისთვისაც. გულს გაინიავებთ, გონებას გაიმხიარულებთ, ახალი ენერგიით აღივსებით და ხალისით შეეჭიდებით ესოდენ დიდ ტვირთს, თქვენ რომ გაწევთ მხრებზე. ყველა გასართობი უებარი წამალია დაღლილი გულ-გონებისათვის, მაგრამ ნადირობასთან კოჭი ვერაფერს მოუსხლტება...

ბატონი აბელიც სიამოვნებით უსმენდა და კეთილი ეშმაკის ცდუნებით ხან გაივახტანგებდა თავსა, ხან გაიდავითებდა, ხანაც გაიერეკლებდა გულის გულში. არკი შეიმჩნევდა, მონადირეობაში მაინც შეუტოლდებოდა დიდ წინაპრებს, საამისოდ აუცმუკდებოდა გული და ჟინიანად წამოიძახებდა:

— წავიდეთ, მაგის რჯულიც არ იყოს, ერთ დღეს მაინც გავიხალისოთ, მეც ხომ ადამიანის გული მაქვს!..

— და მთავარიც ეგ არის, რომ დიდი ადამიანიც ბრძანდებით! — უმალვე მიუგებდა.

ამის მერე ადვილად გამოინახებოდა დრო, ესოდენ დიდ ფასს რომ უდებდა ენრიკო ბიწაძე, დღეს დათქვამდნენ, სანადიროდ წავიდოდნენ და გიყვარდეს მერე...

●

იმ კვირა დღესაც გადაიკიდეს ორლულიანი თოფები და „კოლხოზნიკით" შეუყვნენ სანადიროს აღმართს. გზაშივე ქილიკობდნენ პიტნის ნაყენით შეზარხოშებულნი. იმჯერადაც ენრიკო იყო წამომწყები, თავს მოვალედ სთვლიდა, რომ დილიდანვე გაემხიარულებინა უფროსის გუნება, რამეთუ გულგახალისებულ მონადირეს ჭკუა-მოხერხებაც მოემატებოდა, თვალის ჩინიც და უფრო მარჯვედ ამოიღებდა მიზანში სახოცს.

ჰოდა, ამ მიზნით უფრო წაუღიტინა გულზე:

— ჩვენც ხომ არ დავნაძლევებულიყავით, აბელ ვახტანგიჩ?

— „Умно, умно!" — მართლა გახალისდა ბატონი აბელი.

— „ვინაც იყოს უარესი?" — თვალებში შესცქცინა ენრიკომ.

---

გიორგი ხორგუაშვილი
ზვარაკები

ეროვნული
ბიბლიოთეკა

უფროსმა კეფა მოიფხანა მახვილი სიტყვის მოსაძებნად, მაგრამ გაუჭირდა და ისევ ენრიკომ მიაშველა:

— უფულოდა „სამ დღეს ვლიდესო“, არა?!

— უფულოდა თუ უქუდოდაო? — ირიბი ღიმილი გადაივლო, დარწმუნებული იყო, რომ ამ ტაეპის არცოდნაში ვამოიჭირა ხელქვეითი.

— თქვენ ცამდე მართალი ბრძანდებით, იქ „უქუდოდ“ წერია, მაგრამ ამ საუკუნეში უფულოდ სიარული უფრო დიდ სირცხვილად ითვლება, ვიდრე უქუდოდ...

ხუმრობითა და სიცილ-ხარხარით აათავეს გრძელი აღმართი.

დილაუთენია მიადგნენ ტყის პირს, განთქმულ სანადიროს, სადაც მხოლოდ ღმერთისტოლა კაცებს ეწიფებოდათ ხელი.

მართლა დიდებული დილა იყო, ყმაწვილის გულივით თოთო, უბრყვილო და მფეთქავი, აუმღერებელსაც რომ აამღერებდა. ჩვენს მონადირეებსაც მოსძალებოდათ სიხარულიც და სიმღერაც. აკი ვერც დაეტიათ გულში და:

— „დანამა, დანამა, დანამა, დიდი მინდორი დანამა!“ — ბოხი ხმით წამოიწყო ბატონმა აბელმა და თან მძიმედ შეაქნია ტანი.

— „ვინც თქვენზე უხეირო თქვას, გული გაუპოს დანამა!“... — უმალვე მოუმღერა ენრიკომ და თვალებში შესციცინა უფროსს, მისი საკადრისი ღიმილი მოიფრქვია სახეზე და კოხტაპრუწა გოგოსავით შეიშმუშნა მხრებში. მიჰყვებოდნენ გზასავალს და ხმაშეწყობით მიიმღეროდნენ. მარტო იმ სიმღერად უღირდა მაშინდელი დღე ენრიკო ბიწაძეს, მერე რა სიხარული აუცისკარდა გულში, ეს მხოლოდ მან იცის.

შოფერი სპარტაკაც გახარებული იყო. რატომაც არა... თელის ძირში გაეჩერებინა მანქანა, მხართეძოზე წამოწოლილიყო, „ვეფ-201“ ჩაერთო და ღიღინით აჰყოლოდა ხალხურ სიმღერას.

მონადირენი ახლა კი ფეხაკრეფით მიჰყვებოდნენ ტყის პირს, მიჰყვებოდნენ და მიიყოლებდნენ რადიომიმღების ღუღუნს:

„გუშინ შვიდნი გურჯანელნი სანადიროდ წასულიყვნენ, — დააა!“...

დიდ სიხარულს ელოდნენ, არც გამტყუნებიათ იმედი.

აგერ ტყიდან გამოხტა კიდეც გათამამებული ფურ-ირემი, მწვანიან ბექობზე შედგა, ყელი მოიღერა, ყურები გადმოიჩაჩვა და ცნობისმოყვარედ გადახედა დავაკებს.

აქამდე აღწევდა სიმღერა:

„ჰაი-დააა, ესროლა ბერმა პაპამა, დააა!“

და ხანმოვლილმა თავკაცმაც არ დაიყოვნა. ამოკიჟა თვალი და...

გააგორა კიდეც....

ირემი კი არა,

ნაბულია — ენრიკოს მწევარი: იმჯერად ირემზე უფრო უცოდველი და მართალი...

ენრიკომ თვალებს არ დაუჯერა, მაგრამ მკერდსისხლიანმა ძაღლმა რომ ჯერ წელი აითრია და მერე კბილებიც დაკრიჭა, — თმა ყალყზე დაუდგა ნაამაგარ პატრონსა, ცრემლი მოაწვა, ისე ეტკინა, თითქოს მისთვის ესროლოთ. მაგრამ იმჯერადაც იენრიკოვა, უმალვე შეაგდო გულისა და გონების სასწორზე წყენა და სიხარული. უფროსის სიამოვნების სიხარულმა სძლია სინანულს, გამოწვეულს შვილივით ნაზარდი ძაღლის სიკვდილით, გულში დაითრგუნა სიბრალულის გრძნობა და:

— ახია მაგაზე, ხელის შეშლის მეტს არაფერს გვიკეთებდა!

— იმიტომაც მოგაშორე! — პირს სიცილი მოადგა უფროსს.

— დიდი მადლობა, აბელ ვახტანგიჩ, დიდი! რა გულთმისანი და გამგებიანი ბრძანდებით, პირდაპირ გასაოცარია.

ირემი გამფრთხალიყო სროლისას და ტყეში მიმალულიყო.

ორიოდე ნაბიჯიც წარდგეს.

კვლავ გამოხტა მიზანში ამოსაღები, უფრო მომცრო და თვალსაამო.

— ესროლეთ, აბელ ვახტანგიჩ, თქვენზე უფრო უპრიანია! — ჩასჩურჩულა ენრიკომ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— შენ გესროლა! — შესთავაზა უფრო იმიტომ, რომ ნაკლებად ეიმედებოდა თავისა.

— ოჰ, რასა ბრძანებთ, თქვენნაირი უფროსის წინ ნახევარ სიტყვასაც არ ვიტყვი და თოფს რა მასროლინებს ასეთი სამსხვერპლოსთვის. შეხე, შეხე, როგორ იშმუშნება ტანში. აფსუსია მაგის ხელიდან გაშვება, მხოლოდ თქვენი თოფის ღირსია იგი!

აბელმა სიამოვნების ღიმილი გადაივლო და სამიზნეს გახედა.

ყოველი შემთხვევისათვის ენრიკომაც მოიმარჯვა სასროლი.

თითქმის ერთდროულად გაცალეს თოფები, თითქმის ერთდროულად გაგორდნენ ირემი და შაველა, აბელის მწევარი.

— გადამიხადე სამაგიერო?! — გადაბღვირა თავკაცმა.

ჭირის ოფლმა დაასხა ენრიკოს. ორ ცეცხლს შუა ჩავარდა, სიმართლის თქმაც ესიკვდილებოდა და სიცრუისაც, მაგრამ ისევ შაველამ გამოიყვანა ორცეცხლშუიდან. უცებ წამოხტა, შეიკუნტრუშავა და პატრონისკენ გამოქანდა სკუპ-სკუპით.

ტყვიას კი არა, შიშს გაეგორებინა ხამი და გულდედალა ძაღლი — და რაკი ცოცხალი გადარჩენილიყო, სიხარულით წკმუტუნებდა მოსიყვარულე პატრონთან მოსული.

— რა გაეშმაკებულია! — თქვა ბატონმა აბელმა და გავაზე გადაუსვა ხელი.

— მაშ, რამხელა იუმორის გრძნობა აქვს. ცირკის მასხარაც შემირცხვენია ამასთან! ბევრ ვაიმსახიობს თუ არ ერჩიოს, იუმორისტობაზე რომ სდებენ თავსა, შერცხვენილი კაცი ვიყო! — და იმავე ადგილას და იმავენაირად გადაუსვა ხელი, როგორც უფროსმა.

— არა, მაინც როგორ მოიფიქრა ამ დალოცვილმა, ჰა?!

— ჯერ ის იკითხეთ, ვისია!..

აბელმა სიამოვნების ღიმილი გადაივლო სახეზე.

— თქვენს ხელში, აჰა, ხომ დღესავით ნათელია, ცხოველიც კი გონიერდება და ნიჭიერდება. ამას, ბატონო აბელ, შაველა კი არა, გენიოსა უნდა ერქვას! — კვლავ წაულიტინა გულზე.

კიდევ აპირებდა გასალმერთებელი სიტყვის თქმას, მაგრამ გათამამებულმა შაველამ, თითქოს განგებ, გამეტებით დააცხიკინა და სახეზე მიადორბლა ენრიკოს, რომელსაც წყენამ გაჰკრა გულზე. სხვისი რომ ყოფილიყო, იქვე აუგებდა ანდერძსა, მაგრამ უფროსის ძაღლს ალერსად მიუთვალა, დორბლიანი დრუნჩი მოუწმინდა ქათქათა ცხვირსახოცითა, მასაც მადლიერებით შესციცინა, პატრონსაც და ისევ ნანადირევზე მიუბრუნა სიტყვა.

— როგორ ერთი სროლით გააგორეთ, ბატონო აბელ, რა მარჯვე თვალი გქონიათ!

— მე თუ მოვინდომე... — მეტი აღარ გააგრძელა, დაცემული ირმისკენ გაუქანდა გული, წამოიწია კიდეც, მაგრამ ენრიკომ შეაყოვნა.

— ხედავთ ნუკრსა?

ნუკრი ხტუნვა-ხტუნვით მორბოდა დედისკენ.

— მაგასაც ახლავე გამოვუყვან წირვას! — დაიქადნა აბელმა და თოფზე წაივლო ხელი.

— ცოცხლად დაჭერა აჯობებს.

— მაგრამ როგორ?

— დავაცადოთ, თავის ფეხით მოვა!

მკერდჩამოწითლებულ დედა-ირემს თავი გვერდზე გადაეგდო, კბილები დაეკრიჭა და ნელად აბრუნებდა დიდრონ თვალებსა, ულონოდ ებრძოდა სიკვდილს. თავის წამოწევა სცადა, ოდნავ ააცილა კიდეც და სწორედ მაშინ ჰკიდა თვალი თავს წამომდგარ შვილსა, დაინახა და უცებ მოცოცხლდა, თვალები გაუწყლიანდა, თითქოს მოღონიერდა კიდეც, მძიმე ჭრილობაც მიივიწყა ერთ წამს, დაყვირება სცადა, მაგრამ მაგდენი ძალა აღარ ეყო და ულონოდღა ამოიხავლა.

გულუბრყვილო ნუკრი კიდევ ახლოს მივიდა, დაღვრილ სისხლს დააშტერდა,

**გიორგი ხორგუაშვილი**
**ჯვარაკები**



კ. მარქსის სახ. საქ. სსრ
სახელმწიფო საჯარო
ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დასუნა, ენაც აუსვა, დაიფრუტუნა, გაძიგძიგდა და გადაჭიმულ ყანყრატოზე აუსვ-დაუსვა დრუნჩი. დედა გატვრინდა, ერთხელ კიდევ მოიქურა ძალა, თავი წამოსწია და შუბლზე აუსვ-დაუსვა ხაოიანი ენა. მერე უცებ აკანკალდა, გაფითრდა, დრუნჩი გაულურჯდა, თავი გადააგდო, მსხვილი ცრემლები გადმოუგორდა და აღესრულა. ღიად დარჩენილ თვალებში წამოყმენდოდა თავს წამომდგარი შვილი.

ნუკრი კი ცნობისმოყვარედ დაშტერებოდა დედას. აზრზე არ იყო, რა უბედურება დასტყდომოდა ან დედას, ან თავად მას.

თავის აწევაც აღარ აცალეს ნუკრსა. უცებ სწვდა ადამიანის ხელი და თავისკენ გაითრია.

— ესეც ჩვენია! — სიხარულით წამოიძახა ენრიკომ, შუბლზე გადაუსვა ხელი და თავისებურად მიუალერსა:

— ფუჩინა, ფუჩინა!

ნუკრს ცრემლი გადმოუგორდა და იმ თითზე დაეცა, რომელმაც ამ ათიოდე წუთის წინ გამოსწია სასხლეტი.

აბელმაც მიუალერსა.

მოკლულ ირემს დასცქეროდნენ.

— არა, მაინც რა თვალი გაქვთ, ბატონო აბელ, როგორ ამოიღეთ მიზანში!

— მაშ არა და, შენა გგევარ, ძაღლი და ირემი რომ ვერ გაგირჩევია ერთმანეთისაგან! — ამაყად თქვა აბელმა.

ენრიკომ გულში ჩაიქირქილა და სიცილ-სიცილ მიუსაფალნა:

— სიტყვაც რომ მოსწრებული გაქვთ, აბელ ვახტანგიჩ!

ბატონ აბელს ესეც ესიამოვნა, მაგრამ ვითომ აინუნშიც არ ჩააგდო, თავის სათქმელს გაჰყვა.

— რაც მე ირემი და შველი მიხოცია!..

ენრიკო კმაყოფილი იყო, რომ მისი ნასროლით მოკლული ირემი უფროსმა თავის თვალმარჯვეობად ირწმუნა, ისე რომ ეჭვის ნატამალიც არ შეჰპარვია და კვლავ წაუცხო გულზე:

— ნადირობაში გამოიცნობა კაცის სიმარჯვეც და უნარიც. თქვენ კი ორივე იმდენი გაქვთ, რომ ბარე ათ კაცს ეყოფა.

— ნანადირევს მივხედოთ! —ამჯერადაც აუკრა ხელი სათქმელს.

ენრიკომ უმალვე იშიშვლა ალესილი დანა.

სპარტაკამაც იძრო ყამა.

და დიდი ხალისით შეუდგნენ საქმეს.

„სანადიროდ წასულიყვნენ ამირან და ძმანი მისნი!“ — მღეროდა რადიო და გამტყავებლებიც აჰყოლოდნენ.

„მთას ირემი წამოუხტათ, ცასა სწვდება რქანი მისნი!“ — ჩუმჩუმად ფხუკუნებდა სპარტაკა.

„არც ისე დაკარგული ვარ, დისწული ვარ ვახტანგიჩის!“ — თავისთვის ითარგმნიდა ენრიკო.

„ვინც მომიკლავს ბაყბაყ დევსა, ჩემი შუბი ალალ-მისი!“ — ღიღინებდა აბელი და თან ხელს აშველებდა გამტყავებლებს. ისიც ხალისობდა, თორემ მარტო ენრიკო აჰქნიდა ასო-ასო.

სულ ღიღინ-სიმღერით ჩაატყავეს ნანადირევი.

დატყვევებული ნუკრი კი უკანა ფეხით გამოებათ რცხილის კაპზე და უდარდელად კიკნიდა ნეკერს.

## 2. ყველა კოცნაზე უამესი

იქვე იგემეს ნანადირევი.

თელის ძირი აირჩიეს სალხინობლად, ჩრდილიანი, წყაროიანი და ნიავიანი.

შოფერ სპარტაკას წინასწარ დაეჭირა თადარიგი. ცეცხლი დაენთო მოშორებით. უკვე დანაღვერდლებულიყო ხმელი მუხის კეჟერები, ცალ მხარეს კუთხიანი ქვები შემოეწყო და ყურიან ქვაბში ათუხთუხებდა გულ-ღვიძლის ყაურმას, არც წიწაკა დაეკლო, არც დაფნა და მწვანე ტყემალი და ისეთ სურნელებას აფრქვევდა, მაძღარსაც მოაშიებდა. მეორე მხარეს თავად მისცუცქოდა შოფერი და სისხლით მონამულ სუკებს აშიშხინებდა, შვინდის ჯოხებზე რომ აესხა მთელ-მთელი, სიგრძლივ დასერილი და მარილმოყრილი. უფროსებსაც მალ-მალე ბეჯითობდა ცვრიან მწვადსა და არც თავად იკლე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბდა ცხადლივ თუ მალულად. აბელი და ენრიკოც გემრიელად შეექცეოდნენ შებრაწულ სუკებსა და ჩინურსაც, ენრიკოს საგანგებოდ რომ ჰქონდა შეთქმული აბელისთვის. პატარ-პატარა სასმისებით მიირთმევდნენ, მაგრამ კარგად შეზარხოშებულიყვნენ და, ვინ იცის, მერამდენედ მღეროდნენ თავიანთ საყვარელ „დანამას". სპარტაკაც უბანებდა ჟამი-ჟამ. და თან გულში მიმართავდა: „ეგრე რაღა, თქვე დალოცვილებო! იმ ბოლიან-ხმაურიან ქალაქში სიარულსა და მთელ დღეს ყურყუტსა იმ გაგანია სიცხეში, აქ გამონავარდება არა სჯობია?! ანდა კაბინეტში ჯდომასა და ტელეფონებზე ცოფის ყრასა ეს სიმღერები არ გირჩევნიათ?! ჰაი, რატომ მე არა ვარ თქვენი უფროსი, რომ სულ მინდორ-მინდორ და ტყე-ტყე გატაროთ!".

რიგრიგობით თამადობდნენ. ბატონი აბელი უფრო ზოგად სადღეგრძელოებს რჩეობდა;

— მამულის სადღეგრძელო შევსვათ! — დაბრძენებულის ხმით ამოიტყოდა წინამძღოლი და გალიცლიცებულ ჭიქას მიუშვერდა თანამესუფრეს. ენრიკოც დაბლა დაუწევდა თავის ჭიქას, ფრთხილად მიუკაკუნებდა და დიდი გრძნობით გაშლიდა სადღეგრძელოს, საკუთარ აზრებსაც ჩააქსოვდა, მრავალგზის ნათქვამსა და ჩამოქნილსა, დიდი ადამიანების სიბრძნესაც შეურევდა, ლექსებითაც გაასურნელებდა და ასე დასძენდა:

— ღმერთმა უმრავლოს თქვენნაირი მამულიშვილი ჩვენს ქვეყანას, აბელ ვახტანგიჩ!

— დიდი მადლობა, ჩემო ენრიკო!— შეეფერებდა აბელი და ციმციმ მიიტანდა სასმისს ტუჩებთან.

ენრიკოც ეგრე მოიმოქმედებდა. ისიც გაენაზებოდა გამოსაწრუპ ჭიქას, ცალი თვალი უფროსისაკენ ეჭირა, რომ მასზე ადრე არ გამოსცლოდა, აბელივით ჟინიანად დაიქნევდა გამოცლილ ჭიქას და ისიც მწვანეზე გააგორებდა, იმავე „ჰოპლას" ამოძახილით, იმავე მიმართულებით, მაგრამ ისე გამოზომავდა, რომ მისი ჭიქა არასოდეს გადაასწრებდა უფროსისას.

სპარტაკაც წამოხტებოდა, გაგორებულ ჭიქებს წამოკრეფავდა, გაუვსებდა, მიართმევდა და თვითონაც გვერდით ჩამოუჯდებოდა. მოქეიფენიც ახალი სადღეგრძელოსთვის შეიღერებდნენ ყელსა:

— ხალხი ვადღეგრძელოთ! — კვლავ მოკლედ მოსჭრიდა ბატონი აბელი.

ენრიკოც ისევ მოიქარგავდა ენას:

— ხალხის დღეგრძელობა საბოლოოდ თქვენი დღეგრძელობაა და დიდხანს იცოცხლეთ და იბედნიერეთ ხალხის საკეთილდღეოდა!

— აგაშენა ღმერთმა, ჩემო ენრიკო, აგაშენა!

ბევრი სადღეგრძელოს ავტორი ენრიკო გახლდათ.

მშრომელებს გაუმარჯოსო, — ამასაც დიდი გზნებით წამოიწყებდა, ჯერ კარგა ვრცლად მოუფონებდა, მერე ვითომ სიტყვამ მოიტანაო, უფროსისკენ მოაქცევდა, თვალებს მოიკოხტაპრუწავებდა და:

— თქვენს მშობელ დედას ვენაცვალე, აბელ ვახტანგიჩ, თქვენი გაზრდისათვის. შვილების სიცოცხლეო და თქვენი შავტუხა ბიჭების ჭირიმე, ბადალი რომ არ მოეძებნებათ ქვეყანაზეო.

მეუღლეების სადღეგრძელო შევსვათო და ხვთისმშობელივით ვემთხვევი ქალბატონ ლუიზას, თქვენ რომ ასე გიდგათ მხარში დიდი საზოგადოებრივი ტვირთის ასაქარვებლადო. ნეტავი მაგას, რომ ასეთი უძვირფასესი ქმარი ჰყევხართო!

„რაღაც ოკრობოკრო ლაპარაკობს ეს ჩემი ცოდვით სავსეი, თავისი ცოლის მაგივრად ხომ არ შენატრის ჩემი ხაზეინის „ქალბატონსა", — თავისთვის ჩაიფხუკუნა სპარტაკამ.

ენრიკო კი განაგრძობდა.

უფრო და უფრო შეუთამამდა, აგერ ხელიც წააპარა გადასახვევად. თავკაც-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მაც არ იჩოთირა. ანდა რად უნდა ეუცხოვა, ისიც ხომ ადამიანია, და განრიდების მაგიერ იმანაც გადახვია ხელი.

ენრიკოს ფრთები გამოესხა, ნეტავი სხვაცა ხედავდეს ვინმე სპარტაკას გარდა, ჩუმ-ჩუმად რომ ეცინება... რატომ არ უყურებენ, რომ მტერს თვალები დაუბრმავდეს და მოკეთეს ეამოს. აფსუსი არ არის, რომ ასე უკვალოდ ჩაიაროს ამ ამბავმა, რომელსაც ბევრი ინატრებდა?! აღარ იცოდა, რა ექნა, სიხარული ვერ დაეოკებინა, კვლავ მოეძალა სიმღერა-სიყვარული და სწორედ მაშინ წამოიწყო: „სულ არ მოვალ ამ ქვეყანას, რერო, შენ რომ არ მეგულებოდე, რერო!“ — ეს გახლდათ პირველი სიმღერა, რომელიც შეასრულეს ხელიხელგადახვეულებმა. მას მერე ყოველ სადღეგრძელოს მოაყოლებდა სიმღერას და ყოველთვის ხელგადახვეულს აიყოლებდა ბატონ აბელს.

მახლობელთა სადღეგრძელოები რომ შემოელია, ისეთები მიაყოლა, რომლებიც თვით აბელ ვარდანაშვილსაც არა სმენოდა არსად.

კაცის შუბლი მინდა ვადღეგრძელო, და შენს ნათელ შუბლს გაუმარჯოს, ხელმწიფის სამყოფ ჭკუას რომ იმალავსო.

ადამიანის თვალებს ვადიდებო და შენს შორსმჭვრეტელ თვალებს ვეთაყვანები, ღამეც რომ დღესავით ანათებენო.

ტუჩებიც უდღეგრძელა, მზის სადარ ღიმილს რომ აფრქვევსო.

მერე მარჯვენაც დაულოცა, უფროოე კალამი რომ უჭირავს ხელში და ხალხის ბედს რომ წყვეტს საკეთილოდო.

„ძაან ქვევით-ქვევით მიიწევს და....“ — გულში ჩაიქირქილა სპარტაკამ.

მაგრამ მისი ეშმაკური გუმანის საწინააღმდეგოდ ენრიკომ წამოიწყო ადამიანის უუმთავრესი ნაწილის სადღეგრძელო. ჯერ მის ფიზიოლოგიურ და ზნეობრივ მნიშვნელობაზე ილაპარაკა, გულია ყველაფერი, სიცოცხლეც ის არის და სიყვარულიცაო, სხვათა შორის, სასტიკად გაილაშქრა კრისტიან ბერნარდისა და მისი მიმდევრების წინააღმდეგ, სხვისი გულის გადანერგვა ისე რომ გაიბეჯითეს, თითქოს იასამნის ბუჩქი გადანერგესო და აქვე გაახსენდა სადღაც ამოკითხული: „მე სხვისი გულით ლექსებს ვერ დავწერ, მე სხვისი გულით ვერ შევიყვარებო“. ესეც თავისებურად გადაუკეთა: „მე სხვისი გულით სიტყვას ვერ გკადრებთ, მე სხვისი გულით ვერ შეგიყვარებთო“. დიახ, ჯერ ეგრე გააგრძელა, მერე ოდნავ შეყოვნდა, ძალა მოიკრიბა და განსაკუთრებული გრძნობით ამოთქვა:

— თქვენს უზარმაზარ გულს გაუმარჯოს, აბელ ვახტანგიჩ, ზღვასავით უნაპიროსა და ღრმას, ზღვასავით უსასრულო სიყვარულს რომ იტევსო.

ბატონმა აბელმა იმჯერადაც დამორცხვებით მიუკაკუნა სასმისი.

ამ სადღეგრძელოს დალევა ასე მიყვარსო და ყვრიმალზე აკოცა მორიდებით.

„ეხლა კი ვიღაცას ეტირება დედა!“ — თავი გაიქნია სპარტაკამ და ახალი ასხმული მწვადი გადააბრუნა ნაღვერდალზე. კვლავ მიხედა მოქეიფეებს და პირი ღიად დარჩა, შექეიფიანებული „ხაზეინიც“ რომ არ დაურჩა ვალში ენრიკოს, რომელსაც ნაზად მოუცაცუნა ტუჩები ყურის ძირშივე.

ამას კი აღარ მოელოდა ენრიკო და ლამის ჭკუაზე შეიშალა სიხარულით. სხეულში დაუარა უამესმა განცდამ, რომელიც, ალბათ, არ უგემია, „არცა ვისსა და არც რამინსა“ და არც თავად. ენრიკოს შეუტკბია დედის კოცნაც, მამისაც, დისაც, ძმისაც, შვილისაც, ცოლისაც, მაგრამ ამ სიამეს ვერ ამოუტოლდებოდა ვერც ერთი. თვით სატრფოს ამბორიც კი ფერმკრთალდებოდა წინამძღოლის კოცნასთან.

და დაილია კიდეც სადღეგრძელო კოცნისა, როგორც სიყვარულის გრძნობის გამოხატულებისა და ვნების ჩაცხრობის უებარი საშუალებისა.

და მიაყოლეს კიდეც:

„ერთსა ისეთს გაკოცებ, სულ
გაცინებ, გატირებ,
მაგ ქუჟუნა თვალებიდან ცრემლებს
გადმოგადინებ!“

ეროვნული
ბიბლიოთეკა

და საქმე წაუვიდათ ისე, რომ მათი სიყვარული სხვა დროსაც ბევრჯერ ამაღლებულა კოცნამდე. კვლავაც ეგრე მალულად უკოცნიათ ერთმანეთისათვის. ერთადერთი კაცი — შოფერი სპარტაკი ყოფილა მისი მხილველი და როგორც ყველა სხვა საიდუმლო, ეგეც ღრმად დაუმარხავს გულში უხმო ხითხითითა. ენრიკო კი სულ იმას ნატრობდა, რომ სხვასაც ბევრს ეხილა ეს უმაღლესი და უნეტარესი ჯილდო.

„შენ, ჩემო უფროსის კოცნავ, ნეტამც კი გაჰქვეყნდებოდე, თუნდ, ცოლო, გამთხოვებოდე, თუნდაც სულ არა მყოლოდე!“ — წაიღიღინებდა ხოლმე.

ჰოდა, ერთხელ...

შვებულებიდან ორიოდე დღის დაბრუნებული იყო ბატონი აბელი. ბევრს მოსწყურებოდა მისი ნახვა, უფრორე ხელქვეითებსა და პირმოცინარეებსა, მონატრებოდათ და თვალსა და ყურს აცეცებდნენ მის სახილველად. საამისო ჟამიც დასდგომოდათ, დიდი თათბირი უნდა ჩატარებულიყო. სხდომათა დარბაზში მოქცეულიყო მთელი რაიონის ნაღები. ისხდნენ და ელოდნენ მეოფლენი თათბირის მოთავეთ. სხვები კი, უფროსის ნახვას მოწყურებულნი, გარეთ დატორლიალებდნენ. ვრცელ ფოიეში რომ ვერ დატეულიყვნენ, განიერ კიბეზე ახუნძლულიყვნენ და ერთმანეთს ელაპარაკებოდნენ, მაგრამ გული და გონება სხვაგან გაურბოდათ, ოალა სხვაგან, დიდი კაბინეტისკენ, სამლოცველოსავით სათაყვანებლად რომ ექციათ, ღმერთად მიჩნეული უფროსი რომ იჯდა და თავი ველარ დაეღწია ნაირ-ნაირი ტელეფონებისათვის, რიგრიგობით და ხანაც ერთდროულად რომ გაიწკრიალებდნენ, ორივე ყურზე რომ მიეხუტებინა ყურმილი და თითქმის ერთდროულად პასუხობდა: „დიდი მადლობა!“, „არა მიშავს რა!“, „კი, კარგად დავისვენე!,“ „დიდებული კურორტი ყოფილა, დიდებული“! დიახ, მთელი გულისყური.. მიეპყროთ იქითკენ, საიდანაც უნდა გამოჩენილიყო დასვენებული თავკაცი.

აგერ იჩინა კიდეც თავი ბატონმა აბელმა. იჩინა და უცებ აიტალღა მომლოდინეთა ჯგუფი. იჩინა და გუმანიც გაუმართლდათ, უხვი ღიმილი გადმოუფრქვია, მოაბიჯებდა და უკან მოიყოლებდა მცირერიცხოვან ამალას, უახლოეს ხელქვეითებსა, ზოგი მარჯვენა ხელად რომ იყო ნაკურთხი, ზოგი — მარცხენად. მოჰყვებოდნენ იმავე ნაბიჯის ზომით, როგორც წინამძღოლისა გაიზომებოდა, ისეთივე ღიმილის ფრქვევით და თავის რხევითა, როგორც წინამძღოლი მოქმედებდა. დიახ, უხვი ღიმილი გადმოაპნია და მისი ტრფიალნიც ისე დაესივნენ, თითქოს ოქროს თუმნიანებზე გააჩინესო ტაციაობა. სიხარული სიხარულის წილ, სიყვარული სიყვარულის წილო... და ერთი ათასად მიუზღვეს ხელმძღვანელს... რაც იმ ერთ წუთში ღიმილი დაიღვარა, ბარე ნახევარ ქვეყანას ეყოფოდა სითბოდ, ნაღდი და ალალი რომ ყოფილიყო. ყველას მომარჯვებული ჰქონდა ხელი, რადგან სწამდათ, რომ უთუოდ ჩამოართმევდა დიდი ხნის უნახავი წინამძღოლი, მოღიმარი და კაცთმოყვარე, ზოგ-ზოგთ წაუცდათ კიდეც. მარჯვენა, მაგრამ წინამძღოლმა არ ინება ხელისჩამორთმევა, რადგან კარგა ხანი დასჭირდებოდა ამ წესთშესრულებას და კიდევ უფრო დააგვიანებდა კრებას.

ენრიკო ბიწაძე დარბაზის კართან განაბულიყო. უკეთეს ადგილს ვერ ინატრებდა კაცი. როგორც გემი მიტანებულ ყურეს, ისე ამ ადგილს ვერ ასცდებოდა დარბაზში შემსვლელი. სულ ახლოს უნდა გაევლო, ისე ახლოს, რომ უხილავი ღიმილის ხაზიც კი დაინახებოდა, თანაც ხელისგულივით ჩანდა დარბაზი, მებადურსავით თვალფხიზლობდა, ნახვის ნატრული სატრფოსავით მოელოდა დიდი ხნის უნახავ მესვეურს... აგერ მოატანა კიდეც. პაემანზე მდგარივით წა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოენთო, თვალები შეუცხელდა, ლოყებიც შეუფაკლდა, გული შეუფრთხიალდა, მოწყურებულის ღიმილი შეაგება, ხელიც გაუწოდა, ახლოც მიეზიდა, გადაეხვია და ეამბორა კიდეც, ეამბორა ნაზად, ეამბორა მხურვალე ბაგით. ყოველივე ეს მშვენივრად იხილეს დარბაზში მყოფთაც და გარეთ შემოჯარულებმაც.

ეს ისე მოხდა, რომ თავის დაღწევა ვეღარ მოახერხა ბატონმა აბელმა. რაღაც დაიბნა კიდეც ხელის ჩამორთმევისთანავე, გონება მოებურუსა, ყველა და ყველაფერი ჩაეძირა იმ ბურუსში, მხოლოდ ენრიკო დაურჩა, უნებლიეთ დაუყვა ნებას და ნაზი ამბორითვე გადაუხადა სამაგიერო.

ეს ორმხრივი ამბორი იყო რაღაც უზენაესი ჯილდო ენრიკოსათვის. სიხარულით გადაირია, აღარ იცოდა, რა ექნა.

ეამბორნენ და უცებ შეჩოჩქოლდა მთელი დარბაზი, გაკვირვებისა და კითხვის ნიშანი გამოესახათ შუბლზე. ეამბორნენ და შეირხა თაყვანისმცემელთა მთელი ამალა, უკან რომ მოჰყვებოდა ღიმილის ფრქვევითა, განცვიფრებით მიხედ-მოხედეს ერთმანეთსა, მათს თვალებშიც და გულშიც გაკრთა ნატვრაც და სიძულვილიც, უფრო კი შურმა გაისისინა, მაგრამ ცრუ ღიმილითვე დაიფარეს, თვალებში შესცეცინეს გაოგნებულ-გაბრუებულ წინამძღოლსაც და ფრთებშესხმულ ენრიკოსაც, ზოგმა იქვე მიულოცა კიდეც ჩუმ-ჩუმად...

— ყოჩაღ!

— სალოლ!

— მალადეც! — ჩასჩურჩულებდნენ ყურებში ენრიკოს, რომელიც თავის ქანქარით უხდიდა მადლობას, ფეხდაფეხ მიჰყვა შემსვლელებს და დაბრძანდა პირველი რიგის შუა სკამზე, ენრიკოს სკამად რომ იყო მონათლული. სხვა პირი არც კადრულობდა და ვერცა ბედავდა იმ სკამზე დაჯდომას, სულ რომ უსკამოდ ყოფილიყო დარჩენილი. ენრიკოს იმითაც უყვარდა ეს სკამი, რომ ძალიან ახლოს იყო პრეზიდიუმთან, სწორედ მის პირდაპირ ჯდებოდა პირველი კაცი და სულ ახლოდან შესცინებდა თვალებში. ახლაც იჯდა და ეგრე შესცქნაოდა. და ისევ ის კოცნა ედგა თვალწინ, ისევ ტკბებოდა იმ ამბორითა, ალბათ, არასოდეს გამოწელდებოდა ეს სიამე და საფლავშიც თან ჩაიყოლებდა.

იმ კოცნით ხომ ერთხელ კიდევ გადაუშხივილა მათრახი მტერ-მეშურნეებს, გადაუშხივილა ისე მწარედ, რომ თვალებიდან ნაპერწკლები წამოაყრევინა.

ღირსნი კი იყვნენ. რად შეგზნებიათ შურის სახმილი გულზე, რად ამოსდით თვალებში ეკლები?! დაუღნიოშებიათ პირი და ქარ-ბზესავით აბორიალებენ ჭორის ბუქებსა.

აბა, რა წამოსაყრანტალებელია თუნდაც ასეთი რამ:

ენრიკო ბიწაძეს ძალიან ძვირი დაუჯდა ის საჯარო კოცნაო. ჩვენს უფროსს თანდათან დასწმენდია ფიქრი. ცივი თვალით გადაუხედავს ცხელი გულით ნამოქმედარისათვის, თავიც გაუკიცხია: ეს რა ღმერთი გამიწყრაო და ენრიკოზეც დაუკრაჭუნებია კბილები. იმ სალამოსვე მიუხმია თავისთან და მაგიდაზე მუშტის ბრახუნთან ერთად დაუცეცხლია :„შე შობელძაღლო, ძუძუთა ხბოსავით რომ გამომიშვირე ტუჩები და გადამლოშნე, შენი საყვარელი ხომ არ ვიყავიო“.

„შენზე უსაყვარლესი არსება ვინა მყავს ცასა და დედამიწას შუა, სიყვარული ვეღარ შევიოკეო“. — არ დაბნეულა ენრიკო.

„ეგ ისეთი ზნეობრივი დანაშაული ჩაიდინე, ათასი ოქროთიც ვერ გამოისყიდიო“.

„ორი ათასი გენაცვალოსო,“ — ვაჟკაცურად მიუგია.

## 3. ნიჭის მაძიებელი

**(პირველი არამკითხეს ნაამბობიდან)**

ბევრი ისეთ ამბავს ჰყვება, ყურში ჩასაშვები არ არის. ზოგმა არამკითხემ ლეგენდებიც კი შეჰქმნა ენრიკო ბიწაძეზე.

„თითო კაცზე მხოლოდ თითო ნიჭი!“ — ასე ეწერა ღმერთების სახლ-საგანძუ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რზე, რომლის კარშიც მუხლმორთხმით იჯდა არსთა განმრიგე და დიდი სიფრთხილით ანაწილებდა ნიჭს, უპირველეს ღირსებად რომ იყო მიჩნეული, მისხალ-მისხალ სწონიდა სინდისის სასწორზე და ვინც რომელს ინებებდა, იმას არგუნებდა.

არსთა განმრიგე ისეთი გულმეცნიერი იყო, რომ ადამიანის კი არა, ბალახის ენა იცოდა, არაფერი არ დარჩებოდა გამოუცნობი ცასა და ქვეყანას შუა. ვიდრე კაცი გაიფიქრებდა, ის უკვე ცნობილობდა მის გულისნადებს. ეშმაკებიც კი გააკეთილშობილა, მაგრამ ეშმაკობა და სიფხიზლე არ აკლდა. თვითონაც ხომ ასი თვალი და ასი ყური ჰქონდა გამოსხმული და მოდარაჯე ანგელოზებიც და გადაბირებულ-გაერთგულებული ეშმაკებიც დაედარაჯებინა, რომ უსამართლობა არ გაჭაჭანებულიყო. ზევიდან დამრეკავი არავინა ჰყავდა, ქვევიდანაც ვერავინ შებედავდა თხოვნა-ხვეწნას, ყვითელი ეშმაკით ცდუნებაზე ვერავინ გაივლებდა გულში, თუ ვინმე გულხარბი შეეცდებოდა მეორედ ხელის გაწვდენას, ვაი იმის ბრალი, დიდი მეუფე განრისხდებოდა და იქვე, ხალხის წინაშე ისეთ დღეს დააღწევდა, ლუკმა რომ სდებოდა პირში, მშიერი ძაღლიც არ გამოართმევდა, ლანძღვა-რისხვას არ აკმარებდა და იქვე გადმოსცეცხლავდა უმკაცრეს განაჩენს: ან კუკუს ამოაჭერინებდა ეშმაკებს და ჯოჯოხეთის კარებში შეაგდებდა, ანდა წინაბოძებულ ნიჭსაც წაართმევდა, რაც ჰკუა ჰქონდა, იმასაც დაუფანტავდა, ცარიელ-ტარიელს დასვამდა მშრალზე და სამაგიეროდ მიაჩეჩებდა უსინდისობის ნიჭს. ეს კი მიჩნეული იყო ყველაზე დიდ სასჯელად სიკეთით სავსე ქვეყანაში, სადაც ადამიანი ფასდებოდა ოფლით, პატიოსნებით, სიმართლით და მისნაირი სამკაულებით. ასეთი ზნეობრივი კანონებით ლაგამი ჰქონდა ამოდებული ბევრზე ბევრთა დაუოკებელ გულს. თვით უკეთურნიც კი კეთილშობილობდნენ. რის ბოროტება, რის ღალატი, სად გაიგონებდით სიცრუესა და ორპირობას. ამ სიტყვების ხსენებაც კი ეჩოთირებოდა ყურსა.

ჩინიანიც და უჩინოც მოთმინებით იდგნენ გრძელ რიგში და უკეთეს ნიჭს ეტანებოდნენ.

მაღალი ღმერთიც, გახარებული წესრიგიანობით და სიმართლე-პატიოსნების ზეობით სიამოვნებით უსრულებდა გულისწადილს რიგში მდგომთ.

ენრიკო ბიწაძის ჯერიც მომდგარა და მოხერხებულობის ნიჭი უთხოვია. რადა გნებავსო, ეჭვის თვალით შეუხედია არსთა განმრიგეს.

თქვენი და ხალხის სამსახურადაო.

ეს როგორაო.

თქვენ ხომ ბოროტებას ებრძვით ხალხის სასიკეთოდ და თუ მეც მიმსახურებთ, თქვენი ერთგული ჯარისკაცი ვიქნებიო.

ბოროტება კიდევ ბოგინობს ქვეყანაზეო?!

რამდენიც გნებავთო და სადაცა გნებავთო, ყველგან თავს იმალავს, თქვენი ფხიზელი და შორსმჭვრეტელი თვალი, რა თქმა უნდა, ყველგან და ყველა წვრილმანს ვერ მისწვდება და ჩემისთანა რიგითი მებრძოლნიც თუ არ მოიმრავლეთ, მარტოკას გაგიჭირდებათო.

რალა მაინცდამაინც მოხერხებულობის ნიჭით უნდა ებრძოლოთო.

ბოროტება მეტად დაუნდობელი და მოხერხებულია და სიკეთემ რომ დაამარცხოს, ის უფრო მოხერხებული და მებრძოლი უნდა იყოსო. მხოლოდ სიმართლის იარაღით ვერ გაიმარჯვებსო.

მამალმერთს ჭკუაში დასჯდომია, მოციქულებისათვის გადაუხედია, დასტური ამოუკითხია იმათ შეჭმუხნულ შუბლებზე და მერე აუთვალიერებ-ჩაუთვალიერებია ნიჭის მაძიებელი, ანგელოზივით თავდახრილი რომ შესციცინებდა ალმაცერად, მიამიტა თვალებში ჩაღრმავებია და მართალი გული ამოლანდვია, სიგულწრფელე ურწმუნია და სიხარულით უბოძებია მოხერხებულობის ნიჭი, საკმარისზე მეტიც კი, და თან დაულოცია: სიკეთეში მოგახმაროსო.

---

**გიორგი ხორბუაშვილი**
**ჯვარაკები**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ენრიკო ბიწაძეს დიდი მადლობა მიუგია და იქვე მოუხმარებია კიდეც ბოძებული ნიჭი.

ერთ გულქართლ ბიჭს [illegible] ენია და:

„რა გქვია, [illegible]“

„მიხო“, — გვიან [illegible] პასუხი.

„ბატონო მიხეილ, რომელი ნიჭისთვის დგეხართ“?

„პატიოსნებისა, შენი კვნესა მე!“

„ღმერთო მომკალი, ნუთუ არა გაქვს პატიოსნების ნიჭი?!“

„როგორ არა, განა ცოტა, მაგრამ კიდევ მეტი მინდა,... კაცნი ვართ, ვაითუ მერე გაწყდეს და მეყაროს,... შვილებსა და შვილიშვილებსაც გამოადგებათ. მაგაზე კარგი რა უნდა დავუტოვო!“.

„წინდახედული ბრძანებულხარ, ჩემი გულის კაცი ყოფილხარ, მეც სწორედ ეგ მოვთხოვე არსთა განმრიგეს, მაგრამ შევცდი, რადგან პატიოსნება თავზე საყრელი მაქვს, შვილიშვილებს კი არა, მისხის-მისხალი ეყოფა, სამაგიეროდ, გარდასახვის ნიჭის ნატამალიც არ გამაჩნია და სულ უხვირში კირტყამ, რატომ ეგ არა ვთხოვე მაღალ ღმერთსა!“

მიხო თანაგრძნობით მისჩერებია.

„თუ კაცი ხარ, გარდასახვის ნიჭი გამომირთვი და პატიოსნებაში გადაგიცვლი!“ — შეხვეწნია ენრიკო.

გულქართლ ბიჭს უფიქრია: ჩემთვის სულერთია, თუნდა ღმერთისთვის გამომირთმევია პატიოსნების ნიჭი და თუნდა ამ მხვეწარასთვის გადამიცვლიაო. მგონი აჯობებს: ამ კაცის მადლსაც მოვისხამ, და იქნებ, ღმერთის ბოძებულს თავისიც გამოაყოლოს, რადგან ესე ტყემალივით სხმია პატიოსნებაო. გულშიც გასცინებია წაეშმაკების გამო, უყოყმანოდ დაჰყაბულებია და უბოყვილო ღიმილით მიუგია:

„ოღონდ ცხვირს ნუ დაისიებ სინანულის მუშტის ცემითა და ჩემი თავი შენი ფეშქაში იყოსო“.

მალე გამოურთმევია გარდასახვის ნიჭი არსთა განმრიგესათვის, საგანძურიდან გამოსულა და მოფარებით ჩასაფრებული ენრიკოსთვის გაუწოდებია, პირობა კაცს ცოლს წაართმევსო.

ენრიკოს უმალვე უტაცნია ხელი და თვალსა და ხელს შუა გაჰქრობია.

გაწბილებული მიხო მიწას დაბღვერია და:

„ებე, რა იქნა ის ოჯახაშენებული!“

„მშრალზე დაგსვა?“ — ჩაუქირქილებია ვიღაცას.

„რავი, შეხედავდი, კაცს ჰგავდა და... კაცი კაცს აღარ უნდა ენდოს, კაცო?!“ — გაჰკვირვებია.

ენრიკო ბიწაძე კი, ღმერთისთვის რომ მოხერხებულობის ნიჭი დაუტყუებია და გულქართლი ბიჭისათვის — გარდასახვისა, გაიგანებდა, თურმე, რაგინდარა კაცად გარდაისახებოდა, ჩადგებოდა რიგში, და რომელ ნიჭსაც მოიპრიანებდა, იმაზე გაიშვერდა ხელსა. არსთა განმრიგეც სიამოვნებით უბოძებდა და თან გულიან ლოცვას გააყოლებდა: მშვიდობაში მოგახმაროსო. ენრიკო დიდ მადლობას სწირავდა და ქვეშ-ქვეშ ეცინებოდა.

იმ გულბედოვლათა ბიჭს მალე გადაუყრია გულიდან, სულაც არ უნაღვლია, რომ პირშიჩალაგამოვლებული დაუტოვია ენრიკო ბიწაძეს, თვითონაც არ სცოდნია თავისი ბარაქისა, იმდენი პატიოსნება ქონია, რომ მის ჯალაბობას კი არა, მთელ მის მისადევარ-მოსადევარს ეყოფოდა.

დიახ, სულაც მივიწყებია იმ გულქართლ ბიჭსა მაშინდელი ამბავი. ეხლაც ცხელ ოფლს ალვრის გრილ მიწას, შემომჯდარა მამაპაპეულ ურემზე, თავზე ახურავს ნაბდის ქუდიც და ნამუსისაც. საძნე ურემს მიაჭრიალებს მთვარიან ღამეში და სალამურა ყელით დაჰღიღინებს: „ჯერ დედას გადავეხვევი, მერე შვილსა და ცოლსაო“. შავი კამეჩებიც გატვრენილნი ეძაგრებიან ურემსა და ტოროლებიც განაბულან ხეჯეხუვებში, გზის პირებში გამოკრეფილ ბუკნაჭოტებს, ტურებსა და მელიებს კი პირსიცილი მოსდით.

მამალმერთი ბოლოს მაინც მიხვედრილა ენრიკოს ზეეშმაკობაზე, გაცეცხლებულა, დამუქრებია. მაგრამ ენრი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კო ბიწაძეს აქაც აუმოქმედებია მოხერხებულობისა და გარდასახვის ნიჭი, მამალმერთის ერთგულ ანგელოზს დამსგავსებია, ანგელოზი კი თავის თავისთვის დაუმგვანებია და დაქადნებულ-განრისხებული მამალმერთისათვის ჯოჯოხეთის კუპრში უკვრივინებია მისი თავი.

„ხედავ, როგორ მომატყუა იმ ეშმაკის ფეხმა?“ — შუბლი შეუკრავს მამალმერთისა.

„მააშ, მააშ!“ — თანაგრძნობით გადაუქნევია თავი ენრიკო-ანგელოზსა.

„კიდევ კარგი, დროზე ამოვიცანი, თორემ სულ წამიბილწავდა მთელ სამყაროს“.

„არა, რასა ფიქრობდა ის ყურუმსალი, სად დაემალებოდა თქვენს ფხიზელ თვალსა?:“

„მოდი, ერთი, გაყურებინო იმის საცოდაობასა!“ — გულისმოფხანით უთქვამს მამალმერთისა, ზევიდან ჩაუხედებია, კუპრში მოთლუხთლუხე „ენრიკო ბიწაძე“ უხილავინებია და კმაყოფილების ღიმილი გადაუვლია ბრძენ სახეზე.

„თან კი მეცოდება ეს უბედური!“ — შუბლი შეუკრავს.

„თქვენი ორგული შესაცოდი არ არის... თქვენი ღალატი სიმართლისა და სიკეთის ღალატია“, — ენრიკო-ანგელოზსაც დაუბრძენებია სახე.

კარგა ხანს უცქერიათ საცოდაობისათვის.

მერე კი...

„ხა-ხა-ხა ა ა!“ — გრძლად გადაუხარხარია ენრიკო-ანგელოზს.

მამალმერთიც აჰყოლია ხარხარში.

დაბლა, კუპრში კი საცოდავად თლუხთლუხებდა უცოდველი ანგელოზი, ენრიკო ბიწაძედ რომ იყო შერჩვენებული.

ნამდვილი ენრიკო ბიწაძე, ანგელოზს დამსგავსებული, უფრო გაერთგულებია მამაზეციერსა, დასიძმობილებია, დაპირველკაცებია, სულში ჩასძვრომია და რასაც მოინებებს, იმას აკეთებინებს, რა თქმა უნდა, სიკეთის, სიმართლისა და ერთგულების სახელით...

დღესაც ძმაკაცობენ მამალმერთი და ჭეშმარიტი ენრიკო ბიწაძე, დღესაც თავისი ერთგული ანგელოზი ჰგონია ეს მრავალნიჭა კაცი და ახალ-ახალი საჩუქრებით ახარებს ნიჭიერების, პატიოსნების, სიმართლისა და ერთგულებისათვის. ჟამი-ჟამ გაიხსენებენ იმ ვიღაც „ენრიკო ბიწაძეს“, ჯოჯოხეთის კუპრში რომ იხდის ღირსეულ სასჯელს, და გულიანად ხარხარებენ.

სხვანიც აჰყოლიან სიცილ-ხარხარში.

სხვანიც კეთილი თვალით უქცერიან ენრიკო-მთავარანგელოზს. როცა მამალმერთი ეკეთილება, დანარჩენნი როგორ გაიბოროტებენ თვალ-გულსა თქვენ წა/მოიდგინეთ, და ანგელოზებსაც უჭიატებთ, თურმე, გულში შური, მაგრამ უდიდბატონოდ ხმას არა სცემენ ენრიკო-მთავარანგელოზს.

## 4. პოეზია უპირველეს ყოვლისა

(მეორე არამკითხეს ნაამბობიდან)

დიახ, კეთილი თვალით მაცქერალნიც მომრავლებიან ენრიკო ბიწაძეს და მეშურნე-არამკითხეებიც. კეთილნი თავდაჭერითაც კეთილობენ და სიტყვაძუნწობითაც, მეშურნენი კი ულაგმოდ დააჭენებენ სათქმელსა და არასათქმელსა, უწინარესად ექირქილებათ კეთილი თვალით მაცქერლებზე: რამ აუხვიათ თვალებიო. არ იციან, რა ხალხიც არის, თორემ ზედაც არ შეხედავენო იმ შენს ენრიკოს. ზოგი ისე მოწიწებით უხრის თავსა, რომ ხელმწიფესაც შეშურდებაო.

მართალი ბრძანებააო, მაგრამ ენრიკოს კი არა, წინამძღოლს ემოწიწებიან, ჩემო კარგო! ანდა, რა საქირქილოა თუნდაც ასეთი რამ: „ენრიკო ბიწაძეს იმდენი გული აქვს, რამდენი უფროსიც გამოიცვალა და ორი იმდენი ხელობა შეუსწავლიაო“, ხამუშ-ხამუშად წამოყრანტალება კიდევ არაფერი, მაგრამ გაუთავებლად რომ ღაღდაღანობენ, —ეს კი ვერ არის კაიკაცობა.

აქვე გვებოდიშებიან არამკითხეები

---

გიორგი ხორგუაშვილი
ზვარაძეები

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმის გამო, რომ მათ მეტისმეტად ახლოს ამოგვილანდეს ენრიკო ბიწაძე, ისე ახლოს, რომ მისი აჩრდილი გადაეფარა თვით წინამძღოლებსაც კი, ვითარცა მზის დაბნელების დროს ძალზე გაიშვიათდება ხოლმე დედამიწასა და მზეს შორის და თავის სხივებს ველარ გვაწვდენს დროებით დაჩაგრული მნათობ-პირველი. ნუ გვიწყენენ დიდად პატივცემული უფროსები, რამეთუ ენაულაგამო არამკითხეები მარტოოდენ ენრიკოს თვალ-გულში გვახედებენ და მათი მზიანი გულიც პაწაწკინტელა მოჩანს ენრიკოს თვალებიდან.

მაშ ასე, სიტყვა კვლავ ეძლევათ არამკითხე მოამბეებს.

მეორე არამკითხე: თქვენც კარგად მოგეხსენებათ პირველი უფროსის ვინაობა... ენრიკო ბიწაძის ქორონიკონით მოგახსენებთ. ენრიკომ კი თავისი წელთაღრიცხვა დაიწყო მაშინ, როცა „პირველი კაცის“ სახელი დაიღირსა. „პირველ კაცად“, აკი ვთქვით, ითქმის ის, ვისაც პირველი ადგილი უჭირავს წინამძღოლის გულში... ბევრზე ბევრი სიკეთე ამკობდა პირველ მესვეურს. ყოველმხრივ ამაღლებული იყო რიგით მოკვდავებზე: ჭკუა-გონებითაც, ცოდნითაც, გამოცდილებითაც, სიკეთითაც, თავდაჭერილობითაც, მშობლიური მიღების ხელოვნებითაც. ყველაფრით, რაც კი მოეთხოვება იმ ღირსეული სკამის პატრონს. იმიტომ უნდა ვიცოდეთ დიდი ტვირთი, თორემ მნატვრელი ათასია ამ სკამზე დაღირსებისა, წოდებული — ერთი ძლივსა. ამ სიკეთეზე სხვა დროს გიამბობთ, ეხლა კი... თუმცა ესეც სიკეთედ მისათვლელია...

გატაცებული იყო პოეზიით. ლექსი იყო მისი სულის ჩირაღდანი, ლექსით სუნთქავდა, ლექსით ხარობდა, ლექსზე ამოსდიოდა მზე და მთვარე, ვინც მისი გულისწადილი უწყოდა, უკვირდა კიდეც, როგორ აუდიოდა იმხელა საქმეს, როცა მის ადგილზე მყოფნი, თუნდაც მისი ახლო წინაპრები, ლექსის კი არა, შვილის საალერსოდაც ძლივს იცლიდნენ. მას, ბატონ ლუკას კი, ორივე ნიჭი მოსძალებია — მართვა-გამგეობისაც და პოეზიისაც, ორივეს ამყოფინებდა დროს ისე, რომ არც ერთი დაჩაგრული იყო, პირიქით, ერთმანეთს ავსებდა, აძლიერებდა და ახალისებდა ორივე ნიჭი-უნარი. პირველი, — მართვა-გამგებლობის უნარი საქვეყნოდ იყო ცნობილი, მეორე, — პოეზიის ნიჭი კი — მცირედად. თავად ეკრძალებოდა მას. უცნობებთან და ოფიციალურ პირებთან მალავდა კიდეც. ყურის ბიბილოებიც უწითლდებოდა, თავისზე უფროსები თუ ჩამოუგდებდნენ საუბარს ლექსებზე. პოეზიის მოყვარულთა წრეში და შინაურებში კი ყველაფერს ერჩივნა პოეზიაზე საუბარი, ოღონდაც სალექსოდ მისდგომოდით მის გულსა, ოღონდაც პოეზიაზე ჩამოგეგდოთ საუბარი და მისი ღმერთი იქნებოდით, მხოლოდ ისეთი დრო უნდა შეგერჩიათ, სხვა საქმეს, მინდობილი მოვალეობიდან რომ გამოდიოდა, არა ვნებოდა-რა. ქართული კლასიკური პოეზია ხომ ზეპირად იცოდა და უცხო პოეტებსაც ბევრს ეთაყვანებოდა, მეტადრე მათ, ვისაც ქართულად ამოედგათ ენა ნიჭიერ მთარგმნელთა წყალობით. არც თანამედროვე პოეტების მარგალიტები თუ ნაცოდვილარნი დარჩებოდა წაუკითხავი, თუ მისი ცხელი გული მიიკრავდა, დიდხანს გაჰყვებოდა ლექსისგან მიღებული სიამოვნება და დიდ მადლობას სწირავდა სიხარულის მიმნიჭებელს. შინაც და სამსახურშიც გამოულეველი ჰქონდა სულიერი საზრდო: წიგნები, წიგნები და წიგნები. წიგნები ყველგან და ყოველთვის. სიხარული ეწვეოდა და, ლექსით უნდა გამოეთქვა, უამურობა დასჩემდებოდა და, ლექსი უნდა მოეშველებინა, ლექსით უნდა გაენიავებინა დარდიანი გული. ვისიმე ქება სწადდა და, ლექსი უნდა მოეშველებინა, ძაგებისთვის გაიმეტებდა ვინმეს და ლექსით უნდა დაეჭინჭრა. რა თქმა უნდა, ზომიერი დოზით და შიგადაშიგ მოხსენებებშიც გაურევდა. ეს კარგად იცოდნენ მშველელ-დამწერებმა და მარჯვედ მიუსადაგებდნენ თითო-ოროლა სტროფს მაინც. მუდამ ახსოვდათ გაფრთხილება

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— არც გადაემლაშებინათ და არც გადაეტკბილებინათ.

ლექსების სიყვარული ისე არსად ამაღლებულა, როგორც ბატონ ლუკას სამბრძანებლოში, რა თქმა უნდა, საზოგადოების დიდ ნაწილს დედის მუცლიდან ჰქონდა დაყოლილი ეს დვრიტა, მაგრამ ბევრზე ბევრმა ლექსი შეიყვარა წინამძღოლის საამებლად. დიდი და პატარა წიგნს მიეძალა. ისინიც კი, ვისაც საშუალო სკოლის ნაძალადევად დამთავრების შემდეგ წიგნი არ აუღია ხელში „მოუცლელობის გამო“, ბიბლიოთეკისა და წიგნის მაღაზიის მოუშორებელ სტუმრებად იქცნენ.

საზოგადოების თვალში უფრო მეტად ამაღლდნენ წიგნის დახლიდარები და ბიბლიოთეკარები, რომლებთანაც ნაცნობობა საამაყოდ მიაჩნდათ მათაც, ვინც ერთ დროს მათთან ნაცნობობასაც არ კადრულობდა. აიწია დახლქვეშ გასაყიდი წიგნების მაზანდამაც.

წიგნის სიყვარულს მოჰყვა დიდი სიკეთეც. ამ პატარა ქალაქში აშენდა ისეთი ბიბლიოთეკა, რომლის ბადალსაც დიდი ქალაქიც კი ინატრებდა.

უფროსის კაბინეტის კარიც და გულიც ნიადაგ ღია იყო მათთვისაც კი, ვისი სახელიც თითო-ოროლა ლექსით ღივლივებდა. სხვაგან ჩაკარგული მელექსენი აქ ისეთ პატივში იყვნენ, ნაღდ ლაურეატებსაც შეხარბდებოდათ. რასაც ითხოვდნენ, ყველაფერს სიამოვნებით უსრულებდა ბატონი ლუკა, ოღონდაც მობრძანებულიყვნენ და ეთხოვათ რამე. მთხოვნელები კი არ აკლდა. მოდიოდნენ და მოდიოდნენ პოეტი ბიჭები, მოდიოდნენ ნაცნობები და უცნობები, მოდიოდნენ და გაახარებდნენ რაიონის წინამძღოლსა თავიანთი მობრძანებითა, ჯერ პოეზიაზე საუბრით მოუფონავდნენ სათქმელს და მერე შეაპარებდნენ სათხოვნელსა, ვითომდა ისე, სასხვათაშორისოდ. ზოგი ცემენტსა თხოულობდა, ზოგი მჭიდა-ბლოკსა, ზოგი აგურს, მავანს ნათესავი ჰყავდა მოსაწყობი ხეირიან ადგილზე, ვავანი უცხოურ ავეჯს ეხარბებოდა, ზოგმა დასახლებაც მოინდომა ბატონ ლუკას სამბრძანებლოში და მოწყალე თავკაციც სათავითაო სამოსახლოს ურჩევდა. ბატონი ლუკა დიდად კმაყოფილი იყო იმითაც, რომ თბილ მადლობას მიითვლიდა, მაშინ კი უფრო გაიხარებდა, თუ საკუთარ წიგნს მიართმევდნენ, თუნდაც პაწიას, ავტოგრაფით. პოეტებმაც იცოდნენ ბატონი ლუკას გულვა და ხელდამშვენებული ეახლებოდნენ, იქვე დააძრობდნენ საჩუქარს და ხალისით წააწერდნენ: „პოეზიის ტრფიალს“, „კაცურ კაცს“, „დიდ ქართველს“, „ნაღდ პოეტს“, „უნიჭიერეს მგოსანს“, ბოლოს თითქმის ერთსა და იმავეს მიაწერდნენ: „ძმური სიყვარულით“ და ეს ერჩივნა ყველა ჯილდოს.

დიახ, ლექსის ჭიაც ჰქონდა შემძვრალი იმ მესვეურს და ჟამიდაჟამ აქვეყნებდა კიდეც ფსევდონიმით „ლექსო ივერიელი“, რომლის ნანიჭარი თითქმის მთლიანად მზიურდებოდა რაიონულ გაზეთში და ხამუშ-ხამუშ რესპუბლიკურ პრესაშიც გაკრთებოდა, თუ მთლიანად არა. მიმოხილვაში მაინც იპირველებდა.

მეტად მრავალფეროვნებდა ლექსო ივერიელის ლექსები. ქართველ კლასიკოსებსაც უძღვნიდა საგალობელს, მაგრამ მის თავნება მუზას ამორჩემებული ჰყავდა გურამიშვილი და ბარათაშვილი, რამეთუ თავი მიაჩნდა მათ სულიერ ნათესავად უფრო იმიტომ, სიცოცხლეში რომ ვერ ეღირსნენ დაბეჭდილი ეხილათ თავიანთი ლექსები.

ლექსო ივერიელი ხომ დიდი პატივისმცემელი გახლდათ პოეზიის მოყვარულთა, ასე რომ მომრავლებულიყვნენ მის საბრძანებლოში, მაგრამ გზას უფრო უმწვანებდა თვით შემოქმედთ. ოღონდაც ადამიანში შეემჩნია მოშაირის ნიჭი და გულში ჩაიძვრენდა.

ენრიკო ბიწაძე?!

ახლა კი ენრიკო ბიწაძე ნაღდად და-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეცემა, რადგან ხელოვნება უცხო ხილია მაგისთვისო.

პოეზიის ნიჭის ნატამალიც არა სცხიაო.

დედ-მამას საფლავიდან იღებს გინებითა, ლექსის ტრფიალი რომ არ დააყოლესო.

ათასნაირ ჭორს დააჭენებდნენ.

მაგრამ ენრიკომ ყველას გამოავლო პირში ჩალა, როცა ერთ-ერთ ნადიმზე, ლექსის ზეიმად რომ გადაიქცა, ზეპირად თქვა: „პოეზია—უპირველეს ყოვლისა“. თქვა ისეთ დროს, როცა ყველას გუნება ჰქონდა გამზიანებული თავანკარა ღვინით. სტუმრებსაც და მასპინძლებსაც, მანდილოსნებსაც და მამაკაცებსაც სიყვარულით უყაჭყაჭებდათ გული. და ლექსსა და სიმღერაში გამოხატავდნენ ამ უმაღლეს გრძნობას, თქვა დუდუკების ჩამქრალ ღიღინზე, თქვა ისეთი განცდით, რომ ყველას გული აიყოლია. ისე გააბრუა მსმენელები, რომ თითო-ოროლა თუ მიხვდა, შიგადაშიგ რომ ამოცვალა სიტყვები. ამ ლექსის უმთავრესი სტრიქონი მესამე სტროფში ასე გააწყო:

„ფული, ძმებო, — უპირველეს ყოვლისა“.

ხოლო ბოლო სტროფის ორი სტრიქონი ასე დაფერა:

„თუ უფროსი მაინც არ მომეფეროს,
მე მოვკვდები, როგორც ერთგულს
შეჰფერის“.

ვინც მიხვდა, იმათაც დიდი ტაში დასცხეს, რადგან ეს მოხერხებული შენაცვლება ჩაუთვალეს ხუმრობად და ნიჭადაც.

იქვე გაუჩნდნენ მეშურნენიც.

საიდანაო, როგორაო.

ვინ ენრიკო და ვინ ლექსის მთქმელიო.

ამ შობელძაღლს თავის დღეში „ორიანი“ ჰქონდა ხოლმე ქართულში და ახლა როგორ შეძლო დაზეპირებაო, — ჰკვირობდნენ, ვინც კარგად უწყოდა ენრიკოს ტვინის ავლადიდება. მაგრამ ენრიკოს ერთგულნი იქვე სჩრიდნენ პირში ბურთსა, რომ მაშინდელი მასწავლებლის ბრალი იყო, თორემ [illegible] მოწაფეობისას აკლდა ლექსის ნიჭიო. აქა-იქა მორიდებით ქირქილებდნენ: მთელი თვეა მაგ ერთ ციცქნა ლექსს იზეპირებს და რა გასაკვირია, რომ შეუშლელად წარმოთქვასო.

ვინც რა უნდა თქვას, ფაქტი ჯიუტობს, რომ ენრიკო ბიწაძემ ლექსის ჯირითშიც იპირველა, რისთვისაც ააქუხარეს ტაში, მანდილოსნების ღიმილითაც კი დაჯილდოვდა, მაგრამ უფრო მაღალი ჯილდო დაიღირსა — უფროსმა აღტაცება ვეღარ დამალა, თავისთან მიიხმო გაშლილი თითების ქანქარით, გადაეხვია და გადაჰკოცნა კიდეც. ამჯერადაც შეირხა მთელი ამალა და „ბრავოსა“ და „ვაშას“ ბღავილში სრულიად გაუჩინარდა ქირქილიანი „გაამოს“ და „შაქრად შეგერგოს“: ტაში შემოსცხეს მელექსე-დეკლამატორებმაც, საგანგებოდ რომ იყვნენ მოწვეულნი, და ზოგ-ზოგმა საკუთარი ლექსის თხზვის ნიჭიც კი დააგულა ენრიკო ბიწაძეს.

და არც გამტყუნებიათ გუმანი, რადგან ენრიკომ უცებ წამოიწყო უცნობი სიმღერა: „შენი ღიმილი მაცოცხლებს მხოლოდ!“

მესუფრეებს ესიამოვნათ და ეუცხოვათ კიდეც.

„ვისი მუსიკაა?!“ — იკითხა ბატონმა ლუკამ.

„თავისი იქნება!“

„მართლა?“ — უფრო გაკვირვებით მიაჩერდა წინამძღოლი.

ენრიკომ მორცხვად დახარა თავი.

„ლექსიც მეუცხოება!“

„ლექსის შემთხზველიც თავად იქნება!“

„როგორ, პოეტიც ბრძანდებით?!“ — უფრო გაიოცა გახარებულმა უფროსმა.

„ყველა ქართველი პოეტიაო“, — კვლავ ნაზად ჩაქინდრა თავი ენრიკომ.

„პოეტიც და კომპოზიტორიც?! რა ბედნიერი შერწყმაა ნიჭისა“.

„მე სიყვარული მამღერებს მხოლოდ...“

„სიყვარული სიყვარულის წილ!..“

— წამოიძახა მესვეურმა და ახლა თავად ეახლა საკოცნელად.

იმქუხარა ტაშმა.

„ბიის, ბიის!“ — აყიჟინდნენ მოქეიფენი.

ენრიკომაც მოიღერა ყელი და:

შენი ღიმილი მამღერებს მხოლოდ,
შენი ღიმილით ვტკბები და ვთვრები,
შენი ღიმილი — სხივთა სიმბოლო,
შენი ღიმილით მესხმება ფრთები!..

ბევრნაირად საყურადღებოა ეს სიმღერა. ყოველმხრივ აწონ-დაწონილი, საუცხოოდ იმღერება საუფროსო სუფრაზე, დიდებულად ეწყობა გიტარასაც, ფანდურსაც, სალამურსაც, თაფლ-კარაქივით გასდევს როიალს, მაგრამ მშვენივრად სრულდება აკომპანიმენტის გარეშეც. აქაც თავი იჩინა ავტორის შორსგამიზნულობამ, რომ იგი იმღერებოდეს ისეთ ადგილებში, თუნდაც მიუვალ-მიუგნებელ საქეიფოებშიც, სადაც, ბუნებრივია, დროის გამტარებელნი თან ვერ ათრევენ ვერც ამხელა საკრავებსა და ვერც იღლიაში ამოსაჩრელებს.

ამჯერად კი დუდუკების თბილ ბანზე მღერის ენრიკო ბიწაძე და სხვებიც აუყოლებია. ლექს-სიმღერის სიდიადე იმაშიც გამოვლინდა, რომ ყველა თავის გულში ითარგმნის მას, თავის სულიერ მისწრაფებას უსადაგებს, თავის ღმერთსა გულისხმობს, შეჰღიმიან ბანის მთქმელებიც ერთმანეთს და უნებლიეთ აგონდებათ სატრფოს ღიმილი, რომელსაც მოჰყვება უმაღლესი ნეტარება; მაგრამ ვინ რა იცის, რომ ამ ლექს-სიმღერის ავტორი „შენი ღიმილის“ სიღრმეში უფროსის ლანდს ხედავს. ყველას კი არ ჩაახედებს ამ სიღრმეში, მიახვედრებს მხოლოდ თავკაცს, რომლისთვისაც შეითხზა ეს სიმღერა, თავს გამოაცნობინებს და ერთი ათად ამაღლდება კიდეც მის თვალში.

მეორე სიმღერა, შექმნილი აგრეთვე თავისივე ტექსტზე, გაუწყვია „შენ ხარ ვენახის“ კილოზე, მის აზრ-სიმბოლოზეც წაჰგორებია თვალი და სათაურსაც დასესხებია მცირეოდენი შეცვლით — „შენ ხარ ყოველი“ დაურქმევია. ბარემ ესეც დავუჰაშნიკოთ:

ბევრი ვეძებე და მე ვერ ვნახე
შენი საკადრი სიტყვა სადარო,
შენ ხარ ვენახიც და მევენახეც,
ცისკარი, დილა და ცა სადარო.
შენა ხარ შვილიც, მამაც და დედაც,
ძმა, მეგობარი და საყვარელიც,
ყველას სიყვარულს მე შენში ვხედავ,
ყველა სიკეთეს მე შენგან ველი.
მე შენ გიგალობ, სხვას კი არავის,
ჩემო ცის გახსნავ და მზის ამოსვლავ,
შენ ცაში უნდა გედგას კარავი
და მბრძანებლობდე ადამის მოდგმას!

გუნდი უკეთესად შეასრულებს ამ სიმღერას, მაგრამ ადრესატის გულის სამებლად მარტო თვითონაც მღერის ხოლმე პოეტ-კომპოზიტორ-მომღერალი. თავკაციც განაბავს თვალებს და ტკბება მოსმენით. სიმხნევეს მატებს, სიხალისით ავსებს, ახალ ენერგიას უზღვავებს ხალხის საკეთილდღეოდ...

„საიდან, როგორ?!“ — კვლავ შლიან ხელებს გაკვირვებით, — ამ ჯიბიდან გავარდნილმა ლექსის ინჩიბინჩიც არ იცოდა, ნოტებსაც ეშმაკის ნაფეხურებს ეძახდა და ახლა რამ გააპოეტა და რამ გააკომპოზიტორაო.

რამ და, ყვითელმა ეშმაკმაო.

ეს როგორაო.

ძალიან მარტივადო.

სხვას აწერინებს და თავისად ასაღებსო.

როგორ, საკუთარ შემოქმედებას ჰყიდიან?!

სულ ღილინ-ღილინით. სულსა და გულსაც ატანენ თანა...

ვინ რას იტყვის, სულაც არ ეკითხება ენრიკოს. მთავარი ის არის, უფროსმა იცის, რომ მისდამი მიძღვნილი ლექს-სიმღერების ერთადერთი ავტორი ენრიკო ბიწაძეა და ვერავინ ვერ წაართმევს პირველობას ვერც პოეტობაში და ვერც იმ საქმეში, რასაც ემსახურება ყველა ნიჭი და უნარი მისი.

---

გიორგი ხორგუაშვილი

## ზვარაკები

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისედაც კაცთმოყვარე გახლდათ ბატონი ლუკა და ლექსებმა მთლად დაუჩვილეს გული. ეს სიკეთე-სიყვარული თავკაცისა თავის სიკეთედ იქცია ენრიკო ბიწაძემ.

როგორ?

ესეც ენრიკოს საიდუმლოებაა.

— გილოცავთ, ლუკა ილარიონოვიჩ, გილოცავთ! — შორიდანვე შეუძახებდა ენრიკო ბიწაძე.

— რას, კვარტლის გეგმის შესრულებას? — ღიმილით შეაგებებდა უფროსი.

— ეგეც ხომ გასახარებელია, მაგრამ მე სხვა მოსალოცის მახარობელი გახლავარ!

— რისი, ბიჭო?! — მართლა ვერ გამოეცნო წინამძღოლს.

— აი ამისი, ბატონო! — და თხელკანიან ჟურნალს ამოაძვრენდა საქაღალდედან, — არ გინახავთ?

— არა! — უფრო შეიცხადებდა უკვე მიხვედრილი.

— თუმცა საიდან გენახვებათ, ჯერ არ გამოსულა ეს ნომერი. სასიგნალოა.

— არ იტყვი, რა არის შიგა?

— რა და, უძვირფასესი რამ. — და ჩქარ-ჩქარა გადაფურცლავდა, და თვალებთან მიუმარჯვებდა ბოლო გვერდსა, სადაც დაბეჭდილი იყო ფერადი ფოტოეტიუდი, ორი ირემი რომ განმარტოებულიყო ტყის ფერდობზე, ყელი რომ შეელერებინათ მაღლა და პირში გაჩრილ ბალახს უშვერდნენ ერთმანეთს. ქვეშ მიწერილი ჰქონდა ლექსი:

ასე შესტრფიან ერთმანეთს,
საღამოთი და დილ-დილით.
ცოდოა, ცოდო, ღმერთმანი,
მათი უდროოთ სიკვდილი!
შენ შეგახსენებ ამ მორალს,
თვალხარბო მონადირეო,
არ გამაგონოთ ამ ბოლოს
ამათი მონატირიო.

ფოტოეტიუდი ნუკრი ირემაძისა,
ლექსი ლექსო ივერიელისა.

ბატონმა ლუკამ ისე შეიცხადა, თითქოს არც იცოდა, თუ ეს ლექსი შეუკვეთეს ადრე მიტანილების სანაცვლოდ... ანდა არც რედაქტორი გაებეზრებინოს და არც სხვა თანამშრომლები ტელეფონის რეკვითა თუ პირადად ხლებითა. სათვალე შეისწორა, ჯერ სურათს დააცქერდა, მერე ქვევით წასძლია თვალმა, უხმოდ ჩაიკითხა თავისი ნანიჭარი და ღიმილი მოეძალა, ტკბობის ღიმილი. კვლავ ჩაიკითხა, კვლავ გაითანგა სიამ-სიხარულით, მიავიწყდა ყველა და ყველაფერი და შუბლზე დაეტყო, რომ დიდ მადლობას სწირავდა თავის თავსაც და ამ ლექსის გამომზეურების მოწადინესაც.

ენრიკომ კარგა ხანს აცალა ტკბობა და მერე, როცა მიწაზე დასხეულდა ავტორი, უმალვე მიუსაფანლა:

— ძაან კარგი რამეა, ბატონო ლუკა, ძაანა!

უფროსმა კი ვითომდა არც გაუგონიათ:

— საიდან, როგორ?

— სრულიად შემთხვევით გავიარე სტამბაში, ძმაკაცის ნახვა მინდოდა, საბეჭდ საამქროში მუშები ხორხოცობდნენ, ხმამაღლა კითხულობდნენ და ავტორი რომ გავიგე, სიხარულის ფრთები გამომესხა. რა გული მომითმენდა, რომ ეს ერთი ცალი მაინც არ წამომეღო.

— დიდი მადლობა.

— რა ლექსია, ბატონო ლუკა, რა ლექსი! ასეთი დიდი სიბრძნე გადმოცემულია ასეთი უბრალო სიტყვებით. და ეს უბრალოება აყვანილია უმაღლეს სიმშვენიერემდე. ამ ლექსს გენიოსი ვაჟაც სიხარულით მოაწერდა ხელსა...

— კაი ერთი და...

— ადამიანობას გეფიცებით.

— ეგ ერთი უბრალო ლექსთაგანია.

— ეგ თავმდაბლობა უფრო გამაღლებთ.

— დიდი მადლობა, ჩემო ენრიკო, დიდი.

— მადლობა თქვენ, რომ ასეთი ლექსი შესძინეთ ქვეყანას.

ბატონი ლუკა კვლავ სიამოვნებით გაითანგა.

და სწორედ ამ დროს, ვითომდა, სასხვათაშორისოდ უთხრა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რა მაგის პასუხია და, გრიშას საქმე ვერა ყოფილა კარგად.

— რომელი გრიშასი? — იგულისხმიერებდა ბატონი ლუკა.

— კვირიკაშვილის, ხილის ღვინოების ქარხნის დირექტორი როა.

— რა დაემართა?

— ეჰ, ჩემსა და თქვენს მტერს დაემართოს ის უბედურება! — ხმას ჩაუნელებდა.

— მაინც?!

— კიბო ჰქონია კუჭზე... — შუბლსაც შეიკრავდა.

— უჰ, რას ლაპარაკობ! — დაღონდებოდა ხელმძღვანელი, — კიდეც არა, რაღაც სევდიანად გამოიყურებოდა თათბირზე... ფერიც არ მომეწონა.

— მაშ, საწყალი!

— ცუდი კაცი არ უნდა იყოს.

— ძალიან კარგი ბიჭია და ამიტომაც უფრო მეცოდება... მერე, მგონი, მიმხვდარა კიდეც... თან ეს ნერვიულობაც დაერთო და დარდით დნება კაცი...

— რაზე ნერვიულობს?

— აი იმაზე, ვითომდა ყალბი ქვითრები რომ გამოუჩხრეკიათ რევიზორებსა...

— რის ქვითრები?

— ვითომ ხუთი ტონა მოცხარი შეისყიდა ერთი გლეხისაგან...

— ეგ ჩემთვის არ არის ცნობილი!.. — ნაწყენი კილოთი თქვა მესვეურმა.

— ალბათ მალე გაცნობებენ... ვერ გიბედავენ, რომ გული არ გატკინონ... სხვა იმამაძალლებდა, თორემ ეგ მაგის გამკეთებელი რომ არ არის, ქვეყანა იტყვის... ან რაში სჭირდებოდა, ანდა როგორ ჩაიდენდა ამხელა სისულელესა?.. იმიტომ უფრო განიცდის, რომ ალალ-მართალია... ქვეყანაზე დაფასებული კაცია და ერთი სახელი ურჩევნია მილიონის ქონებასა... მერე, რა სათუთი გულის პატრონია, მაგის თავმოყვარეობის ამბავი რომ ვიცი, ემანდ რევოლვერიც არ დაიცალოს გულში... ძალიან ნერვიულობს, თურმე, ძალიან... მერე როგორ მოქმედებს კიბოზე ნერვიულობა!..

ბატონი ლუკა შუბლს შეიკრავდა.

— მერე რა ბიჭია, რა ოჯახის პატრონი... შვილები ხომ, ახლავე სჯობიან მამას. ნათესავები ჰყავს რომა... მაგის ცოლის დეიდაშვილი ხომ იცით, ვინც არის... სულ იმას იძახდა საწყალი, ჩემს ოჯახში უნდა შევახვედროთ თქვენ და ისა... ხომ ეგრე ახლობელია და ისეთი მორიდებულია, თუ იმან არ მოიკითხა, ეს არ შეაწუხებს არასოდეს... მაგაზე უფრო იკლავს თავსა, რომ სირცხვილი არ აჭამონ ასეთი ძვირფასი ხალხის წინაშე... რა ქართველია, ბატონო ლუკა, რა ვაჟკაცი, გადაირევა კაცი... ახლა პოეზია როგორ უყვარს! დიდი თაყვანისმცემელია თქვენი მუზისა, სულ ზეპირად იცის თქვენი ლექსები, გამოუქვეყნებელიც კი... რა თქმა უნდა, ჩემი წყალობით... შუაძილისას რომ წამოახტუნოთ, ისე ჩაარაკრაკებს თქვენს „მეკუბოვის ღიმილსა“ თუ „ფეხით გათელილ მთვარეს“, როგორც ფრიადოსანი მოსწავლე. ახლა როგორ მღერის თქვენს „ცისფერ თვალებსა“ და „ჩემი ოცნების ყვავილსა!“

— დავიჯეროთ?! — სიხარულს ვეღარ მალავდა უკვე დაჯერებული.

— ყველაფერს გეფიცებით! პოეზიის სიყვარული მოსდებიათ ცოლსაც, შვილებსაც, დედ-მამასაც, სიდედრ-სიმამრსაც, თანამშრომლები ხომ...

— არ გადამრიო!

— სრულიადაც არ არის გასაკვირი... თვითონ თქვენი ლექსების ბრალია ყველაფერი... ისე იზიდავს ყველას გულს, რომ... იმიტომ კი არა, რომ თქვენია... იმიტომ, რომ ნამდვილი პოეზიაა.

— ხო, რა ვიცი... თვითონვე ამომდის გულიდან... — ახლა უფროსი დახრიდა თავსა.

— აფსუსი არ არის მაგ ბიჭის დაღუპვა მაგ „პუსტიაკ“ საქმეზე?!

— არა, კაცო, როგორ შეიძლება!.. აქ რას ვაკეთებთ... ჩემს მაგიერ გადაეცი, ნუ ინერვიულებს... ოღონდაც კარგად იყოს და, ხუთი კი არა, ას ხუთი

გიორგი ხორგუაშვილი
ჯვარაკები

ტონა მოცხარი ენაცვალოს... როგორ, ჩვენც ადამიანები ვართ... ბოლოს და ბოლოს ხალხს ვემსახურებით... ადამიანზე ძვირფასი კაპიტალი ქვეყანაზე არ არსებობსო, ჭკვიანმა კაცმა თქვა...

— თქვენს ენა-პირსაც ვენაცვალე, ბატონო ლუკა, და თქვენს მოწყალე გულსაც! უთქვენოდ გვითქვამს და კიდეც ვიტყვი ხმამაღლა: არა მგონია დედამიწის ზურგზე დადიოდეს ლუკა ილარიონოვიჩისნაირი ჰუმანური ადამიანი და სწორედ ამით ხართ გამარჯვებული! — და დიდი მადლობით გამოვიდოდა მესვეურის კაბინეტიდან.

მერე უმალვე ეახლებოდა გრიშა კვირიკაშვილს, საიმედოდ მოკეტავდა კარსა, ტელეფონსაც გადაართვევინებდა, რომ მათი მყუდროება არ დაერღვიათ, და ფხუკუნ-ფხუკუნით ეტყოდა:

— უცებ არ შეგყარე მოურჩენელი კიბო?!

— რა თქვა?! — სულმოუთქმელად ელოდა პასუხს.

— მაგას კითხვა უნდა?! რას ვათქმევინებდი!

— მერე?! — მიაჩერდებოდა გრიშა.

— მერე, ხომ იცი, რაც უნდა!

ხმას დაუწევდნენ და ჩურჩულ-ტუტუნით გააბამდნენ საუბარს.

— ძალიან ბევრია! — გაუბედავდა გრიშა.

— ბევრზეც იყოფა და მიტომ გვებევრება.

დახსნილი დირექტორი სიტყვას აღარ წაუქცევდა.

## 5. დიდი გულშემატკივარი

(მესამე არამკითხეს ნაამბობიდან)

ვინლა არ არის ფეხბურთის მოყვარული, მაგრამ დედამიწის ზურგზე არ მეგულება ჩვენი იმჟამინდელი უფროსისნაირი გულშემატკივარი. პატივცემულ ანდროს ერთი რიგიანი თამაში ერჩივნა ყველაფერს. საფეხბურთო მუსიკას ამჯობინებდა დილის „საარსაც“ და ღამის „ურმულსაც“, ზოგ-ზოგის თქმით, ლამაზი ქალის ალერსსაც. ტელევიზორს როგორ დასჯერდებოდა, თუ სტადიონზე არ იყო, თუ სათავითაო ადგილიდან არ უჭვრეტდა შეჯიბრს, ის თამაში თამაშად არ მიაჩნდა. უიმისობა როგორ იქნებოდა თბილისის სტადიონზე. ხშირი სტუმარი გახლდათ ჩვენი ქვეყნის საფეხბურთო ქალაქებისა და, თუ მეხსიერება არა მღალატობს, მგონი, პირველმა იმან გაიკრა „ყველაზე ერთგული მაყურებლის საპატიო პრიზი“. სხვა თაყვანისმცემელთა მსგავსად, ისიც დილიდანვე მზიან გუნებაზე დადგებოდა და ღიმილად დნებოდა ფეხბურთის დღეს. თუ მისი სათაყვანებელი გუნდი მოიგებდა, მომდევნო თამაშამდე გაჰყვებოდა სიხარულ-სიყვარული. იმჟამად რაც უნდა გეთხოვათ, უარით არ გამოგისტუმრებდათ, თუკი საერთოდ შეიძლებოდა, და წინდახედული მთხოვნელიც სწორედ მაშინ შეურჩევდა დროს, როცა ასეთ გუნებაზე იყო. თავად ფეხბურთელს ხომ თავს ევლებოდა, თუნდა ეზოს გუნდის წევრი ყოფილიყო. დიდ პატივში იყვნენ რაიონის ერთადერთი გუნდის — „იმედის სხივის“ მოთამაშენი, ბინებს იკითხავდით თუ მანქანებს, დასასვენებელსა თუ ტურისტულ საგზურებს, რა თქმა უნდა, სანატრელებსა, უცხოურ სამოსს თუ ავეჯს, — ყველაფრით მოყირჭებულნი იყვნენ. და ბევრზე ბევრს გადაექცა ოცნებად ამ გუნდის წევრობა. ერთი სიტყვით, ახლა ფეხბურთელების ამინდი დადგა და უჩვეულო აღმავლობა იწყო სპორტის ამ უპოპულარესმა სახეობამ. დიდი და პატარა ფეხბურთს თამაშობდა.

და შემთხვევითობად არ უნდა ჩაითვალოს, რომ კაი თბილ-თბილი ადგილები ფეხბურთის ვეტერანებმა დაიკავეს, მათს დარად ისინიც კაიბიჭობდნენ, ვინც გულშემატკივრობაში დაპირველდებოდნენ.

ენრიკო ბიწაძეს ხომ ყმაწვილობაშივე შეჰყროდა ფეხბურთის ციებცხელება და იმ უფროსის ხელში მთლად გადაირია. უწინარესად თავი გაითვითცნობიერა. გაზეთები იმიტომაც შეიყ-

ეროვნული

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვარა, რომ ფეხბურთის ამბებისთვის ედევნებინა თვალყური. უწინარესად ბოლო გვერდს დაახარბებდა თვალს.

ყველა გუნდის თამაშის სტილს ჩახვდა, სამამულო ფეხბურთის დღევანდელობაც შეისწავლა და საზღვარგარეთის საფეხბურთო ამბებსაც დაახარბა ყური. გამორჩეული ფეხბურთელების ნაკლებად ცნობილი, მაგრამ საინტერესო ბიოგრაფიული წვრილმანები და ზნე-ხასიათებიც დაიზეპირა. ხუთი თითივით იცოდა თითოეულის ოჯახური მდგომარეობა, თუნდაც ისიც, თუ ვინ რამდენი ცოლი გამოიცვალა, რა ნომერი მანქანებით დაჰქროდნენ, ვის რა უხდებოდა ნასმურზე გუნების მოსაწყობად და რომელ მსაჯს „აალოკეს“ წინასწარ... ბევრი ლეგენდა დაიზეპირა ფეხბურთის ვარსკვლავებზე — ქართველებსა თუ უცხოელებზე, ზოგი სხვისგან ჰქონდა გაგონილი და ზოგიც მისივე ფანტაზიის ნაყოფი იყო, უბის წიგნაკში ჩაეკიწკიწებინა მნიშვნელოვანი გამოთქმები საინტერესო თამაშსა თუ მოთამაშეზე, პრესაში რომ მოუძებნია საგულდაგულოდ. ზოგ-ზოგს თვითონაც თხზავდა და ხან „ნიუ-იორკ ტაიმსს“ დააბრალებდა, ხან „ფიგაროს“, ხანაც „ბერლინერ ცაიტუნგს“.

იცოდა, რომ ხელმძღვანელს სიამოვნებდა ფეხბურთის ამბების მოსმენა და დროს მოიხელთებდა თუ არა, უფრორე უფროსის მოცლილობის ჟამს, შინაურულად ჩამოჯდებოდა შინ თუ კაბინეტში და გულთბილი მიკითხვა-მოკითხვის მერე ფეხბურთზე ჩამოუგდებდა საუბარს.

„წაიკითხეთ გუშინდელი „სოვეტსკი სპორტი?“

„არა, ჯერ ვერ მოვიცალე!“ — უდღონოდ მიუგებდა ბატონი ანდრო.

„ჩინებული სტატიაა ჩვენს „დინამოზე“ — და უმალვე მიუმარჯვებდა წითელი ფანქრით დახაზულ სტრიქონებს.

უფროსი დინჯად ჩაუყვებოდა და პირს ღიმილი მოადგებოდა.

ენრიკოც სიხარულით შესცქნაოდა.

„დიდებულია, დიდებული... არა, ძმაო, შეგვიძლია თამაში და...“

„თუ აიწყვიტეს, პელეს გუნდსაც დასჩაგრავენ“.

„ეგ „თუ“ გვიშლის ხელსა“.

„ცამდე მართალი ბრძანდებით, ანდრეი ალექსეევიჩ“.

უფროსი კვლავ ჩააყოლებდა თვალსა სტატიას და კმაყოფილებით დაიქნევდა თავსა. ენრიკო უფროსზე მეტად ხარობდა.

„ნახეთ დღევანდელი „ფუტბოლი“, ანდრეი ალექსეევიჩ?“ — შესციცინებდა სხვა დროს.

„ჯერ არა“.

ენრიკოს თვალები გაუბრწყინდებოდა.

„ხო-ხო-ხო, მოთხრილია იმდღევანდელი თამაშის მსაჯი“, — და უმალვე მიუმარჯვებდა მონიშნულ ადგილს.

უფროსი დიდი ყურადღებით წაიკითხავდა, და:

„მეტის ღირსი იყო!“

„მაშ, მაშ!“

„როგორ უხეშად გვეთამაშებოდნენ, ორი ფორვარდი დაგვიმტვრიეს და მაინც თვალებსა ხუჭავდა“.

„ცამდე მართალი ბრძანდებით, ყველაფერზე დაიბრმავა თვალები“.

„მეორე ტაიმში ნაღდი პენალტი იყო, შოთა იამანიძე რომ მოცელეს და იმ ყურუმსალმა მსაჯმა კი უბრალო ჯარიმად აქცია“.

„ნაღდად აალოკეს, თორემ...“

„ჰოდა, ვერ ამოაშხამეს. ჩამოაქვეითეს, მაგრამ ფაქტიურად გააგდეს“.

„უსამართლობა არავის არ შერჩება!“ — იქვე მიუსაფანლებდა ენრიკო და თვალებში შესცქნავლებდა უფროსს. სიამოვნებდა, რომ ეს ამბავი მან ახარა.

უფრო დაახარბებდა უცნობ და თუნდაც სენსაციურ სათხრობს. ამჯერად კი ერთმანეთში აურევდა ტყუილსა და მართალს, ისე დამაჯერებლად მოუყვებოდა, რომ უფროსს უჭირდა გარჩევა.

---

გიორგი ხორგუაშვილი
ზვარაკები

ეროვნული

და არც ჩაეძიებოდა, რამეთუ დიდად სიამოვნებდა მართალს მიმსგავსებული სიცრუის მოსმენა, ვითარცა სიტყვაკაზმული მინიატურის კითხვა.

„სასიხარულო ამბავი უნდა გახაროთ, ანდრეი ალექსეევიჩ!“ — თვალების მოწკურვით მიაჩერდებოდა ენრიკო. უფროსიც უმალვე ცქვეტდა ყურებს.

„ეხლახან გამოუანგარიშებიათ და ჩვენს „დინამოს“ პირველი ადგილი უჭირავს, თურმე, მაყურებელთა რაოდენობის მხრივ“.

„მაგას რად უნდა მოანგარიშეები, ისედაც ატყობს დაკვირვებული კაცი“.

„ცამდე მართალი ბრძანდებით, როგორ შესცდება თქვენი უტყუარი გონება. იმ მოანგარიშეებმა მხოლოდ თქვენი თვალთახედვის სისწორე დაადასტურეს და მეც სიხარულმა მათქმევინა ეს“.

უფროსი უხერხულად ჩაახველებდა.

„ისე კი, რაც დრო გადის, ანდრეი ალექსეევიჩ, ჩვენი „დინამო“ სულ უფრო და უფრო მაღლდება ფეხბურთის მოყვარულთა თვალში. ღირსეულად გავიდნენ უცხოელების სტადიონზე და რამხელა პოპულარობა მოიპოვეს! წაიკითხეთ, რა ეწერა ამერიკის გაზეთებში?“

პატივცემული ანდრო თავს გააქნევდა.

„ასოშეიტედ პრესის“ კორესპონდენტს, მსოფლიოში სახელგანთქმულ ჟურნალისტს, უნიჭიერეს და ულამაზეს ახალგაზრდა ქალს მერი კრისტინა ანჟელოს მსოფლიოს სიმპათიური ნაკრები შეუდგენია და სამი ქართველი შეუყვანია. წარმოგიდგენიათ, სამი ქართველი“.

„ვინ, ბიჭო?“ — სიხარულით შეიქნევდა მხრებსა.

„მიხეილ მესხი, სლავა მეტრეველი და კახი ასათიანი“.

„რას ამბობ?“

„მაშ, კაცო, თამაში ხომ მოსწონებია და მოსწონებია და იმათი სილამაზით და ვაჟკაცობით სულ გადარეულა“.

„არ გამაგიჟო!“

„ეგრეა და, რა ვქნა. აი, ბატონო, მადემუაზელ მერის ნათქვამი, — და სიტყვა-სიტყვით წაუკითხავდა თავის უბის წიგნაკში ჩაწიკწიკებულს, ბრჭყალებში მოქცეულ ამონაწერს, რა თქმა უნდა, იქვე მითითებული იყო გაზეთის ნომერიც და თარიღიც და გულცხელ პატრიოტად ხელდასმულ უფროსს ისღა დარჩენოდა, თავის თვალითაც ენახა უცხოური პრესიდან ამონაწერი.

ენრიკო ტკბობას აცლიდა და:

„რა ვართ ეს ქართველები?!“ — თავის გადაგდებ-გადმოგდებით იტყოდა.

„რა ვართ და, უნიჭიერესი და უსაზღვრო შესაძლებლობების მქონენი!“

„ყველაფერში პირველობისთვის წოდებულნი!“ — უმალვე მიუსაფანლებდა.

„დიდი ბედოვლათებიც!“ — ხმაჩაქრობით აღმოხდებოდა მერე უფროსს.

„გენიალური აღმოჩენაა. ვინ იცის, რამდენი საქმე წაგვხდომია ჩვენი ბედოვლათობითა, ბევრ შესაძლებლობას ვერ ვიყენებთ, ვერა!.. ჩვენ გუნდს იმდენი რამ შეუძლია, მაგრამ... ეჰ, ნუღარ მათქმევინებთ... მარიო ზაგალოს, ხომ იცით, რა განუცხადებია?“ — კვლავ მოიკონტაპრუწავებდა სახესა.

თბილისის „დინამო“ ის ნედლი მასალაა, რომლისგანაც შეიძლება ჩამოიქნას მსოფლიოს პრიმა-გუნდით. ერთიორ წელიწადს ჩაყარა ჩვენს ხელში, ჩემს ნებაზე მაწვრთვნევინა და თუ პელეზე ნაკლები ფეხბურთელები დავაყენო, კაცი აღარ დამიძახოთ, თუ ოქროს ქალღმერთი არ დავაჭერინო ბიჭებსა, ეს ულვაში მომპარსეთო! ოღონდაც ერთი პირობითა, სტადიონზე სიმართლე სუფევდეს და ვიღაც-ვიღაცებმა „ფიფას“ პრეზიდენტ სტენლი როუზისნაირად არ იგველაძუაოს, თანამემამულე ინგლისელები რომ ათასნაირი მაქინაციებით აატორა გამარჯვების კვარცხლბეკზეო“.

„სად ეწერა?“ — მხიარულის კილოთი იკითხავდა უფროსი.

„ნოიეს დოიტშლანდში“.

ანდრო სიამოვნებით დააქნევდა თავს.

წახალისებული ენრიკო კიდევ უფ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რო აწევდა თავისი ენის მაზანდას. სულ იმის ფიქრ-ოცნებაში იყო, რით გაეხარებინა უფროსი, რა ეთხრო ისეთი, რომელიც ცნობისმოყვარეობის წყურვილს დაუცხრობდა. სახარბიელოს მოაფანტაზიავებდა, თავს დაიმარტოვებდა და წინასწარ მეცადინეობდა, თუ როგორ ეხარებინა, ოცნებაში ცოცხლად დახატავდა სათხრობსაც, უფროსსაც და თავის თავსაც, ეს სახარებელიც ასე აიოცნება.

დროს უპოვის უფროსს და:

„ეუსებიო ხომ იცით, სადაურიც არის?“

მესვეური მხრებს შეიჩეჩავს.

„ნაღდი ქართველია“.

„ეგ სინამდვილეა?!“ — გაეხარდება უფროსს.

„კი, ორას პროცენტიანი. მოგიკვდეთ ჩემი თავი, რომ აქამდე არ გაცოდინეთ... მართლა რომ შეხედოთ, სხვა რჯულისას ვერ მიამსგავსებთ, ქართული თვალები, წარბები, შუბლი, ცხვირი, თმის ფერი და ლაპარაკითაც ქართულ კილოზე უქცევს... თავდაპირველად ესებუა ყოფილა, ერთ-ერთ სტადიონზე, მგონი, მადრიდის მოედანზე, ვიღაც ბასკს დაუყვირია „ეი, ესებუაო“ და ჟურნალისტებსაც უმალვე აუქანქარებიათ ფანქრები, „ეუსებიო“-და მოსმენიათ მათ ყურსა. და რაკი ერთი დაწერილა, ეგრე იმეორებს მთელი მსოფლიო... ბურჟუაზიული პრესის ამბავი ხომ კარგად მოგეხსენებათ, არ დაგიდევენ ფაქტების სიზუსტეს...“

„დავიჯერო, მართლა ქართველია?“ — იქნებ ვერ ირწმუნოს უფროსმა, მაგრამ მაინც ესიამოვნება „კეთილი“ ტყუილი, სინამდვილესავით რომ ალტაცებით მოუყვება ხელქვეითი.

„უფრო მეტს გეტყვი, ნესტორ ესებუას შვილიშვილის შვილი ყოფილა“.

„არ გადამრიო!“

„კი, ნაღდია. პარიზის „მონდის“ ინტერვიუშიც ხომ აღნიშნულია...“ და იმასაც მოუყვებოდა, როგორ მოხდა ყოველივე ეს.

„ვაჟკაცია იმისთანა, რომ იტყვით, ნეტავი თვალი მომცა და მაყურებინაო. რა გულის პატრონია, რა ხასიათის!“

„შენ ისე მიხატავ, თითქოს გენახოს!“

„მინახავს და კიდევ მეტიც“.

„სად, როდის?“ — ღიმილს მოიგოდებს ტუჩის კიდეებზე.

„პარიზში, შარშანწინ. თქვენი ამ რაიონში მოსვლის წინა წელს“.

„მართლა?“

„სინდისს გეფიცები, ანდრეი ალექსეევიჩ!“

„კაი, კაცო!“ — იმ კილოთი იტყვის, რომ ნაღდად ამ ამბის მოყოლაც მოსწყურდება უფროსს.

„ეიფელის კოშკის მაღლა რესტორანში ვჭამდით პურსა. ჩვენს გვერდით ქეიფობდა ხუთი ვაჟკაცი. ჩემი თვალები მიიზიდა ერთმა მათგანმა. ქართული იერი დაჰკრავდა, ვიღაცას ვამსგავსებდი და ვერ მომეგონებინა. რაკი შევიტყე, ფეხბურთელები იყვნენ, გულმა მიგრძნო, ის თვალტანადი ვაჟკაცი ეუსებიო უნდა ყოფილიყო. ჩუმად გავიკითხე და მართლა ის გამოდგა. სიხარულით გადავირიე. ხუთი ბოთლი პროვანსული ღვინო გავუგზავნე მაშინვე თავისი მორთულ-მოკაზმულობითა, რომელსაც ამშვენებდა სუკის მწვადი, ზუთხის ნაჭერი, აცმული და შებრაწული შამფურზევე.

„ეს ვინ გამოგზავნაო“, იკითხა გაკვირვებით, მეტაბელემ ჩემზე მოანიშნა, მაშინვე წამოხტა, გვერდით ჩამომიჯდა, გამომემცნაურა, გადამკოცნა, სიხარულის ცრემლები ჩამომაწვეთა. მეც ქართველი ვარო, ნესტორ ესებუას ნაშიერიო, ბედის ტრიალმა გადმოგვხვეწა უცხოეთშიო, მაგრამ ყელამდე რომ ოქროში ჩამსვან, აქ გამჩერებელი არა ვარო, ორ-სამ წელიწადს მადროვეთ და ჩემს მამა-პაპეულ კერას დავუბრუნდებიო. სუფრები შევაერთეთ, შუაღამემდე ვიქეიფეთ, მოლხენაშიც არა ჰყოლია ტოლი. რა მსმელი ყოფილა ეგ მამაცხონებული, ეგა. საქართველოს

სადღეგრძელოსთვის დიდი ყანწი მოიკითხა (მარტო ამითაც ადასტურებს თავის ქართველობას), რაკი რქის სასმისი არ აღმოჩნდა, სამჩარექიანი ვაზით დალია ჩვენი დიდი ქვეყნის სადღეგრძელო და რომ მოიყუდა, ისე გამოცალა, თითქოს სათითე გამოეყლუპოს. ალავერდს, რასაკვირველია, ჩემთან გადმოვიდა და მეც სულმოუთქმელად გამოვწრუპე, გადმომეხვია და ეგრე ჯიგრიანად გადამკოცნა, როგორც ღვიძლი ძმა. რა ვართ ეს ქართველები?! რა ხასმისით აღარ დამალევინა. ლამფის შუშითა თუ სამარილეებითაც კი გვასვა სულ პოეტურ-პოეტური სადღეგრძელოები. ვიცი, ტრაბახში არ ჩამომართმევთ და, მარტო მე შევრჩი ბოლომდისა. კიდევ გადამხვია ხელი და კოცნით ამიკლო. ძაან მომეჯიგრა, ძაანა!

რა სიმღერა სცოდნია, რო მოიღერა ყელი და „ჩქიმი ცოდვა“ ამოარაკრაკა, მთელი რესტორანი გაინაბა. სწორედ მაშინ ჩააწკაპუნეს ფოტოაპარატი, ხელიხელგადახვეულები რომ ვმღეროდით „დილა-ჰოვ-ნანას“. ჯერ პარიზის გაზეთებმა დაბეჭდეს ის ფოტო და მისი საკადრისი წერილი, მერე სხვა ქვეყნების პრესამაც გადაბეჭდა, მაგრამ ისე გამოვფრინდი, ერთი ცალიც ვერ ჩამოვიტანე.

ახლა ცეკვას არ იკითხავ? რო გადახტა ის ტანწერწეტა ვაჟკაცი და თავისებური „ქართული“ შემოუარა, იტყოდით, ნეტა შენს პატრონსო. ჩამითამაშა და ხვითქში გამაცურა. მთელი პარიზი ჩვენ გვიცქეროდა, ტელევიზიითაც გადაუციათ, თურმე.

ერთი სიტყვით, ისეთი დრო გავატარეთ რო... ნუღარ იტყვი!..“

მერე იმაზე აოცნებდება, თუ რით დაადასტუროს ნათქვამი, საბუთი ან ნივთია საჭირო, რათა უკლებლივ ირწმუნოს უფროსმა. დიდხანს ფიქრობს და მაგ სასიხარულოსაც მიაგნებს. უმალვე მოიახლოვებს ბატონი ანდროს აჩრდილსა და: ნიშნად ჩვენი გაცნობა-დამეგობრებისა, ანდრეი ალექსეევიჩ, აი, ეს „მუდმივი“ კალამი მაჩუქა ეუსებიომ. — და მოულოდნელად ამოძრობს გულის ჯიბიდან.

ბატონ ანდროს თვალები გაუბრწყინდება ოქროს კალამ-კალმისტრის ბრწყინვალებით.

„ინებეთ, გასინჯეთ!“ — ხალისით გაუწოდებს ენრიკო.

უფროსი დიდი გულისყურით შეათვალიერებს.

„აბა წაიკითხეთ!“ — წარწერილ ადგილს მიუმარჯვებს.

„ეუსებიოსაგან!“ — ამოიკითხავს ლათინურ ასოებს.

„კალმისტარი ხომ თავისთავად უძვირფასესია. ოქროა და რა ოქრო, ნაკეთობა და რა ნაკეთობა, მაგრამ ათასჯერ მეტად ეგ წარწერა ფასობს. ეხუმრები, მსოფლიოს ვარსკვლავის ავტოგრაფსა? თანაც, რა რჯულის ვარსკვლავის ნაჩუქარსა?“

„გადასარევია!“ — ხარბად შეათვალიერებს პატივცემული ანდრო.

„თუ ნებას დამრთავდით, გაჩუქებდით“.

„ნაჩუქარის გაჩუქება რომ არ შეიძლება?!“

„თქვენისთანა უფროს-მეგობრისათვის სიცოცხლის ჩუქებაც შეიძლება“.

წინამძღოლი კმაყოფილების ღიმილს გადაივლებს სახეზე.

„აბა სინჯეთ, როგორ წერს“.

მესვეური სიამოვნებით მოუსვამს კალამს: „დიდი მადლობა, ჩემო უერთგულესო და უსაყვარლესო...!“

ენრიკო თვალს გაადევნებს ნაჩუქარი კალმით ნაწერს და სიხარულით წამოიძახებს: „მადლობა თქვენ ასეთი დაფასებისათვის“.

და თან გულში აქირქილდებოდა თვითონ ენრიკო, რომელიც არასოდეს არ ყოფილა არც პარიზში და თვალითაც არ უნახავს ფეხბურთის ვარსკვლავი.

ეჭვიც გაჰკრავს, ვაითუ მიუხვდეს ეშმაკობას, მიუხვდეს და ის უფრო უარესად აქირქილდეს. მაგრამ არა უშავს რა, ისე აცმუკდება ანდრეი ალექსეევიჩი ოქროს ნივთით, რომ აინუნშიც არ ჩააგდებს სიცრუეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უფროსის გულის გასახარად, ენრიკო ბიწაძე გარინჩასაც მოიქართველებს. ბაკენბაუერსაც და ვალდირ პერეირა დიდსაც. თვით პელესაც დაუპირებს ქართულ ემბაზში ამოვლებას. მეტისმეტი სიშავე, ხუჭუჭა, ბატკანა თმა და მსხვილი ტუჩები რომ არ უშლიდეს ხელსა. მასთან დაკავშირებულ ამბებსაც წინასწარ იხატავს ოცნებაში ენრიკო ბიწაძე, იხატავს და წინდაწინვე ტკბება მოსალოდნელი შედეგითა.

სინამდვილეშიც ბევრი აქვს სატკბობი.

თამაშის დროს ხომ გვერდიდან არ იშორებდა უფროსი და გათამამებული ენრიკო ცოლის დაბადების დღეს ულალატებდა და ფეხბურთის თამაშს — არა. მისთვის არ არსებობდა არავითარი დაბრკოლება, არც დრო და არც მანძილი. ოღონდაც უფროსს ენება და...

მაშინაც ინება ანდრომ, თბილისის „დინამოელები“ პირველად რომ ავიდნენ ჩემპიონობის კვარცხლბეკზე.

იმჯერადაც წინასწარ დაიჭირა თადარიგი ენრიკო ბიწაძემ სტადიონის ბილეთებზეც და თვითმფრინავზედაც. მოახლოებულ დღეებში უფრო მოუხშირა სიარულს უფროსთან... გამგზავრების წინა დღეს უფროსმა დაასწრო:

— ხვალინდელი დღე ხომ არ გავიწყდება?

— რა დამავიწყებს.

— მზადა ხარ? ხომ არაფერი გიშლის ხელსა?

— იოტისოდენაც არაფერი, ანდრეი ალექსეევიჩ, — სიხარულით მიუგო, მაგრამ სახეზე ღიმილი გაეცრიცა, მომაკვდავი ძმა რომ წარმოესახა. მცირე ხანს შეფიქრიანდა, მერე კი, ეტყობა, სასიხარულო აზრს მიაგნო, სახეზე კვლავ გადაუთამაშა ღიმილმა და აინუნშიც აღარ ჩააგდო არც ღვიძლი ძმის მავედრებელი თვალები, არც ძმის ცოლის ცრემლები, არც ძმისწულების მტირალი გულები და ყველას გასაგონად მიმართა უკანასკნელ დღეში მყოფს:

„ნუ გეშინიან, ჩემო საფიცარო ძმაო, მაგ შენს ახირებულ ავადმყოფობას მალე დავამარცხებთ სამუდამოდ, გველის ხვრელში გავძვრები და, მაინც გიშოვნი იმ წამალს, ვნუკოვოს აეროდრომზეც რომ ვერ იშოვა შენმა საყვარელმა ცოლისძმამ, ტაშკენტში მიმასწავლეს. არავის კი არ უთხრა და, ანდრეი ალექსეევიჩსა ჰყოლია, თურმე, იქა ისეთი ნაცნობი, ჩიტის რძესაც კი იშოვისო... შევეხვეწე, ძმა ესეთ დღეში მყავს და მიშველე რამე-მეთქი. მიშველე, რას მიქვიანო, მაშ რაღა ძმაკაცები ვართ, თუ გაჭირვებაში არ გამოვადგებითო ერთმანეთსა. მე თვითონ წამოგყვებიო, ხვალვე გავფრინდეთო... დედავ, დედავ, რა კაცური კაცია. ადამიანი კი არა, ხვთის სულია... ისე კი ძალიან ძვირი ღირებულა, მაგრამ მაგას ვინლა ჩივის. შენი სიცოცხლისათვის მთელ სახლკარს გავყიდი. შენ გენაცვალოს მთელი ჩემი ქონებაც და ჩემი თავიცა. როგორ, მე აქა გყავდე და შენ იკვნესო?! უწინამც მე ჩავწოლილიყავ შენს კუბოში... ხვალვე გადავფრინდები ტაშკენტში, ხვალვე. მაშ. ენრიკო რაღადა მქვია, თუ ერთ კვირაში არ წამოგახტუნო ლოგინიდან. ძმა ძმისთვის და შავი დღისთვისო. ჩვენს მტერსაც დასდგომია შავი დღე“. — უთხრა და ცრემლში ღიმილი აუკიაფა ავადმყოფსაც, მის სარეცელთან შემომწკრივებულ ცოლ-შვილსაც და სხვა მახლობელ მოვიშვიშეებსაც.

და არც წაუქცევია სიტყვა. თავის უსაყვარლეს უფროსთან ერთად მეორე დღესვე გადაფრინდნენ ტაშკენტში. გადაფრინდა და...

წამალი კი არა, თვით ავადმყოფიც მიავიწყდა.

ყველა უამურობა გამობერტყა გონებიდან და მხოლოდ და მხოლოდ იმაზე ფიქრობდა, როგორ გონივრულად გამოეყენებინათ დრო თამაშის დაწყებამდე ქალაქში. გონივრულობაში კი გულისხმობდა მხიარულ გუნებაზე დაყენებას

უფროსისა, რათა მაქსიმალური სიამოვნებით ეცქერინებინა შეჯიბრებისათვის.

ჰოდა, ენრიკოს ჭკუის წყალობით, უცხო ქალაქის თვალიერებაში არ გაუფლანგავთ უძვირფასესი დრო. სასტუმროსავე რესტორანში მოყუჩდნენ და სხვები რომ ქაფქაფა ჩაით იფუფქავდნენ გულ-მუცელსა, ანდრო და ენრიკო ჩაის ჭიქებით ურტყამდნენ ცივცივ „ხვანჭკარას“, საგანგებოდ რომ ჰქონდა წაღებული ენრიკო ბიწაძეს. ღვინოს გემოსა და ეშხს მატებდა ერთმანეთის სიყვარული და ხვალინდელი მოსალოდნელი სიამოვნების განცდა, ისხდნენ და ჭუკჭუკებდნენ ტკბილად, ორივე თამამად შინაურობდა, რატომაც არა, ნაცნობი არავინ ჩანდა, რომ მორიდებოდნენ. თამამობდნენ და თითქმის წაშლოდათ საზღვარი უფროსუმცროსობისა... ბევრი კი არა, სამ-სამი ბოთლი ღვინო შემოეცალათ, ისიც ფეხბურთელებისა და ერთმანეთის დღეგრძელობაში. ხანდახან ლაპარაკი გადაუქანდებოდათ ხოლმე იმ პირებზე, ვისი შურითაც გაჭვარტლოდა გული ენრიკოს და ახალი თვალით ჩაახედებდა წინამძღოლს მათი სულის ჯურღმულში.

შუაღამემდე იკურკურეს, მერე გემრიელი ხვრინვა ამოუშვეს. მზეს ისე შეეჭყიტა მათს სარკმელში, რომ ფეხი არ გაუტოკებიათ. თითქმის შუადღემდე ირებივრეს ლოგინში, ვინ იყო მათი მომკითხავ-გამკითხავი, მერე წამოდგნენ, გვარიანად ისაუზმ-ისადილეს, იქვე ახლოს გაისეირნ-გამოისეირნეს და პირველები შებრძანდნენ სტადიონზე. ასე რომ, დასვენებულნი, ფიზიკურად და ფსიქოლოგიურადაც მომზადებულნი შეხვდნენ თამაშს, როგორც მაყურებელნი, და უნდა გენახათ, როგორ იპირველეს, ვითარცა უერთგულესმა და გულმხურვალე გულშემატკივრებმა. „დინამო, დინამოს!“ ძახილითა და ტაშის ტყლაშუნით გალიეს მთელი თამაში. სათაყვანებელი ბიჭების მცირე წარმატებაც დიდ სიხარულს იწვევდა და საგოლე მომენტებისას ხომ [illegible] ბავშვებივით ხტუნაობდნენ.

ენრიკოს ცალი თვალი მოასპარეზეებისაკენ ჰქონდა მიპყრობილი, ცალი თვალი და გული — უფროსისაკენ. იგიც წინამძღოლის დარად ხტუნაობდა სკამზე, ტაშის დროს ტაშს უკრავდა და აღშფოთების დროს შფოთავდა იმ დოზით, როგორც ამას მისი სათაყვანებელი სჩადიოდა, მეტისმეტი უსამართლობის დროს წონასწორობასაც ჰკარგავდა, პირში თითებს ჩაიჩრიდა და გაბმულად უსტვენდა. მერე სალანძღავი სიტყვების ამოძახილითაც ამოიყრიდა გულის ბუხარს, რაიც უფროსის გულის მოსაფხანადაც იყო გამიზნული. გამარჯვების დროს კი მოიშლიდნენ უფროს-უმცროსობის ზღვარს. უეცრად გადაეხვეოდნენ იმ ფეხბურთელებივით, რომლებმაც ბურთი გაახვიეს ბადეში, და კოცნა-პროშნით ულოცავდნენ ერთმანეთს. რაც მათ მაშინ ტაში უკრეს, ბარე ოცდაათ მგოსანს ეყოფოდა იუბილეზე. ილია დათუნაშვილმა რომ ოქროს ბურთი გაიტანა, ისე მაგრად გადაჰკოცნეს ერთმანეთი ენრიკომ და მისმა უფროსმა, როგორც დიდი ხნის უნახავმა შეყვარებულებმა.

იმ ღამით ისევ ნაცნობ რესტორანს მიაკითხეს და სალუტის ნიშნად შამპანურის ბოთლებსაც აუტეხეს ბათქაბუთქი. სწორედ მაშინ ჩააწვეთებდა ენრიკო ბიწაძე საგანგებო ჩასაწვეთებელსა და წყდებოდა ვიღაცის ბედი თავისი ყისმათის სავარდყვავილოდ.

ის დღე ენრიკომ იმითაც დაამახსოვრა ბატონ ანდროს, რომ მიართვა მინიატურული ბურთი, მსხვილი კაკლის ოდენა, რომლის ჭუჭრუტანაში ჩაჭვრიტინებით მოჩანდა მთელი შემადგენლობა „დინამოელებისა“, გადაღებული ტაშკენტის სტადიონზე გამარჯვების წუთებშივე. საგანგებოდ დამზადებული სუვენირი საკმაოდ მძიმე იყო, რადგან ბაჯაღლო ოქროსგან შედგებოდა. თავკაცი ხან ხელში ათამაშებდა მინიატურულ ბურთს, ხანაც შიგ ჩაიჭყიტებოდა და გულს ახარებდა ოქროს ბო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქების მზერითა. ენრიკო ბიწაძე კი ამჯერადაც ხარობდა წინამძღოლის გახარებითა.

ძმა, პირობა, წამალი?

რა ძმა, რის ძმა, რა წამალი, რის წამალი!

სიკვდილსაც დავიწყებიხარო, ჩაიცრემლ-ჩაიქირქილა გულში, სახლს რომ მოატანა ენრიკო ბიწაძემ, მაგრამ სინამდვილეში არ დავიწყებია სიკვდილს მისი ძმა, ჩამოვიდა და კუბოში ჩასვენებული დახვდა, ღონივრად შემოირტყა თავში, ცრემლებიც გადმოიცვინა და ამ სიტყვებით დაატირა:

„მთელი ტაშკენტი შევძარი შენი წამლის გულისთვისა, როგორც იქნა, გიშოვე, მოგიტანე და შენ კი კუბოში დამხვდი, ჩემო საფიცარო ძმაო!“

მოვიშვიშეებს გული ამოუდუღდათ, თვითონ კი გული გაიქვავა და ჭირსა შიგან გამაგრდა, ვით ქვითკირი.

●

მიწას ამოფარებული ძმაც მალე მიივიწყა, შავებში მოსიარულე ძმის ცოლიც და ძმის შვილებიც.

უფროსის აჩრდილი კი არა და არ შორდებოდა თვალთაგან, შუბლის შეკვრით რომ ამოიღიღინებდა ხოლმე: „გინდ მეძინოს, მაინც სულში მიზიხარო“, თვალის წამწამზე დასკუპებულში მართლა სატრფოს კი არ გულისხმობდა, ზოგ-ზოგი მეოცნებე შეყვარებულივითა, არამედ თავის უფროსს.

მაინც ვერ დაეცხრო გული, მაინც სულ იმაზე ფიქრობდა და ოცნებობდა, თუ კიდევ რითი ესიამოვნებინა უფროსისათვის. ერთი კარგი რამ კიდევ მოაფიქრდა, — ქალთა გუნდის შექმნა ერჩია, დიდებული რამ იქნებოდა — ორმაგ სიამოვნებას მოჰგვრიდა ასულების თამაში. ენრიკოს ფიქრით, გუნდში ჩაირიცხებოდნენ ცქმუტი ქალიშვილები, რომლებიც ბუნებისაგან დაჯილდოებულნი იქნებოდნენ უწინარესად თვალტანადობით.

თამაშის დროს სათავითაო ადგილას დაბრძანდებოდნენ უფროსიც და თვით უპირველესი თაყვანისმცემელიც, ჭოგრიტებით მოიახლოვებდნენ მოთამაშე ქალიშვილებს და ისეთი გულმოდგინებით შეავლებდნენ თვალს, როგორც ძველი თბილისის აბანოში სინჯავდნენ ხოლმე გასათხოვარ ქალიშვილებს მასინჯრები. განებივრებული უფროსი ერთი შიშველა ასულის ცქერით რომ მოიყირჭებდა თვალსა და გულსა, მეორეს მიაჩერდებოდა, ეგრე გულმოდგინებით მიაცქერდებოდა ოცდათხსავე ძირითად მოთამაშეს და დუბლიორებსაც, ხშირად რომ შემოუნაცვლებდნენ სასპარეზოდ და თვით მსაჯებსაც, აგრეთვე ლამაზმანი ქალწულნი რომ იქნებოდნენ შერჩეულნი საგულდაგულოდ.

წინამძღოლი, რასაკვირველია, დატკბებოდა არა მხოლოდ თამაშით, არამედ უმთავრესად მოთამაშე ქალიშვილთა მზერით, ხოლო ენრიკო ბიწაძე გაიხარებდა უფროსის გახარებითა.

თავკაცი შეჯიბრს არ დასჯერდებოდა. მატჩის დამთავრების მერე თავისთან მიიხმობდა მოთამაშე ქალიშვილებს, ისევ მაისურების ამარებს, ვითომდა დარიგებისა და წახალისების მიზნით, სინამდვილეში კი იმჯერადაც გაახარებდა თავის გულის ჭიასა.

„ეს რა კარგი რამ მოგაფიქრდა, ენრიკო ბატონო, ქალიშვილთა გუნდები რომ შემაქმნევინე“, — ეტყოდა მერე.

„აბა რა, ხანდახან უნდა მოიცალოთ ასეთი სანახაობისთვის, რომ თვალს წყალი დაალევინოთ, რათა უფრო ენერგიულად და ხალისით იმუშაოთ“.

„ყოჩაღ, ჩემო ენრიკო, ყოჩაღ, შენნაირი ჰკუამოხერხებული კაცი დედამიწის ზურგზე არ მეგულება“.

„ბევრი ვერაფრით განვირჩევი სხვისგან, — თავს მოიმდაბლებს ენრიკო, — და თუ რამე ნიშანწყალი მაჩნია ჭკუიანობისა, ესეც თქვენი წყალობით. თქვენ ისეთი პიროვნება ბრძანდებით,

რომ ძალაუნებურად უნდა იფიქროს კაცმა თქვენს სიკეთეზე“.

უფროსს კმაყოფილების ღიმილი გადაევლებოდა სახეზე.

ეს თუ ოცნებად დარჩებოდა, ენრიკო ბიწაძე სხვა მხრივ მაინც მოინადირებდა ბატონი ანდროს გულს. რაიონს რომ სამი სახელოვანი ვეტერანი ფეხბურთელი „შეაწერეს“, ერთ მათგანს, ყველაზე უფრო პოპულარულს, ენრიკომ სტაცა ხელი, ამას მე შევინახავო. კარგი თანამდებობაც უბოძა და მაინცდამაინც დიდად არა რჯიდა. იმ ვეტერანის მთავარ მოვალეობას შეადგენდა თავკაცისათვის ინფორმაციის მიწოდება თუნდა სუფრაზეც, თუნდაც ულვინოდ და ბრწყინვალედაც ასრულებდა ამ საპატიო მისიას. დროს იხელთებდა თუ არა (მოსახელთებელი კი თავზე საყრელი ჰქონდა), ენრიკოზე ჩამოუგდებდა საუბარსა: „რა კაცია და რა მუშაკი, ბატონო ანდრო, გადაირევით, საქმეში იკითხავთ თუ ადამიანობაში, ყველაფერში პირველი ეთქმის. ისე უყვარს მთელ კოლექტივსა, რომ ლამის სულში ჩაიძვრინონ. ახლა რა ერთგული და მოსიყვარულეა თქვენი“.

უფროსიც სიამოვნებით უსმენდა ვეტერან ფეხბურთელს, რომლის სიტყვა ანგელოზის ლოცვასავით სწამდა, და მის თვალში ენრიკო ბიწაძე სულ უფრო და უფრო მაღლდებოდა მისი შემწეობითაც. ამის გამო ის ვეტერანი ხშირად ჯილდოვდებოდა ფულადი პრემიით, რაიც უმთავრესად ენრიკოს პირადი ფონდიდან გადიოდა.

### ნ. მაღალი სტუმარი

— ღმერთისტოლა სტუმარი მოდის, ღმერთისტოლა, — ტუტუნ-ჩურჩულით გადადიოდა ყურიდან ყურში. თუმცა სატუტუნო და საჩურჩულო რა იყო, სადაც ნებავს, იქ გაიხალისებს, თუნდა ღმერთისტოლა იყოს და თუნდა ქონდრისკაცი. მით უმეტეს, დასვენების დღეს, დიდი დაღლილობის მერე.

პირველმასპინძელს აბელ ვარდანაშვილს სხვა ყველაკაი მიევიწყებინა და მხოლოდ იმ საზრუნავს გაეტაცნა, რომ ღირსეულად გამასპინძლებოდა მაღალ სტუმარს.

— მაგის სტუმრობა დიდი ბედნიერებაა, აბელ ვახტანგიჩ, სადაც უნდა ისურვოს წაბრძანება, ყველგან ქრისტესავით ეახლებიან. ოქროსნალებიანი ცხენის მიგებებისა და ოქრომკედიან ხალიჩაზე გამოტარების ღირსია. მაგრამ ყველას როდი აღირსებს მაგ ბედნიერებას. თქვენთან სტუმრობა რომ უნებებია, ეს ძალიან დიდი დაფასებაა პირველ რიგში თქვენი და მერე მთელი რაიონისა!

— ჰოდა, საკადრისი მასპინძლობა უნდა!

— თქვენი ერთგული ენრიკო აქა გყავდეთ და უკადრისად არ გაგასტუმრებინებთ.

— რითი უნდა გააკვირვო, ბიჭო, იცი, როგორ სუფრებზე უქეიფებიათ?!

— ეგ საქმე მე მომანდეთ და ისეთი პურ-მარილი გავუმართო, რომ მგონი, ყოველ შაბათ-კვირას აქეთ მოიწევდეს.

— აჰა, მომინდვია და აბა, შენ იცი!

— ბატონი ბრძანდებით!

— წყაროსთვალზე აჯობებს, კლდემაღალზე, თუ მეფის ჭალაში?! — ესეც ჰკითხა ბატონმა აბელმა.

— ამჯერად მეფის ჭალაში.

ჰოდა, გაიღო მეფის ჭალის ჭიშკარი, „სამოთხის კარი“ რომ შეურქმევიათ ქილიკა ბიჭებს. მხოლოდ და მხოლოდ ბატონი აბელის ხელით რომ იღება და ამის გამო „სამოთხის მეკარე“ რომ უწოდებიათ. გაიღო და შესრიალდნენ შავი „ვოლგები“.

სტუმარმა მანქანიდან გადმობრძანება ინება. მასპინძლებიც უმალვე გადმოჰყვნენ.

„ვოლგები“ გაუჩინარდნენ. სპარტაკამ იცის, სად უნდა მივიდეს და რა გააკეთოს. რაღა ესწავლება.

— ივფ, რა დიდებული ადგილი ყოფილა! — წამოიძახა აღტაცებულმა სტუმარმა, შეყოვნდა, ყელსახვევი მო-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

იძრო, მკერდი მოიღერა და ხარბად მიმოავლო მზერა იქაურობას.

მასპინძლებიც ეგრე მოიქცნენ, იმათაც იქით გააყოლეს თვალი, საითკენაც დიდი სტუმარი იმზირებოდა, ღიმილსაც იმგვარად აფრქვევდნენ, როგორც სტუმარი.

— შეხე, შეხე, როგორ მოიტალღება ეს პატარა მდინარე. — სიხარულს ვერა მალავდა სტუმარი.

— მაშ, მაშ, ხეები როგორ ქანაობენ შიგა!

— ამოყირავებულ ცას დააკვირდით, ლურჯ-მწვანედ რომ ლივლივებს!

— რა საამო სანახავი ყოფილა ჩაძირული მზე! როგორ ყურყუმელაობს ონავარი ბიჭივით! — ერთმანეთს არ აცდიდნენ.

მდინარის პირს შეუყვნენ, ბეწვის ხიდს მიადგნენ.

— ვინც ამ ბეწვის ხიდზე უვნებლად გაივლის, მისთვის ღიაა სამოთხის კარი! — სიცილ-სიცილით მიმართა ბატონმა აბელმა და თან გავლის წესიც შეახსენა.

შოფრებს მანქანები წყაროს თავზე დაეყენებინათ და შორიახლოდან უმზერდნენ უფროსებს.

დიდი სტუმარი ფრთხილად შედგა ხეზე.

— ხე წაიქცა, ბიჭი დადგა! ხე წაიქცა, ბიჭი დადგა! — სპარტაკა ტაშს აყოლებდა იმ კილოზე, ერთი წლის ბავშვი რომ ფეხს იდგამს და იქვე ჩაცუცქული დედა ახალისებს. სტუმარმა ფრთებივით გაშალა ხელები და ისე შეწონასწორდა საცალფეხო ხიდზე, მუხლი აუკანკალდა. ორიოდე ნაბიჯი წარდგა დიდი გაჭირვებით, მერე აქანავდა, სიმძიმემ გადასძლია, ცალ მხარეს გადაკორიკავდა და გაბმულ ლატანს რომ არ ეშველა, უთუოდ გადაყირავდებოდა წყალში და მოქირქილე შოფრებსაც მეტი არ უნდოდათ, სიცილით დაიგუდებოდნენ, მაგრამ, თითქოს მათს ჯინაზე, სტუმარმა გული გაიმამაცურა, ხელახლა გაშალა ხელები და ხტუნვა-ხტუნვით გააღწია მეორე ნაპირს.

მასპინძლებმა უვნებლად გადასვლად ჩაუთვალეს და ტაშითაც დააჯილდოვეს.

— უცოდველი ბრძანებულხართ!

— ალალია თქვენთვის სამოთხე! — ამითაც მოუფონეს გული.

მერე „სამოთხის მოხაცდელშიც“ შეყოვნდნენ, „ბედნიერების ბილიკსაც“ გაუყვნენ, „შეთქმულთა საკურკუროშიც“ იკურკურეს, „გიორგის სავანეშიც“ დაივანეს, „ერეკლეს წამოსაწოლშიც“ წამოწვნენ და „თამარის ტახტრევანზეც“ აიხალისეს.

სტუმარმა ღიმილით გადახედა იქაურობას, ხარბად ჩაისუნთქა კამკამა ჰაერი და ამოიღიღინა:

— მთელი ქართლი ჩემს წინაა!

— მაშ, მაშ! — მასპინძლებმაც შეუბანეს სიამოვნებით.

— დიდებულია, დიდებული!

— აბელ ვახტანგიჩს უნდა ვუმადლოდეთ ამ დიდებულებას. ადრე გაველანებული იყო აქაურობა. მობრძანდა თუ არა ჩვენს რაიონში, მისი პირველი ღონისძიება ის იყო, რომ ნაკრძალად ქცეულიყო მეფის ჭალა. დარწმუნებული ვარ, ამას კარნახობდა არა მხოლოდ ბუნების დიდი სიყვარული, არამედ ჩვენი წინაპრების და, მაშასადამე, ჩვენი სამშობლოს დიდი პატივისცემაც... — მოკრძალებით აუწყა ენრიკომ.

— ძალიან გონივრულია!

აბელ ვარდანაშვილს საფეთქელი შეუფაკლდა, სიამოვნებით უფრო.

კარგახანს ტკბებოდნენ იქაურობის ხილვით.

გრილმა ნიავმა გაინავარდა. ძეწნის ფოთლებიც შეაცახცახა და მუხისაც. ხასხასა ბალახიც შეაბიბინა და სტუმრის თმაც, — თხელი და ქერა. სტუმარმა ღიმილით მიმოხედა იქაურობას და:

---

**გიორგი ხორგუაშვილი**
**ზვარაკები**

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მთელი სიცოცხლეა! აქ სიკვდილსაც კი ვინატრებდი!

„შენი დამარხვალა მაკლია!.. სიკვდილის მერე მაინც მოგვეშვით!..“ — გულში ჩაიქირქილა სპარტაკამ.

ნეტავი მამკლა ხის ძირას,
ფოთოლი დამაფინოსა,
მოვიდეს ქალი ლამაზი
ცრემლები დამადინოსა! —

ღიღინებდნენ რადიოლა და სტუმარ-მასპინძლებიც.

მერე დაეშვნენ. ხტუნვა-ხტუნვით ჩამოათავეს ბალახიანი დაღმართი. წმინდა თევდორეს ნიშიც მოინახულეს, საკაძის მუხაც. თელების ხეივანში და ტირიფების ტოტებქვეშაც გაისეირნეს.

მოშივებოდათ და მიადგნენ კიდევ წყაროს, იქვე, ღელეში რომ ამოხეთქილიყო, თიხის მილებში მოიძარღვებოდა, ვეება მუხის ძირში გადმოსჩქეფდა, საკმაოდ მოზრდილ აუზში გუბდებოდა და მაღლა-მაღლა ისროდა ჭროლა კენჭებსა.

გაშინაურებულ-გალაღებულმა სტუმარმა სხივილა პიჯაკი მოიძრო და დაუნანებლად მოისროლა. დაიმკლავა და აუზში მიმოასავსავა ხელები.

— უჰ, რა ცივია! — წამოიძახა სტუმარმა.

— დიდხანს არ გააჩეროთ, თორემ... — მორიდებით გააფრთხილეს.

სტუმარმა სახეზე შეიშხაპუნა ცივცივი წყალი და აღტაცებით აფრუტუნდა.

მასპინძლებმა უმალვე უბოძეს შესამშრალებელი.

მერე ჭიქა მიაწოდეს.

სტუმარმა თავისი ხელით შეივსო, ნახევრობამდე გამოცალა და:

— ყინულია ეს დალოცვილი?

— მაშ, მაშ, ყინულშაქარია.

— კოვზით ზიარებაა! — უმალვე მიუგეს მასპინძლებმა და თვითონაც სტუმრის მსგავსად დაიგემოვნეს პირი.

— ბრწყინვალედ მოგიწყვიათ! — თქვა სტუმარმა და ერთხელ კიდევ მიმოავლო მზერა თაღიან კედელს, მშრალად ნაგებს შავი ნამსხვრევი ქვით, და პირდაღებული ლომის თავს, რუხ ქვაში გამოქანდაკებულს, ცივ-ცივ წყალს რომ აჩქაფუნებდა.

— ესეც აბელ ვახტანგიჩის ინიციატივაა! — თქვა ენრიკომ.

— ყოჩაღ, აბელ! — გაუღიმა სტუმარმა.

— თქვენ წარმოიდგინეთ, გეგმა-მონახაზის ავტორიც პატივცემული აბელია და პრაქტიკული განმახორციელებელიც. სულ მისი ხელით არის დაწყობილი ეს ნატეხი ქვები. შეხეთ, შეხეთ, რა ლამაზად არის ნაშენი!

„ნეტავ ვინ მოჰქარგა...“ — მოისმა სიმღერა.

ეს ნამდვილად სპარტაკას „ვეფ-201“-ია.

— ძალიან კარგია, ძალიან! — კვლავ მოსწონდა სტუმარს.

რაიონის თავკაცი თავს იმორცხვებდა და დიდ მადლობას სწირავდა კეთილ ხოტყვებისათვის.

„ფრთები, ფრთები, გვინდა...“ — კვლავ მოჰქონდა ნიავს.

„კიდევ ფრთები გვინდა...“ — ღიღინებდნენ წყაროს თავზე მსხდომნიც.

შოფრებს სუფრა გაეშალათ უფროსებისათვის იქვე, მუხის ძირში, ხასხასა მოლზე, მართლა დიდებული სუფრა, დიდი სტუმრის საკადრისი.

— მობრძანდი, ბატონო მიხეილ, პატარა წავიხემსოთ! — მიიპატიჟა აბელმა.

— სით ინებებთ? — თვალებში შესციცინა ენრიკომაც.

— მე თუ ამომარჩევინებთ, ამ მოლზე წამოგორებას რა სჯობია, მაგრამ...

— სჯობია და თქვენი ნება არ არის?

— მართლა ჩემი ნება არ არის! — და მუცელზე დაიხედა.

სკამი მიუმარჯვეს.

შოფრებმა მოშორებით გაიშალეს პურ-მარილი. არაფერი დაეკლოთ. სპარტაკამ რადიომიმღებს აუწია.

„შემომეყარა ყივჩაღი სამზღვარსა მუხრანისასა“, — გაბიბინდა სიმღერა.

— რით დავიწყოთ? — მხიარულად იკითხა სტუმარმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ჩვენთან ამით ვიწყებთ ხოლმე! — მიუგო აბელმა და პიტნის ნაყენით შეავსო ჭიქები.

სტუმარმა დაყნოსა, ნესტოები შეიღიტინა საამო სურნელებით, გადაჰკრა და სიამე მოედო სხეულში.

— სიცოცხლის ელექსირია ეს დალოცვილი? — და ტუჩებიც მოიტკბარუნა.

— ესეც აბელ ვახტანგიჩის დაყენებულია! — უმალვე მიუგო ენრიკომ.

სტუმარმა „ფრიადი“ დაუწერა.

აბელმა თავი დაიმორცხვა.

სამ-სამი მოირიგეს პიტნის ნაყენი, სამ-სამჯერვე კმაყოფილებით შეჰლიმეს ერთმანეთს.

სტუმარმა სუფრას გადახედა.

მასპინძლები მიუხვდნენ და უმალვე მიართვეს მთელი შოთი.

„პური ვთხოვე და ვაჭმიე, ვურჩევდი თავთუხისასა“, — მღეროდა რადიომიმღები.

— რა სურნელება დასცემს? — კვლავ ხარბად დაყნოსა და კიდევ მიმოავლო თვალი სუფრას.

აბელმა ხოხბის კურტუმი მიართვა.

„ხორცი მთხოვა და ვაჭმიე, ვურჩევდი ხოხობისასა“.

— ივფ, ივფ, ივფ! რითია ასე შეგემრიელებული, რომ ლამის თითებიც მიატანოს კაცმა!

— ეგ ქალბატონი ლუიზას ხელოვნებაა! — მიუგო ენრიკომ.

აბელს ლოყისთავები შეუფაკლდა.

— აქ რომ იყოს ქალბატონი ლუიზა, ყანწით დავლევდით იმის სიდღეგრძელის. — დაუსწრებლად დაუწერა „ფრიადი“.

მასპინძლებმა დიდი მადლობა შესწირეს.

მერე ღვინით გაუპილთუმეს მოზრდილი ჭიქა.

„ღვინო მთხოვა და ვასმიე, ვურჩევდი ბადაგისასა“, — ღუღუნებდა რადიომიმღები.

— ჟენ-შენიც შემირცხვენია ამასთანა! — თქვა სტუმარმა, როცა ბოლომდე გამოსცალა ჭიქა, ტუჩები გააწკლაპუნა და ყელი ჩაიგემრიელა.

— ესეც აბელ ვახტანგიჩის ნახელავია.

— ამას ისეთი ხელი და გემოვნება ჰქონია, რომ გემო-კვების მინისტრობა ზედგამოჭრილი იქნებოდა! — იხუმრა სტუმარმა.

— არა, მიხეილ ნიკალაევიჩ, რაიონის მშრომელები ცოცხალი თავით არ დაგანებებთ აბელ ვახტანგიჩსა! — ხუმრობისავე კილოთი მიუგო ენრიკომ.

აბელს ისღა დარჩენოდა, რომ კმაყოფილებით დაეფოფინებინა თვალები და შემწვარი კალმახი მიეთავაზებინა.

სტუმარს ისიც ეგემრიელა.

ყოველ ლუკმასა და ყლუპზე „ფრიადები“ სცვიოდა პირიდან.

მასპინძლებიც უმალვე სტაცებდნენ ყურსა.

ბალახის ხრაშუნი მოესმათ. ქალამნიანი ფეხი მოსთელავდა მწვანე ბალიკს.

— ეს ვინღაა? — დაიღრიჯა ენრიკო.

— ვინც უნდა იყოს, მოვიდეს, ადამიანია! — ბრძანა სტუმარმა.

— მოდი აქა, ძიაკაცო! — ხელიც დაუქნია ენრიკომ.

წვერგაბურძგლულმა ძიაკაცმა ჯერ დიდი პატივით დაისაჭიროვა, მერე ახლოს წამოდგა მესუფრეებთან, ნაბდის ქუდი მოიხადა და რიხიანად შესძახა:

— გამარჯობათ!

— გაგიმარჯოს!

— იცოცხლე! — მხიარულად შეეგებნენ მესუფრენი.

— თქვენი სახელი? — ყველას დაასწრო ენრიკომ.

— თედუას მეძახიან.

— სადაური ბრძანდებით, ძია?

— ჭალიპირელი.

— საით გივლია?

— ნაკრძალის გვერდითა ვთიბავდი, ძაან მამწყურდა და წყაროზე გადმოვედი. არ ვიცოდი, თუ აქა ბრძანდებო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დით, თორემ სუფრას არ გაგიუგემურებდით.

— რას ბრძანებთ, ძიაკაცო!

— როგორ გეკადრებათ.

— მობრძანდი!

— დაგვეწვიე.

ძიაკაცმა ხელ-პირი დაიბანა წყაროზე, ხაკის წინსაფრის შიგნითა პირით შეიმშრალა, მიუახლოვდა და მითავაზებული სასმისი გამოართვა.

— თქვენ პურიჭამას გაუმარჯოს! — მოკლედ მოსჭრა და ბარაქიანი ყლუპებით გამოცალა. კმაყოფილებით ამოიხვნეშა. შეცინცხლულ ულვაშებზე მიმოისვა მომუჭული ხელი, დაემადლობა და წასასვლელად წარსდგა ბიჯი.

— უჰ, როგორ იქნება!

— დაბრძანდით!

— მიირთვით!

— დაისვენეთ!

— დღეს ჯერ საიმისო არა გამიკეთებია-რა, რომ დასვენებისა და პურიჭამის ღირსი ვიყო.

— რასა ბრძანებთ!

— როგორ გეკადრებათ!

— მაშ, ჩვენ სულ არ გვეკუთვნის პურის ჭამა!

— თქვენ ეგრე დაგაწერათ ბედისწერამ, მე კი უთფლოდ კაპიკის ფასი ვარ.

ახლა მოზრდილო ჯამი გაუბიბინეს.

— თქვენ კი გენაცვალეთ, თქვენა! მეც ესეთი ქაშანური ჯამით მიყვარს დალევა, შიგ რომ ჩაიხედები სარკესავითა, ბარაქიანად რო ჩაუძახებ და გემრიელად მოხვდება ჯიგრის წვერსა. ესეც თქვენი სადღეგრძელო იყოს. მე არ ვიცი, ვინა ხართ, მაგრამ ერთი რამ მჯერა, რომ ამ წმინდა ადგილას უხეირო კაცს არ მოესვლება. ეს მიწა-წყალი ღმერთებისა და მათი მოციქულების სავანეა მხოლოდ. — და ცინცხალა ღვინოში აატივტივა ჭაღარა ულვაში.

— ეს ღვინო უხეირო კაცისთვის აფსუსია!

ხოხბის ბარკალი მიუმარჯვეს.

— მართლა წმინდაა ეს ადგილი, ძია თედო?

— მაშა კაცო! აქ ხო დიდი სალოცავი იყო.

— ეკლესია არსადა ჩანს და...

— ძალიან კაი ეკლესია იყო აქა ერთ დროსა, მაგრამა...

ენაზე კბილი დაიდგა და ძმარ-ქინძში ამოვლებულ ზუთხის ნაჭერს წასწვდა.

— გაბედულად თქვი, ძიაკაცო, შენი მოგონილი ხომ არ არის, ჩვენცა გვწამს ღმერთი... — წაახალისა მაღალმა სტუმარმა და მასპინძლებს ჩაუკრა თვალი.

— ხო, თქვი!

— ჩვენც გადაგვიწერია პირჯვარი.

— აგაშენათ ღმერთმა! ე, რა ღვთის ნათლულებში მოვხვედრილვარ... ხო, დიდებული ეკლესია იყო წმინდა გიორგისა, იმის სახელს ვენაცვალე, რა ნაგებობა, რა ჩუქურთმები, ისეთი მტევნები იყო გამოყვანილი შაბიამნისფერ ქვაზე, რომ მოფერება მოგენატრებოდა. შიგნითა კედლები ისე იყო მოხატული, ცოცხალი ადამიანები გეგონებოდათ — გინდა ის მაცხოვარი და გინდა მისი მოციქულები, ხატი ესვენა იმითანა, რომა სუ ოქროთი იყო მოჭედილი, და მერე როგორ, თვალის გამოშორება აღარ გინდოდა... ძალიან ძლიერი ხატი იყო, ძალიან, საიდანღა აღარ მოუდიოდა თაყვანისმცემელი ამ დალოცვილსა. ერი იცოდა, ერი, რომა მთელი ჭალა ზიმზიმებდა. მოადგებოდნენ ჩარდახიანი ურმებითა, მოიყვანდნენ წითელკანაფიან მზვარასა, სამჯერ შემოატარებდნენ გარშემო ეკლესიასა, ნაკურთხ მარილს აალოკებდნენ, წამოაქცევდნენ, ყანყრატოზე დაუსვამდნენ ალესილ დანასა, ხელდახელ ამოიღებდნენ ოთხში და გიყვარდეს მერე... რა ქეიფი იმართებოდა, რა ლხინი, ვინ ცეკვა-თამაშით იჯერებდა გულსა, ვინ სიმღერითა, დაწყვილდებოდნენ, გამოეთვლებოდნენ ერსა და ერთმანეთს უტოლებდნენ ცხელ გულებსა... რამდენი წყვილიც აქ გაბედნიერებულა, იმდენი შვილა გვქონდეს!..

— თქვენც ხომ აქ არ დაიწერეთ ჯვარი, ძია თედუა!

— ჯვარიც აქ დავიწერე და, რაღა

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაგიმალოთ, ჩემ ნუცასაც პირველად აქ ვაკოცე და ასე მეგონა, ცა გამეხსნამეთქი! — მორცხვად დახარა თავი.

— მერე, რა იქნა ის ეკლესია, ძიაკაცო!

— რა იქნა და, ერთი უსწავლელი თავმჯდომარე გვყავდა, აიხირა, გინდა თუ არა, ეს ეკლესია უნდა დავანგრიოთ, თორემ ღმერთი ვერ გადავაყვარე სოფელსო. ხალხმა ხელები გაუტატანა. იმ თავმჯდომარემ სკამის დაკარგვას სოფლის წყეინება ამჯობინა, დღისით რომ ვერ გაბედა, ღამე მოლალა ბიჭ-ბუჭები და ისე დაანგრეინა, ურჯულო თათრები შემირცხვენია იმათთან. ის ოთხკუთხა ქვა ნაწილი კოლექტივის ბოსლის კედელში ჩააშენა, ნაწილი თავის სახლს მოახმარა.

— ის ხატი?

— ის ხატი დღესაც არ იციან, ცაში ჩაყლაპა თუ დედამიწამ...

— ნწუ, ნწუ, ნწუ! ბარბაროსი ყოფილა, ვიღაც ოხერია.

— უარესი! — უმალვე დაუკრა კვერი ენრიკომ. — შეადარე ახლა, აბელ ვახტანგიჩის საქმე იმისას. სადღა აღარ დადის, ვილას აღარ მიმართავს, მგონი, თქვენც შეგაწუხათ მიხაილ ნიკალაევიჩ, რომ როგორმე დააჩქაროს კულტურის ძეგლების შეკეთება, ის კი...

— მერე, მერე, ძიაკაცო!

— მორწმუნეებმა მაინც არ დაიშალეს თავიანთი, მერე ეს მამაპაპეული მუხა აქციეს ხატად და ამაზე ლოცვით იოხებდნენ გულსა. ვინ იცის, რამდენი მზვარა წამოუქცევიათ ამ მუხის ძირში და შევედრებიან თავიანთი ნატვრა-ჩანაფიქრის ასრულებას... მერე კი სულაც მიივიწყეს, თითო-ოროლა შემწირავი თუღა ამოაკითხავდა... მაგრამ მაინც ხშირად იკვლის აქა... ეხლა სულ სხვა ეშხი და გემო აქვს...

— აბა ერთიც მიირთვი, ძიაკაცო! — კვლავ გაუპილთუმეს ქაშანურის ჯამი.

ძიაკაცმა ახლა კი უხვეწნელად გამოართვა და:

— თქვენს ჩანაფიქრს გაუმარჯოს, კეთილი ხალხი ჩანხართ და კეთილი მიზნები გექნებათ! — ესეც მოკლედ მოსჭრა და ყლაპა-ყლუპით დასცალა ძირამდე.

— შეგარგოთ!

— გაამოთ! — მიუმარჯვეს მისატანებელი.

— ივფ, დედის რძეა ეს დალოცვილი?! მაშ, არ უნდა დალოცო ის ფესვი, რომელიც ყველაზე დიდ ხასწაულს ხადის ამ ქვეყანაზე?! მიწიდან რომ წვენს იწოვს, თავის დახლართულ რქაში გამოატარებს, აი ემ მზის ცრემლად აქცევს და გულში ჩაგიღვრის სიყვარულსა და უკვდავების წამლადაც გექცევა. მაშ არ უნდა დალოცო ის მარჯვენაც, რომელიც ამ ვაზს უვლის?!

ეს სადღეგრძელო თვითონაც დალია შემოსწრებულმა ძიაკაცმა და მასპინძლებსაც დაალევინა.

კარგა შეაზარხოშეს.

— რაიონის თავკაცს თუ იცნობთ, ძიაკაცო?! — შეკითხვის დრო მოიხელთა ენრიკომ.

— რავი, ვინ არის, ის ჩემთან არ მოსულა და მე იმასთანა. ყელთამდე ვარ ჩაფლული საქმეში და ჩემ დედაკაცსაც ვეღარა ვცნობ... ისე კი, ჩემ ყურთამდეც მოაღწია იმისმა კაიკაცობამ. დიდი და პატარა იმის ქებაშია. სამი რამითა ცნობილა: სიმართლითა, პატიოსნებითა და სიყვარულითა... მეოფლე კაცი ჰყვარებია გაგიჟებით. სხვამ რო არა თქვას, მეც ხო ვხედავ ჩემი თვალითა, რეები აღარა კეთდება. სამი-ოთხი წელიწადი იქნება რაიონში ფეხი არ ჩამიდგამს, იმ დღეს ჩაველი ქალ-სიძესთანა და ვეღარ ვიცანი ის პატარა ქალაქი. რა სახლები, რა ქუჩები, რა მაღაზიები და სახინკლეები, მწვანეში ტივტივებს იქაურობა... ჩვენს მიყრუებულ სოფელშიც მოაღწია იმისმა სიკეთემ. ერთი ფინური სახლი მოიტანა და თვალმარგალიტივით ჩაგვიდგა შუა სოფელში, სუ ერთად შერეკა შიგა დალაქები, მკერავები, მეწაღეები, ჩაან

ეროვნული

დიდი შაღავათი მისცა ხალხსა. ისეთი რესტორანი წამოჭიმა, რომ ხელმწიფის სტუმრობისაც არ შეგრცხვება. მერე გზისპირი და წყლისპირია და ქვეყანა იქ მოდის.

ახლა რამდენი რამის გაკეთებასა ფიქრობს, თურმე?! იმ დღეს ჩაუტარებია კრებაი და ახალი შკოლის აშენებასაც შეგვპირებია, კლუბისაცა და აბანოსიცა... რა ენა-გულის კაცი ყოფილა ეგ გასახარებელი, მალამოსავით წაგვიცხებსო სიტყვასა. ახლობელივით ეჯიგრება, თურმე, შინაურსაც და გარეულსაც. იმისი ერთი გაღიმება ათას თუმანს სჯობიაო...

და გააგრძელა ქება შეჭიკჭიკებულმა ძიაკაცმა.

. სტუმარმა თბილი თვალით აზომ-ჩაზომა მასპინძელი, ერთი ათად აუმაღლდა თვალში რაიონის თავკაცი, ას ხელქვეით ხელმძღვანელს რომ ერთად ეთქვა, ისე არ ირწმუნებდა, როგორც ამ უცნობი მოხუცის ნათქვამი იწამა.

აბელმა მორცხვად დახარა თავი.

თედუა წამოდგა. საღვთისმშობლოც დალია და საყოველწმინდაოც. დაემადლობლა, გამოემშვიდობა და ბარბაცით გაუდგა თავის გზას.

— რა მალე მოეკიდა სასმელი! — თქვა სტუმარმა.

— დაღლილი იქნებოდა. — მიუგო აბელმა.

— გავაცილო, ემანდ არსად წაიჩეხოს! —· თქვა ენრიკომ, წამოხტა, წამოეწია თედუას, ხელკავი გამოსდო და:

— დიდი მადლობა, ჩემო ბენო, დიდი... იცი, რამხელა საქმე გააკეთე?

— ვიცი და ამიტომაც არ დავიშურე ჩემი ცნარი და ოფლი... ძმას არ გავუკეთებდი იმ სიკეთესა, მაგრამ შენი დიდი სიყვარულიც მამოქმედებდა და რაიონის პატივისცემაც...

— ყოჩაღ, ძმაო, ყოჩაღ! ძალიან კარგად ითედუავე, ახლა კი დავრწმუნდი, რომ მართლა ნიჭიერი არტისტი ყოფილხარ.

— ეჰ, ვინ აფასებს ნიჭსა! — თქვა და პარიკი შეიმაგრა.

— იქნებ ისე დაფასდე, რომ ჩემს მზეს ფიცულობდე.

— გისმინოს მაღალმა ღმერთმა! ეგ იმედი მასულდგმულებს, თორემ აქამდე იიიჰ! სადღა აღარ მეწევიან, რაღას აღარა მპირდებიან, მაგრამ აქაურ თბილ ღიმილს არ გავცვლი სხვაგან ბოძებულ დაფნის გვირგვინზე, თანაც თქვენ რომ არ მეგულებოდეთ...

— ჰო, კარგი, გასაგებია, მე ვიცი და ჩემმა კაცობამ...

ბენო გამოემშვიდობა და ბანცალით გაუყვა გზას, ენრიკო კი თანამესუფრეებისკენ გამოეჩქარა.

— კაი კაცი ჩანდა თედუა. — თქვა მაღალმა სტუმარმა.

— კა.

— დიახ.

ალალ-მართალი, პატიოსანი კაცის სადღეგრძელო დალიეს დიდი ყანწითა და დიდი გულით.

— მე ისევ იქა ვარ, რამხელა სიყვარული დაგითესია ხალხში! — კმაყოფილებით მიხედა მაღალმა სტუმარმა.

— ესეც თქვენი წყალობითა, მიხაილ ნიკალაევიჩ! .

სიმღერა მოსძალებოდათ მოქეიფეებსა.

— „ჰაიდა, მრავალჟამიერ!" — ყანყრატო აჭიმა ენრიკო ბიწაძემ.

— „ჟამიერ!"

— „ჟამიეეერ!" — შეუბანეს თანამესუფრეებმა.

— „მადლო — მადლობელი ვაარ, სადღე — სადღეგრძელოზეეე!" — გრძელდებოდა სიმღერა.

— „განა, გაანა ჩვენგნივაა!" — მღეროდნენ ხელგადახვეულები.

— „ღვთის შე, ღვთის შეწევნითაა!" — გაიმეორა სტუმარმა.

— „თქვენიიი, თქვენი წყალობითააა!" — მიუმღერეს მასპინძლებმა.

ეგრე მიმღერ-მიმღერებით ჩაათავეს ბოლომდე.

— თქვენ აგაშენათ ღმერთმა! აქ ყოფნა ერთ სიცოცხლედ მიღირს! — თქვა მაღალმა სტუმარმა და მოღუშულ მკერდზე მიისვ-მოისვა ხელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— თქვენი ჩამობრძანებაც ერთ მზედ გვიღირს! — მიუგეს მასპინძლებმა.

იქით შოფრებსაც აშლოდათ სიმღერის სალერღელი.

— „შენსა მოსვლასა მზე მოჰყვა". — წამოიწყო სპარტაკამ.

სტუმარი ვარიის კლანჭს მიეტანა, გასართობად უფრო.

ენრიკო დანას წასწვდა და სალესავზე ასიპა.

— ეგ რაღ? — იკითხა სტუმარმა.

— ეგ ჩვენ ვიცით! — შეჰლიმა ენრიკომ, წამოდგა და ბუჩქებიდან გამოიყვანა შვლის ნუკრი, იმავე ნაკრძალში დაჭერილი.

გულუბრყვილო ნუკრი ხალისით გამოჰყვა.

თქვენა გგონიათ, უმალვე ყინყრატოზე დაუსმევს დანას?!

არა, ეგეთი სულწასული არ გახლავთ ენრიკო ბიწაძე.

ფეხები გაუთოკა, წინაებიც და უკანებიც. წინა ფეხებით ჩამოჰკიდა მუხის ტოტზე, საგანგებოდ რომ შეუჭრია და შეუკოხტავებია თვითონ მას, უამრავი ოთხფეხი რომ ჩამოუკონწიალებია, უფროერე ჩვილ-ყმაწვილები. დიახ, ჩამოჰკიდა ნუკრი და როგორც ბავშვი არტახებში, ეგრე გააკრა ხეზე.

ნუკრმა საყვედურით გადმოხედა მოქეიფეებს.

ენრიკომ უცბად დაუსვა დანა მკერდზე.

ნუკრი შებაბანდა.

დანამ უფრო გრძლად და ღრმად ჩამოუსერა მკერდი.

ნუკრმა დაბღავლება სცადა, მაგრამ ვერ მიართვეს... ისე მაგრად გაუკოჭათ დრუნჩი, რომ მთელი სანუკრეთიც ვერ დასძრავდა, და ყრუდ ამოიზმუვლა.

მჭრელმა დანამ მთლიანად გადაუფატრა მკერდი და უბრყვილო გული გამოუჩნდა, ჯერ ისევ მფეთქავი. დამკვლელმა მარიფათიანად გამოაჭრა ცინცხალა გული და ნაკვერცხალზე დააგდო. გული ისევ შეფრთხიალდა ნაღვერდალზე. ატკიცინდა და აშიშხინდა.

— რა საამო სურნელება ავარდა! — თქვა სტუმარმა.

— მაშ, მაშ, დამათრობელია! — ხარბად აისრუტნა აბელმაც.

— თქვენ გემო უნდა გაუსინჯოთ! — და შემწვარ-შეხანტლული გული დაუჭრა.

ენრიკომ ერთი ხელით მაღალ სტუმარს მიართვა, მეორეთი თავის უფროსს.

სტუმარმა ჯერ დაყნოსა და მერე პირისაკენ გაიქანა ცვრიანი გულის ნაჭერი.

— ხო-ხო-ხო, რა გემრიელი რამ ყოფილა, რაღა არ მიჭამია, მაგრამ ასეთი რამ ჩემს სიცოცხლეში არ მიგემია.

— ასე ვიცით ჩვენში! — კმაყოფილებით ჩაილიმა მასპინძელმა, ჭიქას წასწვდა და: — მოულოდნელი სიხარულის სადღეგრძელო უნდა შემოგთავაზოთ, ჩემო ძვირფასო მეგობრებო!

— გაუმარჯოს!

— ვაშა! — მიუკაკუნეს ჭიქები.

ენრიკო აღტაცებული იყო, რომ ორივე უფროსი დიდ სიხარულს განიცდიდა, და თავის საქმეს მიუბრუნდა. ხელდახელ გამოლადრა ყელი ჩამოკონწიალებულ მსხვერპლსა და მოჭრილი თავი პირაღმა დადო ბალახზე. ნუკრის თვალები, რომელშიც ისევ ცურავდა დამკლავებული მკვლელი, უაზროდ მიაჩერდა ზეცას.

— ძალიან მარჯვე ხელქვეითი გყოლიათ! — თქვა სტუმარმა.

— კი ძალიან, რას იტყვით, რომ მაგის მარჯვენამ არ გააკეთოს.

—სიტყვამოსწრებულიც ჩანს.

— კი.

ენრიკომ ყური მოაძოვა და ცხელცხელი გულის ნაჭრები კიდევ მისთავაზა ორივეს.

სტუმარიც და მასპინძელიც დიდი სიამოვნებით წასწვდნენ.

— სადოქტოროც დაიცვა, ხომ? —

ეროვნული

ცოტახნის დუმილის შემდეგ იკითხა სტუმარმა.

—ვინ; მიხაილ ნიკალაევიჩ?

— იმ შენმა მარჯვენა ხელმა...

— ?!

— შოთა ყანჩაველზე მოგახსენებთ.

— კი, სადოქტოროც დაიცვა...

— რატომაც არ დაიცავდა. აბელ ვახტანგიჩი აქა ჰყავდეს და აკადემიკოსობასაც მალე დაირტყამს. — საუბარში ჩაეზიარა ენრიკო.

— განათლებული ბიჭია, ხომ?

— უაღრესად! — მიუგო აბელმა.

— განათლებული რა, მეტს რას აკეთებს, ზის კაბინეტში და კითხულობს. — მიაყოლა ენრიკომ.

— ძალიან ნიჭიერი ჩანს.

— აბა, უნიჭო კაცი როგორ მოერევა იმხელა შავ საქმეებსა! — ამჯერადაც ენრიკომ გასცა პასუხი.

— შავსა?!

— დიახ, შავ საქმეს უფრო უნდა დიდი ნიჭი.

— ?!

— ეჰ, თქვენ არ იცით, რაებს სჩადის ის დიდად ნიჭიერი და განსწავლული ყანჩაველი!

— მაინც?

— არა, ვერ ვიტყვი, გამიჭირდება, იმიტომ, რომ მოხერხებულად თამაშობს პატიოსანი და ჭკვიანი წინამძღოლის როლსა. თამაშობს და მიზნისთვისაც მიუღწევია, ტაში არ აკლია და სიყვარული, დიდი ავტორიტეტი მოუხვეჭია ხალხში. ეჭვის ნატამალიც არ ეპარება არავის. დარწმუნებული ვარ, რომ თქვენც ასე გიცნიათ. არა, გაჩუმება აჯობებს.

ცნობისმოყვარეობა გაუღვივა მაღალ სტუმარს.

ჩააცივდა.

და მაინც თქვა სათქმელი ენრიკომ. რა თქმა უნდა, დიდი სიფრთხილითა და „ფაქტების“ მოშველიებით.

— ნუთუ?!

— კი, რაც კეთდება, სულ თვითონ აწერს, რაც ფუჭდება იმას კი...

— ?!

— სხვებიც ბევრი იმსგავსა. ახალგაზრდობის მესვეურიც აიყოლია.

— მე დიდი მოწალმართე მეგონა და...

— ნეტავი ეგრე ყოფილიყო.

— მე სხვა რამეს ვუპირებდი...

— ბევრი რამ ხდება ქვეყანაზე...

— ნუთუ? — კვლავ დაეჭვებით იკითხა სტუმარმა.

— მართლა ძნელი ამოსაცნობი ყოფილა ადამიანი, მით უფრო, ისეთი ნიჭიერი და განსწავლული, როგორიც დოქტორი ყანჩაველია.

— აბელი რას ფიქრობს?

— კი ვიცი, რა შვილიც არის, მაგრამ...

— მაგრამ?!

— მე უფრო მიძნელდება თქმა, რადგან ყველა იცნობს, როგორც დიდად განსწავლულ კაცს, აზრიანსა და მოწალმართეს. სინამდვილეში კი... ეჰ, მაგის დრო არ არის ახლა...

— ბრძანეთ, ბრძანეთ!

— სინამდვილეში კი დიდი უკუღმართია... საკითხი ვერ დამიყენებია, რომ არ შემეწინააღმდეგოს, კაცი ვერ დამინიშნია, რომ ხელი არ გაატატანოს. ყველაფერს ეჭვის თვალით უცქერის, ყველა უპატიოსნო ჰგონია, თვითონ კი...

— თვითონ კი ისეთ უპატიოსნობას სჩადის, რომ ყურში არ ჩაიშვება... სჩადის პატიოსანი კაცის სახელით...— წააშველა ენრიკომ, — რაც მაგან მოიხვეჭა, შვილთაშვილებსაც ეყოფა...

— ნუთუ?! — კვლავ გაიკვირვა მაღალმა სტუმარმა.

— თქვენა გგონიათ, მართლა თავისით მოფრინდა ის დისერტაციები?!. კარგით, ნულარ მათქმევინებთ...

— ძალიან ბევრ საკითხს უგულებელყოფს ხოლმე თვით ბიუროზეც კი... — ისევ აბელმა განაგრძო.

— სხვები?..

— სწორედ სხვა წევრები ჩასჩრიან ხოლმე პირში ბურთსა.

— და მაინც იღბლიანი კაცია, აბელ ვახტანგიჩ! — ჩაურთო ენრიკომ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ჰო, ძალიან. ისეთი ქცევა-მოქმედება აქვს, რომ დიდსაც და პატარასაც შეაყვარა თავი...

— მაგის ნიჭი უფრო დიდი აქვს.— კვლავ მიუსაფანლა ენრიკომ .

კიდევ ბევრი რამ ჩააწვეთეს მაღალ სტუმარს.

— მერე ვერ დასვი საკითხი?! — თითქმის საყვედურით მიმართა მიხაილ ნიკალაევიჩმა.

— მიჭირს.

— აბელ ვახტანგიჩს ისეთი ვეებერთელა გული აქვს, რომ...

— გული გულია, მაგრამ პრინციპული უნდა იყოთ.

— პრინციპულობა არ აკლია აბელ ვახტანგიჩსა, მაგრამ...

— ხალხის დარწმუნებაც გამიჭირდება და მარტო ჩემი ღონეც არ ეყოფოდა მაგის მორყევას, მიხაილ ნიკოლაევიჩ!

— ზემოდან მოგეშველებოდნენ.

— ზემოთაც ვთქვი ერთი-ორგან და ენაზე ლოდი მომაბჯინეს.

— ჩემთვის გეთქვა.

— მაგდენი ველარ გაგიბედეთ, ვიცოდი, რომ დიდი პატივისმცემელი ხართ მისი და...

— მე ყველაზე დიდ პატივსა ვცემ ჭეშმარიტებას და საქმეს...

— იმიტომაც უყვარხართ ხალხს. — წამოიძახა ენრიკომ.

სტუმარი ჩაფიქრდა. თვალის კილოში ჩაიმჩნია მეტად შეუმჩნევი ღიმი, ისეთი, რომ თვით თვალმაცაცერა ენრიკომაც ვერ შეამჩნია.

სამივე დადუმდა წუთიერად. თავთავიანთ საფიქრალს ჩაუღრმავდნენ, მაგრამ სამივე მალე ამოიყვინთა, რადგან ნიავმა მოიყოლა:

„მზეო თიბათვისა, მზეო თიბათვისა...
ლოცვად მუხლმოყრილი გრაალს
შევედრები...“

მოღუღუნე რადიომიმღებს თავად შოფრებიც აჰყოლოდნენ ისეთივე დაბალი და ნარნარა ხმით.

— დამისხით, დამალევინეთ! — წამოიმღერა ეშხზე მოსულმა თამადამ.

სამივე ჭიქა გალიცლიცდა.

— სიმართლეს და პატიოსნებას გაუმარჯოს! — რიხიანად დაიწყო აბელმა.

— ამინ!

— ვაშა!

და სასმისები მიუკაკუნეს ერთმანეთს.

კვლავ ბოლომდე გამოსცალეს.

— გაამოთ! — გულის მწვადი მიართვა ენრიკომ, თოთო და ცვრიანი.

— იფ, იფ, იფ!

—ამისთანა მწვადი ჯერ არ მიგემია! — ხარბად ილუკმებოდნენ სტუმარიც და მასპინძლებიც.

„მზეო თიბათვისა, ამას გევედრები“... — იმ ლორთქო ბალახივით მობიბინებდა ხასხასა სიმღერა.

. . . . . .

— იმ ღმერთისტოლა სტუმრისთვის ისეთი სუფრა გაუშლიათ, რომ თავის დღეში არ ეხილა. — მაინც გაღწეულიყო ხმა ხალხში.

— ჰო, რაღაც არაჩვეულებრივი დაკლეს, თურმე, არაჩვეულებრივადა...

— რაღაცა კი არა, ვიღაცა დაკლეს, ვიღაცა...

— კიდევა კაცო?!

— კიდევა, რა... ცოტა ჰყავთ ჩამოსატყავებელი?!

— და მაინც გულნაკლული დარჩენილა მაღალი სტუმარი.

— ?!

— ყველაფერი კარგია, მაგრამ ქალიო?!

— აბელს თვალით უნიშნებია ენრიკოსთვის.

— მერე?!

— ისიც სიხარულით დაფრენილა.

— თუ გაუჭირდებოდა, თავის ცოლსაც მიჰგვრიდა.

— გაჭირვების გარეშეც იზამდა მაგას. — ფრთხილ-ფრთხილად გადადიოდა ყურიდან ყურში.

---

გიორგი ხორგუაშვილი

ჯვარაკები

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## 6. ბოლოთქმა

— ახლა კი ნამდვილად გათავდა ენრიკო ბიწაძის ხანა.

— დრო არ იყო?

— გათავდა და როგორ!

— ქრისტეს ტირილია.

— განკითხვის დღეა.

— ასეა, ჩემო ძმაო. ხომ თავიდანვე უთქვამთ, ბოროტებას გრძელი დღე არა აქვსო.

— ძაან ფოლადაური გამოდგა ჩვენი ახალი თავკაცი. ერთმანეთზე აფარა ენრიკოსნაირი არაკაცები. თავვის სოროენატრებათ, ვინ ვის გაასწრებს.

— მაგრამ დაუსჯელად არავის უშვებს. ჯერ ამ ბერაში გაიარეთ.

— ჰო, ბეწვის ხიდი გაუბია. ცოდვილები ვერ გადიან და ჯოჯოხეთში აგზავნის.

— ძალიან კარგია, დედა ვაცხონე იმ ახალი თავკაცისა და მამა.

—იმათაც ბეწვის ხიდზე ატარებს, ვინც შორიდან შესცქეროდა სეირს.

— ისინი უფრო ღრმა კუპრში არიან ჩასაყრელები.

— მაშ ჩვენც მოგვიწევს!

— მადლი გვაწონასწორებს, თორემ ნამდვილად ვერ გავივლიდით ბეწვის ხიდზე.

— წავიდეთ, საქმეს მივხედოთ, რა დროს ლათაიებია.

— გულს უხარია სიმართლის ხის განედლება და ის გვალაპარაკებს, თორემ საქმეზე ისედაც მოგვიწევს გული.

ეს საუბარი მოვისმინე კარგახნის წინათ. მათი ბაასი ჯერ მინელდა, მერე სულაც დამეკარგა ყურიდან. მაგრამ თვალთაგან მაინც ვერ მოვიშორე ენრიკო ბიწაძე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## ვანო ჩხიკვაძე

●

არაგვს გამოლმა ბებერი მსხლები,
ბებერი სახლი — ძველი ზღაპარი.
მოხუცი ქალი — მოხუცი წლები,
მხოლოდ თოვლია, თოვლი — ახალი.

ძველი ზამთრები გადარეკილან,
აქ დარჩენილან სევდიან ამბად.
თვლემს სამფეხაზე თეთრი დედილო
და ყაისნაღით მოწყენას ქარგავს.

●

უცხო ტყეების პატარძალო — თეთრო
არყის ხევ,
კვლავ გამოდიხარ ფოთლოვანიდან
და მიყუჩებულ ტკივილს აღვიძებ.

ო, მეშინია არ დავამსხვრიო
რაც ტანჯვით სულმა შეაკოწიწა.
დაბრუნდი უკან,
უცხო სახლია,
უცხო სხეულთან რატომ მოდიხარ.

გადაივიწყე ზაფხულზე გლოვა —
ფერხთით ფაფუკი თოვლი დაიგე.
თორემ საცაა ტყისმჭრელი მოვა,

ტყისმჭრელი მოვა
და ცულს დაიქნევს...

მხოლოდ შორიდან უნდა გეფერო,
ვხვეტო თოვლი და ვწმინდო ხატები.
და შენს ვარდისფერ საძინებელში
ფეხაკრეფილი სანთლებს ვანთებდე...

ნისლივით ტყიდან —
როცა ინებებ
გამოცურდები და თავს მაწონებ.
როგორ მომაგნებ, დიდმა ყინვებმა,
დიდმა ზამთრებმა გზა გადაძოვეს.

●

მე იქ არა ვარ.
ღამის ნათურა
ისევ დაჰყურებს ცარიელ ფურცელს —
ამოუვსებელ ფიქრის სამარეს.

დაედო მტვერი.
პირქვეჩამხობილ
წიგნისქვეშ შავი ობობაცხოვრობს
და გაჰყავს ქსელის წვრილი ძაფები
გაურკვეველი მიმართულებით.

მე იქ არა ვარ.
განუსაზღვრელი დროით დავტოვე
ნავსაყუდელი
და აღარ ვიცი როდის შევაღებ
დაყრუებული ოთახის კარებს.

მე იქ არა ვარ —
ყოველი წუთი
იმ ჭერქვეშ მხოლოდ ჩემზე დარდია
და პირსაბანთან დაბმულ კვიცივით
ჭიხვინებს ბავშვის ველოსიპედი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

●

რკინიგზისპირა სასადილო —
აქოთებული
ნარეცხისა და თამბაქოს სუნით,
ჭრიალა ფიცრის იატაკით,
ძველი სკამებით
თბილი იყო და დამშეული, როგორც
ბოსელი —
ყველა თავ-თავის ბაგასთან ება...

მე დავინახე, როგორ შეირხა
ჩაგუბებული ნაცრისფერი
და შემოდგომის მოწყენილი პეიზაჟიდან
ის გამოვიდა —
წვეთი ამღვრეულ უსაზღვროების...
გეშაღებული ნადირივით თავდაღუნულმა
კარები ბოლმით მოაღნიოშა
და მოგვანათა ჯურღმულივით ბნელი
თვალები.

ყველა თავ-თავის ბაგასთან ება
ძვლების რჩევით და ცოხნით გართული —
ვერც კი გაიგეს,
შუა ოთახში გალაჯულმა,
როგორ იყვირა:
„ძნელია ყოფნა,
მეგობრებო,
ძნელია ყოფნა“ —
და მაგიდაზე დააფშვნა მუშტი...

მას არაფერი არ უთხოვია —
მკერდში ჩაკრული გაქუცულ ქუდით
წავიდა კაცი.
მოწყენილი პეიზაჟისკენ
ათი წელია მიდის, მიდის —
თვალს ვერ ვაცილებ.

●

მახსოვს, სილაში ჩამხობილი იწვნენ ნავები,
მოცეკვავეთა დერეფნიდან როცა გავედით.

ზურგი ვაქციეთ ერთმანეთში არეულ კარტებს —
ღამის ლამაზებს,
არყის გიჟებს,
მოაგარაკე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შემთვრალ ბერიკაცს, დეკოლტიან მკერდს რომ ცოხნიდა,
რომ გამოეხმო ვნების მსგავსი დამჭკნარ ხორციდან.

იხარშებოდა ოფლის სუნში ბარის „ელიტა"...
ძლივს გავაღწიეთ.
გადმოვედით კარუსელიდან...

ხვალ მიფრინავდი.
მთავრდებოდა ტალღის შრიალში,
ორკვირიანი სიყვარულის მძაფრი სეანსი.

ცაში გამქრალი თვითმფრინავის თეთრი წერტილით
დასრულდებოდა ეს ამბავიც.
და დალეწილი
ღამის გრიგალით,
ღამის შტორმით,
ღამის ვაებით
აბღავლდებოდნენ ჩამხობილი პირქვე ნავები...

რა დარჩა ჩემთვის:
მხოლოდ ხსოვნა ჩამქრალი ღველფის.
ხსოვნა ფერფლია —
იმ დღეების მიჭირავს ფერფლი.

## საწერი მაგიდა

თვეებისა და ამინდების მონაცვლეობას,
მოახლოებას ქარიშხლების, ტალღის მოქცევას,
ბალახზე ნამის გამოღვიძებას —
გრძნობ და სეისმურ სადგურივით მაფრთხილებ, მიხმობ.

არ დამითვლია მერამდენედ ვხვდებით ერთმანეთს —
შენ — ახორხლილი წიგნების კუზით.
მე — გაცვეთილი რკინის ქალამნით...

ყოველი დღე და ყოველი წუთი
სამზადისია შორეული მგზავრობისათვის.
უნდა ვიფიქრო,
რას დაგიტოვებ
მე რომ სახლიდან გავიდე და ველარ დავბრუნდე.
უნდა ვიფიქრო,
თავის ახდამდე უნდა ვიფიქრო,
თორემ ის დადის, —
უხილავი ზედამხედველი
გასაღებების აცმის ჩხაკუნით.
უნდა ვიფიქრო,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბოლო ყლუპამდე,
ბოლო ლუკმამდე უნდა ვიფიქრო,
თორემ ის დადის მთელ ქალაქში, მთელ სამყაროში...

გაანახევრეს ღამეებმა ჩემი სიცოცხლე,
ცვდება დოლაბი,
მე კი ისევ შიშველ ხელებით
სხვისთვის უხილავ ლოდს ვაქუცმაცებ.
და წვეთავს სისხლი თითებიდან,
მოედინება,
სტრიქონებშუა ნაპრალები ხავსეა სისხლით...

სჭირდება ვინმეს? —
ეჭვი შავი ერკემალივით
აბორგდება და ალესილი რქები — ფიწალი
მობჯენილია დაჩხარულ მკერდზე.
გაბოჭილია მაშინ სხეული
მარადიული ძილის სურვილით,
მხოლოდ და მხოლოდ ერთი ნაბიჯი
რჩება ყველაფრის უარყოფამდე —
მაგრამ შენ ფხიზლობ, ღამის შუქში ამოცურდები
და ჯადოსნური ფრინველივით ფრთებს შემაშველებ...

ჩემო ჭრიალა მეგობარო, შენ იცი მხოლოდ —
სტრიქონს ოჯახში შემოაქვს პური —
ამიტომ მაინც უნდა მოვიდე,
დღესაც გაქერქილ ქედზე დაგეყრდნო
და ცარიელი ჯიქანივით ვლოღნო ფიქრები.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## ვახტანგ ხარჩილავა

### მადლობელი ვარ

შენ ყოველივე უწყი და იცი,
გახსნა გონებამ მომავლის ფარდა:
უკაცური და ხრიოკი სივრცე
და არაფერი ნანგრევთა გარდა.
წლების წყვდიადში იელვებს წუთით
მტანჯველი სიბრძნე და გზას გინათებს,
მაგრამ შენ დუმხარ: ან როგორ უთხრა
ამ მოკისკისე ბავშვებს სიმართლე;
ამ ხუროს, დიდ ტაძარს რომ აგებს,
ამ მხატვარს, მხატველს ღვთაებრივ ფერით,
ბაგეს, რომელიც ეკვრება ბაგეს,
გოგოს, რომელიც ხატრფოს წერს წერილს,
როგორღა უნდა უთხრა: — შეჩერდი!
როგორ დაუსხა კერაზე წყალი,
როცა ზეიმობს ეს ცისქვეშეთი
და ყანას თესენ კაცი და ქალი.
და, ნუ დააფრთხობთ არყოფნის ლანდი,
იფრინოს წერომ, სივრცეს რომ ელტვის,
ერთი დღით ადრე მოკვდები დარდით,
მაინც არავის არაფერს ეტყვი.
ვიზრდები ისევ, მრავლდება წუთი
საუკუნედ და მძიმდება ტვირთი.
მადლობელი ვარ, შენ როცა დუმდი,
შენ როცა დუმდი, მე მაშინ ვქმნიდი.
მწვანდება ჩემი მწირი მინდორი,
მადლობელი ვარ მთელი არსებით,
რომ არ გამწირე და დამიტოვე
გზა, ხვალის დღეში გადასასვლელი.

### ახალგაზრდობა

აყვავებული ატმის ტოტივით
აპრილის ციდან ჩამონატეხი
ეს ცისარტყელა შენთვის მომაქვს,
მამულო ჩემო.
დამეყრდენ მხარზე,
დამაშენე ბეჭზე ტაძრები,

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემომიმტკიცე ირგვლივ გალავნად.
ჯერ არ დამილია სისხლი და ჯიში,
რომ შენზე მტერი გავაცინო ფარისეველი.
შენი ნამუსის, შენი ენის და უკვდავების
შენი სიცოცხლის ვარ მეციხოვნე
და სულ ვიქნები ახალგაზრდა,
მარად ჭაბუკი,
რომ შენ, მამულო, არასოდეს არ დამიბერდე.

●

შენ შეცდენილი ხარ ანგელოსი,
მხრებზე ციური შუქი გაყრია.
შენ შეცდენილი ხარ ანგელოსი,
მაგრამ რატომღაც ქალს გეძახიან.
უცხოს და ცისფერს ბრჩო ვერ აიტანს,
ბაღს გაგითელავს და აგიოხრებს.
შენ გამოგძერწა ზეცამ მთვარიდან,
ქალის ტანით და ქალის მიმოხვრით.
და მოგისაჯა მამრის გაოფლილ,
ხარბ, გაუმაძღარ სხეულთან იწვე.
შენც სასჯელს იხდი.

შორს მოგალობე
ჩიტების გუნდი მიფრინავს მზისკენ.
შენ თეფშებს რეცხავ, ახურებ ღუმელს,
დახრულ იატაკს ხეხავ ჯაგრისით,
რომ დაემგვანო ოჯახზე მზრუნველ
და მოფუსფუსე დიასახლისებს.
მერე შლი ლოგინს, ასწორებ ბალიშს,
წვები ალერსის მაცდური ნიღბით
და ბედნიერი გეხვევა ქმარი,
ქმარმა რა იცის, რომ სასჯელს იხდი...

●

რატომ მეგონა,
რომ სადღაც მივდიოდი,
როდესაც უცბად გამომეღვიძა
და დავინახე,
რომ საკუთარი თავის გარშემო
დავფორთხავდი და დავწრიალებდი
მთელი ცხოვრება.
ვერ გამიგია, რად ამბობენ „გზა მიდისო",
— გზა არსად მიდის,
თუკი ჩვენ არ მივდივართ
სადმე...

## მონოლოგი წარსულიდან

...უკანასკნელად ჩაქრა ვარსკვლავიც,
უკანასკნელად ჩაქრა კაშკაშით.
შუბზე ამაგეს და დროშასავით
ამაფრიალეს უცხო ლაშქარში.
ვის წაჰყვა ჩემი ცოლი და ძაღლი.
ნეტა ვინ აღებს ბჭისკარს ჭრიალით.

ჩემს ძვლებს, გალუმპულ თივაზე დაყრილს,
ვისი ურემი მიაჩხრიალებს.
ქვეშ ვის უგია ჩემი ნაბადი,
თოვლსა და ქარში ტანს რომ მეხვია.
მტრის გუთნისდედა ალბათ მარაბდას
ხნავს და ჩემი ძე მისი მეხრეა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სამარადისოდ სხვამ დაიტოვა
(მე მტვრიან ბინდში უნდა ვიარო),
ცა — ნათხოვარი ლურჯი მინდორი
უფლისგან ღამე სახეტიალოდ.
ჩემი ფიალა აწ ვინ დ.სცალოს,
ნორჩი ვენახი ვინ გამიხაროს,

ანდა უმზეომ და უვარსკვლავომ
რით გავითენო, რით დავიღამო.
ვის ერდოზე ჰყეფს ერთგული ძაღლი,
ვიღას უმშვენებს ცოლი მზიანეთს.
ჩემს ძვლებს, გაქვერილ თივაზე დაყრილს,
ვისი ურემი მიაჩხრიალებს.

●

რა შეგიძლია,
ამაოა დრტვინვა და შფოთვა,
უშენოდ ხდება ყველაფერი,
არავინ გკითხავს
როგორ გათენდეს ან დაღამდეს,
რა უნდა მოხდეს,
ვინ ხარ,
სად იყავ აქამომდის, ან საით მიხვალ.

რა შეგიძლია,
დაუბიათ გზაზე ცერბერი —
ბედი და გული ლუკმა-ლუკმა უნდა აძლიო.
მოლოდინშია გალურსული სივრცე
ბებერი
და არ მთავრდება დრო უსახო და
უმანძილო.

●

ცხენი დავარდა
უკაცრიელ გზებზე ჭენებით,
ვერ მოგისწარი, ბატა, დროულად.
ბჟადალისაკენ მიფრინავენ ჩემი დღეები,
დამძლია ქარმა შემოდგომურმა.

აქ სადღაც ოქროს თასი მეკიდა
და ფეხქვეშ მეგო მდელოსავით
ლბილი საღამო.
ვბრუნდები უკან ზღაპრებიდან,
ლეგენდებიდან
და ღამეს ვუთევ ნისლში ჩანთქმულ
სამურზაყანოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

*კარლო კობერიძე*

# ცხენი

თურმე საღამოს ღონიერი ბინდ-ბუნდი იდგა უკვე, საურმედან ორღობეში რომ გამოიყვანა „ქიგული“ და სოფლისკენ შეაბრუნა. ერთნი ამბობდნენ, მოაფრენდაო, მეორენი — ორთავშუად მოაშრიალებდაო; თვითონ კიდევ ჩადგება სალაყბოზე გამოფენილ ახალგაზრდა პენსიონერებსა და ყალთაბანდებში, გაოცებითა შლის ხელებს და იმდენ დასაფიცარს იფიცება, იმდენ სალოცავს იმოწმებს — ფრთხილად მოვირწეოდიო, — ისღა დაგრჩენია, დაუჯერო. თანაც: საქმე საქმეზე მიდგება და, დამნახველიც არავინ არის, ყველას ერთი და იგივე აკერია პირზე, ასე ამბობენ და, მე რა ვქნაო! თუ რომელიმეს ჰკითხე, ისე, მაინც ვისგან გაიგეო, შენ გგონია, დამალავს? — გვერდით ვინც ედგომება, იმისკენ გადაიქნევს თავს, აეს არაკუნებდაო. ის მორაკუნე კიდევ, თვით მათი მასწავლებელი, დაბადებით სკოლის დირექტორი, სალაყბოზე წუთით შეჩერებული ორდენოსანი სევერიანიც რომ ედგეს გვერდით, იმაზე მიაშვერს თითს — აეს ატყლაშუნებდაო. მოკლედ, ეს იმას აბრალებს, ის ამას და ასე ილეწება კალო. თავიდან დაიწყებ და, ისე შემოუვლის კევრი, არც არაფერს დააკლებენ, არც წაუმატებენ რამეს.

მოკლედ, მთელი დღეები დგანან, გამვლელ-გამომვლელებს მიაცილ-მოაცილებენ თვალებით, ოცკაპიკიან მზესუმზირას აკნატუნებენ, ხან ერთ ფეხს ჩახრიან, ხან მეორეს, ერთმანეთს თვალს უკრავენ და გვერდულად იკრიჭებიან; მარტო თეთრად მოხრიალებულ სეტყვას მოიხვედრებენ ხოლმე გულზე — გაუჩნდათ ჩვენებს სადარდელიო — თეთრად მოხრიალებულ სეტყვასა და კიდევ ამას: წელიწადში სამჯერ რაღა მაინცადამაინც მავან და მავან ფულში ჩაქცეულ სულიერს უმართლებს სპორტლოტოო? ანდა: ლატარიაში მანქანას იგებდა ერთი ვინმე, მაგრამ ის ოხერი სერია არ დაემთხვაო... მოდი და ამ დამთხვეულების ხელში სიმართლე გაიგე! ჰოდა, რაკი სხვა გამოსავალი არ ჩანს, ისევ ბესო მგელაძეს უნდა დავუჯეროთ — რაც მთავარია, „ქიგულიც“ თავისია და საჭესაც თვითონ უჯდა. მაგრამ მთელი უბედურება ის არის, რომ ტყუილი მოწმეც არ ჰყავს, სასამართლო კიდევ, როგორც მოგეხსენებათ, ღმერთის, ცოლ-შვილისა და თუნდაც დედმამის მხურვალედ დაფიცებას ჭეშმარიტების დამადასტურებელ საბუთად არ თვლის. რა თქმა უნდა, სწორი გადაწყვეტილებაა, თორემ ადვილი შესაძლებელია, ურწმუნომ ღმერთი დაიფიცოს, ცვედანმა — ცოლ-შვილი, ობოლმა კიდევ — დედ-მამა. მერე რას შვრები, როგორღა უნდა ჭამოს პური სამართალმა?.. ჰო, თუმცა იმ ბინდ-ბუნდში კი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩამოუვლია ვიღაც მენახირეს, მაგრამ ისე ყოფილა გალეშილი, ფეხზე ძლივს იდგაო, თურმე არყის, ცხვრის დუმადრემლისა და წაქის სუნად ყაროდა. უბნის ინსპექტორმა, მილიციის უფროსმა ლეიტენანტმა გიგო ბუაძემ ეჭვი გამოთქვა, მაგ ნიშნებით, მეჩვენება თუ რა ღვთის წყრომაა, ის შენი მენახირე მწყემსსა ჰგავსო. ამ ბესო მგელაძეს იმ მენახირისათვის (ეჭვი მაინც ეჭვიაო და ისევ მენახირედ მოუხსენებია) ჩაუვლია საყელოში აკანკალებული ხელები, კარგა ხანს უჭანჭყარებია — გაახილე თვალი, მე შენი ეგრე და იგრე, გაახილე და დაინახე, როგორ დამღუპეს და დამაქციესო. შენც არ მომიკვდე: ვერაფრით ვერ ჩაუგდია გულისხმაში, მარტო იმას ლუღლუღებდაო, ეს რაღა საჩხუბარია, დაასხი და დავლევო. არაყზე რა მოგახსენოთ და, სილაქი კი ნამდვილად დაულევინებია. სილაქის გალაწუნება ყოფილა და, მენახირე მაშინვე დაოთხილი ჩაქანებულა თავქვე, ისე შეშინებულა, გადაუხვევია გზიდან, თავით გაურღვევია გიო ტურიაშვილის ძეძვის ღობე და დატაროებული სიმინდების ლაწალუწით შევარდნილა ვენახში. კოლმეურნეობის თავმჯდომარის დისწულს, სალაყბოს პროფკომს ზაზას უთქვამს, თუ სიტყვა „დაოთხილს“ ჩავეჭიდებით გამოცდილი გამომძალველის, უკაცრავად, გამომძიებლის ალღოთი და უნარით, მაშინ: რისი მენახირე, რომელი მწყემსი, სახედარი შეუფუნდრუკებია, ოღონდ, თქვენთან რა მაქვს დასამალდასაფარი და, ცოტა არ იყოს, „საყელოში ხელის ჩავლება“ კი მაფიქრებსო, აი, „საყელური“ რომ ეთქვა, ღმერთს რომ გადმოეხედა და თუნდაც წამოსცდენოდა, იმასაც ნახავდით, აბრია ლომიძეს თავს როგორღა უკრავდა სამართალშიო... ერთი სიტყვით, ის ვიღაც მთვრალი მენახირე თუ მწყემსი დატაროებული სიმინდების ლაწალუწით შერევია გიო ტურიაშვილის ვენახს და ბესოსაც დასხმია ჭირის ოფლი, ასე რამ გამომათაყვანა, გვარ-სახელიც ვეღარა ვკითხეო. ერთი თალია უფიქრია დადევნება, მაგრამ მალევე ჩაუქნევდა ხელი, მაგას მე კი არა, შიო კვერნაძეც ვეღარ დაეწევაო. ეს ის შიო კვერნაძეა, მარშან ცოლი რომ გაექცა. რაც ეწყინა, ეწყინა, ჰოდა, ეზო-ეზო, ქუჩა-ქუჩარის ვაი-ვაგლახით წამოკრიფა მამაილა შვილები, მარტო თავის ტანსაცმელსა და შვილებისას მოუსვა ხელი და ავტობუსების გაჩერებაზე წყევლა-წყევლით გავარდა. სირბილი ჩემი მოგონილიაო, ულვაშებში ჩაიცინა შიომ, მაჯის საათზე დაიხედა და, რაკი ბალღები აღარ ჰყავდა მოსაძებნი, მაშინვე მოახტა აბრია ლომიძისაგან ნათხოვარ „წაბლას“ და ჭალისაკენ დაეშვა. ვიდრე ცოლი თელავიდან უგრაფიკოდ ჩამომვლელ ყვარლის ავტობუსში ალალავდა შვილებს, ქმარმა ალაზნის გატოპვაც მოასწრო და სიმამრის დახმაურებაც. გავიდა ცოლი ყვარელში და ხედავს: თალარქვეშ პურ-მარილია გაშლილი, შიო თამადად დაბრძანებულა, ერთ მხარეს სიმამრი მოუსვამს, მეორე მხარეს — სიდედრი, ველისციხის დამკრძალავი ბიუროს სასულე ორკესტრი „სად გაგათხოვო, ქალაუს“ აცოდვილებს, ახლახან სალდათიდან დაბრუნებული ცოლისძმები კიდევ ბუქნაში ამოდიან. შიომ თავისი საყვარელი ცოლ-შვილის სადღეგრძელო დალია და ალავერდს სიმამრთან გადავიდა. სიმამრმა ძველზე უსაყვედურა: მართალია, სანაქებო სიძე მყავხარ, მაგრამ ერთი ნაკლი შენცა გქონდა და უკვე ესეც გამოასწორე, რაკი უღლესასწაულოდ და დაუპატიჟებლად გვინახულეო. შიომ ცოლს ენა გამოუყო ქურდულად. ცოლმა პირზე აიფარა ხელი, თავი გვერდზე მიაბრუნა და ახითხითდა, მერე დაჯდა სკამზე და იმდენი იცინა, იმდენი, კინაღამ მართლა მოკვდა სიცილით. არავის უკითხავს, რა გაცინებსო. ქალია და, ვიცით, რასაც გვიპასუხებს — არაფერიო. რა გატირებსო და, მაშინაც — არაფერიო. ისე გამოდის, თითქოს ქალები არაფერზე ტი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიან და იცინიან, ტირიან და იცინიან — მამა უცხონდათ!.. იმას ვამბობდი: ბესო მგელაძე დაბეჯითებით არწმუნება, მანქანა ნელა მომყავდაო და, სხვათა შორის, ისეთ მიზეზს ასახელებს, რისი მოწმე, რა მოწმე — ისედაც დაეჯერება. შუქფარებიც ნამდვილად ექნებოდა ჩართული: მაშინ ღონიერი ბინდბუნდი იდგა უკვე, თანაც ისეთი ღონიერი ბინდბუნდი, წვრილ-წვრილი ვარსკვლავებიც რიგრიგობით ციმციმებდნენ და, თქმა არ უნდა, თვალიც ველარ გაუჭრიდა. კურდღლისჭერიანთ დაფეხვილ შალალოს რომ აუჩემებია თვალების ხამხამივით, იმ დროს ჩემი ბიძაშვილის ვენახში ვიყავი და, ღმერთი-რჯული, აშკარად ვხედავდი ღობე-ღობე გამომკრთალ მანქანის შუქსაო, — ესეც გასაგებია. ჰოდა, ბარემ მადლი მოისხას და ისიც გაგვაგებინოს, ბოლო-ბოლო, ვის მხარეზეა, ბესოსი თუ აბრიასი? იმას რომ ჰკითხოთ. აბრია, სხვაც არა იყოს რა, ჩემი ბიძაშვილის ქვისლიაო, ბესოს კი ეხმარება ქვის მოკოდვაში! არადა, ერთიც ვნახოთ, აბრიას ჩალაბულის ქოხი ცეცხლს მისცა ვინმემ, შალალოს ფეხმართალი ბიძაშვილის ვენახიდან, თქვენ წარმოიდგინეთ, ისიც არ გამოჩნდება... თუმცა სოფელია და რას იზამ! — ან ამას იტყვიან, ან — იმას, ჭორს რომ ავყვეთ, ვინ იცის, საიდან სად წაგვიყვანს, სიმართლე თუ გინდათ, აი, რა როგორ მოხდა:

საღამოს ღონიერი ბინდბუნდი იდგა უკვე, ბესო მგელაძემ საურმედან ორღობეში რომ გამოიყვანა „ჟიგული“ და სოფლისკენ შეაბრუნა. შუქფარები ჩართული ჰქონდა და სინათლეში გარკვევით დაინახა: აბრია ლომიძის ცხენი ღობის ფურცელზე გრძელი თოკით ება და იმ ფურცლის უფოთლო ყლორტებს ეტანებოდა წვეროების წასამტვრევად. ცხენმა ფურცლის ყლორტების ჭამას თავი მიანება და მანქანას გახედა. ეტყობა, შუქმა მოსჭრა თვალი, რაკი მკვეთრად შეტოკდა და, თითქოს გზას უთმობსო, ღობეს აეკრა. ცხენის მხარეს აკაციის, კვრინჩხის, კუნელის გადაკაფული ცოცხალი ღობე იყო ორივე მხარეს — მაყვლისა და ასკილის გაფოფრილი ღობე, ოღონდ ხე და ხე-ძეძვის ჯარჯებიც ჰქონდა ჩაკერებული. ღობეს არ გავეხახუნო და არ გავკაწროო — ბესოს ნელა მოჰყავდა მანქანა, ნელა და ფრთხილად — ტომრით გაქვს თუ კაპიკ-კაპიკ ნაგროვებ-ნაშავდღევარი, სამოცდათხუთმეტი ათას მანეთს ფული ეთქმის მაინც! ჰოდა, ბესოს ნელა მიჰყავდა მანქანა. ცხენს რომ გაუპირისპირდა და ის-ის იყო თითქმის გასცდა კიდევაც, ცხენი ერთბაშად შემობრუნდა, დაიფრუტუნა, ღობის ეკლებში შერგო თავმკერდი, ღონივრად გაუქანა წიხლი და „ჟიგულის“ მარჯვენა უკანა კარს სდრუზა. ბესოს ჭერის ჩამოქცევასავით მოესმა მკვახე ჭახანი, საჭეც მაშინვე შეუქანდა ხელში და ისიც იგრძნო, მანქანამ როგორ მოიქნია ბოლო და როგორ აუჴენა ლაწალუწი მაყვლისა და ასკილის გაფოფრილ ბარდებს. ემანდ, არ დაუნაცვლოს წიხლიო, სიჩქარეს მოუმატა და წინ გავარდა. ათიოდე მეტრი გაიარა, დაამუხრუჭა, დაფეთებული გადმოხტა და კარს რომ დახედა, შიშმა ისე გაუფართოვა თვალები, იმ ღონიერ ბინდბუნდშიც მშვენივრად დაინახა ნალის ჩაღრმავებული ანაბეჭდი. იფიქრა, თვალი ან სიბნელე ხომ არ მატყუებსო. ხელიც მოუსვა, მერე ასანთითაც შეამოწმა და უარესად გაშრა, გახევდა, ერთიანად მოუდუნდა ხელ-ფეხი. ფოქრისა და ჯავრის ბურანიდან ისევ ცხენის ფრუტუნმა გამოიყვანა — გავიგო მაინც, ვისი უპატრონოაო — მივიდა, აათვალიერ-ჩაათვალიერა და მაშინ უფრო გადარია, გააბოროტა, გააგიჟა ჯავრმა — აბრია ლომიძის „წაბლა“ იყო! წაბლა მშვიდად, დაგემოვნებით ჭამდა ფურცლის უფოთლო ყლორტებს. კაცის მიახლოებაზე თავი მშვიდად მიაბრუნა გვერდზე, მიაჩერდა, მერე უფრო ღრმად მიდგა ღობეზე და ისევ ყლორტებს შეეწოდა.

— მე შენი პატრონის!.. — ძეძვის ჯარჯებისკენ გავარდა ბესო, ქვები ეგულებოდა იქით და იმას დაუწყო ძებნა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ სიჩქარით იყო თუ სიბნელით, მაზიდის ნალარში ჩაეჭედა ფეხი, გადაქანდა და თავით ჩაეყუდა ჯარჯებში. გინებით წამოდგა -- ერთ ხელში მუშტაქვა ეჭირა, მეორეს კი ძეძვით დაკაწრულ პირისახეზე ისვამდა. წაბლამ იგუმანა ქვის დარტყმა, ერთი შეიჭიხვინა, ყალყზე დადგა, აიწყვიტა, აითრია თოკი და თავქვე დაეშვა. გინებით დაედევნა ბესო. ერთხანს თვითონაც აწყვეტილი მისდევდა, მაგრამ მალევე იაზრა, ვერ დავეწევიო და ალალბედზე ესროლა ქვა. ის ქვა, ცხენს კი არა, მისი მომიჯნავის ნიკა ქურციკიძის ქოხს დასცა, კრამიტებს ზრიალი აუყენა და პატრონი ძილიდან გამოაგდო. ნიკამ, ახალი მთვარე რომ დაენახვა, აშკარად შეატყო, გვალვით იმუქრებოდა და მთელ იმსიგრძე დღეს თოხის ტარი არ გაუშვია ხელიდან — საზამთროს ფხვიერ მიწას აყრიდა ძირებზე.

— ჰაიტ, მე შენი დამკარგავის!.. — ტახტის ჭრიალით წამოვარდა ნიკა და ქოხის ბოძზე მიყუდებულ სარს წამოავლო ხელი, — ძილში მაინც რატო არ დამაყენებ, შე კეთილძაღლო!

მანქანისკენ წაბუზღუნებული ბესო გაჩერდა, ჭირის ოფლი შეიმშრალა ცხვირსახოცით და ხმადაბლა თქვა:

— თუ თოფი არ დაგცე, კაცი არა ვყოფილვარ!

— ვის უნდა დასცე თოფი, შე შობელძაღლო! — აყვირდა ნიკა.

— შენ ვინ გეუბნება!

— მიწაა და იმდენი მომპარე, ბარე ორი მწკრივი საფერავი გაიმართება!.. შენ მოგეფეროს ბრმა ტყვია!.. ეხლა კიდევ ქოხში აღარ მაჩერებ, — ამ შუაღამისას დგახარ და ქვებს მიშენ!

— შენი ქოხი რა შუაშია, ცხენს ვესროლე!

— შენ რო კაი კაცი იყო, ცხენს და ქოხს ვერ გაარჩევდი ერთმანეთისაგან?.. ცხენს ვესროლეო?!.. იარე მაგის ოთხზე! აქ რა, არ გემარჯვება ტყუილი!

— ამას რაღა უნდა, კაცო?! — ბესომ ვარსკვლავიან ცას ატაკა ხელები, — ცხენს ვესროლე-მეთქი და, თუნდაც აი, ბარდისთვის მითქვამს, თუნდაც — შენთვის! — ასანთი გაჰკრა და „ჟიგულის“ კარს მიანათა, - -რა მიყო, კაცო, ეს რა მიყო, წყალში არ გადამიყარა ამდენი ფული?!. ერთი თოფი მქონოდა აქა!.. გდებულიყო მანქანაში, საჭმელსა მთხოვდა თუ გადაყენებას, რას დავდიოდი ცოლის ჭკუაზე!

— შენ რო თოფის სროლა შეგეძლოს, ქვას აღარ დამაყრიდი!.. მიწის ქურდო!.. აძაღლებული მამაშენივით შენც შეგჭამს მიწა, ერთხელაც იქნება და შენც შეგჭამს! — ქვეყნის გასაგონად ყვიროს ნიკა.

— ვინ გაგაჯავრა, ნიკავ, ყმაწვილო? — ხევგაღმიდან ეძახის მძახალი, — იმასაც საზამთროს ყარაულობა უმწარებს ძილს.

— მგელაანთ უვარგისი თოფის დაკვრასა მპირდება!

— მაგას რო აცხადების შნო ჰქონდეს, არ დაგემუქრებოდა!.. ალბათ ენა ექავება და, გაუშვი, იქექოს!

სწორედ მაშინ ჩამოიარა ვიღაც მენახირემ თუ მეცხვარემ. ისეთი მთვრალი იყო, თვითონაც ძლივს იდგა ფეხზე და სულიც ძლივსღა ედგა პირში——-იმისი თავიც აღარ ჰქონდა, სავალდებულო გამარჯობა ეთქვა. ეგ კი არა, „ჟიგულს“ წააწყდა და კაპოტს ჩაარტყა ნიკაპი. შუქფარები ანთებული რომ არ ჰქონოდა, კაცი იფიქრებდა, ვერ დაინახაო. ციდმოვლენილ ანგელოზად მიიღო ბესომ — ღმერთმა მოწმე გამომიგზავნაო, მაგრამ ვერც ლაპარაკით, ვერც შეჭანჭყარებით, გონში ვერ ჩააგდო და, ისღა დარჩენოდა, სილაქი გაეცხო. ის ვიღაც მწყემსი თუ მენახირე, უცებ გამოფხიზლდა თუ რა იყო, დაოთხილი ჩაქანდა თავქვე, მერე გზიდან გადაუხვია, თავით გაარღვია გიო ტურიაშვილის ძეძვის ღობე და დატაროებული სიმინდების ლაწალუწით შევარდა ვენახში.

— ვაჰ, კაცო, ზარალი და ეგეთი?! — ტაში შემოჰკრა ბესომ, — ეს რო კაცს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ექნა, მოგზავნილი მეგონებოდა! — მანქანაში ჩაჯდა, დაქოქა და, რადა დროს, მაგრამ უფრო ფრთხილად, დაკვირვებით აუყვა ორღობეს.

მთვარის ჩრდილიდან გამოვიდა ნიკა, მანამდე გაჰყურებდა მანქანას, ვიდრე მისი წითელი შუქნიშანი მოსახვევში დაიკარგებოდა, მერე კი ისე ჩაიქირქილა, ხევგალმა მისმა მძახალმა გაიგო:

— რაო, ნიკავ?

— აბრიას ცხენმა მანქანა მიუჭეჭყა!

— თვითონ აბრია სადღაა?

— სალოცავში წავიდა და მე მომაბარა „წაბლა“. რა გონიერი ცხენია, კაცო, როგო მაშინვე გავარდა?! რა ვქნა, ეხლა, საით ვეძებო?

— აქ დაბალახობს, ჩემს გასადევარზე!

— ღმერთი გიშველის, მიაბი რამეზე, მოვალ და წამოვიყვან!

— რადა უნდა წაიყვანო, ბარემ აქ იყოს ამაღამ!..

**2**

ბესომ საჩეხში გააჩერა „ჟიგული“, საიდუმლო ჩამრთველი მოხსნა — ჯიბეში ჩაიდო, მანქანის კარები დაკეტა და კიდევ ერთხელ დახედა აბრია ლომიძის „წაბლას“ ნალის ანაბეჭდს, დახედა და კბილები გააკრაჭუნა:

— მოიცა, მალე გაქცევ მაწანწალა ძაღლების ლუკმად!

მარნიდან საცრის ტყაპატყუპი ისმოდა: ბესოს ცოლი ნაზო ფქვილსა ცრიდა ვარცლში.

ბესომ დირეს ოხვრით გადააბოტა და მარანში შევიდა:

— ბალღები სად არიან? — თან თახჩაში შემოდგმული ფუჩეჩდაცობილი ხელადა ჩამოიღო, ნერვულად მოაძრო ფუჩეჩი და მოიყუდა.

— კინოში წაბრძანდნენ, — საცერში ჩარჩენილ ქატოს ხელი მიუსვ-მოუსვა ნაზომ და გაოცებული მიაჩერდა ქმარს, — რას შვრები, კაცო?! — საცერი ვარცლში ჩადო და ხილაბანდის ყური აიკეცა.

ბესომ ტუჩებზე მაჯა გაისვა და ხელადა გააჭანჭყარა:

— რასა ცოდვილობ?

— ხვალ პურს ვაცხობ და უნდა წავახაშო, — საცერი აიღო, გადააცერავა — ქატო ერთ მხარეს მიაქუჩა და ფქვილზე დარჩენილ საცრის წრეხაზს დახედა.

— ვითომ საფუარი აღარ იშოვება? — ისევ მოიყუდა ხელადა.

— იმით გამომცხვარი პური აკი უგემურია, თანაც ადრე ხმება და ობიც ადრე ეკიდება, — რუყრუყზე თავი ასწია, გადასწვდა და ხელადაზე უტაცა ხელი, — რამ გაგაგიჟა და გაგასულელა, კაცო?! ეგრე, მშიერ გულზე როდის იყო, ღვინოსა სვამდი?!

ბესოს ხმა არ ამოუღია, ფუჩეჩი ცოლს მიაწოდა და საჩეხში გავიდა. ნაზომ ფუჩეჩდაცობილი ხელადა კასრზე დადგა და თვითონაც საჩეხში გავიდა — ბესო მანქანასთან წახრილიყო და ჩაჭყლეტილ კარს დაშტერებოდა.

— რას უყურებ? — ჰკითხა ცოლმა და გაფქვილული წინსაფარი ჩაიფერთხა. ქმარი არც გატოკებულა. მაშინ კი ახლოს მიდგა, გვერდზე მიაყენა ხელით და ჩაჭყლეტილი კარი რომ დაინახა, გამშრალი მიაჩერდა ქმარს, — რა მოხდა, კაცო?!

— რაც მოხდა, ეგე, ეგ მოხდა!

— ვისმა ცხენმა მიარტყა, კაცო?!

— ვისიც იყო, იყო!

— მაინც?!

— ხვალ გეტყვი.

— ეხლა რატო არ მეუბნები?! — გადაფითრდა ქალი.

— სოფელი დაღლილია, იძინებს და, შენ როგორა ფიქრობ, მე მაგისი დამფეთებელი ვარ?.. ვისიც იყო, იყო!.. შენ იქნები მოწმე და აეს მანქანა, თუ ეს შევარჩინო, თუ ამას არ გადავაყოლო!.. — კედელს მიარტყა მუშტი, — იმ გზაზე რამდენი მანქანა დადის, სადაური გინდა, როდინდელი, რა ზომისა და ფერისა, მაგრამ მაინცდამაინც მე გამამწარა! — ცხვირთან დაიტრიალა მუშტი.

— თვალებიც დაგთხარა! — ქოქოლა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიაყარა ცოლმა, — იცი კიდეც, ხედავ კიდეც: საქმე არაფერი გაქვს ვენახში და მაინც იქ დაეთრევი ყოველდღე! ხამი იყო მანქანისა, ვიფიქრებდი, ეხალისება-მეთქი! ამ ბოლო ათ წელიწადში მესამე მოახრე და მაინც ვერ მოისურვილე, შე ოხერო?.. გეხალისება და, ასფალტიან გზებზე იარე, იმ ჩაოხრებულ ორღობეებში რა გრიალი დაგაქვს!.. შუადღისას წახველი და მას აქეთ რა შავი ჭირი გინდოდა ვენახში!

— ატმის გრილოში წამოვწექი და, ჩამეძინა, — მარანში შეიხედა ბესომ.

— ნუ იყურებს მაქეთა!.. შენ ჩაგაძინოს მიწამ და სიკვდილმა!

— ხმას დაუწიე, თორემა!... — მარანში შევიდა ბესო.

— სად მიხვალ, კაცო?!. დასწყევლოს, ღმერთმა! — მარნისკენ წავიდა ნაზოც.

— არ შემოხვიდე, თორემ!.. — ხელადა მოიყუდა.

— ყოველდღე რა გინდა ვენახში, კაცო?! — დირეზე გაჩერდა, — უშენოდ ვერ დამწიფდება მტევანი?!

ბესომ ამოიხვნეშა და ხელადას ისევ დაუცო ფუჩეჩი:

— მა ვის ვუყურო, ქალო, შენ გიყურო? ვაზის ჩურჩულს, ღიღინსა და სიმღერას ყური მოვარიდო და შენს ლაქლაქს ვუსმინო, ქალო? იცი, რა ატირებს და რა ადარდებს ვაზს? გეყურება რამე ვაზის ვედრებისა?.. ქალებს მარტო ფული გგონიათ ვენახი და სტუმრის საამებლად მაგიდაზე შემოდგმული სველი ხელადა! გასხვლა-გადაკავება, შესარვა, ძირების გამოთოხნა, შეწამვლა თუ ათასი ჯანდაბა, რატო მაშინ არ მეუბნები, ყოველდღე ვენახში რას დაეთრევით?.. ეხლაა სიყვარულის სალერღელამშლელი, მოსაფერებელი, სიცოცხლეს რომ გაყვარებს — ისეთი და ეხლა გავარიდო თვალი?!

— ოჰო-ჰო-ჰო-ჰო, შენ თუ ლაპარაკის მიზეზი იპოვნე!.. — თავი გააქნგამოაქნია ნაზომ.

— ნუ მაძებნინებ და არ ვიპოვნი! — ეზოში გავიდა ბესო და ბუხუნით გახედა აბრია ლომიძის სახლს, — ცოლია? — დაიმგვანა! ძაღლია? — დაიმგვანა, — ამოდენა უბანში მარტო მე მიყეფს! ქათამია? — ისიც დაიმგვანა, ყველას ეზოში გადადიან, აქეთ კი, თვალს რო წყალი დაალევინონ, საიმისოდაც არ გამოიხედავენ ხოლმე!.. ვაჰ, კაცო, ცხენიც თავის ჭკუაზე არ წაიყვანა, კაცო?!

— ყველა უბედურება თქვენგანა მჭირს, აგრემც თქვენს ეზოში ამოსულა ვეძა და ახტალა! — ისე უცებ აწივლდა ნაზო, ისე უცებ გასძახა აბრია ლომიძის სახლს, ბესოს კისერი ჩაუვარდა მხრებში.

— გაჩუმდი, ქალო! — უყვირა ცოლსა და თვითონაც აბრიას სახლს გახედა, — სინათლე მარტო აივანზე ენთო.

— გაჩუმდი, გაჩუმდი და, ეგე, ცხენიც გადაგვამტერა! — უარესად აწივლდა ცოლი, — აგრემც აბრია მამაჩემივით შეუჭამია უცხო მიწას, აბრიაცა და მაგისი გასაგისიც!

— გაჩუმდი-მეთქი, გეუბნები! — დაუბუხუნა ბესომ, წყლის ონკანი მოუშვა და თავი შეუშვირა.

— აგრემც წყალსა და ღვარს წაუღია მაგისი სახლ-კარი!

— შენ არ გეუბნებიან? — თავი მკვეთრად გააქნია ბესომ, წვეთები მიფანტ-მოფანტა და კისერზე ხელი მოისვა.

— რა გნებავს?

— სალოცავში არიან...

ყვირილმა გამოაღვიძა ადრე ჩათვლემილი, დაღლილი უბანი, აქა-იქ, სახლებში სინათლე აინთო. გზაზე ქივქივით ჩაიარეს კინოდან მონადენმა გოგო-ბიჭებმა. ბესოს ქალ-ვაჟიც დაბრუნდა კინოდან და ჭიშკარი მიხურეს თუ არა, ისევ აჭრიალდა — დაუზარელი ვეტექიმი ექვთიმე ჯიქია შემოვიდა ეზოში.

— რა ყვირილია აქ, თუ ძმა ხარ? — შინაურულად ჰკითხა ბესოს.

— მოდი, კაცო, რა შორიდან კითხულობ, ჩამოვსხდეთ და გეტყვი!

---

კარლო კობერიძე
ცხენი

— ნიკა ქურციკიძის სახლობას ნემსი უნდა გავუკეთო, გეთაყვა, ბარემ მივალ და მოვალ.

●

მეორე დღეს, მზე რომ ამოიმართა, მაშინღა გამოჩნდნენ ლომიძეები. მანამდე კი ცოცხის მოზელვაც მოასწრო ბესოს ცოლმა, თონის ამოხურებაც, ჩაკვრაც, მოხდაც და ინკუბატორშიც ჩავიდა წიწილების გამოსაყვანად. ცოლი ინკუბატორში რომ გაისტუმრა, ბესომ საჩივარი დაწერა და მილიციის ინსპექტორს გიგო ბუაძეს მიუკაკუნა კაბინეტის კარზე. ამ დროს ინსპექტორი გაოცებით დაჰყურებდა ჭარმაგი პროფესორის სურათს, რომელიც სტუმრად ჩამოსულიყო თავისი ნასტუდენტარის, მეძროხეობის ფერმის გამგის ბიჭის ქორწილში და სამახსოვრო სურათი გადაეღო ჩრდილოეთური ველის ჯიშის ძროხებთან. პროფესორს ბრალი ედებოდა, მართალია ორგანოსათვის ცნობილი მოხულიგნო ელემენტის, მაგრამ ჯერჯერობით მაინც სრულუფლებიანი მოქალაქის ცემაში. ბრალმდებლის განმარტებაში საოცარი ის იყო, რომ თვითონ პროფესორს კი არ ამოუტრიალა ხელყველაფერი, არამედ, საკუთარ ძმას. ადვილი შესაძლებელია, არც ტყუოდა მეძროხეობის ფერმის გამგის, ასე ვთქვათ — კულტურული სტუმარი, მაგრამ, რაც უმთავრესია და გადამწყვეტია, ფაქტი ფაქტად რჩებოდა: ამონაყული ცხვირ-პირი, ანუ სხეულის მსუბუქი დაზიანება.

ინსპექტორმა პროფესორის სურათი გაზეთის ქვეშ ამოდო და მომსვლელს მშვიდად დართო კარის გაღების ნება:

— შემოდი.

შევიდა გამტკნარებული ბესო, თავის დაკვრით მიესალმა და ქაღალდი მიაწოდა.

— რა არის? — ჰკითხა ინსპექტორმა.

— მანქანა მიმინგრიეს, — თქვა და თავი გვერდზე მიაბრუნა.

— რას ამბობ, ბიჭო, როდის?!

— მანდა წერია ყველაფერი, წაიკითხე.

ინსპექტორმა ტუჩების ცმაცუნით გაადევნა თვალი ნახნავზე გადავლილი ბილიკივით ოკრობოკრო სტრიქონებს. ჯერ ტუჩების ცმაცუნით კითხულობდა, მერე ჩურჩულით, ბოლოს ბესოს ანიშნა, სკამზე დაჯექიო და ხმამაღლა განაგრძო კითხვა:

„...ჰოდა, ა/წ 12 აგვისტოს, 21 საათის ახლომახლო, ჩემი ვენახიდან მოვდიოდი ჩემი „ჟიგულით“. იმ თარგებს, სადაც ეს ჩემი ვენახია, „გაპარულა“ ჰქვიან. საურმედან ორღობეში რო გამოველ, დავინახე ჩემდამი მტრულად განწყობილი მეზობლისა და მომიჯნავის აბრია ლომიძის ცხენი „წაბლია“, რომელიც რომა ღობის ფურცელზეება და დანაშაულს სჩადიოდა, — ფურცლის უფოთლო ყლორტებს ჰამდა, რითაც მომავალი წლისათვის საზიანოდ ამცირებდა აბრეშუმის პარკის უხვ მოსავალს. სინათლეები ჩართული მქონდა და ფრთხილადაც მივდიოდი, ღობეს არ გავეხახუნო და მანქანა არ დავფხაჭნო-მეთქი. ისე იდგა ცხენი, ისე მშვიდად ახრამუნებდა ძვირფასი ფურცლის ძვირფას ყლორტებს, მეგონა, ყურადღებას არ მაქცევდა, მაგრამ, ცოტა რო გავცდი, გამოაქანა წიხლი და ვაგლახად მიმინგრია მანქანის მარჯვენა, უკანა კარი — ეგრე დამღუპა და დამაქცია! როგორც მოგეხსენება, სულ ორი თვის ნასყიდი მაქვს და ისე ველოლიავები, ჯერ ორი ათასი კილომეტრი არ გამიტარებია. მთელმა სოფელმა იცის, რო ლომიძეები კოლექტივიზაციის პერიოდიდან გადაგვეკიდნენ სამტროდ — მაგის მამას ეთქვა, მე ხუთი უღელი ხარკამეჩი შევლალე კოლექტივში, შენა — ყევარი, ცოდნით არა ხარ ჩემზე მეტი, პარტიული დამსახურებითა და გვარიშვილობით, ჰოდა, შენზე კი არა, ჩემზე უფრო უპრიანი იყო თავმჯდომარეობაო. ამ კინკლაობას ოცდაჩვიდმეტში რაც მოჰყვა, მოჰყვა, ის სოფელმაც იცის და შენცა, მაგრამა მე ის მაჯავრებს და მაბოროტებს, რომა აღარ მეხსნება —

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

იგრე გაწვრთნა ცხენი, ჩემიანებს ახლო ვერ გაუვლიათ: ან საკბენად ეტანება, ან კიდენა წიხლის მისარტყმელად იწევს. ეხლა ერთსა გთხოვ, უფროსო, და თუ ყურადღება არ მოგიქცევია, ძალიან მაღლა წავალ და ჩემსას მაინც გავიტან: აბრია ლომიძემ უნდა მიყიდოს „ჟიგულის“ მარჯვენა უკანა კარი. მოვრჩით! ჩვენი ხელისუფლება არავის აპატიებს უდანაშაულო, არამცთუ კაცის, არამედ მანქანის დაჩაგვრასაც კი! თანაც ნუ დაგავიწყდება, რო კოლწევრი ვარ და ყოველ წელს გამოვიმუშავებ ხოლმე სავალდებულო მინიმუმს. მშრომელი გლეხის დაბრიყვება არც იგრე ადვილია. მანქანის კარი უნდა მიყიდოს და მომიტანოს. მოვრჩით! მარტო ათი დღის ვადა მიმიცია“.

გიგო ინსპექტორმა საჩივრის ქაღალდი გვერდზე გადადო და ბესოს მიაჩერდა:

— ერთი ეს მიბრძანე, მანქანას ვინ მიგირტყა წიხლი?

— ცხენმა.

— მერე, რომელს უჩივი, ცხენსა თუ ცხენის პატრონს?

— ცხენის პატრონს.

— მაშინ იქ იყო?

— არა, სალოცავში ბრძანდებოდა ლამისთევით, ცხენი კი ნიკა ქურციკიძეს ჰყავდა მიბარებული.

— ჰოო, — საქაღალდე გახსნა ინსპექტორმა, — ქვეყანა დაბეზღებებისა და საჩივრების ჯღაბნაზეა გადასული, არც საკუთარი თავი ეცოდებათ, არც სხვა, — თავი ასწია და ისევ ბესოს მიაჩერდა, — შენი ერთი შვილი მეათე კლასშია, მომდევნო — მეცხრეში, რაღაც ორიოდე წელში ერთი სიძეს მოგიყვანს, მეორე — რძალს და ჭკუა მაინც არ გექნება. არა გრცხვენია, ბიჭო, ეგეთ რამეზე ჩივილი გაგონილა?!

— რას ამბობ, გიგო, რა დროს სირცხვილია, შვიდიათას ხუთასი მანეთი წავაყარე!

— თუმანიც არ უნდა, მიიტანე პროფილაქტიკაში და გაასწორებინე.

— არა, ეგ წაიღოს და ახალი მომიტანოს!

— მოკლედ, შენთან მოლაპარაკეს სამი ჯამფილა ტვინი უნდა ჰქონდეს! — რას მირჩევ, როგორ მოვიქცე? — გახსნილ საქაღალდეს დახედა.

— კანონი შენ იცი და მე მეკითხები?! — გაუკვირდა ბესოს.

— კარგი, აბრიას დავიბარებ, გამოვარკვევ, ამ საქმეზე რასა ფიქრობს, მანამდე კი ერთ საჩივარს გაგაცნობ, ვიცი, დაგაინტერესებს. აი, რაო, — ინსპექტორმა ქაღალდებიდან ფანქრით ნაწერი რვეულის გადაბმული ფურცლები ამოარჩია, პირველი გვერდი გამოტოვა და ხმამაღლა წაიკითხა: „5 მარიამობის თვესა, ეგრე, შეღამების 9 საათზე, თავისი მანქანით გავიდა ვენახიდან და ორღობეში გაჩერდა. ჯერ იყო და, აბრია ლომიძის ცხენს გამოუდგა საცემად, მემრე კიდევ ქვები დაუშინა ჩემს ქოხსა და ექვს-ნახევარი კრამიტი გამიტეხა. შარშანწინ მიწა მომპარა და შევარჩინე. შარშან რთველში ყურძნით დატვირთული მანქანა უკან-უკან წააყვანინა ქალაქელ შოფერს, ვენახის ბოძებზე ჩაბმული ხუთი ლუზა გამიწყვიტა, — ისიც შევარჩინე, ეხლა კიდევ ისე გამუტრუკდა, დგას შუაღამისას და ქვებს მესვრის. ესეც რო ვაპატიო, ვინ დამიდგება თავდებად, შინ არ მომივარდება და ფანჯრებს არ ჩამიმტვრევს?“ — ინსპექტორმა შეკავებული ღიმილით მოიქექა კეფა, — რას იტყვი?

— როდისაო?! — ფერი დაკარგა ბესომ.

— ამ თვის ხუთშიო.

— ეგ აკი გუშინ იყო?!

— როცა იყო, იყო, შენ ისა თქვი, ტყუილია თუ მართალი?

— მართალია, მაგრამ ცხენს ვესროლე ქვა და, რა ვიცი, რა ღმერთი გამიწყრა, ქოხს კი მოხვდა!

„ეგრე მითხრა, რომაო, — კითხვა განაგრძო ინსპექტორმა, — ცხენს ვესრო-

კარლო კობერიძე
ცაენი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლე ქვა და ქოხს კი მოხვდათ. ეს იმას ნიშნავს, ვითომ ქოხი ცხენში შეეშალა. ვერ დავიჯერებ! ყველა ყველაა და, ქოხი რო არამც და არამც არა ჰგავს ცხენსა, შენც კარგად მოგეხსენება, უფროსო, და კანონის დამცველ იმ სხვა ხალხსაც, ვისაც ცხენიც უნახავს და ქოხიც". ჰა? — ისე ჩაეკითხა ინსპექტორი, არც თვალი მოუშორებია სტრიქონებისათვის, არც კალმის წვერი.

— შემთხვევით მომიხდა-მეთქი და არ ეყურება!

— გაუგებელ კაცთან ლაპარაკს წყლის ნაყვა სჯობია, არა?

— სჯობია და, მაგრე?

— ჰმ?! რა ვქნა, რა პასუხი გავცე? — ამოიოხრა ინსპექტორმა.

— ავდგები და მთელ კრამიტებს მივუტან დღესვე, მეტი რაღა უნდა?

— მაგის პასუხსაც წაგიკითხავ ბარემ: „ვიცი, გეტყვის, ავდგები და მთელ კრამიტებს მივუტან დღესვეო. კრამიტზე მეტი რა იშოვება — მზიან დღეში მთიდან რო გადმოხედო ჩვენს სოფელს, თვალს ვერ გაუსწორებ — თეთრად ლაპლაპებს სახლებზე დახურული თეთრი თუნუქი, ჰოდა, ისე გაიაფდა ქართული კრამიტი, ცალი ათ კაპიკადაც აღარ იყიდება. უარს არ ვამბობ, — მომიტანოს. კრამიტი კრამიტია, თუმცა არც მთლად ეგრეა საქმე: ზოგს კენჭი ურევია, ზოგის თიხა კარგად არ არის დაზელილი, ზოგი ცუდად არის გამომწვარი, მაგრამ ესეც არაფერი!.. ოღონდ ისიც იცოდეთ, რო გატეხილი კრამიტი, თუნდაც მილიონი — გამოიცვლება, გაბზარულ-განახევრებულ, დამტვრეულ სულს კი ვერაფერი გამოცვლის. ერთი სიტყვით, კრამიტის კი არა, მე ჩემი სულის გაბზარვას, განახევრებას, დამტვრევასა ვჩივი." — ინსპექტორი წამოდგა, — ახლა ამით დავამთავროთ, — საქაღალდე დახურა, — სამ საათზე მოხვალ მანქანით, იმათაც გამოვიძახებ და დანარჩენზე მაშინ ვილაპარაკოთ.

—

— რა ცხენია?! — მოიწონა ინსპექტორმა აბრიას ულაყი, — ყურიც მომიკრავს, თვალიც, მაგრამ ასე ახლოდან, აი, პირველადა ვხედავ. რატომ არ დაგიკოდინებია?

— წლებმა და ცხოვრებამ მე რომ დამკოდა, რა მადლობელსა ვარ!... ამისი ბედი ჯერჯერობით ჩემს ხელშია და რად უნდა დავაკლო ბუნების მადლი და სიკეთე? ვუყურებ და ჩემი სიჯეილე მახსენდება! ვიდრე წუთისოფელი თავის კლანჭებს დაანახვებს, გაუშვი, იცელქოს!.. თითქოს ეყურება და სამაგიეროს იხდისო, გუთანშიც, სათარშიც, სირბილშიც და ყველაფერშიც კარგია, კარგი დალოცვილი, ენა ვერ იტყვის! ნამდვილად საკვირველებასა ვარ — ულაყი და ეგეთი ჭკვიანი, კაცო?!

— მე კიდევ იმ საკვირველებას ვარ, აქამდე როგორ დაგიყენეს ცხენის ოსტატებმა? — წაბლას შუბლზე ხელი ჩამოუსვა ნიკამ.

— დადექ, ნიკავ! — გაეღიმა ინსპექტორს, — ჩემკენ ნუ აზუზუნებ ქვებს, ნიკავ!

— ამაგიანი ცხენია, — თქვა ვეტექიმმა ექვთიმე ჯიქიამ, — ამ ახლომახლო სოფლებში სულ ეგეთი კვიცები მომრავლდნენ. გასამრჯელოს იღებდე, აბრია, ქონებაში ჩაიქცეოდი!

— ნეტა, ეგეთი მამალი აზრები როდის აქეთ მოგდის თავში? — გაეცინა აბრიას.

გიგო ინსპექტორმა საათზე დაიხედა, მერე თვალი მოატარა სასეიროდ თავმოყრილ დიდ-პატარას და მკაცრად თქვა:

— რამოდენასა ყაყანებთ, კაცო?!. ცოტა მოუკელით, თორემ გუნდგუნდად დაგიფრენთ აქედან! — და ისევ საათზე დაიხედა — სამს ხუთი წუთი აკლდა — სიტყვის კაცი ვარო და, ხუთი წუთის შემდეგ გამოჩნდება მგელაძე.

მართლაც ხუთი წუთის შემდეგ გამოჩნდა: მანქანა კაკლისკენ წაიყვანა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხრდილში შეგროვილი ხალხი მიმოფანტა და შუბლდაკეცილი გადმოვიდა მანქანიდან.

— მჭედელი აქ არის? — ხალხს თვალი მოატარა აყლაყუდა ინსპექტორმა.

— მე მეგონა, ფეხბურთის საყურებლად წავიდოდა ქალაქში, იმისმა რძალმა კი მითხრა, ტყეშია გოდორის წნელზეო, — ღრეჯით თქვა კურდღლიშერიაანთ შალალომ.

— მართლა, მიწავ? — მოიქუფრა ინსპექტორი.

—დიახ!

— შენ აქ სეირის საყურებლად კი არა, ცხენის შესათვალიერებლადა ხარ მოსული და, ნეტა არ მინდა, დაიკარგოს!

— რა სანახავად, ეგ ცხენი ჩემს ხელში არ გაიზარდა?!

— ცხენი კი არ გაიზარდა შენს ხელში; შენა ხარ აბრიას ხელში გაზრდილი, მაგრამ ნამუსის ნატამალი არ გაოხრია, შე შობელძაღლო, და თხუნელა თვალის ექიმთან რომ მიიყვანო, ისიც არ გამიკვირდება შენგან! —მერე ბესოსკენ შებრუნდა ინსპექტორი, — მჭედელი რომ არ არის, უიმისოდ გამოვა რამე?.. თუმცა გამოსვლით როგორ არ გამოვა, მაგრამ კაცი გაგაგებინებს რამეს?

— აბა, რაღა უნდა გელაპარაკო! — ბესომ გასაღები ამოიღო ჯიბიდან და მანქანის კარს დაუწყო ჩხუკუნი, — ჯერ არ დაგიწყია გამოძიება და უკვე მაგისკენ მიღრიჯე!

— მართალია! — ვიღაცამ გამოცვლილი ხმით ჩაილაპარაკა ხალხში.

—. გაგიგებ, რომელი იყავ და გაგახსენებ თავის დროზე! — თქვა გიგო ინსპექტორმა იმ ვიღაცის მისამართით და მანქანის კარი გამოაღო, — გამო გარეთ და ეგ საყვედური მაშინ მითხარი, გამოძიებას რომ დავამთავრებ.

— მე იმას არ გეუბნები, მტყუანი ვარ და გამამართლე-მეთქი! — მანქანის კარი ისევ გასაღებით დაკეტა.

ნალის ნაკვალევს უყურებენ უსაქმურები და კანონსა და სამართალში ჩაუხედავად არჩევენ საქმეს:

— მარჯვენა წიხლი უკრავს, — ამბობს შალალო და წუხს, — ნალი რომ გაეფუჭებინა, აფსუსი არ იყო?!

— რითი ატყობ? — ეკითხება სალაყბოს პროფკომი ზაზა, — რა მანქანა უქცია ჯართში ჩასაბარებლად?!. მე მარცხენა მგონია.

— საერთოდ, ნალის გარეთა მხარე გაშლილია, შიგნითა — ოდნავ მოხრილი. ნაღდად მარჯვენა წიხლით უზიარებია!

ზაზა აკვირდება ნალის ანაბეჭდს, დიდხანს აკვირდება და მერე დიდკაცურად უქნევს თავს:

— მართალს ბრძანებთ, პატივცემულო, მაგრამ, ვერაფრით გამიგია წუხანდელს აქეთ: ვითომ რაო, ბესომ, რომელი ჭერი ჩამომექცა, ჩემი თუ ომით დაქვრივებული სიდედრისაო?!. ხალხი ფულს აძლევს მანქანაზე ნალის მიჭედებაში, იმისთვისაო, რა ჰქვია, ღმერთი ამაშორებს ავტოინსპექტორსა და ავ თვალსაო, ეს კიდევ, ეს იდიოტი, თავის მომავალ მძახალს არ უჩივის?

— გაიწით იქით! — ბრძანა გიგო ინსპექტორმა და ბესოს შეხედა, — შენ ამბობ, ცხენი გააქეზაო, არა?

— ეგრე მეჩვენება!

— რა გეჩვენებაო, იმას არ გეკითხებიან! რითი ამტკიცებ-მეთქი?

— რა ვიცი, მა რაღა ჩემი მანქანა ამოიღო თვალში?!

— როცა არ იცი, არც უნდა თქვა!.. შენა, შვილოსა, ჯერ კერავ და მერე ჭრი!.. ეგ სისულელე ამ სოფლის იქით აღარ წამოგცდეს, თორემ შენი საშველი ხომ რა ხანია აღარ არის, აღარც ჩვენ დაგვადგება ხეირი — შენნაირი ვეგონებით ყველა.

ნავივით სავსე ცხენი მესერზეა გამობმული და ისე ჩაფიქრებულა, გეგონება, საცაა მონანიების ქაღალდს დაწერსო. აბრია და ნიკა ცხენის შორიახლო დგანან და ღიმილით გაჰყურებენ მანქანასთან ადონდგოლებულ ხალხს.

---

კარლო კობერიძე

ცაენი

ეროვნული ბიბლიოთეკა

— როგორ გავიგოთ, აბრიას „წაბლას“ ნალის ნაკვალევია თუ ხხვისა? — იკითხა გიგო ინსპექტორმა, — აბა, ხალხნო, გაანძრიეთ თავი და გაითქვით სახელი!

— მე ვიტყვი, — თან ხელი ასწია სალაყბოს პროფკომმა ზაზამ და შალალოს თვალი ჩაუკრა.

— დაუშვი ხელი, — ბიძამისის, კოლმეურნეობის თავმჯდომარის ხათრით გაუცინა ინსპექტორმა, — ვიცი, რასაც იტყვი!

— კაცო, გიგო, — წინ წამოდგა ვეტექიმი ექვთიმე ჯიქია, — ორ მსოფლიო ომში ვარ ნამყოფი, ორჯერვე გერმანიას ვებრძოდი. პირველად გამოუცდელი ვიყავი და ბევრი ვერაფერი დავაკელი, მეორედ კი ნამდვილად გავაბრუნე...

— მესამედ რაღას გაგიბედავს! — ჩაიხითხითა შალალომ და თვით ინსპექტორიც კი აიყოლია.

— შენ ხმა ჩაიწყვიტე! — ვეტექიმსაც გაეცინა, — ჰოდა, ომში, გეთაყვა, მარტო საომრად კი არა, სასწავლებლადაც მიდიან... პირველად და მეორედაც სულ მედსანბატში ვმსახურობდი, მართალია, თავდაპირველად არ ვიცოდი, მაგრამ მერე და მერე ჩემით ვისწავლე და ნემსებს სულ მე ვუკეთებდი ოფიცრობას!.. საქონლის გარდა, სხვა რაღა გამეგება!.. ამდროული კაცი ვარ, გეთაყვა, და, ასეთი უბრალო რამის დადგენა გამიჭირდება? — დაიხარა და ფეხსაცმლის თასმა მოიძრო, — მომიშვით ცხენთან!

გზა დაუგდეს და მიუშვეს.

— უკანა მარჯვენა ფეხი აუწი, აბრი!

— რა გინდა?

— აუწიე და გაიგებ.

აუწია.

ექვთიმემ ნალს თასმა სიგრძივ დააზომა, თავსა და ბოლოში ზომას მაგრად ჩაავლო თითები და ისევ მანქანისკენ წავიდა — ნალის ნაკვალევს დაკვირვებით დაატოლა, მერე გაოცებული ციმციმ აიმაღლა წელში და ძლივგასაგონად თქვა:

— მაგისი ფეხისა არ არის!

— კარგად იცი, რას ამბობ? — უყვირა ბესომ.

— ვიცი.

ხალხი ერთმანეთს მიაწყდა სიცილით.

— იგრე გამოდის, რომ შარსა ვდებ!.. ჰო, აბა, შარის გარდა, სხვა რა გამოდის?!

— შეიძლება არ იგონებ, გეთაყვა, მაგრამ, მაგისი ნალისა რომ არ არის, ეს რიღასი მიზეზია?! — ვეტექიმი დაიხარა და ფეხსაცმელში თასმას იყრის, — ჯერ ადრეა გულზე მოხვედრება, ერთი ამდენი კიდევ მოიცადე, გეთაყვა, იქნებ უკეთესი რამე მოვიფიქრო?

— აბა, ჰე, მიდი, შენი იმედი მაქვს! — ღიმილით ამხნევებს გიგო ინსპექტორი და სეირის მაყურებლებს ტუქსავს, — წელან არ გითხარით, გაჩუმდით-მეთქი?! არა, გაჩუმდით კი არა, ყაყანი დააცოტავეთ-მეთქი?! მეორედ და უკანასკნელად გაფრთხილებთ — ულაპარაკოდ დაგაგვევინებთ აქედან!

ვეტექიმმა ფეხსაცმელში თასმის გაყრა მოათავა, შეიკრა და ქვემოდან შეჰღიმა ინსპექტორს:

— მოვიფიქრე!

— რა მოიფიქრე?

— ახლავე ნახავ, გეთაყვა, შენ მარტო ბრძანე, ცხენი მომიყვანონ აქა.

— აბრიავ! — გასძახა ინსპექტორმა, — მოიყვა ცხენი!

— ვერ მოგიყვან!

— ე?! — მხრები აიწურა და ექვთიმეს მიაშტერდა, — რატომ ვერ მოვიყვანო, ვითომ?!

ახლა შალალომ ჩაუკრა ზაზას თვალი და ფეხის წვერებზე აიწია:

— აბრი, ვითომ რატომ ვერ მოიყვანო, ინსპექტორმა?

— მეზარება-თქო!

— ეს ვინღა დანიშნა ჩემს ადიუტანტად? — გადასწვდა ინსპექტორი, ვეება ხელი კისერში ჩაავლო შალალოს, უბიძგა და ხალხის ჯგროში შეაგდო, — მარტო ღრეჭა მოიხილე ამათი, ღრეჭა და ისიც, სად რას გამოჰკრან ხელი! — ცხენთან მივიდა, — დაზარებით არც ალავერდი აშენებულა და არც ბერლი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნი დანგრეულა, — ცხენი აუშვა, — დაიწით უკან!.. კიდევ!.. ვაჰ, რა ურჯულო ხალხია, კაცო?!, იმდენს იზამთ, იმდენს, ცხენს გადარევთ და მეც გადავირევი!.. ცოტაც დაიწით!.. ეგრე! მაგის აქეთ ჭიანჭველაც არა ვნახო! — მანქანასთან მიიყვანა ცხენი და თოკი ექვთიმეს მიაწოდა, — გამომართვი, ვნახოთ, ერთი, რა გინდა!

— რას აპირებთ? — შეფიქრიანდა ბესო.

— რასაც ვაპირებთ, ვაპირებთ! — თოკს ცხენს კისერზე ახვევს ექვთიმე, — სად მოგეჩქარება, მოიცა და დაინახავ!

— იქნება ყაბულს არა ვარ?!

— შენ არავინ გეკითხება! — მკერდზე ხელი მიადო ინსპექტორმა, — უკან მიდექი! ახლა კანონს ეკუთვნის სიტყვა და შენ იგრე ხარ აქა, როგორც ეგა, შალალო, ან კიდევ — მიცვალებულზე ყვავილი!

— ახლა, გოგო, აქ ჩასჭიდე ხელი, აეგრე ჩასჭიდე, გეთაყვა, და მანქანასთან უკან-უკან მიაყენე.

გოგომ კისერზე შემოხვეულ თოკში ჩაავლო ხელი:

— იქნებ აჯობებდა, ნალი აგვეძრო?

— ჩლიქი რომ დავუზიანოთ, ცოდვა არ იქნება? — ექვთიმემ ცხენს უკანა ფეხი აუწია, — ცოტა დააწევინე უკან... ცოტაც. რა დიდი კრიმინალისტური ცოდნა-ამას უნდა, ანაბეჭდში ჩავაყოფინებ და მერე აქტიღა იქნება შესადგენი... ცოტაც მიაწექი, გეთაყვა.

ხალხი გაისუსა — დაძაბულები მისჩერებიან ცხენს.

— უკან, წაბლავ, უკან, — ეფერება ინსპექტორი.

ექვთიმემ მანქანის კარზე ფეხი მიადებინა ცხენს, კარგად ვერ უმარჯვა — ანაბეჭდს ვერ მოარგო და ოდნავ დაბლა რომ დაუწია, ცხენმა ფრუტუნით გამოგლიჯა ფეხი, მოსხლეტით გაიქნია და ისე ლონივრად გაუჭახუნა მანქანას, რყევა დააწყებინა.

შეშინებული ექვთიმე გვერდზე გახტა. ინსპექტორმა ხელი გაუშვა თოკსა და ისიც გვერდზე გახტა.

— კაცო, უარესადა მღუპავ, კაცო?! — მანქანას ეცა ბესო; ხელებს იქნევს, რაღაცას ყვირის, მაგრამ ხალხის სიცილში არაფერი ისმის. ცხენი კი ამ დროს აბრიას გვერდით დგას და თავისი ახითხითებული პატრონის ხელებს სუნავს.

— ხო ვთქვი, ყაბულს არა ვარ-მეთქი! — ყვირის ბესო, — აი ხალხო! ხო ვთქვი, ხალხნო? — თავით ფეხამდე თახთახებს.

— როდისა თქვა, ნეტა, რაღაც არ გამიგონია? — სერიოზულად კითხულობს ზაზა.

— არც მე გამიგონია! — უმოწმებს შალალო, — მე რო მაგისი ხათრი მაქვს, ისეთი სხვა ვილასი მექნება, მაგრამ, რა ვქნა, ძმაო, თავს ვერ მოვიჭრი და ტყუილ მოწმედ ვერ დავუდგები!

ზაზამ გაარღვია ხალხი, მანქანასთან მივიდა, დაიხარა და მეორე ნანაღარს დახედა. — ზუსტად პირველის გვერდით მიერტყა:

— კაცმა რომ თქვას, უხდება კიდევაც, — ღიმილითა თქვა და მორღვეულ ბესოს შეხედა, — ამხელა სოფელში ბალღიც ვერ იტყვის სამხიარულოდ, აბრიას წაბლამ მავანი და მავანი კაცის მანქანას წიხლი გაუხათქუნაო, — ახლა სხვა ვინღა კადრულობს ტყუილს, ჩვენ რომ ვიკადროთ!.. ვერავინ დამარწმუნებს, აბა-ბა-ბა, ვერავინ, აბრიას ცხენი გაქეზებული არ არისო! ვაჰ, კაცო, ეგრე როგორ დაარიგა, კაცო?! გაგიჟებასა ვარ, — ეგრე როგორ დაიმახსოვრა კაცო?! არა ჰგვანებია შალალოს!

— ჩემგან რა გინდა?! — ვითომ ეწყინა შალალოს.

— ეგე, საწყობის გამგის სახლში რომ გამოგიჭირეს, შენ არ იყავ, გამომძიებელს ეფიცებოდი, ჩემს სახლში შემეშალაო?

— მა ის მეთქვა, საქურდაოდ შემო-

ეროვნული

ვიძურწე-მეთქი?.. როგორც იყო, აკი იგრე ვთქვი?

— გაჩუმდით! — ბრძანა ინსპექტორმა, — ერთი ნალით იქნება მიჭყლეტილი, ორითა თუ სამით, რა განსხვავებაა, — გამოსაცვლელი გამოსაცვლელია მაინც. ესეც არ იყოს, ალარაფერი ეშველება და, აჯობებს, დავადგინოთ, მართლა წაბლას ნაფეხურია თუ სხვისა!.. გამატარეთ.

— აი, ხო ეს გამიკეთე, ხო ეს გამიკეთე! — იმუქრება ბესო, — ამ საქმისთვის არ მოგივლია სასიკეთოდ და, თუ შენც არ ჩაგაყოლო საჩივარში, ალარც ბესო ვყოფილვარ და ალარც — მგელაძე!

— დადექ, ნუ ხტუნაობ! — მანქანასთან ჩაცუცქდა ინსპექტორი და კარს დააკვირდა, — მოდი აქ, ექვთიმე! — ხელიც დაუქნია.

მივიდა ექვთიმე, ისიც ჩაცუცქდა და ისიც კარს დააკვირდა...

— რას იტყვი? — ჰკითხა ინსპექტორმა.

— მოიცა, — ნალის ხან ერთ ნაკვალევს უყურებს, ხან — მეორეს.

— ჰა?

— სხვადასხვაა.

— მეც ეგრე მგონია.

წამოდგნენ.

— რა არის სხვადასხვა! — ინსპექტორს აუყვირდა ბესო, — იქნებ ერთი მარჯვენა ფეხისაა და მეორე — მარცხენისა?.. ადრევე მიგრძნო გულმა, ჰოდა, ადრევეც გითხარი, მაგის მხარესა ხარმეთქი! არაო და, ეგე, შენი არა!.. რაში გენაღვლება ჩემი განიავებული ქონება!

— ორივე მარჯვენა ფეხისაა, — თქვა ექვთიმემ.

— რაკი ამხელა ცხენი ვერ მიცვნია, ან ბრმა ვყოფილვარ, ან გიჟი!.. ბარემ წამტაცეთ ხელი და წამათრიეთ ექიმთან!.. ეგრე უნამუსოდ მიდგომა გაგონილა, კაცო?!

— დანაწილება შეიძლებოდეს, მთელ სოფელს ეყოფოდა შენი სირეგვენე! — ინსპექტორიც აყვირდა. — მაშინ ხო შეგნებულმა ქვეყნებმა, ყველაფერზე რო თავი ვაკანონე, დახუნძლული ქლიავის ტოტივით!

— მითხრან, ორივე კენედის მკვლელობა არ გაგიხსნია, ტყვიას დაგაცეცხლებთო, ხელი არ მომიწერია, ბარემ გამიხმეს ის ხელი, ოღონდ შენთან არა მქონდეს საქმე!.. ვეცადო, მამაჩემს მივაწვდენ ხმას ქერჩის სასაფლაოზე, მაგრამ შენა, კაცო? შენა?.. რაც თავი შემისწავლია, სულ საჩივრის კართანა ხარ დაყუდებული, თანაც სულ შენა ხარ მტყუანი! მე ვინ ოხერი ვარ, გეხსომება, სამართლის პროფესორმაც ვერ ჩაგაგდო გულის ხმაში!.. რატომ არ დამაცდი გამოძიებას?.. გეუბნები, დამაცადე-მეთქი!

ნიკა წაბლას თოკს ხსნის, თან ხელს უთათუნებს კისერზე:

— რაც სიმინდს მოვამტვრევ ჩემი ვენახის აქეთ-იქითა ჩაყოლებაზე, სულ ამ ჯეილისთვის მინდა და, რადა შინ მივყარო, ბარემ მოგიტან და შენ დააბინავე.

— არ ეკუთვნის, რო?

— მეც მაგას არ გეუბნები?

— როდემდელა ვუყურო ამათ ჯაჯლანს, ქალაქიდან ბიჭი ჩამომივიდა, წელან, უშენოდ ხემსს არ ჩავუშვებ პირშიო და, მგონი თვალებმი დააწყდა აქეთ ყურებით.

— ეგ რომელი?

— ნაზოლარა, გოგია.

— მაშ, ავჭუკჭუკებულვართ შენს მარანში!

— ძალიანაც არ გეხალისებოდეს, შენი გამშვები ვარ?.. მივალ, ერთი გავახარებ ბესოს. გიგო! — შორიდანვე დაეხმაურა აბრია.

— ბატონო!

— ღმერთი გიშველის, დააწყნარე ეს ხალხი, თორემ წამაჭამეს ყურები!.. კაცო! — მანქანის შეხრილ კარს დახედა აბრიამ, — რატო მე არაფერს მეკითხებით, ეგებ, ამ ქვეყანაზე ჩემისთანა პატიოსანი მსაჯული სხვა ალარავინ დაბადებულა!

— ბრძანე! — ხაიცინა ინსპექტორმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ჯერ შენ უნდა ბრძანო, რას აცოდვილებთ ან იმ ცხენსა, ან ამ მანქანას?

— ვითომ არ იცი?

— რომ ვიცი, იმიტომაც გეუბნები — ჩემმა ცხენმა მიარტყა წიხლი! — ხელი დაჰკრა მანქანას.

ისევ აყაყანდა ხალხი:

— ეგე, კაცი!

— ერთი მაგისთანა მოსამართლე მოგვცა!

— რატომ არ იტყვის სიმართლეს, რა, ცხენი იქავე უდგას და თავი ქუდში აქვს!

— სამართალი ზოგჯერ არ ითვალისწინებს ასეთ გულახდილობას, — თქვა ინსპექტორმა, — ხშირად კვალის დაფარვასაც ახერხებენ ასეთი, უკაცრაული პასუხია, სიმართლით. თუ ამბობ, უნდა დაასაბუთო კიდევაც, თორემ, შენ იქნება ოპერის დაწვაც დაიბრალო!

— გეუბნები, ჩემმა ცხენმა მიარტყა-მეთქი წიხლი! — ისევ დაარტყა ხელი მანქანას.

— ერთმანეთს რომ არა ჰგავს ნაკვალევი?

— ერთი ღონივრად არის მორტყმული, მეორე — უფრო მსუბუქად, მიზეზიც ეს არის.

— მაგ საბუთისა მეეჭვება! — თავი გააქნია ინსპექტორმა.

— რა გეეჭვება, რა! — ხელები გაასავსავა ბესომ, — თავისი ენა-პირით აღიარებს ამდენ ხალხში, დამნაშავე ვარო და, კანონისა თუ გაგეგება რამე, მეტი რაღა საბუთი მოგართხროს!.. აღარ მინდა მანქანა!.. პატრონი მოუკვდეს მანქანას!.. ეხლავე დაინახავ შენი ბეცი თვალებით, დამნაშავე რო მართალს ამბობს! — გაიქცა ბესო, წაბლა მოიყვანა და მანქანისკენ აქნევინა გავა, — ღონივრად მივარტყმევინებ წიხლსა და მაშინ ხო გაიგებ სიმართლეს!

ხალხმა გაოცების ღიმილით დააგდო განი. ბესომ უკან-უკან დაახევინა ცხენს:

— მიარტყი წიხლი, მიარტყი, რო გეუბნები!

ხალხი სიცილით ამხნევებს ცხენს:

— მიდი, წაბლავ, იგეთი გაუქანე, მეორე კარიც გაატანინო!

— მიდი, ქაჩაჩებდალოცვილო, მიდი, ნაქურდალი ბალახის ფული ურევია მაგ მანქანაში!

—არიქა, წაბლავ, ტყისმცველად რო ეგდო, წალდი წამართვა და, ქენი სიკეთე, ამომყარე ამისი ჯავრი!

— თავისიანის გარდა შიგ არავისა სვამს, წაბლავ, სოფლის სახელით გეხვეწები, ტყუპი წიხლი გამოუწერე, წაბლავ!

— მიარტყი, რო გეუბნები, მიარტყი!

— მთლად გადაირია ბესო.

ცხენი უკან-უკან წავიდა, მანქანას მიაწყდა, შეძაგძაგდა, თავი შეატრიალა და ჩაიფრუტუნა.

აბრია დაფიქრებული მისჩერებია ცხენს, ინსპექტორი ქვედა ტუჩს იწვალებს, ნიკა კი ჯოხზეა დაყრდნობილი და მიწას ჩაშტერებია.

ბესომ ოდნავ წინ გამოიყვანა ცხენი და მერე ისევ უკან დაახევინა:

— მიარტყი, შე პატრონნამოსაგველო!

— შენ მაგის პატრონს მოეშვი! — ურჩია აბრიამ, — შენი პირით სახსენებელი არ არის!

ცხენი ისევ მიაწყდა მანქანას და გაჩერდა. დგას მშვიდად, ლამაზად და მშვიდად, ლამაზად ახამხამებს დიდრონ, წყლიან თვალებს, ხამუშ-ხამუშ იქნევს კუდს.

— რატო არ არტყამ, მე შენი! — ბესომ ფეხი ამოჰკრა მუცელში, — გამიშვით, — ცერ-ცერ დაიწია, მერე გამოქანდა და მთელი ძალით მიარტყა ცხენს ფეხი, — გამიშვით, ამას პატრონის დედა უნდა ვუტირო!

— ჩოქში! — გაიცინა ვეტექიმმა.

— ვის უნდა უტირო პატრონის დედა, შე მათხოვარო! — ჯოხით გაიწია ნიკამ, მაგრამ არ გაუშვეს, — შე კეთილჩაოხრებულო, ხო ხედავ, ცხენმაც გაიგო, ნაგავი რო ხარ და შენს უჰკუობაზე

კარლო კობერიძე
ცხენი

არ დადის!.. ჩამომეცალეთ, ერთი, ეს თოხის ტარი შევღებო წითლად!

— ვის ემუქრები, ქურდის ჯიშისავ! — ცაცია მოუქნია აბრიამ, ბესოს ნაცვლად ინსპექტორს კი მოადო ქეჩოში და ქუდი მოაძრო თავიდან.

— მე რაღად მაგინებს, კაცო?! — ნერვები აიწეწა სილაყბოს პროფკომმა ზაზამ, მარცხენა ხელი ლოყაზე შემოიკრა, მარჯვენა კიდევ გვერდიდან ნიკაპში უსართა ბესოს და მკერდზე მიაწყვიტა ინსპექტორს; — შალალოში ხომ არ გეშლები, მე შენი!..

— რა ამბავია აქ! — იყვირა ინსპექტორმა, — სადა გგონიათ თავი! — ბესოს მიუბრუნდა, — რა წიხლების ქნევა აგიტყდა, შე შობელძაღლო!.. ამ ერთხელ როგორც შენ ვერ გააგებინე ცხენსა, ისე წელიწადში თორმეტი თვე მე ჯერ გაგებინებ ვერაფერს და შენი ვარაუდით გამოდის — წიხლები უნდა წაგაყარო!.. ამდენ ხალხში ამას აკეთებ და, ნიკა რომ გიჩივის, ქვები დამიშინაო, რამდენიც უნდა იფიცო, ტყუილიაო, ვის დააჯერებ!.. მორჩით ყაყანს!

— ზაზამ რაღად დამარტყა! — ნიკაპზე ხელი მოისვა ბესომ.

— შენ რაღად შემაგინე?

— დამანახვე! — ზაზას ქამარში ხელი ჩაავლო შალალომ, თავისკენ გაარაცრაცა და წინ ჩაეყუდა, — მეც რომ გამიხსენე დედ-მამის სული და მუშტი არ დაგინიავე, ის არარაფერია?

— ამათ ბრძენიც რომ ჩაუვარდეთ ხელში, ვიდრე მიიხედ-მოიხედავს საგიჟეთის კლიენტად აქცევენ! — ბარძაყზე ხელი დაირტყა ინსპექტორმა, — რაც იყო იყო, ამაზე ჩივილ-მივილი არავინ დაიწყოს, — ჩაიარა და წავიდა!.. სიცხემ მაინც არ შეგალონათ, ხალხნო?.. ჰოდა, მოვრჩეთ ბარემ და მოვისვენოთ!.. რას იტყვი, ბესო?.. შენ გეუბნები, ბესო, იქით ნუკი იყურები, აქეთ მოიხედე და მიპასუხე, — აღარ მოვრჩეთ ამ უთავბოლო საქმეს?

— მორჩენილია და მეტიც! — უკვე მშვიდად ამბობს ბესო და თითით ოფლს იწმენდს დაჭმუჭნილი შუბლიდან, — აკი გეუბნება, დამნაშავე ვარო?

— ასე ადვილად რომ იხსნებოდეს საქმე, რაღა გვიჭირდა?.. ყალბი მეჩვენება საბუთი.

— მოდი, გიგო! შენც მოდი, ექვთიმე! — ცხენს უკანა მარჯვენა ფეხი აუწია აბრიამ, — აი, ამ ნალსაც დახედეთ და ეგე, ემაგ ნაკვალევსაც; ჰო, ნამეტნავად ნალის კბილებს დააკვირდით, ხო ერთნაირია?

— ნამდვილად, — დაუდასტურა ვეტექიმმა.

— მეც ასე მგონია! — დაეთანხმა ინსპექტორიც.

— ეხლა რაღა ვქნათ? — იკითხა აბრიამ და თოკი ნიკას მიაწოდა, — ლობესთან მიიყვანე ცხენი, იქ უფრო ყინჩი გრილოა.

— წანახედის ანაზღაურებას მოითხოვს, — ქუდი მოიხადა ინსპექტორმა და გაინიავა, — მანქანის ახალი კარი მიყიდოსო.

— მე რა შუაში ვარ?! — გაიკვირვა აბრიამ.

— ცხენის პატრონიაო. მაგისი „ჟიგული“ რომ დაგჯახებოდა, ხომ ეგ აგებდა პასუხს?

— მართალია, მაგრამ ცხენზე როდის ვიჯექი მაშინ?

— ისე მელაპარაკები, ვითომ ჩემზე კარგად არ იცნობდე? — ქუდიანი ხელი აიქნია ინსპექტორმა, — შენს მაგივრადაც მე ვილაპარაკო?!

— ესეც მართალია! — შარვლის ჯიბეში ხელი ჩაიყო აბრიამ, — მაგის ლანძღვა-გინებას, მაგისი ცოლის წყევლა-კრულვასა და სამართალში გაუთავებელ წანწალს, გადახდა მირჩევნია. რეესთი უნდაო? — ფული ამოიღო ჯიბიდან.

— მაგისი კარი ორმოცი მანეთი ღირს, — უთხრა შალალომ.

— აჰა და, მიეცი! — აბრიამ რვა ხუთმანეთიანი გადათვალა და ინსპექტორს მიაწოდა, — მიაოხრე!

ინსპექტორმა გამოართვა ფული, ცერა თითი დაინერწყვა და ორჯერ დათვალა.

— ფული რად მინდა! — ზესომ ინსპექტორს ხელი აუკრა მიწოდებულ ფულზე, — მიყიდოს ახალი კარი და მომიტანოს!

— მე, შვილოსა, პურის საყიდლადაც არ შევდივარ მაღაზიაში და, მანქანის კარს დავუწყებ ძებნას?

— ძებნას დაუწყებ, თორემ ემანდ არ იპოვნო! — გაიცინა შალალომ, — თქვენ თუ ისეთ კაცს მომიყვანთ, ვისაც მაგისი კარი თავის ფასად უყიდია და ისიც მაღაზიაში, მაშინ გალუსტუკიანი მაჩვიც უყოლება და ზარემ ისიც გამოაყოლოს!

— მაშ რა ვილონო?

— გადამყიდველებს უნდა ჩაუდგე კვალში.

— ისინი რამდენსღა თხოულობენ?

— თუ ღმერთმა ჩაგიკრა თვალი და შინაური აღმოჩნდა, — ასი მანეთი; თუ უცხოს ჩაუვარდი ხელში და თანაც შეგატყო, გიჭირს, იგრე ლამაზად უნდა უგრილო ასორმოცდაათი, როგორც ეხლა შინ წავალ და წავუძინებ!

— მაგდენს ვერ მივცემ! — აბრიამ ინსპექტორისკენ გაიშვირა გაშლილი ხელი და თითები აათამაშა, — მოიტა.

— არადა, გიჩივლებ! — დაემუქრა ზესო.

— მიჩივლე!

— გიჩივლებ!

— მიჩივლე!

— კარგი!

— კარგი და კარგი!..

— რაკი ასეა, — ინსპექტორმა ქუდი დაიტრიალა ხელზე, — ავდგებით და სასამართლოზე გადავცემთ... ძალიანაც არ მეხალისება ასეთი რამე, მაგრამ, აი, ქვეყანა დამემოწმება — ვერ შეგარიგეთ და რა ჩემი ბრალია?.. დღეს რაღა იქნება და, ხვალე გავაგზავნი საბუთებს... ამ საღამოს ორივესა გნახავთ...

ნიკამ ცხენი გამოიყვანა ჩრდილიდან. ზესომ მანქანა დაქოქა, მოაბრუნა და ფრთხილად გადავიდა წყალსაწრეტ თხრილზე.

— კარგი ცხენია! — თქვა ინსპექტორმა და აწეწილი ფაფარი ჩამოუვარცხნა თითებით, — მშვენიერი ცხენია!

— ჯიშით არის ყველაფერი, — თოკი აიკეცა ნიკამ.

აბრიამ თვალი გააყოლა ზესოს „ჟიგულს“ და თავისთვის ჩაილაპარაკა:

— მეც ეგ არ მადარდებს?

**დასასრული იქნება**

ეროვნული

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ნოდარ ნარსია

### რაც ვიოცნებე...

რაც ვიოცნებე
სუყველა მტკივა
მკერდში და...
მკერდზეც მაჩნია დამღა...
ნეტავი
ახლა
მაქცია ტივად
და მატივტივა აღმა და დაღმა.
გამაზრწყინებდა მდინარის ჩქერი,
გავლაღდებოდი ზვირთებში ყოფნით...
ფრთებს,
ფრთებს გაშლიდა წყურვილი ჩემი,
მივენდობოდი მდინარის ფოფინს.
შემიფარებდა ლამაზი ყურე,
ამეცლებოდა გულიდან ჟანგი...
და ტკივილისგან ჩამოყრილ ყურებს.
მიენთებოდა ბუნების ჩანგი.
დავეშვებოდი მდინარის ფსკერზე,
არც მოვიშლიდი
ამ ყოფას წლობით...
ხელს გადავხვევდი
ვერცხლისფერ თევზებს
და მომალხენდა უენო მწყობრი.
მომშორდებოდა წუწუნი კაცთა,
გამაკაჟებდა მდინარის ეშხი...
თმენის,
წყურვილის,
ტკივილის ნაცვლად,
აინთებოდა მაისი ჩემში.
ჩავინთქებოდი ამ სივრცე-დროში,
ჩავისახლებდი სხეულში ზეიმს...
და, როგორც
ქარში გაფენილ დროშებს,
ყაყაჩოს ფურცლებს ავწევდი ზევით.
...რაც ვიოცნებე
სუყველა მტკივა,
მკერდზე და მკერდში მაჩნია დამღა...
ნეტავი ახლა
მაქცია ტივად
და მატივტივა აღმა და დაღმა.

### იცოდნენ სხვებმაც...

უნდა ვირწმუნოთ,
კაცურო კაცო,
არვის შევარჩენთ მამულის ღალატს...
ხანდახან ხდება —
ბავშვურად ვანცობთ,
მაგრამ ასე არ ვიქნებით ხვალაც.
ჩვენ ალბათ,
ჩვენში ვიპოვით ზეკაცს,
რომლის სიმაღლეს თუ შევიფერებთ —
ის, ის მოუვლის
ამ მთას და ზეგანს,
ის აღმოგვიჩენს მიმალულ ღირსებას,
ჩვენ ვიცით,
რაა მიზანი კაცთა,
რა უნდა იყოს ამ მიზნის ფარდი...
ერისკაცობა —
ეს არის განცდა,
ეს არის განცდა მამულის დარდის.
მამულზე ზრუნვა ჩვენ თუკი აგვცდა,
რაღა ვყოფილვართ,
ან მე და ან შენ...
აქ იზომება,
ვინც ხარ და რაც ხართ,
აქ გამოჩნდება რად უნდა დარჩე.
და თუკი...
ჩვენში სიცოცხლე გასტანს,
თუ არ დავრჩებით კაცებად ნაცრის...
ეს ნიშნავს:

ყოფნას მამულის კაცად,
ეს ნიშნავს:
რომ ხარ მამულის კაცი.
ვენაცვალებით მამულის ფესვებს,
ვენაცვალებით მამულის ფუძეს...
ჩვენ ხვალ ვიმღერებთ,
უკეთეს ლექსებს
და ყველა კაცი გამოვა ქუდზე.

...იცოდნენ სხვებმაც
კაცურო კაცო,
მამულის ზღურბლთან ლომები დგანან...
ხანდახან ხდება:
ბავშვურად ვანცობთ,
მაგრამ ყოველთვის?
ყოველთვის განა?

## მეგობარ მოქანდაკეს

აქ არ ჩანს შენი ყრმობის მოდელი,
ის გაზაფხული ტოტზე შეფრინდა...
არ ვიცი,
როგორ ქმნიდა როდენი,
მაგრამ ამ სურვილს
ვერც ის შექმნიდა.
ადრე არ იყავ აგრე გამტყდარი,
მოალავერდე იყავ ყრმობითა...
იდექ
მწვერვალზე,
როგორც საყდარი
და შენი რწმენის შუქი გყოფნიდა.
შენ გითხრეს:
სახე შეშლილს გოგავსო,
არ დაგიტოვეს მცირე იმედიც...
ადრე გყოფნიდა ძალა,
ძვირფასო,
ასეთ სიტყვებზე გაიცინებდი.
ახლა ასეთი კენწვლა გაგიჟებს,
და სიყვარულით შენთან მოვედი...
უნდა გაექცე შენსავ ძმა-ბიჭებს,
რომელთაც უყვართ მიეთ-მოეთი.
...ვერავინ შექმნის მოდელს ყრმობისას,
ღმერთიც რომ იყოს
ამის მსურველი...
ის სჯობდა, როცა ცოტა გყოფნიდა,
ან ცოტაოდენ იყავ სულელი.
...ნუ შეშფოთდები ამგვარ მარცხითა,
ამ მეგობრობით ნუ შეშფოთდები...
ახლა, როდესაც
ასე აცივდა,
გამოაბრწყინე
მწვანე ფოთლები.

## მისამართები...

მე მქონდა
თბილი მისამართები,
სულს რომ აფხიზლებს,
სწორედ, მასეთი...
ხშირად,
მთვარეში,
ღამეს ვათევდით,
სუფრაზე გვედგა ღვინო ნასეტყვი.
და დღეის დღეო,
როცა ღამდები,
უნდა მაცადო,
ბოლომით სათქმელი...
როდესაც სულებს ველაღადები,
გამომიწოდე ლოცვის სანთელი.
როცა აჩრდილებს ვესათუთები,
უნდა შრწყინავდეს
ხსოვნის თავთავი...
თორემ მოდიან მესანთურენი,
რომ გამომგლიჯონ ოხვრით ნათქვამი.
დღენი დაცვივდნენ,
ვით ნაფოტები,
მუგუზალივით სული ტკაცუნებს...
მათ საფლავებზე დააბოტებენ
და ტკივილებმა ისევ მაცდუნეს.
ზრიალებს ყოფნის კაკაფონია,
ყოველდღიური ფართი-ფურთებით...
თითქოს
ტკივილი არცა მქონია,
ვიხსენებ,
მცივა

ეროვნული ბიბლიოთეკა

**და ვთფუთნები.**
**ხსოვნის ცა...**
**გულთან ისევ ახლოა,**
**ის გაზაფხული თუმცა შორს არი...**
**სადაც აპრილის სამოსახლოა,**
**აქ, საფლავებზე, მღერის შროშანი.**
**ხან დარია და...**
**ხან ავდარია,**
**იმ მოლხენებთან**
ჩაკვდნენ შფოთვანი...
რა მეგობრები აღარ არიან,
მეგობრებიდან დავრჩით ცოტანი.
...ხავსი და ხავსი,
ხავსი ლოდებზე,
თუ გათავხედდა — ხავსი იბოლებს...
გათავდა...
უკვე აღარ გოდებენ,
წაიტირეს და გამოიგლოვეს.

## ჩემი მეგობრის არყოფნის გამო...

როგორღაც ჩუმად დიდდები ღამევ,
როგორღაც ჩუმად მოკლდები დღეო...
ძვლებში ღამეული ლანდები ხრავენ
და ღამეული სიზმრები ღრეობს.

დღე და ღამეა —
ღამესთან ვდავობ,
გამარჯვებული ის დარჩა მაინც...
და ვნაღვლობ:
ჩემი მეგობრის გამო,
რომ ვერ დაესწრო დღევანდელ მაისს.

მასაც ხიბლავდა ლამაზი ჰანგი,
ჰანგებით სავსე დაჰქონდა მკერდი...
მაგრამ დაითრო ღამეულ ბანგით
და ჩაუარა სინათლემ გვერდით.

და ვნაღვლობ:
ვიცი, დადგება ჟამი,
მზე მოაკლდებათ შვლებსა და ირმებს...
ჩამეწვეთება ისევე შხამი,
ღამე თავისთან წაიყვანს ვინმეს.

ის მეგობარი იქნება ჩემი,
თუ მეგობარი იქნება სხვისი...
მიუვარდება ბოროტი ქშენით,
ქვეყნად გაქრება ხსენება მისი.

მოვა თოვლი და...
დადნება თოვლი,
სხვისთვის მოიტანს მშვენიერ ამინდს...
მაგრამ მე ვიცი,
და პირველ ყოვლის.
აღარაფერი იცვლება ამით.

...დილაა;
ვისმენ ბულბულთა დუეტს,
შაშვი ისევე თავისას გალობს...
და ისევ...
ღამეს ვუმართავ დუელს,
ჩემი მეგობრის არყოფნის გამო.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## თეიმურაზ აბულაძე

●

გენუკვის ჩემი მიწა და წყალი
და იასამნის დახრილი ტოტი:
— ღამეთა წიაღ, მდუმარედ მდგარი,
როდის აღმოთქვამ დიდ ნათელს, როდის!
აჰა, ეს ფრთები —
            ბორკილი ჩემი —
ამოარღვიე წყვდიადის ღორღი
და აღმოცენდი იმ ნათლის ჩქამით,
მხოლოდ ზეციერთ რომ ესმით ხოლმე...

●

„მგონია, ციდან მეძახის ვიღაც.“
ტერენტი გრანელი

მე ქარიშხლების მხარეში ვსახლობ,
აქ ცხოვრება არ მეუცხოება.
ქარია შორს და ქარია ახლოს,
ქარიშხალია მთელი ცხოვრება.

მე სხვა, მიწიერ სიმშვიდეს ვნაღვლობ,
ზეცის ხმა მარად მემახსოვრება...
ქარია შორს და ქარია ახლოს,
ქარიშხალია მთელი ცხოვრება.

### ჩემი ბიჭი

მღერის ჩემი ბიჭი,
(ბიჭი კი არა, უკვე კაცია).
მღერის, მღერის და ბავშვივით ანცობს...
იმღერე, ჩემო ბიჭო და კაცო!
იმღერე, სანამ ემაგ ხალისს გამოგაცლიან...

ცეკვავს ჩემი ბიჭი,
(ცეკვავს კი არა, უკვე ცაშია...)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცეკვავს და ცისკრის გაღებას ცდილობს...
იცეკვე, ჩემო ფესვო და ძირო!
ბედნიერება სწორედ ცისკრის გაღებაშია.

ტირის ჩემი ბიჭი,
(ტირის კი არა, მოთქვამს)
ტირის და მოთქვამს, თითქოს ფეხქვეშ მიწა ეცლება...
იტირე, ჩემო ჯიშო და მოდგმავ!
მალე ასეთი ტირილიც კი არ შეგეძლება...

მღერის ჩემი ბიჭი,
ცეკვავს ჩემი ბიჭი,
ტირის ჩემი ბიჭი,
(ბიჭი კი არა, უკვე კაცია)
და ჩემი სული აბჯარივით ტანზე აცვია.

## მაშინ სხვა იყო...

რამ შეგაშფოთა, უბიწოებავ,
ბიწიერების გაგკრა ქარდებმა?
...როცა შენ გაჩნდი,
მაშინ ცხოვრებას
სხვა სისპეტაკე დაპქათქათებდა.

როცა შენ გაჩნდი,
მაშინ სხვა იყო...
ბედზე მხოლოდ მას შემდეგ დაფიქრდი, —
მარადისობის ცა რომ გაიპო
და წარმავლობის ხავსს ჩააფრინდი...

რამ შეგაცბუნა, უმანკოებავ,
მანკიერების გაგკრა ქარდებმა?
...ნეტავი იმ დროს,
როცა ცხოვრებას
შენი ნათელი დაპქათქათებდა!

## სიმშვიდე

გახსოვს? — ჩემს გზაზე ქარი აჯილდა
დაჯირგალობდა და გულს მინგრევდა...
ის მწვერვალები რამ დააჯანღა!
ის სიყვარული ვინ დამიფეთა!

...ვდგავარ ახლა და მხარმოქცეული
ფიქრი მაკითხავს ხოლმე სიკვდილის...
ვარ სიმშვიდეში გამომწყვდეული
ლაჟვარდებისკენ მზირალ ჩიტივით...

ეჰ, რა ვიცოდი,
ეჰ, რა მეგონა, —
იქ ქარი — ადრე გულს რომ მინგრევდა —
თუ სადმე ძილად მიეგდებოდა
და სიმშვიდესთან შემარიგებდა.

●

მინახავს: —
მომაკვდავ დედიკოს
ზლუქუნით შესთხოვდა ბავშვი:
— არ მოკვდე, დედიკო, არ მოკვდე! —
(მოვკვდი და გავთავდი მაშინ).
. . . . . .

. . . . . .
...ოო, სიყვარულო — დამოკლდა
შენი დღეც...
ღამდება ცაში...
— არ მოკვდე, ძვირფასო, არ მოკვდე! —
მოგდევს და მოგტირი ბავშვი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## თოვლი და ბიჭები

1.

შემინდეთ, ბიჭებო! —
სოფლად რომ მოთოვა
თქვენი საკადრისი პატივი ვერ გეცით
და რაღაც ჯანდაბად,
და რაღაც ოხრობად
უეცრად დაგტოვეთ და გამოგექეცით.

2.

ზამთარი ძლიერობს.
ქალაქში მიწაზე
ფიფქიც არ ვარდება,
თუმც ქარი ბუღრაობს.
ჩავედი სოფელში და სწორედ იღბალზე
იმ ღამეს მოთოვა, სადად და უბრალოდ.

უბრალოდ კი არა, ზღაპრულად მოთოვა.
ზღაპრულად კი არა, ღვთიურად გავნათდი
ამდენი სიწმინდით...
და გულმა მომთხოვა
მეგობარ ბიჭებთან ქეიფი, კამათი.

3.

დილიდან შევყევით სალვინე ჭიქებით,
სალვინე ჭიქებზე ვაცეკვეთ ჭინკები...
და დილის ქალწული როდესაც დაქალდა
და თოვლზე საღამო იისფრად აყვავდა, —

მაშინ მივატოვე თოვლიც და ბიჭებიც,
გამომშრალ ქალაქში მელოდა უღელი...
და ისე წამოველ,
გული ვერ ვიჯერე...
(თოვლი და ბიჭები მესიზმრა წუხელი).

4.

შემინდეთ, ბიჭებო!
სოფლად რომ მოთოვა,
თქვენი საკადრისი პატივი ვერ გეცით
და რაღაც ჯანდაბად,
და რაღაც ოხრობად
უეცრად დაგტოვეთ და გამოგექეცით.

## ავტოპორტრეტი ჟანქარით

...ის თუმცა ყოფნის ბედნიერების
ვერ თმობდა წვეთს და
ვერ თმობდა მისხალს —
კვლავ მარტოდყოფნის მშვენიერება
ავსებდა სულის სიამეს მისას.

სწყუროდა ციურ სიღრმეთა წვდომა,
კვდებოდა ლექსით,
კვდებოდა ობლად...
და ამ დიადი სიკვდილით კვდომა
იყო მარადი სიცოცხლით ტკბობა.

●

ორბი რომ დაჰფრენს კლდეთა წავარნებს,
არწივის მზერა ლაჟვარდს რომ წვდება —
ა, ის მაფიქრებს და მაწამარებს,
აი, იმ ქროლვის წყურვილით კვდება
გული...
კვდება და მარადი გზნებით
იმ უსაზღვროო ლტოლვისთვის მიცემს,
მაგრამ ვინ მოგვცა ჩვენ ორბის ფრთები,
ან არწივისთვის საფრენი სივრცე?!

ეროვნული ბიბლიოთეკა

გურამ დოჩანაშვილი

# ერთი რამის სიყვარული, დაფარვა რომ სჭირდება ანუ მესამე ძმა კექერაძე

(სათავგადასავლო მოთხრობა)

(პროლოგის მაგიერ)

— რა სჯობია კარგ, წესიერ, ვაჟკაცურად ლამაზ, განათლებულ მამაკაცს? — იკითხა ეკატერინე ხომასურიძვილმა და, თავის სიმართლეში დარწმუნებულმა, საზოგადოებაში ამაყად მიმოიხედა, — არაფერი.

— რადა, კაი ქალი, — მიუგო ბარნაბ ჯაშმა, არც დაფიქრებულა.

ასეა, ვის როგორ...

(პროლოგის მაგიერის დასასრული)

1.

ვაიმე, რა იყო... რა იყო მაინც ეს — თავი სკდებოდა, გავარვარებულ-აქრიალებული, რკინის სალტით უმოწყალოდ შემოჯარული, განწირული თავი და ყურებიდან გამოძრომას ლამობდა, და შიშით თვალსაც ვეღარ ვახელდი, ეგება ისევ სიზმრად დარჩეს ყველაფერი ეს-მეთქი, განაწამებ ბინდბუნდში ვფიქრობდი და, კიდევ ის იყო ძალიან ცუდი, გულზედაც წვეტიანიდაყვება მაჯლაჯუნა რომ მაწვა და, ვაიმე, დედა, მიშველეთ, ძმებო, თავი იბერებოდა და, ჩემდა გულის გასახეთქად, მევე ვბერავდი უნებურად, თითქოს, ვსუნთქავდი რადგან, მე ბეჩავი, ცოცხალი ვიყავ, კიდეც ვგმინავდი, და ვირწეოდი კიდევაც, ძმებო, ჩემს თავს ეს რაა, და მკვეთრი, წყვეტილი ბიძგებით მუქარიანი ახლოვდებოდა ტანკი, და ერთიც რომ ახტა და ისევ დამატყდა გულს მაჯლაჯუნა, შეშინებულმა მიმოვაპყარ საბრალო მზერა — რა დავინახე... ჯერ, რა თქმა უნდა, ვერაფერს მივხვდი, დათუთქულპირდაღებული მივჩერებოდი მკრთალ ლურჯ ნათურას, საიდუმლოდ რომ დამშტერებოდა და იმ მუქ ლიცლიცში, შეშფოთებულმა, წამოვიწიე და რა აღმოვაჩინე — გადასავარდნი იყო! და მერე, თითქოს შემშვიდებული, ყველაფერს მივხვდი — მატარებელში ვიმყოფებოდი, მესამე თაროზე ვიწექ, მძვინვარედ ცხელ მილზე მედო თავი, და რის წყვეტილბიძგება ტანკი, რა ტანკი — სადღაც ძალუმად ხვრინავდა ვიღაც და, გულზე ძველებური, ხის ჩემოდანი მაწვა!.. მაგრამ მთავარი საშინელება მაინც ის იყო, რომ რაღაც განუზომელ-სასტიკად, კოსმიურად ნამთვრალევი ვიყავ, გვალვადამტყდარ მიწასავით დამსკდომოდა საყლაპავი და ხახა, მესამე თაროზე ამირანივით ვიწექ, უსუსურობით მიჯაჭვული და დი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დი ჩიტი გულ-ღვიძლს კი არა, თავს მიკორტნიდა!.. ჩემოდანი განზე გადავახოხე, ამოვისუნთქე, გაჭირვებულმა, და სულ რაღაც წამით თითქოს ცოტათი მომეშვა, ისევ წამოვიწიე და თავშიაც მაშინვე უხილავი ვითომ ჩაქუჩი, მაგრამ რაღა უხილავი — ისეთი ცხადი, ჩამცხეს... და დაოსებული შეძრწუნებით გამიელვა — აქ რა ჯანდაბა და... აქ რა მინდა მე, ძალიან რბილი, ორადგილიანი კუპე საკუთრივ მქონდა!

აქ, ამ მესამე თაროზე, რა ძალამ ამაგდო მაინც, გაბრუებულს, დუნედ მიკვირდა და უცებ გულმა რეჩხი მიყო — ფეხსაცმელები არ მეცვა!, ვაიმე... ჯიბეზეც სწრაფად მოვისვი ხელი, და გარედანვე შევატყვე — მედო. მომეფონა გულს, და შეგუბებული კვნესით, წვალებით ჩავიხედე — დაბლა, იატაკზე, ჩემი ლურჯი, კრიალა ჩემოდანი წესიერად იდგა, მესიამოვნა, კი, და იქავ ნაცნობი, მშობლიური, წყვილი ფეხსაცმელი ერთიმეორეზე კოხტად მიჯრილი, ელაგა, გამეხარდა, აჰ! — უფეხსაცმლოდ, მაინც ძნელია... ჩემს ჩამოსვლას კი ნუღარ იკითხავთ — თავბრუდახვეული, ძლივძლივობით მივჩოჩავდი დაბლა, მეორე თაროს დავაყრდენი აკანკალებული ხელისგული ჯერ, მერე მუხლი, მესამე თაროს დაბუჟებული ლოყით ჩამოვეყრდენ, და თვალდახუჭული რომ დავხტი, მუცლიდან ლურსმანი ამომერჭო თავში, გამწარებულმა, კიდევ უფრო მაგრა მოვხუჭე თვალები და მაინც რომ გავახილე — ცნობისწადილიანნი ვართ — პირველ თაროზე გაწოლილი, კედლისკენ გადაბრუნებული, ვეებად ამობურცულთეძოიანი ქალის კოჭთით მიმჯდარი კაცი წამოდგა, გამიღიმა და ჩურჩულით დამეკითხა:

— ჰა, როგორა ხარ... ძველო?

ვინ ოხერი და... მყისვე გავმკაცრდი:

— მე ძველი არ ვარ.

თავს ვერა ვხრიდი, და, გაჭიმულმა, ტერფის ცეცებით მოვძებნე ფეხსაცმელი, მომერგო კოხტად.

— აბა, რა გქვია?

— სიმა.

შეეჭვებულმა ამათვალიერა, და განვუმარტე:

— გერასიმე მქვია, ისე.

— ძალიან კარგი. ხომ არ გეწყინებათ, გერასიმე რომ დაგიძახოთ?

და კვლავ დამეხვა მე ბეჩავს თავბრუ, სუსტად მივუგე:

— არა, არა, რატომ...

ბედშავი ყელი ჩემი, გადამწვარი — ოჰოჰო, ჰუჰუ, ლუდი მინდოდა, და კიდევ უფრო — ნალდი ჰაერი, აბარბაცებულმა გადავაბიჯე ვილაცის ჩანთას, ვიწრო გზას დავადექი, რელსების ღრჭიალი ამომესმა და გვერდითა თაროს შევეხალე, გავსწორდი ისევ, და პატარა ხანში ვაგონის გამოღებულ კართან ვიდექ, სახელურზე თითებჩაჭიდებული, ნიავს ვუშვერდი წყალშესხმულ სახეს, ოდნავ შევფხიზლდი, და ადგრიალებულ შავეთს რიდით გავცქეროდი, — კი, თენდებოდა თითქოს, კი... ისეც მომეჩვენა, თითქოს მხარი მექცა, ასე მეგონა, თბილისისაკენ ვბრუნდები-მეთქი, ანდა — კახეთში, სულაც; ასე პირველად კი არ მომსვლია, ბადენ-ბადენში, მოგზაურობისას, მატარებლიდან კინაღამ ჩავხტი... აქ მხარზე ფრთხილად დამიკაკუნეს, ელდანაკრავი მოვცილდი გრიალით მიმავალი, განრისხებული მატარებლის კარს, მივიხედე და — ისევ ის კაცი, ოღონდაც ახლა — ხელრუკზაკიანი. ღიმილით მკითხა:

— აბდარაუდუ?

— რა? — დავიძახე, ბორბლების ხმაურში ძნელად ისმოდა.

ყურში ჩამყვირა:

— ლუდი ხომ არ გინდათ; გერასიმე?

როგორ მიბედავდა! და მკაცრი პასუხის მოსაფიქრებლად რომ დავძაბე აწეწილი ტვინი, გამახსენდა რომ — ისე ძალიან მინდოდა, ააჰ... ხელი გავუშვირე და, რუკზაკი დადო, ჩაიმუხლა და მარჯვედ გახსნა, „ჟიგულს“ თავსახური ვაგონისეულ რკინის საფერფლეზე ►

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჟდებინა, გამომიწოდა, და უჭიქობას რას დაგიდევდით, პირდაპირ ბოთლით მივიყუდე — ეს მე — და მერე, შვებით რომ ამოვისუნთქე, მაშინვე ვიგრძენი, ლაწვზე რაღაც უნამუსოდ გაქვანძული ყულფი რომ გამეშალა და ფილტვებმაც უცებ იგრძნეს ჰაერი, თავის ტკივილი მყისვე შემეშვა, თვალებში სინათლე ჩამიდგა — კაცი ვხდებოდი...

— ერთიც ხომ არ გნებავს, გერასიმე?

ეს მონაცვლეობით „შენ-თქვენ-ობითი“ მომართვა მაღიზიანებდა და, საყვედურს რადგან ვერ ვეტყოდი (გაჭირვებისას ლუდი დამალევინა), გარკვეული უპირატესობა მაინც მომინდა და „სეიკოზე“ ხაზგასმულად დავიხედე — ხუთი ხდებოდა, ორი საათილა რჩებოდა ადლერამდე, იქ კი, აეროპორტში, კონიაკის ყუთს გამომიტანდა კაცი, ერთ ჭიქას დავლევდი მხოლოდ, და ლიეპაში საღ-სალამათი ჩავიდოდი, ფუჰ, რამ დამათრო წუხელ ისე...

დაინტერესდა:

— მაგ საათს დაქოქვა არ უნდა, არა?

— არა!

— და... წყალგამძლეა?

— დიახ... მაშ როგორ.

— ცეცხლგამძლეც თუა?

— არის, მე მგონი.

აქ მოიწყინა, ასე მეგონა, შეშურდა-მეთქი, მაგრამ სევდიანად აღნიშნა:

— გინდაც, საერთოდ, გაფუჭდეს, დროს ვერაფერი შეაჩერებს. ვბერდებით, ძველო...

კიდამ ვიფეთქე, და ისევ ის ერთი ბოთლი გამახსენდა... კიდევ მინდოდა, თანაც...

— კიდევ ხომ არ გსურთ? — მყისვე ამოიცნო.

— რა? — გამეხარდა და, მაინც, ვითომ ვერ მივუხვდი.

— ლუდი, — რა...

— რა ვიცი... შეიძლება, შეიძლება.

— აგენცვალე.

მივიყუდე და, ვსვამდი, აჰ, ვსვამდი, ყელი ლბებოდა, გადამწვარი, გადახრუკული, ქაფი მალამოდ ედებოდა და, თავგადაწეულს რომ შემომესმა: „ცოტაც მოითმინე, გერასიმე, და ჭიათურაში ღვინოსაც დავლევთ“, ჯერ არაფრად ჩავაგდე ნათქვამი, გავმხნევდი კიდეც... და სწრაფად მოვიცილე პირიდან ბოთლი, გაკვირვებული შევაცქერდი:

— ჭიათურაში რა გვინდა... კაცო...

— აბა მანამდე ჩავიდეთ?

— რატომ მანამდე, — ადლერამდე ორი საათის გზაა...

ახლა იმას გაუკვირდა:

— ადლერში რა გვინდა?!.

— როგორ თუ რა მინდა... — დავიბენი, — იქიდან, ტუთი, ლიეპაში უნდა გავფრინდე.

— აა, — გაეღიმა, — აა, აღარ გახსოვს...

— რა უნდა მახსოვდეს...

— გუშინ რაც დავთქვით, წუხელ...

— რა!..

— ჭიათურაში გამომგზავრება და, როგორც ხედავ, კაცურად შევასრულეთ პირობა კიდეც...

— თქვენ... ჩვენ წუხელ, როგორ, ერთად ვსვამდით?

— როგორ არა, კი. თავისუფლად.

და, გამახსენდა: წამოდი, წამო, მეუბნებოდა, საქართველო, ჩვენი სამშობლო, ვნახოთ; აღტაცებული ჩამჩიჩინებდა, რომ ზემო იმერეთი ყველაზე მეტად საქართველოა, რომ სათცრადაა შეხამებული იქ დასავლეთი და აღმოსავლეთი — ჩვენი; აგერას, აო, გომის გაგრძელებაა კორბოულ-საჩხერეო, იქაურებიც, შედარებით დინჯი მიხრა-მოხრითა და სიტყვა-პასუხით, ქართლელებს წააგვანანო, და თანაც ნამდვილი იმერლებიც არიანო, და მეც, სულელი, თავს ვუქნევდი, ძალიან საინტერესოა-მეთქი, და, ბეჰ!, გამახსენდა — გადავეხვიეთ ერთმანეთს კიდეც, მანამდე კი, ძალიან მწყუროდა (რებეცმა იცის) და მატარებლის მოლოდინში მძღოლი გავუშვი, განაპირა ჯიხურთან, ბნელში, ერთადერთი უწყინარი კათხის გამოცლა გადავწყვიტე, იქ კი ვიღაც შემთვრალი ფილოლოგები ჯგუფად იდ-

გნენ და არ ვიცი, ხუმრობით იყო თუ რა, სამპირიანი ზმნის სადღეგრძელოს სვამდნენ, ფილოლოგები ხომ უცნაური ხალხია, მათგან ერთი კი შორეული თანაკლასელი აღმოჩნდა ჩემი, და მართლა გაგვეხარდა თითქოს ერთიმეორე, ვიწრო დახლზე კათხა მომიჩოჩეს, მოვწრუპე და თავიდან ერთი კი გამიკვირდა — სულ სხვა, მკაცრი გემოსი ყოფილა ეს ჩვენი ლუდი, რადგან ჩეხური, დანიური, არაბული — სხვაა... მაინც გამოვცალე და უჩვეულო ალტყინება ვიგრძენ, ერთიც შემივსეს და ვერ მოვახერხე დამშვიდობება, არადა, როგორია, შესმა და დაუმშვიდობებლად გაცლა, ვერაფრით ჩავაგდე გახურებულ კამათში სიტყვა, რადგან სამპირიანმა ზმნამ ვიღაც უპირო კაცი გაახსენათ და გაცხარებულნი ალაპარაკდნენ იმ ვიღაცაზე, უცნაურია ჩვენი ენა, ქართული — ზოგი უპიროს რომ ეძახდა, სხვა ორპირს ეძახდა და კიდევ სხვამ, შვიდასპირიანიაო, ოხერია, გაიძვერა და გარეწარიაო, მაგას ეგეთი კარგი სახელი უნდა ერქვასო? — დანანებით იძახდნენ, მე კი მომწყინდა, მეორე კათხაც გამოვცალე და საკმაოდ რომ ავმსუბუქდი, თავაზიანი გამომშვიდობება კვლავ გადავწყვიტე, მაგრამ ბავშვობის სადღეგრძელო შემომთავაზეს, და ბავშვობა ხომ, დამეთანხმებით, კარგია, არა? — მესამეც შევსვი, და ისევ იმ კაცს მიუბრუნდნენ, უპიროსა თუ მრავალპირიანს, ურწმუნოაო, გაიძახოდნენ, თმას იღებავსო, ინჩიბინჩი არაფრისა გაეგებაო, ზოგი რომ ამას ამტკიცებდა, სხვანი ამბობდნენ, რას ამბობ, კი, კი, როგორ არა, ყველაფრის აზრზეა, მაგრამ ბოროტია, ხელმოცარულიო, და ხელმოცარულს არავითარი თანამდებობა არ უნდა მისცე, იმიტომ რომ გაბოროტებულია და სხვაც თავისნაირი უნიჭო უნდა გვერდით, ხელმოცარულიო; მხოლოდ ერთი ფილოლოგი გამოექომაგა, მაგრამ ძალიან უნიათოდ — რა ქნას იმანაც, საწყალმაო, მერე არ ვიცი, როგორ შეცვალეს სალაპარაკო თემა, აქეს გურამიშვილი და ვაჟა, ლექსები წარმოსთქვეს, რას არ გადასწვდნენ, შუბერტიც კი ახსენეს ორჯერ, ახლა კი ვხვდები, რომ ურევდნენ, მოკლედ, მე კი, შებარბაცებული, დედმამიშვილების სადღეგრძელოს ვსვამდი, და ახლა რომ ვუკვირდებოდი, სწორედ დედმამიშვილების სადღეგრძელომ მომილო ბოლო, ასე მეგონა, რომ ვბარბაცებ, მეჩვენება-მეთქი, ლუდმა რა უნდა მიყოს-მეთქი და, შესამოწმებლად, ხომ არ დავთვერი-მეთქი, ჩემ თავს გუნებაში ვიმოწმებდი, ვეკითხებოდი და პასუხსაც სწორს ვცემდი: „აბა, მამაჩემს რა ერქვა-მეთქი? — ვახტანგ-მეთქი... აბა, რომელი წელია ახლა-მეთქი?... ახლა ათას ცხრაას სამოცდათერთმეტი წელია-მეთქი...“ ამ ყოფაში რომ ვიყავი, მოულოდნელად დავინახე, რომ ლუდში არაყსაც ამატებდნენ თურმე და, მე სულელს, ბითურს, მეამაყა კიდეც ასეთ ვაჟკაცურ ხალხში ყოფნა და, რკინიგზის ბაქანზე, გზისა და მგზავრობის სადღეგრძელო პირველმა შევსვი, და ეს ყმაწვილი, ახლა შეურყვნელი ლუდით რომ მიმასპინძლდებოდა, არ ვიცი, თანამდებობა შეიტყო ჩემი თუ რა, ამეკიდა და საქართველოში გასეირნება შემომთავაზა, მეც, ხბო, დიდად აღგზნებული დავთანხმდი და ხელიხელგადახვეულები მივბარბაცებდით, ვინ ოხერია, ახლა, ვინ იცის, რაიმე გამოსარჩენიც მომთხოვოს ეგებ კიდეც, და მართლა მითხრა:

— ერთი თხოვნა მაქვს.

— რა... — დავიძაბე.

გაეღიმა და:

— შარვლის ღილები შეიკარით, უხერხულია.

მსწრაფლ დავიხედე და ვთქვი:

— აჰ!

მერე საქმეზე გადავედი:

— ჰიათურაში ვერტმფრენები ჰყავთ?

დაინტერესებულმა ამათვალიერა:



ეროვნული ბიბლიოთეკა

— რომელი ფერის გნებავთ...
ძლიერ გავმკაცრდი:
— ნებისმიერი!
— არ ვიცი, არა მგონია... რად გინდათ?
— ადლერში ცხრაზე უნდა ვიყო.
— ლიეპასათვის?
— დიახ. ოთხი საათი კიდევა გვაქვს.
— ჭიათურაში, — დარწმუნებით მითხრა, — როგორც ყველგან, ლამლამობით სძინავთ.
— იქნება ვინმე... მორიგე, პასუხისმგებელი...
— კი, კი, იქნება.. .
დალაქულ კედელს აზიზად მოვშორდი, მაგრამ შარვალზე დავიხედე და... აჰ, ჩემ მტერს, მტრისას — ირგვლივ სულ კირით მქონდა მოთხვრილი. ავდექი და, უსუსურობისგან, ვაგონის კიბეზე დავჯექ.
— ყოველი შემთხვევისათვის, მაინც... — მითხრა და რუკზაკს ისევ შეუხსნა თავი, — მორიგე-პასუხისმგებელთან რომ შეხვალთ, წვერგაუპარსაობა არ ივარგებს ნამდვილად... აჰათ, ინებეთ, ჩამრთველი არ უნდა, თქვენი საათისა არ იყოს, თავისით მუშაობს, — და აბზუილებული სამართებელი მომაჩეჩა.
კარგი შესახედი კი ვიქნებოდი მოადგილეებისა და თანამშრომელთათვის ახლა — ვაგონის კიბეზე მჯდარი, ცალი ხელით გაბრუებული ვისვამდი ყელ-ღაწვზე აზუზუნებულ სამართებელს, მეორე ხელით — ლუდის ნახევრად დაცლილი ბოთლი მეჭირა.
— რას მოგიწყენია, რომ მოგიწყენია, ა, გერასიმე, — გამამხნევა კაცმა, — ეგეთები ხდება?

2.

ჭიათურაში, დავითარსე.
ჯერ ის იყო და, მატარებლიდან ჩამოსვლისას, ჯარიმა მლეწეს — თბილის-საჩხერეზე, ადლერის ბილეთის ნაცვლად, ჯიბეში გინდაც ღლის კინოსეანსის ძველი ბილეთი გდებია. კიდევ კარ-

ეროვნული

გი, რომ არავინ დამინახა; მაინც მერე იყო და, რომ გადმოვედი, რა მომელოდაა — იდგა, მიცდიდა... მოვიქუფრე და, რომ ვჭოჭმანობდი, დავემშვიდობო თუ უმძრახად ჩავუარო-მეთქი, მკითხა:
— კარგი საათის რომელია, ბოდიში?
ეჭვით ავათვალიერე, მაგრამ უცოდველად შემომყურებდა, მივუგე:
— რვის ოცი წუთია. კარგად იყავით.
ყურიც არ გაუბარტყუნებია:
— თუ გინდა, ქიმწმენდაში მოგიყვან, ტკბილო.
— არა, არ მინდა. ახალს ვიყიდი...
— ათზე იღება უნივერმაღი, გერასიმე. აბა?!
ამ მოთხვრილი შარვლით, ვინ იხერს მივდგომოდი. არადა, რა მექნა...
— ვიცი, რომ არ გინდებვარ, გერასიმე, — წამოიწყო, აქ, ჭიათურაში, უკვე იმერულად უქცევდა, — მაგრამ დამიგდე, აბა, ყური — მაგ პიჯაკ-შარვლით, ჩემო, თქვენი ამბავი რომ ვიცი, შორს ვერ წახვალ შენე. აქ, უნივე...
გავღიზიანდი:
— თუ შეიძლება, ზრდილობიანად ილაპარაკეთ! მე შენე არ ვარ.
თავი იმართლა:
— მე შენე უზრდელობით არ მიხსენებია.
— აბა?
— არამედ აკლიმატიზაციისათვის, გენაცვალე.
ელაპარაკე ამას...
მერე, განაგრძო:
— აქ, უნივერმაღში, ვერც თქვენს საკადრისს იშოვნი რამეს — ხელათ გეტყობა, მზა-ტანსაცმლისთვის დაბადებული რომ არ ხარ.
მართალს ამბობდა, ვიგინდარა — სხვადასხვა ზომის შარვალი და პიჯაკი მინდა, ამიტომ, თბილისში, კოსტუმებს მუდამ იმ ატელიეში ვაკერინებ ხოლმე.
— ასე რომ, გერასიმე, — დამაჯერებლად განაგრძო, — ქიმწმენდის გარდა, სხვა გზას ვერ ვხედავ, იმის გახსნა-გაღებამდე კი, ორსაათნახევარია. და

ეროვნული ბიბლიოთეკა

აგერ აქავე, ყურისძირში, სასადილოა ადრეული ერთი და, შევიდეთ ვაჟკაცურად შიგ.

აჰ, ესღა მაკლდა, რუკზაკიანი კაცის გვერდით მევლო:

— არა, არ მინდა...

— კაი, ბატონო. აბა მაშინ ახლა შენ თქვი, რა ვქნათ და — ჩემი კისერი.

სასადილოში წავედით, ბოლოს.

3.

სად უნდა ვყოფილიყავ და, სად ვეგდე ახლა: კონდიცირებულჰაერიანი, ვერცხლისფერი ლაინერის ნაცვლად, ბინდბუნდიან, გაკვამლულ ოთახში ვაპაჭუნებდი თვალებს, სავარძელში გადაფლვის მაგივრად, ლურსმნებამოჩრილი სკამის კიდეზე დამფრთხალი ვიჯექ, სახელგანთქმული კონიაკი „თბილისი" კი არა, მჟავე ღვინო მედგა წინ და მომხიბვლელ სტიუარდესასგან ფრიად განსხვავებული — ყელში ბანჯგვლებამოჯეჯილებული, მძლავრლიპიანი მებუფეტე უნდილად გვემსახურებოდა — აი, რა მიყო წუხანდელმა დედმამიშვილების სადღეგრძელომ, მყავდნენ მაინც, თორემ, კი...

სალათა მოგვიტანეს, პური, ყველი — ფიჰ... იგი მადიანად შეექცეოდა. ორიოდ ჭიქა ყოველგვარი სადღეგრძელოს გარეშე აურჟოლებულმა (ძალიან მჟავე იყო) შევსვი, თავის ტკივილმა საბოლოოდ გამიარა, გავმხნევდისავით და ბოთლი განზე მივდგი — გათავდა, მორჩა, ისედაც მეყო ამდენი სმა. იმას ჭიქისთვის პირი არ დაუკარებია, მერე, ანგარიშის მოლოდინში, ამათვალიერა და მკითხა:

— თქვენ ცოლშვილიანი ხართ?

— რა თქმა უნდა, — მივუგე მე.

— ძალიან კარგია, კარგი, ბარაქალა. ისე, სხვათა შორის, დაიარება მოსაზრება, ვითომ ბრინჯაოს ხანაში ქმარი რომ კვდებოდა, ცოლსაც მიაყოლებდნენ ზედ. არ იყო, ალბათ, ცუდი წესი — უნდოდა — არუნდოდა, უფრო ვაგიფრთხილდებოდა ცოლი, შენ ხარ ჩემი ბატონი, მოგივლიდა, შეგინახავდა, აბა ახლა, ჩვენს დროში, რომ შეიკლავს ზოგ ქმარს ზოგი ცოლი, ზოგიერთმა, პჯნაშვიდზე, შეიძლება ხელზედაც კი აკოცოს.

— ვინ ვის... — დავიბენი.

ამიხსნა:

— მეპანაშვიდემ — ცოლს.

და დააყოლა:

— ვხუმრობ, რა თქმა უნდა.

— რამ გაგახსენათ... — და სახე პირველად გამებადრა, — აა, თქვენ ალბათ, ძალიან გაწამებთ ცოლი...

მაგრამ მომიგო:

— უცოლშვილო ვარ. და არც მყოლია. რა უჩვეულო ასოციაციაა, არა?

რაღაცას ურევდა... მითხრა:

— დადე ეგ შლაპა სკამზე, რომ ჩაგიბღუჯია ხელში. არსად გაგექცევა... სხვათა შორის, გრიშაც და ვასიკოც უცოლშვილოებია.

— ვინ ოხრებია... — წავიბუტბუტე.

— ძმებია ჩემი. მე — შალვა მქვია.

ის მებუფეტე აღარა ჩანდა, თუმცა, სად გვეჩქარებოდა, ცხრაც არ იყო ჯერ, და სწორედ აქედან, ცხრას რომ უკლდა ოცი წუთი, ის მიკიბულ-მოკიბული ლაპარაკი წამოიწყო, მის პიროვნებას თურმე მუქ წითელ ხაზად რომ გასდევდა, როგორც იტყვიან. მკითხა:

— სპორტი თუ გიყვართ?

— რა ვიცი, ისე... კი, როგორ არა, საჭიროა.

— კრივშია ერთი ძლიერ ცუდი წესი.

— რომელი... წარბი რომ უსკდებათ?

— აარა, კაცო, ეგ წესი არაა. რომელი და, გამარჯვებულს რომ უთვლიან მოგებას.

— ეს როგორ... — დავიბენი.

— როგორ და, გერასიმე, ერთხელ, ერთადერთხელ შევესწარი სამართლიან გადაწყვეტილებას: გამოვიდა რინგზე ორი კაცი, გამოწყობილები ისე, როგორც იმათი წესი და რიგია, და ჯერ

ერთმანეთს დასცხეს, მერე კი ერთმა დაჯაბნა და ურტყა, მაგრამ რა ურტყა — თურქის ბარაბანს არ მოხვედრია იმდენი. მაგრამ მერე, მსაჯმა იმ მეორეს, დასიებულს, ცხვირპირდასისხლიანებულს, რომ აუწია ხელი, ატყდა სტვენა დარბაზში, მაგრამ რა ატყდა, მაგრამ, მე თუ მკითხავთ, ძალიანაც სწორი გადაწყვეტილება იყო...

— ეს როგორ...

— როგორ და, კოხტად — აბა, თან უნდა გირტყან და თან უნდა წააგო? — არა, ბატონო, არა... როგორი ამბავია, წარმოიდგინე შენ — ვიღაცამ სულ ცხვირ-პირში გირტყას და ამისთვის ბროლის თასიც უნდა მიანიჭონ? არა, ბატონო, არა, მე აქეთურის მომხრე ვარ, უნდა შეიცვალოს კრივში ეს წესი.

ურევდა, ურევდა...

— ჩვენ, სამ ძმა კეჟერაძეს, მხოლოდ ერთი და გაგვაჩნია, გერასიმე და, დისშვილებიც გვყავს, აცოცხლოთ ღმერთმა. ორი მშვენიერი, წესიერი ბავშვია, მესამე კი — უჰუჰუ, მტრისას... მსგავსი ახირებული ეკრანზეც არ მინახავს, ცოტათი მე მამსგავსებენ... სახით. გრიშა და მე ძალიან ვეხმარებით ჩვენს დას ბავშვების აღზრდაში, ვასიკო ისე არა, სულ წიგნებშია ჩაფლული, და ნათესაურ კრებასავით მოვაწყვეთ რაღაც და, რა ვუშველოთ ამ ბავშვსო, ვთათბირობდით და სიძემ ჩვენმა, კაი ხვითოა, ჩვენი არ იყოს, ისიც, წამოაყენა წინადადება, ჭადრაკზე შევიყვანოთ ბავშვიო, ჭადრაკი — სპორტიცაა, ხელოვნებაც, ფილოსოფიაც, მელიორაციაცო და მე ვითავე ეს საქმე — ხელჩაკიდებული დამყავდა. ვარჯიშებზე არა უშავდა რა, შედარებით წესიერად იქცეოდა, ნიჭიც აღმოაჩნდა, მაგრამ, პირველსავე შეჯიბრებაზე, არ მომჭრა თავი? როგორ თუ აფიცერი მომიგეო და, ვიღაცა სათვალიან მოწინააღმდეგეს, გაუშალა და არ გაარტყა ხელი? აბა... იმ სათვალიანს მაშინვე გამარჯვება მიაკუთვნეს...

და დაჰყოლა:

— კრივში როგორც უნდა იყოს კანონით, ისე.

ნამდვილად ურევდა!..

— საერთოდ, სპორტს, პოეზიასთან შედარებით, დიდი უპირატესობა აქვს...

— ფიქრებში წავიდა შალვა, და გამოცოცხლდა: — ფეხბურთი ავიღოთ თუნდაც. ვინმემ რომელიმე ცნობილი ფეხბურთელის ილეთი რომ გაიმეოროს, გაგიჟდება სიხარულით ხალხი — დიდისავით ჩაახვია „ხმელი ფოთოლი!“, მიშას ფინტი გააკეთა, ვენაცვალე!, უხარია მაყურებელს, რადგან პირიქით, უკეთესია, ფეხბურთელი ვინმეს თუ ჰგავხარ, მაგრამ აბა, თუ კაი ბიჭი ხარ, დაწერე ლექსში სადმე — საადა ხარ, ჩემო ეელიკოო... — სტვენას დაგიწყებს კარგი საზოგადოება, ხალხი.

შლაპაზე ბუზი დამჯდარიყო, ხელი აუქნიე.

ისე შეცვალა სალაპარაკო თემა, ვითომც არაფერი:

— და, საერთოდაც, ჩვენ, წერა-კითხვის მცოდნეებს, დიდი დანაშაული მიგვიძღვის ეის წინაშე.

— რის წინაშე?

— ე-წერტილი ი-წერტილის წინაშე, ესე იგის წინაშე, ესე იგი.

— რატომ... — გავვოცდი.

— რატომ და, გერასიმე, დაწერენ ხანდახან მკვლევარები უშველებელ წიგნს, აუარება ზედმეტი მსჯელობით, ვითომ მოსაზრებებიანს, უვარგისს ყოვლად და, აქაოდა, ეკონომიას დიდ პატივს ვცემთო, ესე იგის ამოკლებენ — ე-წერტილი, ი-წერტილ-ს სწერენ. ესაა, გერასიმე, საქმე? ეკონომია თუ გიყვარს, შე დალოცვილო, ესე იგის რას ერჩი, რატომ ჩეხავ, იყოს თავისთვის, ამას ის არ სჯობდა, კილონახევრიანი წიგნი ტყვილა არ დაგეწერა? ხომ ვარ სწორი...

— რატომ, წესია...

— წესი... — ხელი აიქნია, — წესი კი არა, დამნაშავე ვართ კაცობრიობა ამ სიტყვების წინაშე და, ცოტათი მაინც რომ გამოვისყიდოთ, ამის შემდეგ ახე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

უნდა დავწეროთ — ესსსე იგგგი, ხომა ვარ სწორი?

— ექვსი მანათი, — თქვა მებუფეტემ, თავს დაგვდგომოდა, მაგრამ იყურებოდა შორს.

ფული არაფრით გადამახდევინა, აკი მე დავპატიჟე, შალვამ და, უცნაურად თეთრკანიანი მებუფეტეს შემყურემ, კუპრივით შავი ულვაში რომ ჰქონდა, თქვა:

— ისე, ზანგებს, წესით, გერასიმე, თეთრი წამწამები უნდა ჰქონდეთ.

გამოჩურჩუტდა, მთლად...

**4.**

ქიმწმენდაში ვიღაც წითური კაცი ტომარას კემსავდა და თან არხეინად ღიღინებდა: — შა-ავსა შაავი მყვაანს ცხეენიაა...

— კაი გამარჯობა! — შესძახა შალვამ.

— გაგიმარჯოს! — შეათვალიერა ქიმწმენდელმა.

— აგერ, პატივცემულის შარვალიდაყვს ვერ მოგვიყვანთ წესრიგში?

ამხედა, დამხედა, ეუცხოვა: — რა ნაჭერია, ბატონო?

— ინგლისური ტრიკოა.

— აჰ, ტრიკოზოლი არ გვაქვს.

— აბა რა გაქვთ, რა... — ამოვიგმინე.

— რა და — დაკრონზოლი, შალზოლი, კრეპზოლი, ბუკლეზოლი... ტრიკოზოლი არ გვაქვს.

— რასა ჰგავს ეს! — გავფიცხდი მართლა, — ქიმწმენდაა ეს თუ რა!

— რას ჯდებოდი, ძამია, აბა, უწესო ადგილას... მე გირჩიე თუ...

ამის ძამიაც რომ გავხდი...

— ყური დამიგდე, — მკლავზე წავატანე ხელი, — ორ საათში თუ მომიწესრიგებ, ამდენს გაჩუქებ, — თითები ვაჩვენე.

— მანათს? — აიბზუა ტუჩი.

— თუმანს, შე კაცო...

— [illegible] [illegible]? — [illegible]ლად შემომაცქერდა.

— კი.

— მაშინ ხვალ არა, ზეგ... ნაშუადღევისთვის. ძალიან ვეცდები.

რა თავს იგდებდა!

— ორ საათში-მეთქი, ადამიანო!

— ორ საათში, პატივცემულო, შეუძლებელია ყოვლად.

— რატომ...

— სიმართლე გითხრა?

— თქვი.

— რა და, გენაცვალე, ამას არაჩვეულებრივი ზოლი-მოლი არ უნდა, უნდა გაიწმინდოს შეძლებისდაგვარად ჯერ, მერე „ნოვოსტში" გაირეცხოს, გაშრეს და გაუთოვდეს ბოლოს, და, გენაცვალე, ხვალინდელ თერთმეტის ნახევრამდე არ ეშველება არაფერი. „ნოვოსტი" საღამოთი უნდა მომიტანონ ზესტაფონიდან, ქალაქია კარგი ასეთი, მანამდე, გავწმენდ, შენ ხარ ჩემი ბატონი, გავასუფთავებ, გავუდენ კაშკაშს. იდაყვი მაჩვენე აბა...

მივუშვირე, როგორც შემეძლო... ათვალიერებდა, სული შეუბერა, წკიპურტი გაჰკრა, კვლავ აღიღინდა: — შაავსა შაავი მყვაანს ცხეენიაა... ახალთახალს დავამგვანებ. რომ შეგნატროდეს ყრუ-მუნჯიც ყველა...

რა შუაში იყო...

— გაქვს ჩემოდანში გამოსაცვლელი თუ...

— მაქვს, როგორ არა, — მოფარებულში შევედი, შარვალი და [illegible] პერანგი ამოვიღე, გავძახე: — თერთმეტის ნახევარს ხომ არ გადაცილდებით...

— საჩივარი! წიგნის მადლი გამიწყრეს, ჰაჰ... — ჩაეცინა, და გაუმკაცრდა ხმა, — შენ ხომ არ დაგავიწყდება — თითები შემოჰყო ფარდაში.

— არა, კაცო, არა... სიტყვა სიტყვაა, ხომ გითხარი... — დავიბარბაცე და შარვლის ტოტში ფეხს გამებლანდა.

— კაი დაგემართოთ.

გამოვედი და, მოგრძო ხარაჩოში ჩა-

ვიხედე, არა მიშავდა რა, ჭიათურის პირობაზე... შლაპა დავიხურე, ვუსურვე:

— კარგად იყავით.

— აგრე იყოს. — თქვა ქიმწმენდელმა. უზრდელი...

— თქვენ ნამდვილი ქართველები იყოთ, მეტი არაა ჩემი მტერი, — თქვა შალვამ, ქუჩაში რომ გამოვედით.

5.

მაგრამ უგუნებობამ სწრაფად გადაუარა; დარიგებას მოჰყვა, თავისი ჭკუით:

— შენ თვალსაჩინო კაცი ხარ, გერასიმე და, ქალს თუ ეტყვი შემთხვევით, მიყვარხარო, და თუ ის შეგესიტყვება — არ მჯერა, ვაი — არ უნდა უთხრა: „ცოლ-შვილს გეფიცები..." ამას აჯობებს, ყოჩაღად მიუგო: „დედა ნუ მომიკვდება," ანდა, უბრალოდ: „თუ არ მიყვარდე, ცუდი ვიყო..."

გიჟია, ოხერი... და რადგან ერთხელ და სამუდამოდ უნდა ამომეკვეთა მისი ეს თავგასულობა, თანამდებობა პირში ვუთხარი ჩემი, ასე მეგონა, გადანცვიფრდებოდა ჯერ, და ღრმა პატივისცემით შემომაცქერდებოდა მერე, მაგრამ მშვიდად თქვა:

— რა ვუყოთ მერე... და მანუგეშა, მანუგეშა კიდეც, წარმოგიდგენიათ? — ჯერ მაინც შედარებით ახალგაზრდა ხარ...

სულელი იყო. და კარგი აზრი მომივიდა, დადებითი — სისულელეში უნდა ავყოლოდი, სხვა გზა არ იყო — აბა, დადექი ახლა და ესაუბრე ამას სერიოზულად ქვეყნის ავ-კარგზე, როგორც იტყვიან... იქ, კაბინეტში, ამისთანები გამიცურებია? და აგდებულად ავხედდავხედე, პირველად შევათვალიერე საფუძვლიანად, დავეკითხე:

— შავები რატომ გაცვიათ ამ გაგანიაში, შალვა-უფროსო?

„უფროსო"-მეთქი, აჰ; იუმორის შესანიშნავი გრძნობა... მაგრამ არ მოტყუვდა, მაშინვე ბანზე ამიგდო სიტყვა:

— შენ საქართველო გიყვარს, გერასიმე?

გამომიჭირა — მე, ჩემდა თავდა... შეკითხვაზე ვერ გადავუტანდი სიტყვას, ჩემთვის უხერხულია მაინც საქართველოზე მოყრუება, და დროებით მივუგე:

— კი, როგორ არა...

მაგრამ აქ წარმოსთქვა ყოვლად უხამსი, ერთადერთი:

— ისემც...

უზრდელო! ხეპრე...

მერე, კინოთეატრში შევედით... დრო რომ გაგვეყვანა.

6.

კინოთეატრიდან, გედების პარკი დამათვალიერებინა... იმდენი არაფერი — რაღაცნაირი ხეები იდგა და გედები დაცურავდნენ წყალში. გრძელ მერხზე ჩამოვჯექით, ჩრდილში, — რადგან მზეზე უფრო ცხელოდა და, საერთოდაც, ცხელოდა. სინოპტიკოსებიც ერთხმად აღნიშნავდნენ, რომ დიდი სიცხე იყო საქართველოში. ჰიმდინარე, 1971 წელს.

— უხდება ტირიფი გედს, — აღნიშნა, — რა სულელური ფილმი იყო?

— რატომ... — არ დავეთანხმე, — კეთილშობილებაზე იყო, პატიოსნებაზე, სიწმინდეზე...

— კარგი, გაჩერდი, თუ კაცი ხარ... — შეიჭმუხნა, — ტყუილი იყო თავიდან ბოლომდე.

— რა არ დაიჯერეთ, მაინც... — „თქვენობით" იქით მივმართავდი, წარმოგიდგენიათ? მაგრამ ასე იყო საჭირო...

— რა და, ჯერ ეს ერთი, ის ქმარი ტყუილად არ ეჭვიანობდა.

— როგორ თუ არა... ხომ გამოირკვა ბოლოს ყველაფერი.

— რა ყველაფერი...

— რა და, ქალის უბიწოება.

— კარგი გაჩერდი, გერასიმე... — ამოიოხრა.

— როგორ თუ გაჩერდი... — ავიმრიზე მეც.

— როგორ და, ნამდვილად მოხდა იმათში რაღაც...

— რა რაღაც... რა!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— იცი ის შენ.

— არაფერიც არ მომხდარა, — გავუსაჩივრე ნათქვამი, — ხომ გაირკვა ბოლოს...

— არა, გენაცვალე. მე ყოველთვის ვხვდები, წყვილის დანახვაზე, მომხდარია თუ არა იმათში რამე... ვხვდები და, რა ვქნა.

— რითი...

— ეტყობათ, კოჭებში.

აღვშფოთდი:

— ახლა, შენ უკეთ იცი სცენარისტზე?

— აბა რა! — გამოცოცხლდა შალვა, — ოთხ თვეს გამნათებლად ვმუშაობდი.

— მაგ ფილმზე?

— არა, თეატრში.

ელაპარაკე ამას...

— არა ხართ სწორი, არა, ბატონო, შალვა, — დამაჯერებლად ვუთხარი, „ბატონ"-ობით. მაგრამ ამ ვაჟბატონზე, შალვაა თუ ვიღაც, ამან არ გასჭრა, და, საერთოდაც, ჩემს არგუმენტებს არ უჯერებდა, მაგრამ მე მაინც დაბეჯითებით განვაგრძობდი:

— ბოლოს ხომ გაირკვა ზუსტად ყველაფერი.

— ეკრანზე — კი...

— აბა სხვა რა გინდა... — ამოვისუნთქე...

— სცენარით გინდაც არაფერი მომხდარიყოს, მაინც მოხდებოდა... იქ.

— სად იქ, შალვა, კაცო!..

— სად და ცხოვრებაში.

აყევი ახლა ამას... მაგრამ გავბრაზდი:

— რა იცი, შალვა, შენ! — გაცხარებულს, „თქვენ"-ობის თავი აღარა მქონდა; — რაზე შეატყვე მაინც!

— ეტყობათ-მეთქი, კოჭებში... — და დააყოლა, — რა კარგი შლაპაა? იფ...

და მყისვე მისი ჩამოცილება გადავწყვიტე. ამექიდა, რა, იმასავით... აი, იმასავით, აი... აი ტკიპასავით, ჰო. კატეგორიულად დავეკითხე:

— თქვენ საით წაბრძანდებით ახლა?

— სად მაქვს თქვენს იქით გზა... — არხეინად მომიგო, კიდევ კარგი, „თქვენ"-ობითში რომ მაინც აჰყვა, მაგრამ მაშინვე გააბათილა, — ხომ გადავწყვიტეთ მე და შენ, ერთად მოგვევლო ჭიათურის რაიონი.

— აარა, გენაცვალე, აარა, — ავნერვიულდი, — იძახით აქ სისულელეებს და...

— სისულელეებს რომ ვიძახდე, კამათში არ ამყვებოდი. ეტყობა, შენც გენიშნა რაღაც... ტყუილუბრალოდ არ კამათობენ. აბა ახლა, მე რომ ვთქვა, მაგალითად, ასეთი რამ — დუშეთის ფლოტი მსოფლიოში უძლიერესია — შემეკამათები, გერასიმე?

სულელი იყო ვიღაც... ტუტუცი, შტერი... ვინც დედმამიშვილების სადღეგრძელო კიდევ შესვას, ჩემდა თავად...

— აბა, მოვიაროთ, აბა? — სულწასულად დამეკითხა, — აკი დავთქვით და...

— აარა, ბატონო, სრულიადაც აარა, — ისევ ავთრთოლდი, — ის სულ სიმთვრალის ბრალი იყო.

— სიმთვრალემ შეგაცდინა, ხომ... — გულდაწყვეტილი დამეკითხა.

— დიახ!

— ცუდია, არა, ცუდი სიმთვრალე?

— ძალიან ცუდი. ვერ ხედავთ, რა დღეში აღმოვჩნდი? სად უნდა ვყოფილიყავ და...

— აბა, ცუდია? — დაკვირვებით მიყურებდა.

— ცუდ სიმთვრალეზე ცუდი ნამდვილად არაფერია ქვეყნად. — მტკიცედ განვუმარტე.

— ერთი რამაა ნამდვილად უფრო ცუდი...

დავინტერესდი აქ:

— რა, მაინც... შალვა?

რაღაცნაირად, სევდიანად შემომცქეროდა, მითხრა:

— რა და, გერასიმე, ცუდი სიფხიზლე. გლახა სიმთვრალეს კიდევ ეშველება... ცუდი სიფხიზლე თქვი შენ...

## 7.

სხვა გზა არ იყო — რაღაცით უნდა დამემტკიცებინა ჩემი უპირატესობა, სულ აიგდო თავი, და გამოსავალს ვეძებდი. საათზე დამეხედა? არა, ეს ხომ უკვე ვცადე და, უშედეგოდ, სხვა რამ იყო საჭირო, და მსუბუქად ქრქოლადავლილმა კუჭმა მიხსნა — დილით რა ვჭამე, არაფერი და, ცოტათი მშიოდა, და მისი პირველხარისხოვან რესტორანში დაპატიჟება განვიზრახე, თუკი მსგავსი რამ არსებობდა აქ, ჭიათურაში, სადმე. თურმე, ყოფილა და იქით გავსწიეთ, იმან — რუკზაკმოკიდებულმა, მე — ჩემოდნით ხელში, და რადგან გარდერობი ზაფხულობით არ მუშაობდა, ფეხებთან დაიდო იმან თავისი ბარგი, მე — ჩემი მოწყობილობა, მომცრო კაბინაში ვისხედით, ზედ რომელიღაც ამღვრეული მდინარის პირას. აქ, რესტორანში, შალვასთან დაძაბული თამაშისას, თავს საკუთარ მოედანზე ვგრძნობდი, რადგან რესტორნების მაქვს გარკვეული გამოცდილება, დიახ, და ოფიციანტთან მსწრაფლ ხელში ვიგდე ინიციატივა, რადგან არცთუ ისე ქათქათა სუფრა გამოვაცვლევინე, მართალია, უარესი მოიტანა, მაგრამ მაინც... ცივი შამპანური დაუდევრად, თითქოსდა უგულისყუროდ ვიკითხე, მოვატანინე ორი, მერე ერთი უკან გავატანე, მაცივრის უმაღლეს თაროში შესადებად, შევუკვეთე ხბოს მწვადი, სუკი (ხიზილალას არ ვენდე) და ორი წიწილა, ერთიც — დედალი; სალათა, კუჭმაჭი, ბორჯომ-ლიმონათი და ყველი რა სახსენებელია, ანდა — მჟავეული. ბაზარში ოხრახუშისთვის გავაგზავნინე დამლაგებელი, წუთში მობრუნდა, და ოხრახუშს ოსტატურად ვურევდი შამპანურით სავსე ჭიქაში, გაზი რომ გასცლოდა — მძიმეა ისე სასმელად, დალოცვილი... მერე ქართულ პურზედაც პროტესტი გამოვთქვი, გასაცხელებლად გავატანე ქუხნაში („კ"-უხნას კი არ ვამბობ ზოგზოგებივით, ჩვენ, ზოგიერთმა ქართველმა, თუკი საჭიროა, ვიცით მშობლიური ენის ფასი(ც), და რომ გაივსო მშვენიერი, სხვათა შორის, ჭიათურის პირობაზე, საჭმელ-სასმელ-სანოვაგით სუფრა, შალვამ შემაქო:

— ყოჩაღ, გერასიმე. მაქსიმალისტი ყოფილხარ, ჭეშმარიტი ქართველის ერთი თვისება ნამდვილად გქონია.

— ხომ არ აკლია რამე? — სუფრას გამომცდელად დავხედე.

— კი.

ეს პირში მითხრა, გავვოცდი ძლიერ:

— რა მაინც...

— ერთი, თუ კაცი ხარ, — თითი ასწია, — ლობიო ან შემწვარი კარტოფილი მოატანინე.

— რა, ამეებს სჭობს?

— ვინც ხორცს არ გეახლება, გერასიმე, იმისთვის — კი. და, თუ არ გეწყინება, მე ღვინოს დავლევ.

— რატომ...

— გამათამამებს, შამპანური. თანაც, მივეჩვევი და... ვინ დამალევინებს მერე.

ფუჰ, უპირატესობა ხელიდან მეცლებოდა. გუნება გამიფუჭდა და, რაღაცნაირად, მეუხერხულებოდა თითქოს წიწილის კვნეტა, მარტო კაცი ჭამაშიაც ცოდოაო, გაგიგიათ, ალბათ... მაგრამ უკანდახევა არ მჩვევია, ჭიქა ავწიე:

— გაუმარჯოს ყველაფერ კარგს, რაც ქვეყანაზე არის.

— ერთი ჭიქით სვამ ამას, გერასიმე? — გაკვირვებული შემომაცქერდა.

— ჰა, ორით იყოს, — ვთქვი და მეორე ჭიქაშიც ქაფის უნაზესი ვულკანი ამოვიყვანე, კარგია შამპანური, ვენაცვალე მას.

— გაუმარჯოს, — თქვა შალვამ, — მაგის იმედით არ ვართ?!

მადა გამეხსნა. სუკი ჩავკბიჩე, აჰ, ოდნავ ძნელად მნებდებოდა, მე რომ მიყვარს, ისე; ხბოც კარგი იყო, ნაზი, ცვრიანი, და წიწილასაც კურტუმიდან რომ მივადექი, შალვამ იკითხა:

— თქვენ ხინკალი თუ გიყვართ, ა, გერასიმე?

— გააჩნია გაკეთებულს, — მაინც

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვფრთხილობდი, ავწონ-დავწონე სიტყვა.

— მე კი, გერასიმე, ხინკალმა ერთ აღმოჩენამდე მიმიყვანა.

— აღმოჩენამდე? — გავიკვირვე და წამსვე იუმორი მოვიშველიე, — რა, ნიუტონის კანონია?

— არა, ეს კუჭის კანონია, — სერიოზულად მომიგო, — ახლავ აგიხსნი, აგერ ვარ მე და აგერ ხარ შენ. ხინკალი, გერასიმე, რაც უფრო გშია, სანატრელია უფრო, — შეუდგა ახსნას, — ჰოდა, წახვალთ სახინკლეში რამდენიმე ჯეელი, დგახარ რიგში და აჰ, ჯერ სხვებს გამოაქვთ, ნერწყვი გეძალება და შენატრი იმათ. მოაღწევს მერე, როგორც იქნება შენი რიგი და, მოგაწვდის მაგრამ, რას მოგაწვდის მეხინკლე იგი — ცხელს, ათრთქლებულს, ჯადოსნურ ლანგარს, სულ ციმციმ მოგაქვს, და მრგვალ მაგიდის წრეს შემოარტყამთ, ფეხზე დამდგარნი; მერე თქვენში ყველაზე დადებითი ადამიანი მეზობლებიდან შავ წიწაკას ინათხოვრებს და მოაყრის, მაგრამ რას მოაყრის — მწვავეს, მადიანს, ვეღურს — უჰუჰუჰ!.. მთლად ათრთოლდები, მაგრამ ცხელია... მერედა, შე კაცო, ფრთხილად აიღე, შეუბერე სული, კარგად, დაკვირვებით, ცენტრში რომ მოარტყა, უბერე, უბერე, ფრთხილად მოკბიჩე პატარაზე მერე და ახლა იქ ჩაბერე, ოხშივარში, ჰუჰ! ზედ შიგ ცხვირ-პირზე გელამუნება, და მერე ფრთხილად, ფრთხილად შეიწოვე გულბოყვდამთუთქავი წვენი, აჰ, რა ხსნარია, იფჰ! რომ აგრილდება პატარაზე მერე, ლეჭე, ყლაპე და გუნებაში ნეტარებით იფიქრე: აჰმ-ჰჰ, უხხმ-ჰჰ, და მორიგი ხინკალ-ჭიპის ურნაში ჩასაგდებად დახრა რომ გაგიჭირდება, ამოიხვნეშებ და გაიფიქრებ — ე, ხომ არ მეყო? აარა, კაცო, რა საკადრისია. აი ის აიღე, ის, გვერდითა ცალი, ოჰოჰ, ცხარეა? — დააყოლე ქაფქაფა ლუდი, ყელს ვერ ჩაგირეცხს კოხტა-ლამაზად თუ... ახლა, ერთას დასწვდი, ძამიკო, როგორ გიყურებს, გიყურებს როგორ, აჰ, გეხვეწება, ნუ ეტყვი უარს, აიი, ასე, რა, სუნთქვა გიჭირს? რა უჭირს მერე სირბილით ხომ არ დაღლილხარ და, მაინც, მერე, იმ კანონს მაინც აღმოაჩენ — რომ დანაყრდები კი არა, უკაცრაოდ პასუხია, ვრცლად რომ გაძღები, გენაცვალე, რო დამძიმდები, მოფომფლოვდები და თვალზე რული ჩამოგაწვება, მთვლემარე, ბუნდოვნად იგრძნობ რომ, ისევ ის ბითური ხარ, რაც მანამდე, ხინკლის ჭამამდე იყავი. აბა?! — კუჭის კანონია ეს, გერასიმე.

სუფრაზე უხერხული დუმილი ჩამოწვა, ბარკალს ხელი ვუშვი.

— რამე ხომ არ მოგართვათ, ბატონო, ხომ არ გამოვაცოცხლოთ სუფრა? — დუნედ იკითხა ოფიციანტმა, ფანჯარაში იყურებოდა.

— ჰა... არა, — ვთქვი მე.

იმან კი, შალვამ, ასე მომმართა:

— მიირთვით რამე, გერასიმე.

ჩემს პურ-მარილზე, მეპატიჟებოდა!

გ.

მაგრამ შამპანურს, ამხანაგებო, თავისი გააქვს. ასე იყო ახლაც, რასაც მეტს ვსვამდი, ვმსუბუქდებოდი უფრო, და მსიამოვნებდა, ისიც, სულელი, ღვინოს წრუპავდა და შევსვით სხვადასხვა სადღეგრძელო, ამჩატებული, მეტის პატივით მექცეოდა, მეტი ზრდილობით, ძლივს არ გაიგო ჩემი ფასი? მაგრამ რაღაცას აპირებდა, მგონი; ეტყობოდა, რაღაცნაირად, მისივე გამოთქმისა არ იყოს, კოჭებში, თუმცა ფეხები მაგიდის ქვეშ სულ არ უჩანდა — გამჭრიახი ვარ — ძალიან დატკბა, სულ თვალებში შემომციცინებდა, ბატონო სიმაც მიწოდა ორჯერ... შვება ვიგრძენი, მჭიდროდ მივეყრდენი სკამის ზურგს, მიდამოს გავხედე, საბაგირო გზები ჰქონიათ ჭიათურაში, თურმე, კარგია, ყოჩაღ, მომეწონა ეს. მაგრამ რაღაცა გაბრაზება, მთელი დღე გონებაში რომ მიღიტინებ-

ეროვნული

და, სწორედ ახლა არ გამახსენდა? წამსვე ვიფეთქე:

— კი მაგრამ, შალვა, ამ შუა ზაფხულში რატომ ათბობდნენ ვაგონს!

მაინცდამაინც არ აღელვებულა, ის კი არა და, მშვიდად მომიგო:

— რა გითხრათ, აბა, ალბათ, ნახშირი თუ აქვთ ასათვისებელი...

— როგორ თუ ასათვისებელი...

— ტყვილა ხომ არ გადაყრიან, აბა?

— გადაყრა არ სჯობს ხალხის ამოხრჩობას?

— აჰ, ეგ არა თქვათ, საპასუხისსაგებო საქმეა ტყუილა რაიმეს გადაყრა, თქვენ კი უნდა მოგეხსენებოდეთ ეს.

გამომიჭირა, ოხერმა და, ეს მდგომარეობა რომ განმემუხტა, მესამე ბოთლი ჩემით გავხსენი, გამოზომილი, დახვეწილი მოძრაობით და, სანამ ჭიქაში ქაფი ჩადიოდა და სითხე კი, პირიქით, ამოდიოდა, უეცრად ჩემკენ გადმოიხარა და მითხრა:

—ერთი თხოვნა მაქვს, ბატონო სიმა. ნუ გამაწბილებთ...

ერიჰაა! აჰა — თავიდან ვგრძნობდი, რაღაცის გამორჩენა რომ უნდოდა ჩემგან, მაინც გულთბილად შედარებით, ვთქვი:

— მითხარი, შალვა.

— რა და, ბატონო სიმა, ერთი აზრი მომივიდა, თუკი გვიკადრებთ.

— რატომ არ ვიკადრებ, თუკი ნორმის ფარგლებს არა სცილდება, — და ადამიანურად გავამხნევე: — ადამიანები ვართ მეც და შენც.

ნასვამი ვიყავ, თორემ ვინ ოხერი გაუყადრებდა თავს.

— რა და, ბატონო სიმა, ღამე მაინც აქ გვაქვს გასათევი და, სასტუმროში ოთახის ძებნას, აგერ, აქავე, ერთი საათის სავალია ავტობუსით სულ, ბიცოლა ცხოვრობს მკვიდრი ერთი ჩემი და, მივიდეთ ბარემ, სულ მეხვეწება, წერილობით, ეე, ამოდი ერთი, რა იქნება, ამხანაგებით, შალვაო და, კაი ქართულად დაგვიხვდება, მშობლიურ-ტკბილად, ბატონო სიმა, ბევრს კი ვერაფერს შეგპირდებით, მაგრამ სიმინდზე გაზრდილ ქათამი და [illegible] ყველი და პრასი ექნება, [illegible] ლობიო, კვცის ჭადი და ნამდვილი ღვინო, ქვევრიდან მცირე ზვირთებად ა[illegible]იკლიკებული, — და საცოდავად დამელრიჯა, — ავიდეთ, რაა?

— არა, ახ, არა, არავითარ შემთხვევაში, — კატეგორიულად განვუცხადე მე.

— რატომ, ბატონო სიმა...

— რატომ და, ვიცი, წამოიწყება იქ დედმამიშვილების სადღეგრძელოები!

— რა უჭირს ერე...

— არა. — ვთქვი მე, შეუვალი ვარ, როდესაც ამას საჭიროება მოითხოვს, მაგრამ განაგრძო:

— რა იქნება, რა, ბატონო სიმა, პატივი დაგვდეთ...

— არა-მეთქი. აჰ! — ამ შეძახილით გავკიცხე და ხელისგული მაგიდაზე მრავალმნიშვნელოვნად დავდე. ახლა კი მივხვდი — ამიყვანდა იქ, სადღაც სოფელში, დამალევინებდნენ რაღაცა ღვინოს, გამშლიდნენ ქეციან პურ-მარილს ისეთ დაბალ მაგიდაზე, წელში რომ გაგწყვეტს, მერე კი, შემთვრალს, შემაცოდებდნენ თავს — მარტოა აქ, მოხუცია, გამოყრუვდაო და, თქვენი ჭირიმე, ეგებ ქალაქში გადმოვწეროთო და, ან მასალა ენდომებოდათ რაიმე, გამომტყუებდნენ დაპირებას და მისამართს, მერე ქალაქში რაიმე ძღვენით მომადგებოდნენ და, ამათი თავი მქონდა მე? აქაც კი ვიჯექი გაწყობილ მაგიდასთან, კოხტად.

— მაშინ, ბატონო სიმა, აქ შევსვათ დედმამიშვილების სადღეგრძელო, — მითხრა.

— აჰ, არა, არა, — გავასავსავე ხელი, — მაგ სადღეგრძელოს დამლევი არ ვარ.

— რატომ, პატივცემულო? — დაინტერესდა.

— იმიტომ. მორჩა! — მკვეთრად მოვუგე.

— კაი, ბატონო, — მაშინვე დამეთანხმა, — აბა მე დავლევ და, მისმინეთ მაინც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— კი, სმენით — გისმენთ.

— ჩვენ სამი ძმა ვართ, კეჟერაძეები, და ერთი დაც გვყავს, გაგვიმარჯოს ჩვენ. ერთი გვყავს კიდევ, ბიძაშვილი, დედის მხრიდან და, დედაჩემი კი სანაძის ქალია, ბატონო სიმა, დედმამიშვილებში არ გვერჩევა ბიძაშვილი ის.

ძაან არ მაინტერესებდა? ვარიდებდი თვალს...

— ჩვენ, სამნი ძმანი კეჟერაძე და ბიძაშვილი ჩვენი, სულ სხვადასხვა გზით წავედით ცხოვრებაში: აგერ, მიხეილი ჩვენი, სანაძე, წავიდა დირიჟორად, მუსიკის გზით. გრიშა, ჩემი ღვიძლი ძმა, წავიდა ადამიანთა შორის უკეთესი ურთიერთობის დამყარების გზით, ხოლო მეორე ღვიძლი ძმა, ვასიკო, წავიდა ლიტერატურის სიყვარულის გზით.

ალმაცერად გადავხედე აქ:

— და თქვენ? თქვენ საითკენღა წახვედით, შალვა?

— მე ყველაზე რთულ გზას დავადექი, — თქვა მან, — მე წავედი სოფელსოფელ წოწიალის გზით.

— კი მაგრამ, რატომ?

— ერთი რამის სიყვარულით, დაფარვა რომ სჭირდება.

— რაა ასეთი? — ჩავაჯინდი.

— მერე გეტყვით... როდესმე, სხვა დროს.

— რა, ლიეპაში წამომყვებით თუ... — კვლავ იუმორი მოვიშველიე.

— აჰ, ლიეპაში რა მინდა, კაცო... ლიეპაში კი არა, აქ ვერ ავსულვარ, ბიცოლას სოფელში, სადაც...

გავაწყვეტინე:

— თამადაო, ჩანჩალაო..., — ვეიუმორებოდი.

— გაუმარჯოს, აბა, ჩემს და-ძმებ კეჟერაძეებს, მიხეილს ჩემსას, თქვენ არ გყავთ, ვიცი.

— რა იცით? ჰა... — დავიბენი.

— კიბეზე არ მითხარით?

— რომელ კიბეზე...

— თბილისის ვაგზლის.

და, ლაპარაკი რომ მსწრაფლ სხვა რამეზე გადამეტანა, ჭიქას წამოვავლე ხელ-

— დედმამიშვილებს გაუმარჯოს.

და, საოცრებავ, არ მივიყუდე? აკი დავთქვი რომ... არ შეიძლება, გულში ვიძახდი, აარა-მეთქი, მაგრამ მაინც — ყლუპ, „ეს სადღეგრძელო გაგაფუჭებს" — ჩემს თავს ვეუბნებოდი და მაინც — ყლუპ, „ბოლომდე მაინც ნუ გამოცლი" — ყლუპ, „რას სჩადი, კაცო" — ყლუპ, და გამოვცალე ამასობაში, მე სულელს, მაინც კიდევ მინდოდა, ჭიქა მაგიდაზე იდგა, მე კი ჭიქაზე შემომეჭდო უგუნური თითები და, გამიგო კიდეც, მყისვე შემივსო, მითხრა:

— ძალიანა გთხოვთ, მიხეილის სადღეგრძელოც მიირთვათ, ბატონო სიმა. იგივ დედმამიშვილია ჩემი...

მაშინვე დავუჯერე:

— ეს გაუმარჯოს ლიტრა... ტერატურის... — ენა ამებნა.

— აჰ, არა, არა, ის ვასიკოა... დირიჟორია ეს...

— გაუმარჯოს ყველა დირიჟორს... თავისი ჯოხით...

— აგრე იყოს, ამინ, — და გამამხნევა, — ოო, ეგრე სჯობს, მასე, ბატონო სიმა, ბოლომდე დაცლა — ვაჟკაცურია.

9.

ახლა რომ ვუკვირდები, იმჯერადაც დედმამიშვილების სადღეგრძელომ დამღუპა — შექანავებული, ცხვარივით დავდევდი აღგზნებულ შალვას, ვისაც მყისვე დავთანხმდი სოფლად ასვლაზე, მერე მითხრა რომ, სოფელში ჩემი ამ ძვირფასი ტანსაცმლით გამოჩენა შეუსაბამობას გამოიწვევდა ერთგვარს, და მაყიდინა უნივერმაღში ხამი ტილოს შარვალ-ხალათი, ვაი, სირცხვილო — სადღაც ბუჩქებში გადავიცვი, მოვჩანდი კიდეც ალბათ, კარგი სამოსი — ჩემოდანში მზრუნველად ჩადო, შლაპალა შემრჩა ძვირფასი თავზე, და მილოცავდა აღჭურვილობას ახალს, რომელსაც, მისი შეხედულებით უბრალოსა და მშო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბლიურს, „ტყრუშულს“ უწოდებდა, ბიცოლასეული ღობის სახეობიდან ნასესხებ გამოთქმას; ბილეთების აღება დამასწრო, რადგან მე ჩემოდნიანა ერთ ადგილას ვიყავ, გალიმებული შემომეგება:

— ა, მაშ მივდივართ, პატივცემულო ბატონო სიმა?

— კი, — და დავეჭვდი, ნასვამიც კი, საზრიანი ვარ, — კი მაგრამ, იმანო... — სახელი დამავიწყდა, — ჰო, შალვა... — და სახელი კი გავიხსენე, მაგრამ ახლა სათქმელი დამავიწყდა, და გავიხსენე ისიც. — აი ეგ შენი ბიცოლა, შალვა, რომ არ დაგვხვდეს, ა, შალვა?

ერთხანს მიყურა, და გაუბრწყინდა სახე, ჯიბისკენ წაიღო ხელი:

— აგერ არა მაქვს იმისი სახლის გასაღები?

და ამოაძვრინა კიდეც — პატარა, ოქროსფერი, კოხტა.

— კარგი, შალიკო... — დავეთანხმე, პატარას თითქოს ვბარბაცებდი, დიდი ამბავი, მერე რა... და მემშობლიურა შალვა მერე უცებ, რა იყო მაინც, რა ჭირი მეტაკა, მხარზე მოვხვიე ტყრუშულსახელოიანი ხელი: — ჩი-ტი გვრიტი მო-ოხ! ვეეუულშიიი...

— ზემო იმერეთს, ბატონო სიმა, ნამდვილ იმერეთს, საქართველოს ვნახავთ... — აღტაცებული იმეორებდა, გავაწყვეტინე:

— ძალიანაც კარგი.

და ავტობუსთან, უკანასკნელად შეჰოჭმანებულს, ისეთნაირი ვედრებით მითხრა: — წავიდეთ, რაა...

წავიდეთ, ჯანდაბას, კარგი, — ხელი ჩავიქნიე და ისე-უბრალოდ, ჰაიჰარაზე რომ არ დავთანხმებულიყავ, რიხიანად დავუსაბუთე კიდეც, ასე ვთქვი მე: — ლუკმა გავარდეს, ჯამში ჩავარდეს.

აი ასე ვთქვი მე, მიყვარს ხალხური პოეზია.

10.

პატარა ავტობუსში ჯერ თითქოს სიხალვათე იყო, ჩვენ-ჩვენ ადგილას მოვკალათდით, მაგრამ როგორც კი დაიქოქა მანქანა, იხუვლა ხალხმა, სად იყვნენ იქამდე მაინც, შეშფოთებული ზეწამოვიჭერ, მაგრამ, ნურას უკაცრავად, ვეღარ ჩავიდოდი, ადამიანი კი არა, ლაზერის სხივი ველარ გააღწევდა გარეთ, და ისევ მოწყვეტით დავჯექი, რადგან ვიღაცა ქალი მიზანსწრაფულად წამოვიდა ჩემი ადგილისკენ, თავიდან ჯერ ცოტათი ამან გამომაფხიზლა; შალვამ დაუთმო იმ ქალს თავისი სკამი, და მეც მომიხდა პატარა ხანში წამოდგომა, რადგან ქათმები დამადეს მხარზე, ფუჰ, ცოცხალ ქათმებს ვერ ვიტან, ქათამი შემწვარი ან მოხარშულია მხოლოდ კარგი, ნასვამმა, მძიმედ ავითრიე წელი და ქათმებიანი ქალი, ჩემს კუთვნილ ადგილზე არხეინად მოკალათდა! ვიღაცის ფეხებზე კი ვიდექ, მაგრამ მეც ფეხზე ვიღაცა მადგა, საშინლად ჭყვიტინებდა სადღაც კუთხეში ცოცხალი გოჭი, აღმართში გაჭირვებით მიხროტინებდა ავტობუსი, და უცებ სადღაციდან შალვას ხმა შემომესმა:

— რავაა საქმე, გერასიმე, ვინმემ ხომ არ დაგაბიჯა ფეხზე!

ჰაიი, თაღლითი... კვლავ „გერასიმე“-ზე გადავიდა, აქ რომ დამიგულა, ამ ხალხში ჩაჭედილი. თვითონ არ ჩანდა, სადღაც წაელო მძლავრ ნაკადს, გავიტრუნე და, ისევ, კვლავაც არ შემომესმა?!.

— სად ხარ, გერასიმე, ხომ არ წაგივიდა ამ შეუჩვევლობაში გული!

ხამსები, ყუთში, კიდევ რაღაც წესრიგისდამიხედვით აწყვიან, ალბათ, მე კი, საცოდავს, ბეჩავს, გადაჩვეულს საერთო ტრანსპორტს, ამ სისასტიკეში გამქირდავი სიტყვების მოსმენაც შიხდებოდა, მთლად გავიხვითქე, ხალხი კი შალვას ყოველ წამოძახილზე მე მიყურებდა — ჩემი ტყრუშული შარვალ-ხალათის მიუხედავად, შემიცნეს, უცხო... და ერთხელაც რომ დამიძახა; „როგორ ხარ, გერასიმე!“ „კარგად!“ — ვითომც ომახიანად გავეპასუხე, მაგრამ ჩემს ფეხებზე მდგარი კაცი ძალიან შეიჭმუხნა და მისაყვედურა: „რაა, ბატონო

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთლად გამიხეთქე ყურის ბარაბანი“ — ულაპარაკე, ამათ...

...შენ კი, შალვა, აღარ იშლიდა: „მოსახვევია ახლა, გერასიმე, გამაგრდი, იცოდე, კაჟივით!“, „ორმოა აქ მოსალოდნელი მკვეთრად გადამხრელი, გერასიმე, არ შემარცხვინო!“, „ვინმეს ტომარა ხომ არ მოგედო, გერასიმე, იმ ნაღრძობ ფეხზე!“, იმდენი იძახა, შემომეცალა ხალხი, თანაც, ჩავიდნენ ზოგ-ზოგები და, უფრო უცხოდ და ყასიდად ვიდექ... მერე, გაჩუმდა, როგორც იქნა და, სიმთვრალეს, თუნდაც გაბზარულს, მაინც თავისი გააქვს — სულ ცოტათი წინ გადავინაცვლე და ვიღაც ბავშვიან ახალგაზრდა ქალს თავთით დავადექი, გულისპირი ჰქონდა შემთხვევით მოღეღილი, წამძლია სულმა და თვალი დავადგი, და რომ ვერ შეემჩნია ჩემი მზერა, აქამდე ხელში ჩაბღუჯული, დაჭმუჭვნილი შლაპა გავასწორე და ჩამოვიფხატე, და თუმც დაჟინებით, მაინც შენიღბვით ჩავცქეროდი, მაგრამ ქალი, საერთოდ, ალღოიანია ხანდახან, ოხერი, მაინც მომიხვდა და, რა ქნა, თუ იცით? — არ დამიჯერებთ — მთლად ამოიღო ცალი ძუძუ, ბავშვს პირში ჩაუდო და, ხალხის გასაგონად — წარმოგიდგენიათ? — მომართა: ჭამე, გენაცვალე, თორემ ბიძია წაგართმევს... და ამომხედა, აჰ, ჩემო ბედო! მაინცდამაინც ასეთს უნდა გადავყროდი? ატყდა სიცილი ავტობუსში, მაგრამ რა ატყდა... იმანაც, შალვამ, წამსვე გამომძახა: „რაშია საქმე, გერასიმე, შენზე ხომ არ იცინიან, ხომ არ მომჭერი თავი!“ ხედავდა ალბათ, ყველაფერს, ოხერი, მაგრამ რა დავაშავე მაინც ასეთი, დასაცინ-მასხრად რომ ამიგდეს; გამექცა ისე, უბრალოდ, თვალი, აკი თქვა კიდეც ცნობილმა პოეტმა აკაკიმ — „საამო არის საცქერლად, დიაცის უბესავითა...“ ექსპონატივით ვიდექ, სიცილით ცრემლმორეული მთელი ხალხი დიაცის უბესავით ახლა მე შემომყურებდა, კიდევ კარგი, რომ ის ქალი სადღაც ახლოს ჩავიდა, თუმცა კიდევ კარგი კი არა, პირიქით, უარესი გამოდგა ეს, რადგან მე მტკიცედ მქონდა გადაწყვეტილი ავტობუსის დატოვება და ჭიათურაში დაბრუნება, ლიეპა თითქმის აღარ მახსოვდა, ჭიათურაზე ვოცნებობდი, წარმოგიდგენიათ? — მაგრამ იმ ქალს ხომ ვერ ჩავსდევდი, შემდეგი სოფლისთვის გადავდე ჩემი ეს განზრახვა, და გადაუხვია კიდეც ავტობუსმა, რაღაც დანჯღრეულ, საცალფეხო გზაზე ახრიგინდა. ვაჰ, ჩემი ბედი, და საბოლოოდ იმან გამომაფხიზლა, რაღაც ტომარა რომ შეხტა უცებ და ჩემკენ გადმოხტა, და, სანამ შეშფოთებული გული დამიმშვიდდებოდა, კიდევ კარგი რომ, მივხვდი — გოჭი ეყოლებოდათ შიგ, თანაც, ფუიჰ, ცოცხალი...

...ჩემი საათი შვიდის ნახევარს აჩვენებდა, ავტობუსიდან რომ გადმოვედით.

მაინც ძალიან ცხელოდა, მთლად დამისველდა გადახახუნებული შუბლზე მწარედ, ცხვირსახოცი. ეს შალვა ისე დაძაბული იცქირებოდა ირგვლივ, ასე მეგონა, ვიღაცას ეძებს-მეთქი, უნებურად თვალი გავაყოლე, მეც დავტრიალდი ადგილზე, მაგრამ აჰ, არა, არავინ ჩანდა. რა ჯანდაბა და ოხრობა აფაციცებდა, აბა, სულ ვერ გავიგე... როგორც იქნა და, მომიბრუნდა, მითხრა:

— ბატონო სიმა, არ გეწყინოთ და, საქართველოს პატარა მონაკვეთი ფეხით გვაქვს გასავლელი...

მსწრაფლ შევიცხადე:

— ძლიერ შორსაა?

— აგერ, იქ, იქით, მანდ არა, აი იქით, სახლები რომ მოჩანს...

კარგა გვარიანი მანძილი ჩანდა, უკმაყოფილოდ ამოვიხვნეშე. ჩემოდანს დავწვდი, გაბრაზებული ვიყავ. მოსახვევთან ვიღაც ბებერი შემოგვეფეთა, როგორღაც, დაეჭვებულმა მოგვმართა:

— გამარჯობათ თქვენი?!

— კაი გამარჯობათ, ბატონო, — ხალისიანად შეაგება შალვამ, — როგორია ამინდებია აქეთ?

გურამ დოჩანაშვილი
ერთი რამის სიყვარული, დაფარვა რომ სჭირდება ანუ მესამე ძმა კეთერაძე

— რა უჭირს, კარგი, — უთხრა ბებერმა და, თითქოს რიო დე ჟანეიროს გარეუბანში შევხვედროდეთ ერთმანეთს, გახარებულმა გვკითხა: — ქართველები ხართ, ბიჭებო?

ალბათ შალვას რუკზაკმა თუ შეაეჭვა, ან — ჩემმა შლაპამ, გავლიზიანდი, მივუგე:

— არა!

ამ ბებერი დაკვირვებით შემომაცქერდა, მერე დამიყვავა, თავისი ჭკუით: „კაი ბატონო, კი ბატონო, კაი ბატონო...“ შალვამ კი, ჩემით ძალიან აშკარად გულდამწვარმა, ვითომ გამოსავალი იპოვნა:

— ნუ გეწყინებათ, ბიძაჩემო, ნერვიულია...

— რა უჭირს მერე, — თქვა ბებერმა და მხარზე ტომარა შეისწორა, — მასეთები ხდება? მშვიდობით გევლოთ...

— კარგად ბრძანდებოდეთ, ბატონო; — დაადევნა შალვამ და მაშინვე დაბალის ხმით მისაყვედურა: — გეთქვა, რადა — ჰო...

— რატომ უნდა მეთქვა! — გავცხარდი, ნერვიული ვარ, — ქართულად გამოველაპარაკეთ და რა უნდოდა მეტი! კუდს ხომ არ გავუქიცინებდი კიდევ...

უზრდელი, თავხედი — აქ ორიოდ ნაბიჯით დაიხია და ერთ ადგილას დიკვირვებით, ხაზგასმულად შემომხედა. წელში გაიმართა, მისაყვედურა მერე:

— უნდა გეთქვა — ჰო...

— არ უნდა მეთქვა, არა!

— შენ იცი შენი საქმე... — სწრაფად დათმო და, კვლავ იაგრესიულა, — მაგრამ შენ შენი საქმე იცოდე, მეტი არაა ჩემი მტერი...

საცა არა სჯობს, გაცლა სჯობსო, უთქვამს ბრძენს, გაჩუმება ვამჯობინე. მაგრამ მთლიანად ვერ გავეცლებოდი, ღედმამიშვილების სადღეგრძელოს გადამკიდე, იმის ტერიტორიაზე ვიყავ.

— აბა, შევუდგეთ ჩვენ-ჩვენ კუთვნილ გზას, — მხნედ გამოაცხადა შალვამ, — აი, ეს სიმინდის ყანა გვაქვს გადასალახი, შენ იცი, გერასიმე, როგორ მშრალადაც გამოხვალ, ხომ არ გეშინია მაჩვის?

— მაჩვის კი არა... — წავიბუზღუნე.

შრიალ-შრიალში, ოღროჩოღროზე მივაბიჯებდი, გული მიცემდა. სად ვიყავ მაინც, საით მივდიოდი, მაღალ სიმინდში არაფერი ჩანდა, მიცემდა გული. მარტო ვიყავი, შალვა არსად ილანდებოდა, წახრილს, ქურდულად მიმქონდა ჩემი საკუთარი ჩემოდანი, ალალბედობით მივიკვლევდი გზას.

— როგორაა საქმე! — როგორც იქნა, შემომესმა.

— კარგად, კარგად! — გახარებული შევეხმიანე.

— ასე იარე, ასე, ჩემი ხმისკენ! ხომ არ გიჭირს რამე!

— არა! — გავძახე.

— თუ გაგიჭირდება რამე, დაიძახე — ვაშლიი! კარგი?

— კარგი, შალიკო!

როგორც იქნა და, გავაღწიე იმ ყანას თავი, და შემომესმა წყლის რაკრაკი, როგორც იტყვიან. მომცრო ღელესთან შალვა იდგა, დაფიქრებული დასცქეროდა წყალს. მერე მე მიყურა ერთხანს, და გულით მთხოვა:

— ხუთ წუთს ვერ დამითმობთ, პატივცემულო?

— რაშია... საქმე...

— ვიპკურო მინდა, გერასიმე, წყალი..

მხრები ავიჩეჩე. შალვა კი იქვე, მაღალ ბუჩქნარში შეიმალა და, პატარა ხნის მერე, საცურაო ტრუსში წარმოსდგა ღელის პირას. რად უნდოდა ასეთი საგანგებო აღჭურვილობა, კოჭებამდე თუ მისწვდებოდა წყალი; ფეხი რომ შედგა, იმის მაგივრად მე გამაჟრჟოლა, მაგრამ შალვა მხნედ დაიხარა, ორთავ პეშვით ამოიღო წყალი, გაიმართა და, ისე გემრიელად შეისხა მკერდზე, გული დამწყდა და, გაკვირვებული, თანაც შურით შევცქეროდი, როგორ გრილდებოდა ამ პაპანაქებაში — მთელის ეშხით... მერე ღელეში საერთოდ გაწვა, ხელ-ფეხს იქნევდა, კოტრიალობდა, მზეზე და წყალში ნებივრობდა, ოხერი, და რომ შემომხედა, თითქოს მიმიხვდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

შურსა და სურვილს, ნელა წამოდგა, ხელით მოიჩრდილა მთლად სველი სახე, დაკვირვებით მათვალიერებდა, და მერე მკითხა:

— გული ხომ არ გაქვს ცუდი და გლახა?

— არა, მე მგონი.

და უცხო რამ ბგერები, ნაზი და მოთბო, გაერია ხმაში:

— მოდი აბა, გერასიმე, წყალში.

...ვხვანჩალაობდით, ჰეჰ!

11.

სანამ იმ საშინელ ამბავს მეტყოდა, სუყველაფერი კარგად იყო — მასპინძლის სახლი შორიახლო მეგულებოდა, გაგრილებულნი, ჩამავალი მზის სხივებქვეშ ვიწექით, ორთავე თვალი მილულული მქონდა, უგუნებობა გადამეყარა — წყლით. სოველ სახეზე მოთბო შუქი მადგა, სიგრილეს მწოვდა, ნაზად მთენთავ ნეტარებას მმატებდა, კარგია მაინც, რაც არ უნდა იყოს, მზე. მერე პირქვე გავწექ, ხელები გავშალე, კოხტად დავმძიმდი და, აი, სწორედ მაშინ, მადიანად რომ გავიზმორე, ასე წამოიწყო:

— თუ არ გეწყინებათ, ბატონო სიმა, სიმართლეს გეტყვით.

ვინ თქვა, წინათგრძნობა არ არისო, ნამდვილად არის, რაღაცა ცუდი მაშინვე მიგრძნო გულმა.

— რა სიმართლეს... კაცო?

— რა და... შემომხედე ჯერ, ვაჟკაცურად, თვალში.

ღელის პირას წამოვჯექი და, მოლოდინით მივაპყარ მზერა, იმან კი განზე გაიხედა, თითქოს ცოტათი დამორცხვებულმა, თითით აჩიჩქნა მიწა, და მითხრა მერე·

— მე ამ სოფელში არავითარი ბიცოლა არ მყავს, გერასიმე.

სანამ რაიმეს მოვისაზრებდი, და ამოვიღებდი ხმას, იმ ციცქნა ღელის კალაპოტში ბლომად წყალმა ჩაიარა.

— როგორ თუ...

— არ მყავს და, რა ვქნა. — და ვითომ, ამიხსნა: — თავს ზემოთ ძალა არ არის.

— რანაირად... ა... ბიცოლა ხომ... — და, გაოგნებულმა, უცებ ვიფეთქე, გონება დამებინდა: — როგორ თუ არ გყავს! რაშია საქმე, ბოლოსდაბოლოს! რაღას მეპატიჟებოდი აქეთ... მე შენ გიჩვენებ! სადაა ტელეფონი!

აქ გაიბადრა, ღიმილ-ღიმილით მითხრა:

— აგერ იქ, ჭალაში, მესამე ხეზე ჰკიდია, გერასიმე..

მაგრამ არ მიმიხედია, არ მოვტყუვდი; გამახსენდა:

— ის გასაღები რომ მაჩვენე? არა, არა, კი გყავს, გყავს, როგორ არა, — ათრთოლებული, თავს ვიმხნევებდი, — კი გყავს ბიცოლა აქ შენ, ეეე...

— შალვა, ბატონო.

— კი გყავს ბიცოლა, შალვა, აქ, შენ...

— ის გასაღები, ბატონო სიმა, ჩემი ღვიძლი ძმის, ვასიკოს ფოტოატელიესია. თბილისში, ღამღამობით, იქ მძინავს ყარაულივით, უხელფასოდ, კოხტად...

— ვინ ვასიკოა... რა ფოტოატელიე...

გაკვირვებულმა, დამანამუსა:

— როგორ, არ გახსოვთ ნუთუ, ბატონო სიმა, დედმამიშვილების სადღეგრძელო?

გულშემოყრილი, წყლის პირას ვიჯექ·

12.

კარგა ხანი გავიდა, სანამ ვიტყოდი, ხმადაბლა, სხვათა შორის:

— კი მაგრამ, მე აქ რაღატომ წამომიყვანეთ?

— არ გეწყინება, გამოგიტყდე?

შევხედე:

— არა.

მყისვე წამოდგა, გაიარ-გამოიარა, მითხრა:

— კარგი ადამიანი ხარ შეიძლება შენ,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გერასიმე, მაგრამ უნდა გაგაადამიანურო უფრო.

— გამა... ამამადამიანო? — ავიბენი, რაებს ამბობდა, — ისეთი რა მჭირს...

— შენს საქციელში, გერასიმე, ვაგზალშიაც და ისეც, საერთოდ, სამშობლოდავიწყებული კაცი იგრძნობოდა.

— რადავიწყებული?

— გაიგე, კოხტად.

ერთხანს სიძულვილით შევცქეროდი; რომ შემძლებოდა, ცემით გავასიებდი, მაგრამ დაკუნთული იყო ოხერი, ტანზე.

— რაზე შემატყვე, მაინც...

— ეტყობათ ხოლმე კოჭებზე, გერასიმე. თანაც, ისე ამაყად, ისე ქედმაღლურად გაუშვი მძღოლი...

— ეს მაინც როგორ...

— წმინდად გაპარსული ნიკაპი მცირედ და მკვეთრად რომ ასწიე მხოლოდ.

— და შენ... ახლა... უნდა გამამადამ... ადამუნო... იანამურო? — კვლავ ავიბენი, ფუჰ, ეს მრავალპირიანი ზმნები, მაგრამ მიმიხვდა:

— დიახ.

— კი მაგრამ, როგორ!

— როგორ და, აქ, ზემო იმერეთში ხომ ამოგიყვანე... მიპასუხე, მითხარი!

— კი!

— ხომ გაგაბანინე ტან-ფეხი საქართველოს წყლით?

— სულ საქართველოს წყალში არა ვარ, შალვა?

— სად, დაკარგულო...

— აბაზანაში, სად...

— აჰ, ის სულ სხვაა.

— რატომ, ვითომ...

— იძახე ახლა რატომ და ვითომ... სხვაა და, რა ვქნა.

აქ რაღაც ჩიტმა უეცრად — ფრთხ და, წამოვიკრიფე, ეჭვებმა დამსერა, ფრთხილად, შეპარვით დავეკითხე:

— კი მაგრამ, ახლა რაღას მიპირებ...

— ერთი ღამე უნდა გაგათევინო აქ, ზემო იმერეთის ცის ქვეშ, და მერე წადი, სადაც გენებოს.

— კი მაგრამ, რატომ!

და ისევ ის არ მომიგო, მრავალპირიანი? —

— გასაადამიანურებლად, ტკბილო. აგერ, შეხედე, როგორ ღამდება... იხილე საოცრება იგი, გერასიმე-ჩემო!

რა საოცრება, რის საოცრება — უბრალოდ, ბნელდებოდა.

— იცოცხლე, კაია, კარგი, ლიეპა და კარლსრუე, გერასიმე, მაგრამ სამშობლოც უნდა გიყვარდეს, და რომ გიყვარდეს, უნდა იცნობდე, აბა იქითკენ გაიხედე, რა ხაზებია, გერასიმე, და რა სირბილე... აგეე, იქით, ჩრდილებს შეხედე... სად ნახავ ამას, ამ იმერეთის, ზემო იმერეთის გარდა...

რისი ხაზები, რაის სირბილე... განაგრძობდა ის:

— რა სიმწვანეა, რა უცნაური...

მწვანე იქნებოდა ბალახი და ყანა, რა იქნებოდა აბა... ხმას დაუდაბლა:

— აქ დედამიწა არაა ავად, გერასიმე.

ჩურჩულ-ჩურჩულზე გადავიდა და, საცურაო ტრუსში გამოწყობილი, ათვალიერებდა არემარეს, როგორც იტყვიან; აღარ მესმოდა იმისი უთავბოლო სიტყვები, ისევ მეტაკა ჩემი დარდი, ისევ ვიფეთქე:

— კი მაგრამ, რა უფლება გქონდათ მაინც, აქ რომ წამომიყვანე?

მსწრაფლ გაიკვირვა:

— რა უფლება მასწავლებლობას უნდა...

დავანამუსე:

— მასწავლებელი ხარ ჩემი შენ, შალვა?

— ამ მიდამოში, კი.

— და მე — შეგირდი?

— არა. — მითხრა და, შემომაჩერდა, ამხედ-დამხედა, მათვალიერებდა როგორ...

— რა ვარ, შალიკო, აბა...

— არ გეწყინოს და, ბითური ხარ, გერასიმე, შენ.

მაგრამ დაკუნთული იყო ოხერი, ტანზე...

— მიწას კი ნუ ჩაჩერებიხარ, გერასიმე, იყურე ირგვლივ... და არ წააგებ.

ეეჰ, რას ვაგებდი, მე კი ვიცოდი,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დრო ხომ — ფულია... ტყრუშულ ხალათმოხურული, თაჭჩაქინდრული ვიჯექი ისევ, იმან კი, შალვამ — თავხედმა, ბრიყვმა, მხარზე ვითომ ნუგეშის ნიშნად დამადო ხელი:

— რას მოგიწყენია, რომ მოგიწყენია, ა, გერასიმე. რასაა რომ მოგიწყენია, შე კაი კაცო, — მცირედ შემაჯანჯღარა და, ვითომც გამამხნევა, თავისი ჭკუით, მერე: — ეგ არაფერი, სიმა-ბატონო, ნამდვილად ვიცი, ორი-სამი საუკუნის შემდეგ, შესაძლოა, სულ ერთი იყოს, მე ამ სოფელში ბიცოლა მყავდა თუ არ მყავდა, აბაა, გერასიმე!

13.

ჯერ ის იყო და, შემოგვაბნელდა, სახლები შუქად გადაიქცა, პატარა ხანში მაგრად ბნელოდა. მე ჩემი თხელი სვიტერი გადავიცვი, მერე — ნაქსოვი პერანგი, მერე — ჩვეულებრივი იშვიათად კარგი პერანგი (სად ვაფუჭებდი?) და, ისე ძალიან აცივდა, გაჭირვებულმა, მაისურიც კი წვალებით ჩამოვიჭიმე, მაკანკალებდა მაინც, მუხლებზე ხელებშემოხვეული, მოკუნტული და უმძრახად. ვიჯექ, იგი კი, შალვა, რაღა თქმა უნდა, ახლა — ჩაცმული, მუქშავ აჩრდილად მიმოდიოდა და, მე, ზაფხულის სუსხით ათრთოლებულს, თავისი ჭკუით, ჭკუას მარიგებდა, მეუბნებოდა ასე:

— იცოდე, თუ გსურს გაიგო, შენს ირგვლივ მყოფთაგან ვინ როგორია, რაიმე ცუდი ჩაიდინე, ოღონდ ისეთი კი არა, ქვეყანა რომ დააქციო, არა, მცირედი, გაგიჭირდება თუ რა შენ ეს. გერასიმე — ხანდახან განგებ რაიმე სისულელე წამოროშე, მოკლედ, ილაპარაკე მოფიქრებულად და ვინც ყველაზე სულელია, ყველაზე მეტად გაიცინებს ის, წავა, მოჰყვება ათასგან შენსას, თავისი თავი რომ აღიმაღლოს.

უუჰ, ციოდა... იგი კი მეუბნებოდა ასე:

— ანდა, გერასიმე, ღმერთმა დაგვიფაროს და, შენისთანა გამოსული კაცი უხამსი ფოტოსურათების შეგროვებას თუ დაიწყებ, ყველაზე მრუში ვინცაა, სხვების დასანახად ყველაზე მეტად აღშფოთდება ის. ეს იმიტომ რომ, რა ქნას, იმანაც — ჩვენ, ადამიანთა დიდ უმეტესობას, რატომღაც გვინდა, მუდამ იმაზე უკეთესები ვჩანდეთ, ვიდრე სინამდვილეში ვაგდივართ, მაგრამ, მსგავს შემთხვევებში, მიუხედავად აღშფოთებისა, სინამდვილეში ვიყიდებით უფრო, ტკბილო.

ფუჰუჰ, ციოდა... საათს დავხედე, თერთმეტის ნახევარი ხდებოდა, ჩემი საათი — ფოსფორიფიცირებულია, შალვა კი, თავხედი, მეუბნებოდა ასე:

— შენ, გერასიმე, გამომეტყველებაზე გეტყობა ახლაც კი, ბნელში, რაღაც წარმატებისთვის რომ მიგიღწევია, შენი გაგებით. მაგრამ მორბენლები ავიღოთ თუნდაც, ბატონო სიმა. თავს რომ დაადებს და რომ გაიქცევა გრძელ მანძილზე შვიდასი კაცი, და საბოლოო სწორის ბოლოს პირველი რომ მიიჭრება ვინმე,. აღფრთოვანებულები ვართ ჩვენ, შემყურე ადამიანები — აჰ, შვიდას კაცში მაინცდამაინც როგორ გაიმარჯვა... მაგრამ, გერასიმე, სხვანაირად თუ მივუდგებით საკითხს, ვთქვათ, გავიფიქროთ, რომ ვინმე ერთი, რომელილაცა, პირველი მაინც უნდა ყოფილიყო აუცილებლად და ყოველ მიზეზს გარეშე იმ ზღვა ხალხში, უფრო უბრალოდ მოგეჩვენება მისი გამარჯვება. არაა ასე?

ბჰ!-რრ, ბუჰრრ... როგორ ციოდა, ციოდა როგორ... იგი კი აგრეთვე მეუბნებოდა ასე:

— ...რადგან საერთო ტრანსპორტსაც აქვს თავისი კარგი მხარეები, გერასიმე. კი, კი, ბატონო, გეთანხმები, არაა კარგი, ავტობუსში ვინმე მტკივან ფეხზე რომ დაგაბიჯებს, მაგრამ გაჭედილ ტრანსპორტში, სამაგიეროდ, ადამიანები უნებურად ახლოვდებიან და ერთმანეთის გულისცემა ესმით, თანაც,

ეროვნული ბიბლიოთეკა

საერთო ტრანსპორტში, გერასიმე, ადამიანები ერთ ჰერქვეშ არიან...

ილაპარაკოს, რა... ლაპარაკობდა კიდეც, მაგრამ აი ასე:

— მარტივი საზომით თუ მივუდგებით, ნებისმიერი ადამიანისთვის ადგილის მიკუთვნება არაა ძნელი, გერასიმე — ყოველი ადამიანი თავისზე უარესს სჯობს, ხოლო უკეთესთან შედარებით, უარესია, წყალი არ გაუვა ამას. მაგრამ დიდი საზომით თუ მივუდგებით, ძალიან ძნელია ამისი განსჯა, რადგან ადამიანები მეტად სხვადასხვანაირები არიან, თითოეული ადამიანიც კი — მრავალფეროვანია, მაგრამ ერთნი ვართ მაინც დაახლოებით ყველა, რადგან ადამიანი არაა მარტო.

აქ კი, გაავცხარდი, გავცხარდი მართლა:

— ადამიანი მარტოა, მარტო, — გესლიანად წავიჩურჩულე, და თავს ავყევი, არ უნდა მექნა, — ყველამ იცის რომ, მარტო უნდა დაიბადო, მარტოკა უნდა დაადგე ძნელ გზას, პირში გიცინიან და ზურგსუკან გლანძღავენ, გილოცავენ და შურთ, მარტოკა უნდა მოკვდე ბოლოს და, ოცდაცხრამეტი და ექვსი რომ გაქვს, ლოგინზე მისავათებული, მარტო ხარ, აბა რა ხარ, მარტო...

მყისვე ვიგრძენი, როგორ საოცრად დაინტერესდა, იმ სიბნელეში დაბერილი ნესტოებიც კი დავუნახე, გაფაციცებით მოელოდა ჩემგან კიდევ რაიმეს გაგონებას, მაგრამ გავჩუმდი, ნურას უკაცრავად, ისედაც ბევრი ვილაპარაკე. არ დააყოვნა:

— მომვლელს, ექიმს და მსგავს წვრილმანებს მოდი, გერასიმე, დავანებოთ თავი და, რა იცი შენ რომ, მარტო ხარ... მითხარი.

— რა ცოდნა უნდა ამას. ასე არის ეს.

— არა, კეთილო, მხოლოდ შენ ფიქრობ ასე, გერასიმე, და გეჩვენება, რომ მართალი ხარ.

— მხოლოდ მე კი არა და, ყოველი ჭკუათმყოფელი ასე ფიქრობს და, სხვადასხვა ქვეყნის ფილოსოფოსებსაც გამოუთქვამთ ასეთი აზრი.

— რომ ადამიანი მარტოა?

— დიახ!

აქ ნაღვლიანი ხმა შემომესმა, მაგრამ თურმე თვალთმაქცობდა, როგორც მალე დავრწმუნდი, ოხერი:

— ესე იგი, ბევრნი ხართ არა, ასეთი აზრის?

— დიახ! — ამაყად გავუმეორე, მაგრამ მომიგო:

— მაშინ, გამოდის, თუნდაც ამიტომ არა ხარ მარტო. კი, გერასიმე.

14.

ვისხედით, ბნელში. სამართებელი პირს არ მიხსნიდა, უცხო მხარეში, კუშტად შევცქეროდი ცალთვალაჭიატებულ სახლებს, სადაც არხეინად იწვნენ ალბათ ახლა და, ოხრებს, ეძინათ. შალვა გულაღმა გაშხვართულიყო, ნაძირალას, რუკზაკზე ედო რეგვენი თავი. მე მოკუნტული ვიჯექი ისევ; ძველებურადვე მაკანკალებდა. არა, მაინც, სად უნდა ვყოფილიყავ და, სად გადაკარგულში აღმოვჩნდი ახლა... კიდეც მშიოდა. ხანდახან ვთვლემდი, ნაშგზავრს, ნამთვრალევს, გამოძინება ყველაფერს მერჩია, მაგრამ აკანკალებული კაცი, ამხანაგებო, ვერ დაიძინებ. თანაც, ახირებული იყო ეს შალვა ვიღაც, გავიხედე და, ჩაძინებულს, მოზრდილი ლოდი დამიშვას თავში?! მოწმისა მოერიდებოდა თუ რა, ამ სულელური ღელის პირას, მარტოდმარტონი ვიყავით, ბნელში. მაგრამ ბოროტმოქმედს, სიმართლე სიმართლეზ, შალვა არ ჰგავდა — უზრდელი იყო, უბრალოდ, იგი. ჩემი საათი ორს აჩვენებდა, და მეტსაც უფრო, მისი ფრთხილი ხმა რომ შემომესმა:

— არ გძინავს, გერასიმე?

— არაჰ! — აღმომხდა.

— რატომ არ გძინავს, ა, გერასიმე?..

— რა დამაძინებს... რა მინდოდა აქ!

— რუკზაკს გათხოვებ, ბეჭებქვეშ დაიგე...

— არ მინდა, რატომ წამომიყვანე...

— ერთი რამის სიყვარულით...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— რის სიყვარულით, კაცო...

— დაფარვა რომ სჭირდება...

— რატომ სჭირდება...

— უხერხულია გამჟღავნება, იმდენად ნაღდია... — და იდუმალის ხმით დააყოლა, — გულში სათუთად უნდა ატარო...

— რაა ასეთი...

მთლად დაიდაბლა ის ოხერი ხმა, იმ სიბნელეში, მომაჩურჩულა:

— საქართველოა, გერასიმე, ჩვენი...

კარგა ხანს ისევ ჩუმად ვისხედით. ის ღელე თითქოს ტანზე მდიოდა. ისევ დავიხედე მაჯაზე, საათი ადამიანის მეგობარია, ოღონდ — პირში მთქმელი, რა ნელა გადიოდა დრო, სამის ნახევარი ძლივას ხდებოდა. თუმც მაკანკალებდა, მაინც ერთგვარად გავიტრუნე, შეწუხებული, მაგრამ შალვა მხნედ წამოდგა უცებ, მხარზე დამკრა ხელი:

— აბა, წაავიდეთ, გერასიმე-ჩემო...

— რა-ჰ!.. სად უნდა... შალვა?

— აგერ, იმ სახლთან მივიდეთ და შევძახოთ ჩვენებურად, ომახიანად ერთი...

— რა შევძახოთ, რო...

— რა და — მასპინძელოო...

იმ სიბნელეში დაბნეული მივჩერებოდი ჯერ, მერე გავფაციცდი, ყველაფერს მივხვდი, მეგონა:

— აჰ, ბიცოლა გყავს? გყავს ხომ, ა, შალვა...

— იქ, იქ გავიგებთ, ადგილზე გავიგებთ ყველაფერს, გერასიმე...

გამეხარდა, კი. მსწრაფლ წამოვდექი, ჩემოდანს დავწვდი, და მცირე ორმოში ფეხჩავარდნილს, მაგრად ჩამჭიდა შალვამ ხელი. მცირე ბორცვებზე გადავდიოდით, ხანდახან მიწა მეკარგებოდა, გულშექანებულს, შალვას თითები მაჯაზე იმედად შემომჭდომოდა, ასე მივტივტივებდით ღამეში, შეყვარებული ტურისტებივით, ოღონდ მე ჩემი ჩემოდანი მეკავა ხელში. სადღაც, შორს, ძაან აყეფდა ძაღლი, ჩვენ კი სწორედ პირველსავე ეზოს მივადექით, შალვამ რუკზაკი შეისწორა ზურგზე, თითები შემიშვა, ტუჩის კუთხესთან ირიბად მიიდო ხელისგული და შესძახა:

— მასპინძელოო!

გულაჩქროლებული, ვიდექი, ვიცდიდი, აჰ, საჭმელი და თბილი ლოგინი ყველაფერს მერჩია ახლა, მაგრამ ჯერ ხმას არავინ გვცემდა, და შალვამ მეორედაც რომ დაიძახა: „მასპინძელოო,“ მეც, მოუთმენლობისგან იყო თუ რა, სახლს ძველქართულად მივაყვირე:

— მასპინძელო, ჰაი გიდი!!

აქ სახლის კარი გამოიღო, შარვალპერანგისამარა კაცი გამოვიდა, ერთი კი გამკრა: „აიმ ბიცოლას საყვარელია თუ რა...“ მაგრამ კაცი რომ მოგვიახლოვდა, ხელით მოიჩრდილა (კი, კი, მზე და სიცხე იყო დიდი, როგორ არა...) და დაგვეკითხა:

— რომელი ხარ... რას მიბრძანებთ, ბატონო... ხომ მშვიდობაა... კაი გამარჯობათ თქვენი...

— გაგიმარჯოთ, ბატონო, გზა აგვებნა და... — რუკზაკი მაღლა ასწია შალვამ, — თუ შეგვიკედლებთ... ერთი ღამით... ასე, უცხოებს...

— აუჰ!.. — შეიცხადა კაცმა და ისე ლონივრად გამოაღო კარი ცალი ხელით, (მეორეთი შარვალი ეჭირა), კინაღამ საერთოდ მოაძრო: — თუ შემოგვიკედლებთო, რა საკადრისია... მობრძანდით, აგერ... აქეთ, ბატონო...

შინ შეგვიძღვა და, გვეუბნებოდა თან:

— აგერ აქ დაბრძანდით, ახლავე იქნება ყველაფერი... ქალიშვილი ნავარძეთში გამითხოვდა და, მარტოხელა კაცის პირობაზე... იქაა ცოლიც... რასაც კი შევძლებ... კი ნუ დამძრახავთ...

რა ბიცოლა, რის ბიცოლა, თურმე... მაგიდაზე კი უკვე იდო ყველი, ლობიო, პრასი... მასპინძელი მონდომებულად დაფაცურდა, მხოლოდ ერთხელ შედგა, როცა ჩემს მაისურს, ცოტა არ იყოს, გაკვირვებული შეაცქერდა: — სპორცმენები ხართ?

— რა ვიცი... — მორცხვად მიუგო

ეროვნული ბიბლიოთეკა

შალვამ, ფუუჰ, თვალთმაქცი,— ინდივიდუალური ტურისტობა თუ სპორტსმენობაა...

— რატომ არაა, კია, კია, შე კაცო...

— გაამხნევა მასპინძელმა, ესეც — ბიცოლაა... ულვაშიც ედო. რაღაცა მრგვალ ბუხართან ჩაიჩოქა, შეშა ერთმანეთზე კოხტად დააწყო, ასანთი ყურთან გაიჩხაკუნა.

— როგორი ამინდები იყო აქეთ? — იკითხა შალვამ.

— თქვენი სახელი, ბატონო?

— ამ ჩემს მეგობარს გერასიმე ჰქვია, მე — შალვა, ბატონო.

— ძალიან სასიამოვნოა, მე — სევერიონი მქვია, სეეერიონ-ე-საც მეძახიან შიგადაშიგ, ბატონო.

— ძალიან სასიამოვნოა, ბატონო.

— აქეთ ამინდებს არა უშავდა.

ბუხარში ცეცხლი ატკაცუნდა, და თუმცა ბუხარი, რა თქმა უნდა, ცენტრალურ გათბობას ვერ შეედრება, მაგრამ სითბოს გამომცემია მაინც ერთგვარი... ჯერ მაისური გადმოვიხახუნე თავზე, მერე ჩვეულებრივი იშვიათად კარგი პერანგი, მერე — ნაქსოვი პერანგი, მერე — ჩემი თხელი სვიტერი, ისევ ტყრუშული შარვალ-ხალათის ამარა დავრჩი.

— არ მოიწყინოთ, ბატონო და... საით ყოფილხართ, მართლა?

— აგერ, რაჭიდან გადმოვედით. ამან აიჩემა და...

ანიშნა ჩემზე!

— აუჰ, უჰუჰუ... ამ ღამებნელში, ბატონო?

— დიახ, სევერიონე-ბატონო.

— თქვენ გქონიათ ვეფხვის გული. ახლავე მოვალ მე და, მეზობლის ქალს მოვიხმარ, არ მოიწყინოთ.

მაგრამ ისევ მარტო რომ დავრჩით, მომაჩურჩულა:

— შენთან, კაბინეტში, ასეთ უდროო დროს რომ მოსულიყო ვინმე, მიიღებდი? ა, გერასიმე...

— მე კაბინეტში ამ დროს რა მინდა! — წამოვიყვირე.

— მეძახდით, ბატონო? — თავი შემოჰყო მასპინძელმა.

— არა, ბატონო, — მიუგო შალვამ.

ტახტზე ჩამოვჯექი, მუთაქა მოვიმარჯვე, კედელს მივადე, თვითონ მე — მუთაქას მივაწექი, თავიც დავადე, მივლულე თვალი...

— საერთოდ, ქართველებს, ექვსი რამა გვაქვს კარგი, — წამოიწყო შალვამ, — ხალხური სიმღერები, ხალხური პოეზია...

15.

რომ გამაღვიძეს, ჩემი საათი ხუთის თხუთმეტ წუთს აჩვენებდა, არა მიშავდა რა, ცოტათი მაინც ხომ წავუძინე. მხნედ წამოვდექი, ამტანი ვარ მე, ხელებიც კი ერთიორჯერ გავიქნ-გამოვიქნიე, მაგიდისკენ გავეშურე, იქ კი, შემწვარი ქათამი დაემატებინათ, ხაჭაპური, ნადუღი, გენაცვალეე, ტყემალი, თონის პური, ღვინოც, აბა რა, რა ასმევს ამ ხალხს ამდენს. კარგად არც მეყურებოდა, რა სადღეგრძელოები ითქვა — შემწვარ ქათამს მივადექი და, გაუმარჯოსმეთქი, ამას ვამბობდი მხოლოდ და ოდნავ ვყლუპავდი — კიდევ დათრობა მინდოდა? აარა, ბატონო, აღარ შევცდებოდი, მეყო ისედაც, ამ ორ თუ სამ დღეში ამდენი, ისე კი, სევერიონემ მგონი ჯერ ჩვენი მობრძანებისა შესვა, იძახა ვითომ გულითადი რაღაც-რაღაცეები. არა უშავდა რა, არ სცოდნია აქეთ მთლად ურიგო ქათმები, ნადუღიც მესიამოვნა. ისევ ხალისიანად ლაპარაკობდნენ, ის — სევერიონი და, ეს — შალვა, ყური მივუგდე, ღვინოს აქებდნენ. ჰეჰ, ბითურები — კონიაკი ქვეყნად იყოს და... მაგრამ აიმ კაცს ვიპოვნიდი ვითომ, ადლერში რომ უნდა დამხვედროდა? — ვინ იცის... ჩვენ, ადამიანებმა, ხანდახან არ ვიცით, რა მოხდება... თუნდაც, აი, ეს ფაქტი — სევერიონემ სამი თუ ოთხი ჭიქის შემდეგ თქვა:

— ეჰეჰ, დავთვერი მგონია, ბატონო...

— ჩვენი ბრალია, — შეწუხდა შალვა, — ნამუშევარი იქნებოდით მთელი დღის და, შუაღამისას გაგაღვიძეთ და...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— მაგ არაფერი, — გულით მიუგო სევერიონემ, ცოტა თვალები ეხუჭებოდა. მაგრამ უეცრად გამოფხიზლდა, — კაცო, გავიხედე ამას წინათ და, მესმის კრიახი, მაგრამ რა მესმის, ასე, ეს დრო თუ იქნებოდა... ავდექი ხელათ, მელა მეგონა, მელა ბევრია ძალიან ჩვენში, ცალი ხელით ჯოხი მოვიმარჯვე, მეორეთი — ჯიბის ფარანი, პოლონურია, შევედი ფრთხილად საქათმეში, დავანათე და — რას ვხედავ, მაჩვი! ერთი ქათმისთვის მოესწრო უკვე ყელის გამოჭმა, და გაქცევა უნდოდა...

— რას ბრძანებთ, ბატონო, — ზომიერად გაიკვირვა შალვამ, — მაჩვი და, ქათმისმჭამელი?

— მეც ეგ არ მიკვირს? — აღნიშნა სევერიონმაც, ძალიან პატარა ყურები ჰქონდა, — მელა არ გვეყოფოდა? გადაგვარებასაა ეს ბუნება თუ რაშია საქმე, არ ვიცი სწორედ...

— უჰ, ვერ მოგსვლიათ ეგ კარგი ამბავი.

— ეს ჩვენ-ჩვენ მშობლებს გაუმარჯოს, ვისაც გვყავს, ჯანმრთელად გვიმ...

ახლაღა გავსინჯე ხაჭაპური და, თითქოს არ იყო ურიგო, წარმოიდგინეთ. გუნება ცოტა გამომიკეთდა, არადა, კარგად დავნაყრდი უკვე, სუფრასთან ჯდომა აღარ მინდოდა, ადამიანი უშუალო უნდა იყოს, ვთქვი:

— ახლა პატარას წავუძინებ ისევ, ავტობუსის გასვლამდე კია საათ-ნახევარი. მაინც არ ვსვამ და, შვიდის ნახევარზე გამაღვიძეთ.

სევერიონმა შემომხედა, არაფერი უთქვამს. შალვამ კი, მეტიჩარამ, მყისვე შემარცხვინა:

— არაა ზრდილობა, გერასიმე, ეგ... ეს კაციც მშვენივრად გამოიძინებდა, ჩვენ რომ არ მოვდგომოდით.

ჰმ, რა გამოჰყავდა? უშუალობა ცუდი ყოფილა, ესე იგი. გავბრაზდი აქ, მაგრამ სევერიონემ წამოიწყო:

— ჩვენს ადათ-წესებს გაუმარჯოს, ძველი დროიდან მოყოლებული და ეს ჩვენი კუთხის ისტორიასაც გაუმარჯოს, ბატონო. აგერ აქ, ქვემოთ, — ფანჯრისკენ ხელი გაიშვირა, სულელმა, თვალი გავაყოლე — იმ სიბნელეში, ძალიან რამეს არ დავინახავდი? ხელგაშვერილი, განაგრძობდა: — მდინარის პირას, მღვიმეა ერთი, ხერგულას ვეძახით, ველური ადამიანი ნაცხოვრება ადრე, გეოლოგები ჩამოვიდნენ, გათხრები ჰქონდათ...

— გეოლოგები კი არა, არქეოლოგები ყოფილან, — შევუსწორე, სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი მაქვს დამთავრებული მე.

— სწორი ბრძანებაა, მოკლედ, თხრიდნენ იმ გამოქვაბულში და ხნიერი ქალი ჰყავდათ უფროსად, იმ ქალმა გაგვაოცა სწორედ მთელი სოფელი, ისე რომ ადამიანს ჰყვარებოდა თავისი საქმე? არ გამიგია... ყოველ ნაპოვნ კაჟს დასციცინებდა, დილიდან საღამომდე ფეხზე იდგა და, რა მშრომელი და, რა ძვირფასი ადამიანი თანაც; ერთი ჩვენებური ქალი ესტუმრა თბილისში თურმე და, მშვენიერი კარგად ყოფილა მოწყობილი, მაგრამ აქ, ამ ჩვენ სოფელში მოუწევდა მაინც სულ გული, ერთ ზამთარს და ოთხ ზაფხულს მუშაობდა აქ, თბილისში მანქანა ჰყოლია საკუთარი, სულ არ ახსოვდა, აქ, ამ აღმართ-დაღმართში ერჩია დილა-საღამოს სიარული, ხერგულას კლდეში ტრიალი, თანაც, გვიხსნიდა ჩვენ-ჩვენ წარსულს, როგორც კი თავისუფალ დროს მოიხელთებდა და, თავიდან თუ ჩუმ-ჩუმად გვეცინებოდა, ამხელა ქალს კაჟის მოსაბოჭად როგორ მოუცლიაო, მერე, თანდათანობით, შეგვაყვარა ჩვენც თავისი საქმე, და ბოლოს მივხვდით, რომ ჩვენი საქმეც კი ყოფილა ეს — მშობელი კუთხის ისტორია, და სიყვარული.

შალვას შევხედე. ისეთი გაბადრული და გაამაყებული იჯდა, იმას აქებდნენ ვითომ. სულელი...

— ოქროს და ვერცხლს რომ პოუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლობენ სხვა გეოლოგები,. იმათი აღტაცება, ჩემო ბატონო, არცაა გასაკვირი, მაგრამ ეს ქალი, პატივცემულებო, კაცს დაეძებდა, პირველყოფილი ადამიანის შესასწავლად. სხვა არაფერი უპოვნიათ ჯერჯერობით მაინცდამაინც ისეთი ჩვენში, მაგრამ იმ ქალმა დაამტკიცა, თავიდანვე რომ ცხოვრობდნენ აქ, თავიდანვე რომ გული დაუდია ადამიანს აქაურობაზე თურმე. ჩვენს ისტორიასთან ერთად, შალვა-ბატონო, მოდით, იმ ქალსაც გაუმარჯოს, ქალბატონ ნინოს...

შალვა მოწიწებით წამოდგა, რაღაცებს ამბობდა, სუფრაზე მედო თავი, ჩამთვლიმა, ცოტათი...

— დიდი განათლებული კაცი იყო, — ამბობდა სევერიონე, თვალები უქუქუნებდა, სულ წასულიყო ხელიდან, — ჩოთქი არ სჭირდებოდა, ანგარიშობდა ისე...

ექვსის ნახევარი ხდებოდა. გავლიზიანდი, ამათ რაიმე თუ არ უთხარი, გაუნათლებლად ჩაგთვლიან და, ჩემი სადიპლომო ნაშრომი გამახსენდა, „კატილინას შეთქმულება,“ ძაღლის ნაკბენივით მახსოვს.

— ჩაცმა-დახურვის ყადრიც იცოდა, — განაგრძობდა სევერიონე; ვიღაცას გულმოდგინედ აქებდა.

— კატილინა შეძლებული ოჯახიდან იყო, — წამოვიწყე მე, — და დიდი გაფუჭებული. იმდროინდელ ძველ რომში სახელი ჰქონდა გავარდნილი, როგორც ყველაფერზე ხელის მომწერს...

— ძალიან სასიამოვნოა, ბატონო, — ჩამომართვა სიტყვა სევერიონემ, — ყოველთვის გალსტიკი ეკეთა.

— რა ეკეთა? — გამეღიმა.

— ჰალსტუხი, — გაღიზიანებულად მომიგო შალვამ, — გასაგებია? — და უცებ გამოიცვალა, დატკბა, — წავიდეთ ახლა, გერასიმე, გათენება ვნახოთ.

— რა გათენება... არავითარ შემთხვევაში!

— განა წვიმა ყოფილიყო, განა ქარი, ყოველთვის გალსტიკი ეკეთა, — განაგრძობდა სევერიონი.

— კატილინამ თავის გარშემო შემოიკრიფა ისეთივე აღვირახსნილი ამხანაგები, როგორიც თვითონ იყო.

— წავიდეთ, გერასიმე, რა იქნება, გათენება ვნახოთ...

— რადიოთი სულ მუსიკებს უსმენდა და, თვითონაც იცოდა პიანინოზე დაკვრა, ცალი ხელით...

— იმდროინდელ ძველ რომში ძალიან ცუდ, აღვირახსნილ ცხოვრებას ეწეოდნენ. ხანდახან მამაკაცი, — ხმას დავუდაბლე, — ქალის მაგივრობას ნებაყოფლობით ასრულებდა.

აქ სევერიონი დაინტერესდა:

— რავა, რომში ხაჭაპურს კაცი აცხობდა? ჩემსავით ყოფილან მაგინი, ბატონო...

სულ ვერ გამიგო...

— შენ რომ იცოდე, გერასიმე, აქ, ზემო იმერეთში, როგორ თენდება... ცხონდები კაცი!

— მე ღმერთი არ მწამს, — კოხტად მოვუჭერი, — კატილინა მთელი სენატის ამოჟლეტას აპირებდა, მაგრამ არც ციცერონი იყო დოყლაპია.

— ერთხელ, კამპანიაში, ძალიან რომ დათვრა, ორი ხელითაც კი დაუკრა...

— ამისთვის ამოგიყვანე აქ, გერასიმე, და ახლა, საქმე საქმეზე რომ მიდგა, უარს მეუბნები?

ყური არ ვათხოვე:

— კვინტუს კურიუსს რომ არ წამოეყრანტალებინა შეთქმულების ამბავი ქალთან, უარყოფითად იქნებოდა სენატის საქმე.

— არ მოდიხარ, გერასიმე, აბა?

— იმის სამკერდე ნიშნებს აღარ იკითხავთ? — ამაოდ გვიწვევდა სევერიონი.

— არსადაც არ მოვდივარ, ადრეა ჯერ, კატილინამ რომ...

— პოლონეთის ემბლემიდან დაწყებული...

— რა გინდა აბა აქ — არა სვამ, აღარ ჭამ, გავიდეთ, გერასიმე, ბუნებაში...

— არა. ცივა იქ...

— ტყის მეგობრის ირმიანი ნიშნით გაფორმებული...

— აბა, ერთი სადღეგრძელო მაქვს და, — ფეხზე წამოდგა შალვა, — ერთი, ერთადერთი და, უნდა გამოვცალოთ ეს ჭიქა ბოლომდე ყველამ.

— აგრე იყოს, გისმენთ ბატონო, — დოქს წაატანა ხელი სევერიონმა.

— დალევთ თქვენც, გერასიმე?

— მხოლოდ ერთ ჭიქას?

— ერთადერთს, კი.

რას მიზამდა ახლა, მაინცდამაინც, ის ერთი ჭიქა? მეც დავეთანხმე:

— ჯანი გავარდეს, დავლევ.

შალვამ კი მაღლა შემართა ხელი, და, იცით რა თქვა?:

— ეს ჩვენ-ჩვენ დედმამიშვილებს გაუმარჯოს.

ოუუჰ, წამოვხტი, კიდამ ვიკივლე, დავფაცურობდი: „სადაა შლაპა... ჩემი სვიტერი რა იქნა... ჰო, აგერაა... ახლავე მოვდივარ!..“

— გაწყენინეთ, რამე, ბატონო? — შეიცხადა სევერიონმა, გაელამებული თვალებით შემომცქეროდა, — რავა ზოგიერთი მაჩვივით იქცევით თქვენ...

16.

ძალიანაც კარგი, ესეც, შალვას ჯინზე —გათენებულიყო საკმაოდ, ყოველ შემთხვევაში, კარგად მოჩანდა ბილიკი; ჩემოდნით ხელში, გულდაჯერებული მივყვებოდი გზას. ხოლო იგი, შალვა, ზურგრუკზაკიანი, უკან მოდიოდა. მისი დანახვა აღარ მინდოდა, პატარა ხანს უმძრახად ვიარეთ, ერთხელაც არ წავბორძიკებულვარ, და შემომესმა:

— ასწიე თავი!

კი, მეტი საქმე არა მქონდა, ისედაც გაჭყეპილი ვიყავი აქაურობით, ის არ მერჩია, დაბლა მეცქირა, ორმოში რომ არ ჩამცდენოდა ფეხი? მაგრამ სერი რომ ავიარეთ, მჭახედ გაისმა:

— გერასიმე, სდექ!

შეცბუნებულმა, მივიხედე და გავშრი. — აჰ, ისე მკაცრად შემომცქეროდა...

— სანამ ლაპარაკს დაავამთავრებ, [illegible]ხი რომ მოიცვალო, — განრისხებული მიმზერდა, — ცუდად იქნება შენი საქმე, იცოდე.

გიჟია, მოძალადე, ოხერი... ადგილზე გავქვავდი, იმან კი სამიოდ ნაბიჯით ქვემოთ ჩაინაცვლა, შედგა, დაფიქრებული ამომყურებდა, მე — სერზე ვიდექ.

— ჩემი და შენი წინაპრები, გერასიმე, — ხმას დაუდაბლა, — ამ მიწისათვის მუდამ იბრძოდნენ, და თუ არ რაიმე ღირებული, ვინ სულელს მოეპრიანება ერთთავად მოღერებული ხმლის ქვეშ ყოფნა. მიხვდი რაიმეს?

მე სერზე ვიდექი.

— რა სისხლისღვრაში გადარჩენილან, რამდენ ბრძოლაში, შენ, ყოფილ ისტორიკოსს, ჩამოგითვალო შემოსევები? და შენს უშუალო წინაპართაგან ერთი მაინც რომ დაღუპულიყო იმ აურაცხელ, უთვალავ ხიფათში, ნამდვილად არ იქნებოდი ახლა აქ, აი ამ მიწაზე, ამჟამად მშვენიერი ფეხსაცმელებით რომ დგახარ, გამიგე თუ არა, ა, გერასიმე! მაგრამ სულაც არ გახსოვს ისინი...

ვიდექი მე სერზე.

— ჩემი და შენი წინაპრები კი, ძმებს და მეზობლებს უდროოდ აი, ამ მიწაში მარხავდნენ, შენ რომ ამქვეყნად მოსულიყავ, და საქართველო ჩვენი, გქონოდა. შენთვის, გერასიმე, ერთმანეთი ცხოვრებაშიც და ბრძოლის ველიდან გაჰქონდათ, იმათითაა სწორედ ეს მიწა გაპოხიერებული, და მთელი მიდამო, რომელსაც ერთხელაც არ გადაავლე მოწყალე თვალი შენ, გერასიმე! სულ რომ არაფერი, ამ საოცარ კუთხეში თვალნათლივი სილამაზეც კი ვერ დაინახე და, ნაწშირს რომ ათვისება უნდა, ამაში დამეთანხმე და, რომ ასეთ სამშობლოს ნაწშირზე მეტად უნდა ათვისება, ეს აღარ იცი, ა, გერასიმე?



ეროვნული ბიბლიოთეკა

სერზე ვიდექი მე.

— აქ, ამ მიწაზე, რომელსაც ეგზემასავით არ მოდებია ჯერაც ასფალტი, დაგაბიჯებინე ფეხი, უმადურო, ვერაფერს მიხვდი; ნამდვილი გლეხი გაგაცანი, ამ გლეხით გიდგას პირში სული, მაგრამ რა ამაყად, რა ამაყად, აჰ, შეიფერე ყველაფერი, რითაც ქანცგაწყვეტილი, ნაშრომნაჯაფი, შუაღამით გაღვიძებული, გაგვიმასპინძლდა, როგორ გგონია, ემართა იმას ჩვენი რაიმე?

მე ვიდექი სერზე.

— და არც ის იცი, რომ სამშობლო მხოლოდ მინდორ-ველი და მთები არაა, სამშობლო ადამიანიცაა, გერასიმე. და, სუფრასთანაც, როგორ იქცეოდი — სამშობლოს შეცნობა რომ გდომებოდა, მჭადზე პრასს შემოახვევდი და ლობიოში ჩააწობდი, შენ კი, მელასავით, სხვის გაზრდილ ქათამს არხეინად მიადექი და არაფერია ამაში ცუდი, მადლობა მაინც რომ გეთქვა, მაგრამ აარა, არა, კუთვნილივით მიიღე, თითქოს დაამადლე კიდეც სტუმრობა და შენ, ვისი წინაპარიც დიდგორის შემდეგ ჭრილობებში მარილს იყრიდა, კატილინაზე გვაწვდიდი ბრტყელ-ბრტყელ ცნობებს, შეგირცხვა ნამუსი.

ვიდექი სერზე მე.

— წვიმისას, გერასიმე, — ათვალწუნებით ამომცქეროდა, — ქუჩაში მანქანიდან თუ გადაგიხედავს, შეამჩნევდი რომ ზოგიერთ გამვლელს შარვლის ცალი ტოტი ტალახით მთლად დაწინწკლული აქვს, მეორე კი — სუფთა. და თუმცა შარვლის ის ტოტი გაცილებით პეწიანად გამოიყურება, ერთმანეთზე ორივეს თანაბრად მიუძღვის ბრალი — იმ დასვრილს სუფთატოტიანი ფეხი სტყორცნის ტალახს და ის ამოთხვრილი კი წესიერად რომ მიაბიჯებს, იმიტომ გამოიყურება მეორე მშვენივრად და კარგად. მე და შენც ასე ვართ, გერასიმე, მე თუ რამ ხინჯი მემჩნევა, ისევ შენს გამო და თავად რომ გამოიყურები კოხტად, ჩემი და ამ გლეხის წყალობაა, იცოდე. ჩვენ, ადამიანები, მრავალფეხა არსებნ ვართ, სხვადასხვა[illegible]სით მოარული, და არ ვართ, როგორც შენ ეს გგონია, მარტო, რადგანაც დიდი სიტყვა — ერი გვქვია, და მე, ვისაც მუდამ მახსოვს ეს, შენ, სამშობლოდავიწყებული, მხოლოდ პირადი კეთილდღეობით გატაცებულ-ალტაცებული, წამოგიყვანე აქ, ჩემთვის დროებით რომ აგეწყო ფეხი, ამ წმინდა ღელეშიც კი გაგაბანინე ტანი, გაყოყოჩებულს, ყინული რომ შემოგცლოდა, მაგრამ აჰ, არა, ნურას უკაცრავად, მაინც ვერ შეგაგნებინე ის სითბო, რითიც მე ვცხოვრობ და რითაც ვსუნთქავ, შენ, შენის ჭკუით, კვლავ ჩემზე ამაღლებული, გაპრანჭული, დარჩი მაგრამ იცოდე, უსამშობლოოდ — კაცი არა ხარ.

სერზე მე ვიდექი.

— ახლა კი, გერასიმე, უკანასკნელ არჩევანს გთავაზობ. აგერ, გახედე, ავტობუსი მოემართება და, თუ იკადრებ, მოაჯექი და წადი, ხოლო, თუ ისურვებ, ორიოდ დღით აქ, ამ სოფელში დავრჩეთ და იმ ჩვენს მასპინძელს ყანის გათოხნაში მოვეხმაროთ. მიწის სუნი რომ გეცემა, ეგებ კიდევ გამოვიდეს რაიმე შენგან, გერასიმე. ძალას არ გატან, როგორც გინდა, ისე მოიქეცი. ასე აჯობებს... — და დარცხვენილმა დაამატა, — სამშობლოსათვის. — მთლად აირია, — რა ვქნა, მიჭირს ხოლმე ამ სიტყვის წარმოთქმა, ეს ხომ ისეთი სიყვარულია, დაფარვა რომ სჭირდება, იმდენად ნაღდი და ნათელია, უხერხულიცაა თქმა... მაგრამ, მაიძულე...

ჰოოი, ავტობუსი — ჭიათურაში ქიმწმენდელი კაცი მელოდა, კოსტუმი უნდა გამომეტანა ჩემი და, იქ, ლიეპაში, ვინ იცის, როგორ ღელავდნენ, ეგებ ოჯახშიც ედეპეშნათ, ძალიან მაფასებს და გაგიჟდება ცოლი, ამ შალვას, მოცლილს, ხომ ვერ ავყვებოდი, თვალი ავარიდე და, ფრთხილად, კიდევ რაიმე რომ არ ეთქვა, ავის მოლოდინით მხრებაწურულმა ჩავიარე სერი, ავტობუსს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელი დავუქნიე, გამიჩერა და სკამზეც არ ვიყავ ჯერაც დამჯდარი, შალვამ თავი შემოჰყო ფანჯარაში და, ასე მეგონა, ბრიყვი, უზრდელი, ერთს გემრიელად შემომაგინებდა, მაგრამ, წარმოიდგინეთ, სულ სხვა რამ შემძახა:

— ნახვამდისკო, სიმიკოო!

## 17.

ქიმწმენდაში ყველაფერი რიგზე იყო, ჩემი კოსტუმი კოხტად მოვირგე, ტყრუშული შარვალ-ხალათი იქვე ჩავაგდე, მდინარეში, და ზესტაფონამდე ტაქსით მივედი, უკანა სავარძელზე ცოტათი წავუძინე კიდეც. ზესტაფონში მატარებელი დაბარებულივით დამხვდა, და საბოლოოდ მაშინ გამომიკეთდა გუნება, თვითმფრინავში რომ შევედი; თავიდან, ადრე, გამოუცდელს, თვითმფრინავის ძალიან მეშინოდა, მერე ნაკლებად მეშინოდა, მერე შევეჩვიე და სულ აღარ მეშინოდა, მერე კი, პირიქით, მიხაროდა, რადგან თვითმფრინავი — გზაა, ხოლო გზას, გამოზომილდაგეგმილს, შედეგი მოაქვს, და ახლა, ამჟამად, საბოლოოდ მაშინ მოვედი ხასიათზე, სიმაღლე რომ ავიღეთ — მე მიყვარს, როცა შესანიშნავ კავკასიონს ზემოდან დავცქერი.

## ბოლოთქმის მაგიერ

საქართველო მთაგორიანი ქვეყანაა. გვხვდება დაბლობებიც. წარმოიდგინეთ, მიკრო-უდაბნოც კი მოიძევება. მოჰყავთ ვაზი, ჩაი, ციტრუსები, კომბოსტო. მოსახლეობის მოზრდილი ნაწილი ქართველებია. ეროვნულ ტანსაცმელს აღარ ატარებენ. როგორც ყველგან, წყაროს წყალი იქაც სჯობს ონკანისას. მოსახლეობა უმეტესწილად ქალაქად, ხუთ-რვა-ცხრა-თოთხმეტ-თექვსმეტსართულიან სახლებში ცხოვრობს. და ხანდახან სოფელი ენატრებათ. ქართველებში, ისევე როგორც მსოფლიოს ყოველ კუთხეში, ხანდახან თავისებური ადამიანებიც შეინიშნებიან. თავისებური ადამიანი, როგორც წესი, უბოროტოა და ერთგვარად ცნობისწადილის აღმძვრელი, თუმცა გამონაკლისი, როგორც ყველგან და ყველაფერში, აქაც დასაშვებია. მაგრამ არც ერთი ძმა კეჟერაძე ბოროტი ნამდვილად არ იყო. და თავ-თავიანთი მიდრეკილება ჰქონდათ.

ღმერთო, კეთილად გეტარებინოს სამთავე საქართველოს ძნელ, მიმოხვეულ გზებზე...

ეროვნული ბიბლიოთეკა

*ლაერტ ჩართოლანი*

# სიცოცხლეს გაუმარჯოს

სოფელში დაფეთებული შემოვიდა, ორღობე უკან მოიტოვა, ჭიშკარი გაუბედავად შეაღო და კარზე დააკაკუნა.

— რომელი ხარ?

— ბაგრატ, კარში გამოდი!

— თურმანია! თურმანის ხმა ვიცანი!

— ამ შუაღამისას რა უნდა?

— სულსწრაფი ნუ ხარ, ქალო, გავალ და გავიგებ! — ბაგრატი საცვლების ამარად გავიდა აივანზე და სტუმარი შინ შეიპატიჟა.

— ბაგრატ, შენზე უკეთესი მეგობარი არავინ მყავს.

— ეს ყველამ იცის, მაგრამ ამ შუაღამისას ამის სათქმელად ხომ არ მოხვიდოდი, მითხარი, რა გაგჭირვებია?

— ენით უთქმელი უბედურება!

— ვიცი, შენს ცოლსა და რძალს უჩხუბიათ, მიკვირს, ძმები როგორ ჩაგითრიეს, ქალებს როგორ აჰყევით? დილით მოვალ და შეგარიგებთ.

— ამის სათხოვნელად არ მოვსულვარ.

— გულთმისანი როდი ვარ, მითხარი, რა მოხდა?

— კაცი შემომაკვდა!

— ვინ? როდის? სად?!

— სანადიროდ ვიყავით წასული, ის იყო ორი ჯიხვი მოვინადირეთ, დიდი მყინვარის ბოლომდე ჩამოვათრიეთ და შევისვენეთ, რომ ის უბედური ნაპრალის კიდეზე ჩამოჯდა, უეცრად თოფი გამივარდა და გულგანგმირული კაცი ნაპრალში გადაიჩეხა.

— შე უბედურო, ეს რა მოგსვლია? ვინ მოკალი?

— ჯერ არ მინდა მისი ვინაობის გამხელა, წამომყევი, სოფელში ჩამოვასვენოთ.

— მომიცადე, ახლავე ჩავიცვამ. — უპასუხა და ოთახში შევიდა.

— რა უნდა თურმანს? — იკითხა თებრონემ.

— საქმე აქვს!

— ვინ შემოაკვდა?

— სუ! შენ რა იცი?

— ყრუ როდი ვარ, ყველაფერი გავიგონე.

— ყრუ ხარო, ამას შენზე ვინ იტყვის? მოკვდები და სოფლის ამბავი სამარეშიც არ დაგრჩება გაუგებარი.

— ვინ შემოაკვდა, ან შენგან რა უნდა?

— წავყვები, ჩამოვასვენებთ!

— კაცი მოკლა და ჭკუაც დაკარგა? მე მშვიდობიან ოჯახს ვერ ავშლი, განა არ იცი, მკვლელობას კიდევ რამდენი უბედურება სდევს? ხომ არ გინდა, ძიცვალებულის ჭირისუფალმა სულის ამოხდომამდე გათრიოს ხატსა და ჯვარზე. მკვლელის თანაგრძნობას არავინ მოგიწონებს.

— ვიცი, მაგრამ გაჭირვებულ კაცს უარი როგორ ვუთხრა? — საგონებელში ჩავარდა ბაგრატი, მაგრამ გაანჩხლებულმა ცოლმა გონს მოსვლა არ აცალა:

— დაგვადგა თვალი და მკვლელობის მოზიარედ უნდა გაგვიხადოს. სოფელში შენს მეტი კაცი დაილია? არც ისეთი სულელი ვარ, იქ გაგიშვა. სახლიდან ფეხი მოგიცვლია, კალოს ბოლოში დავდგები და ისეთ კივილს მოვრთავ, მთელ სოფელს შეგიყრი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

— გაჩუმდი, ქალო, თავსა მჭრი! — დაუტია ქმარმა.

— მომავალ მტრობას გარიდებ, დრო გავა და, ჩემს სიმართლეში დარწმუნდები, ან რას ერიდები, უთხარი, ძმა წაიყვანოს!

ბაგრატი კვლავ საცვლების ამარა გავიდა კარში და თურმანის წინაშე მორცხვი ბავშვივით თავდახრილი გაჩერდა.

— ბაგრატ! ერთსა გთხოვ, რაც გითხარი, ხვალ საღამომდე საიდუმლოდ შემინახე.

— ამისი ფიქრი ნუ გექნება, — შვება მიეცა და სიტყვა გააგრძელა, —ძალას არ დავიშურებ, თავს არ დავზოგავ, სოფლის რჩეულ შუაკაცებს დავრაზმავ. ერთ ხარსაც შეგაწევ, სახნავსათიბში დაგეხმარები, შენს ბავშვებს არავის დავაჩაგვრინებ... — თავჩაქინდრული კიდევ მრავალ შემწეობას აღუთქვამდა და როდესაც თავი აწია, თურმანი იქ აღარ იყო. იმ წუთში ბაგრატმა თავი შერცხვენილ-შეგინებულად იგრძნო.

თურმანი კვლავ სოფლის ორღობეს გაუყვა. „ანდრო თავს არ დამამადლის, ჩემი იასონის ნათლიაა, ნათელმირონს არ გატეხავს“.

კარი მარინოლამ გააღო და მოსულის ვინაობა იკითხა:

— არ იტყვი, ვინა ხარ? მე უბედურს, სინათლე ისე დამაკლდა, შვილიშვილებს ხმით უკეთ ვცნობ, ვიდრე სახით. — აწუწუნდა მოხუცი.

— კარგ დროს მოხვედი, ნაბახუსარს ახლა გამეღვიძა, წყურვილი მკლავს, მაგრამ წყალი რას მიშველის, ორნახადია უებარი წამალი. შემოდი, ერთი ჩვენებურად შევუბეროთ!

— დროის ტარებას სამუდამოდ გამოვეთხოვე!

— ძმებმა იჩხუბეთ, მერე რა, ამაზე უარესები არ ხდება? რძლების ჩხუბი არავის უკვირს, ოჯახს ვერ ნახავ, ერთხელ მაინც არ აურიონ, იმათ შერიგებაზე ზრუნვით თავს არ შევიწუხებ, ვიცი, მაინც იჩხუბებენ. ძმასთან უეჭველად შეგარიგებ, ხვალინდელი დღე თქვენთვის დამითმია.

— ხვალ გვიან იქნება, ამაღამ წამომყევი!

— სად?

— კაცი შემომაკვდა!

— კაცი შემოგაკვდა? — ანდრომ ნაბიჯით უკან დაიხია, — ვინაა ის ბედშავი?

— ნადირობის დროს თოფი გამივარდა, მყინვარზე ასვენია, წამომყევი, სოფელში ჩამოვასვენოთ.

— სოფელს შევატყობინოთ! ვინ არ წაგყვება? თხოვნა რა საჭიროა, მიცვალებული უპატრონოდ ვის დაუტოვებია?

— სხვა არავინ მჭირდება, მხოლოდ შენ წამომყევი!

— არ სჯობია ყველამ გაიგოს?

— ცხედარი ჭირისუფალს მივგვაროთ, ძმებს მუხლმოყრილი პატიებას ვთხოვ, იქნებ შემინდონ უნებლიე შემთხვევა. თუ ამაღამ სოფელმა გაიგო, ვინ მიმაკარებს იმ უბედურს. დილამდე შურს იძიებენ, სიცოცხლეს გამომასალმებენ. ჩემს მოკვლას შერგილი არავის აპატიებს და ატყდება გაუთავებელი მტრობა.

ანდროს შიშით ქრუანტელმა დაუარა. — „უარი როგორ ვუთხრა? წავყვე? ვაითუ ჭირისუფალმა იწყინოს, საქმის თანამოზიარედ მიმიჩნიოს“. — გაუჩნდა თავსატეხი საფიქრალი, — თავს არ დაგამადლი, მაგრამ ჯერ სოფელს შევატყობინოთ.

— არა! — გაჯიუტდა თურმანი.

— მაშ, როგორ მოვიქცეთ?

— წამყევი! — უბრძანა მოთმინებადაკარგულმა.

— შერგილს რად უმალავ?

— თუ არ მომყვები, ჩემს დაბრუნებამდე, მზის ჩასვლამდე, საიდუმლო შემინახე.

— თხოვნა რად მინდა, საიდუმლოს უეჭველად შევინახავ. — კიდევ რაღაცის თქმა დააპირა, მაგრამ სიტყვა გაუწყდა, სათქმელს თავი ვერ მოუყარა, პირი გაუშრა, აზრი დაეფანტა. თურ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მანმა ეზო ფეხათრევით გაიარა; ჭიშკართან შეჩერდა, უკან მოიხედა, ოთახში შუქი ჩაქრა.

„დურმიშხანია ჩემი იმედი!“ — გეზი უახლოესი სახლისკენ აიღო.

— ვინ გვეძახის?

— თურმანი ვარ!...

— ეს-ესაა დურმიშხანი მთვრალი დაბრუნდა და სძინავს.

— „მით უკეთესი, ისე წამომყვება, არც დაფიქრდება. როცა გამოფხიზლდება, ნახევარი გზა გავლილი გვექნება. შუა გზიდან ხომ არ გამობრუნდება?“ — ფიქრობდა თურმანი.

კარი დურმიშხანის ცოლმა ძაძუმ გაუღო. — შემოდი, გავაღვიძოთ, მაგრამ გალეშილი მთვრალი რაში გამოგადგება?

— გამომადგება!

ცოლმა ქმარს სიტყვით ვერაფერი გააგონა, მაშინ იმდენი ანჯღრია, ვიდრე გულ-ღვიძლი არ აურია, არ მოეშვა. — ხომ ხედავ. არ იღვიძებს, კაცი გულის ზიდვით მოვკალი...

„რომანოზი რას მეტყვის? მონადირე კაცია, სხვაზე უკეთესად გამიგებს...“

— ეს რა მითხარი? ღმერთო მომკალი, რა უბედურება მომხდარა? კაცს რა გული მოუთმენს, ასეთ დროს მხარში არ ამოგიდგეს, მაგრამ მეც დიდი უბედურების მოლოდინში ვარ, ავადმყოფ, სულთამბრძოლ დედას ვერ მივატოვებ. თუ ცისკრის ვარსკვლავს ცოცხალი შეხვდა, ვიცი, მზის ამოსვლამდე სულს დალევს! — ცრემლად დაიღვარა რომანოზი.

ცოლის ძმებს ვუთხრა? მაგრამ ეს არ იქნება! ის უბედური იმათი გვარიშვილია. იმათ ორი არჩევანი აქვთ, ან მე, ან საძმო გვარი. საძმოს ვინ უღალატებს? რა ყველაფერი ერთმანეთზეა გადახლართულ-გადაჯაჭვული?!

თურმანი კრთომით შევიდა ოთახში.

— ხომ გამარჯვებული დაბრუნდი? თუმცა რა საკითხავია, ხელმოცარული როდის მოსულხარ? — მიესიყვარულა ცოლი. ქალმა კაბა გადაიცვა, ფეხები ბანდულებში გაჰყო და ჭრაქი აანთო.

— დაჯექი, რა გახევებული დგახარ?

— ჩათუ! რაც არ უნდა გითხრა, არ შეიცხადო, არ ატეხო წივილ-კივილი, ბავშვები არ დამიფეთო. გული გაიმაგრე, წუთისოფელს უფალი განაგებს, განგების ნებას ვერსად გავექეცი. ღმერთმა დამსაჯა, შემრისხა, გამიწყრა და გამაუკულმართა, თავგზა ამირია. შენი ჭირიმე, არ შეგეშინდეს, სოფელი არ შემიყარო!

— გონს მოდი, თურმან! ავადა ხარ, გეტყობა, სიცხემ აგიწია. დაწექი, თხის ქონით გულ-მკერდს დაგიზელ, სიცხეს გაგინელებს.

— ჩათუ. პირობა მომეცი, მხარში ამომიდგები, რასაც გეტყვი, გამიგონებ.

— თურმან, რა მოგდის?

— დაიფიცე ქმარ-შვილი, რომ ჩემს ნათქვამს საიდუმლოდ შეინახავ, თუნდაც საღამომდე. მზის ჩასვლამდე. იცი, ეს რას ნიშნავს? ბავშვები ერთი დღით გვიან შეიტყობენ მამის უბედურებას. შენ არ იცი, ერთი დღე რა უსასრულოა. ერთ დღეში მზის ამოსვლიდან ჩასვლამდე დავკარგე სიცოცხლის აზრი, იმედი, ნუგეში, მთელი ჩემი ცხოვრება; ნათესავი და მოკეთე მტრად გადავიკიდე. ერთი მეგობარი დავკარგე, სხვები ჭირში გამოვცადე. რაც შრომითა და ოფლით შევიძინე, წყალს გავატანე...

— ნუ მომკალი, მითხარი, რა მოხდა?

— დაიფიცე შვილები, რომ სოფელს არ შემიყრი.

— ვფიცავ იასონს! ვფიცავ ფრიდონს! თქვენს სიცოცხლეს ვფიცავ, — შეშფოთებულმა გადახედა მძინარე ბავშვებს.

— კაცი შემომაკვდა, რისმაგი აღარაა ცოცხალი!

ქალმა ერთი შეჰკივლა და გონდაკარგული მეუღლის მკლავებზე მიესვენა. ქმარმა ლოგინზე წამოაწვინა. დედის ხმამ მძინარე ბავშვები შეაკრთო, წამით შეიშმუშნენ, მაგრამ ისევ მშვიდად გააგრძელეს ძილი. თურმანი კი უაზროდ დასცქეროდა მეუღლის გაფითრებულ სახეს. ქალს გაცრეცილ სახეზე ფერი მოეკიდა, თითქოს მტან-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჯველ სიზმარს თავი დააღწიაო, შეკრთა, თვალი გაახილა და ლოგინზე წამოჯდა. არ კიოდა, არ მოთქვამდა, იჯდა და ცრემლად იღვრებოდა.

— რა ელით ჩემს ბავშვებს, ჩემს ანგელოზებს? ორი გვარი, ორი საძმო თემი, ნადირთა ორ ჯოგს დაედრება და სადაც მოიხელთებენ, იქ მოუჭრიან ერთმანეთს სიცოცხლის გზას. ვიდრე მტრობა და შუღლი განელდება, რამდენი თაობა შეიცვლება?! მეც თავი მომეკლა, ხალხი იფიქრებდა, ნადირის დევნაში ქარაფზე გადაიჩეხნენო.

— თურმან, სულით ნუ წახდები!

— არა! რაიმე შემამჩნიე? — გონს მოეგო და იკითხა, — სულით რად უნდა წავხდე? ნებით ხომ არ მომიკლავს, თოფი უნებლიედ გამივარდა...

— ნუ ვაყოვნებთ, რაიმე მოვიფიქროთ!

— რა გავაკეთოთ, ჩათუ?

— მიცვალებული ჩამოვასვენოთ!

— ვინ გაგვყვება?

— ბაგრატი, ანდრო, დურმიშხანი!

— ვინც ჩამოთვალე, ყველა ვნახე!

— მერე?

— მიკიბულ-მოკიბულით გამომისტუმრეს, არ ისურვეს გაყოლა.

— გამოდის, მშველელი არავინ გვყავს!

— შერგილს რატომ ვუმალავთ? იმაზე უკეთესად ვინ გამიგებს, იმას წინ ვინ გადაუხტება?

— შერგილმა დიდი ხანია, შენს ძმობაზე ხელი აიღო.

— ამით რა გინდა თქვა?

— ჩვენი ოჯახის მტერია!

— ჩემი ძმა ჩემი მტერია? ეს რამ გათქმევინა?

— ერთი კვირის წინ მოსაკლავად არ გზოგავდა.

— ეს როგორ დაიჯერე? წადი, დაუძახე!

— ღმერთო დიდებულო, რა შეგცოდე, რად გამიწირე მეუღლე და დამიობლე ბავშვები? გევედრები, ამარიდე ქვრივ-ობლობა, — ლოცვად დაშვრა ქალი და მაზლის სახლის კარზე დააკაკუნა.

— ვინა ხარ?

— ჩათუ!

— ჩათუ? — გაოცდა დარინე, — გეტყობა, ისევ დაგიარა ჩხუბის ქარებმა, გათენებამდე მოითმინე, ძილს ნუ გვიფრთხობ, მზის ამოსვლისას მომაკითხე, მანამდე დილის სამუშაოებს მოვითავებ, შემდეგ მოვიცლი შენთვის და სულ თმით გათრევ. ისე გაგხდი, შენმა უმსგავსო ქმარმაც ვერ გიცნოს. ნახე, რამდენს ბედავს! ლოგინშიც არ გვასვენებს! — ძილდამფრთხალი დარინე ძუ ვეფხვივით აიმრიზა, აიფოფრა და აენთო.

— ხმა ჩაიწყვიტე, სიტყვა არ გამაგონო! — გაწყრა ქმარი.

— შერგილ, გამომხედე!

— რა უნდა? რისთვის მოვიდა? მთელი ღამე შაკიკმა არ დამაძინა, ახლა ამისი ჩხუბის თავი მაქვს?

— რა მოხდა, ჩათუ, ბავშვებს ხომ არაფერი დაუშავდათ? — იკითხა კარში გამოსულმა შერგილმა.

— თურმანს რისმაგი შემოაკვდა!

— ვაი ჩემს თავს, უბედურს, იმასთან სამტრო რა გვქონდა? ვიჩქაროთ, თავს არაფერი მოუწიოს.

ერთ დაძახებაზე შეკრებილი, გვარის თხუთმეტი რჩეული ვაჟკაცი, მცირე თათბირის შემდეგ, ფეხაკრეფით გავიდა სოფლიდან. ჯაჭვით დაბმული ავი ძაღლები ცოფს ჰყრიდნენ, სოფელში ზოგმა საქონლის მაწანწალა ქურდს დააბრალა მათი გაანჩხლება, ზოგმაც — ზომაზე მეტად დაგვიანებული მგზავრის გამოჩენას. ოთხი ოჯახი კი გუმანით ხვდებოდა, ვინ იყვნენ დაგვიანებული მგზავრები.

დიდი კაკლის ჩრდილქვეშ მოჩუხჩუხე წყაროსთან შეკრებილ ქალებს შუაში ბაგრატის ცოლი თებრონე ჩაეყენებინათ და ცხელ-ცხელი ამბების მოსმენით თავს ირთობდნენ.

— განზე გაიწიეთ, მეც მომასმენი-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნეთ, რას ყვება სოფლის მაცნე. — მათ რისმაგის მეუღლე, ქვერეჯა შეუერთდა.

— დღეს მხოლოდ სიზმრების თხრობით გვართობს.

— სიზმარს ცხადში ნახულსაც გაურევს, ფხიზელი სმენა აქვს თებრონეს, გაუგებარი არაფერი რჩება.

— ბავშვი აკვნიდან არაა ამოსული, ამან უკვე იცის, ბედის საუნჯეში რა უწერია, — იცინოდნენ ქალები.

თებრონემ თხრობა შეწყვიტა და ტუჩი აიბზიკა. — ტყუილად მადგია ხალხის თვალი, ჭორიკნობაში ყველა მჯობნით.

— გააგრძელე, წუხელ რა გესიზმრა? — სთხოვა ქვერეჯამ.

— სიზმარში ნახულს კი არა, ნამდვილ ამბავს არ მოვყვები, — გაჯიუტდა თებრონე.

— გეხუმრებით, თორემ, შენი აუგი ვინა თქვა?

— სოფლის თვალი ხარ, თებრონე!

— გამორჩევით გვიყვარხარ, იმიტომ გაგითამამდით, მერე და, როგორ მართლდება შენი სიზმრები.

— ნუ დაგვტანჯე, გაიხსენე, რა დაგესიზმრა...

თებრონემ ამგვარ თხოვნა-მუდარას ვერ გაუძლო და თხრობა განაგრძო:

— იმას გიყვებოდით, მონადირეებმა ორი ჯიხვი მოკლეს და მყინვარზე ჩამოათრიეს. იქ ნაპრალთან შეჩერდნენ, ერთ მათგანს თოფი გაუვარდა, ნასროლი ტყვია მის ამხანაგს მოხვდა და გულგანგმირული ნაპრალში გადაიჩეხა.

— როგორ?! მოკლა და ნაპრალში ჩააგდო? — შეწუხდნენ ქალები.

— კარგად ვერ გავარჩიე, ვფიქრობ, ასე იყო.

— ეს რა ულმერთობა ჩაუდენია? — აღშფოთდა ირინე.

— სიზმარს ყვება, ცხადში ნახულს ხომ არა?

— შეძლებისდაგვარად ალამაზებს.— კვლავ იცინოდნენ ქალები.

— მკვლელი სირბილით გამოიქცა სოფელში, — უბან-უბან დარბოდა, შველას და გამყოლს ითხოვდა. ბოლოს ბაგრატი დაძებნა. ყველამ იცით, ჩემი ქმარი რა გულჩვილი კაცია.- წაყოლა დააპირა, ამ დროს გამომეღვიძა და სიზმარს თავი დავაღწიე.

— მონადირეები თუ იცანი? — შეწუხდა ქვერეჯა.

— მკვლელი თურმანს მივამსგავსე.

— რისმაგი ახლავს, სანადიროდ ერთად წავიდნენ, — რისმაგია მოკლული! — იტაცა თმებში ხელი დურმიშხანის ცოლმა ძაძუმ.

მკვლელობის ამბავმა უბან-უბან ჩამოიარა, ყველა ოჯახში შეიხედა, სოფელი ააღელვა და ააფორიაქა. გულშეღონებულ ქვერეჯას აწიოკებული ქალები თავს ეხვივნენ და სულის მოთქმას არ აცლიდნენ, თმას იწეწავდნენ, იგლეჯდნენ და მოთქვამდნენ.

რისმაგის ძმებმა პირველი შეცხადება მოითავეს და მწკრივში ჩამდგარნი თანასოფლელებისაგან სამძიმარს იღებდნენ.

მაჩუბი საძმო გვარის რძლებმა დაალაგეს, შუაში ხის ტახტი დადგეს და მიცვალებულს ადგილი მოუმზადეს.

სოფელი ერთბაშად ორ მტრულ ბანაკად გაიყო. უმრავლესობა თურმანს, შერგილს და მათ ბიძაშვილებს კიცხავდა, — უბედურება რად დამალეს, წუხელ რად არ განაცხადეს, ამ ხნის მანძილზე მიცვალებულს რამდენი ცრემლი დააკლდაო?

— მიცვალებულის საპატრონოდ წავიდნენ, ამაში ცუდს ვერაფერს ვხედავ! — ამართლებდა მეორე მხარე.

ბაგრატი და დურმიშხანი პირში წყალჩაგუბებული იდგნენ. სიტყვა ვერ ეთქვათ. რომანოზი და ანდრო კი გაოცებას ვერ მალავდნენ, უკვირდათ თებრონემ საიდან ამოიცნო მათი საიდუმლო. ბაგრატი ცოლის ჯავრით მუშტებს კუმშავდა, ხელისგულის ქავილი კლავდა, ერთი სული ჰქონდა, როდის დაიმარტოხელებდა.

— რას ფიქრობთ? შეუნდობენ რისმაგის ძმები? — იკითხა რომანოზმა.

— უნებლიე შემთხვევაა, ასეთ დროს მეტი წინდახედულობაა საჭირო. უმცროსი ძმა ალმაცგილი კერპობს, ქუდს არ იხდის. ეცდება, დასაფლავებამდე

ეროვნული ბიბლიოთეკა

თილის სისხლი. არც ორმოცამდეა გვიან, წესითა და რიგით, დევნა ერთ წლამდე გასტანს, თუ ამ დროში ვერ მოიხელთეს, მაშინ დათმობაზე წავლენ და შერიგდებიან, — გაიხსენა შურისძიების ვადები დურმიშხანმა.

— ერთი წელი სად დაიმალება, ხარის რქაში ხომ არ ჩაძვრება?

— საძმო კოშკს შეაფარებს თავს, მხოლოდ იქ დაემალება ტყვიას.

— თურმანის დევნაში შერგილს არაფერი მოუწიონ, — ჩაერია საუბარში ბაგრატი.

— შურისმაძიებლის ნასროლი ტყვია გამორჩეულ ვაჟკაცს იწირავს, ამიტომ ჩავერიოთ საქმეში, იქნება ახალი მკვლელობა ავიცილოთ.

— რომანოზ, მკვლელობა შეიძლება ავიცილოთ, მაგრამ, ცხადია, თურმანისა და შერგილის სახნავ-სათიბი მიწები და ხარ-ძროხა რისმაგის ძმების კუთვნილება გახდება. ადამიანის წორი მეტისმეტად ძვირად ფასობს. თურმანის კერიის თავზე ჯაჭვს ჩამოხსნიან. ცეცხლს წყალს დაასხამენ. მის ბავშვებს ან ობლობა ელით, ან შიმშილი და სიდუხჭირე. მესამე არჩევანს ვერ ვხედავ...

ამ ლაპარაკში იყვნენ, რომ ეზოში საზარელი კივილი გაისმა. შეკრებილი ხალხი თმაჩამოშლილ ორ ქალს მიაჩერდა, რომელთაც წინ ხუთი ბავშვი მოუძღოდა. ქალებმა შეუჩერებლივ მიაშურეს რისმაგის ძმებს. ბავშვები წინ დაიყენეს, მუხლებზე დავარდნილებმა კივილით გული იჯერეს და მოთქმაზე გადავიდნენ, — ჯერ მიცვალებული დაიტირეს, ჩვეული ოსტატობით შეასხეს ხოტბა. უქეს ვაჟკაცობა, გვარიშვილობა და შთამომავლობა. ყველა ღირსება, რაც სიცოცხლეში აკლდა, უყოყმანოდ მიანიჭეს. შემდეგ თხოვნა-მუდარაზე გადავიდნენ.

— ბედშავი რისმაგი ბრმა ტყვიამ იმსხვერპლა. მუხლმოყრილი გევედრები, ნუ დაიობლებთ ბავშვებს, ნუ დამაქვრივებთ უდროოდ. გამორჩეული წორი დაგვაკისრეთ, ყველა სურვილს აგისრულებთ, ოღონდ თურმანის სიცოცხლე მაჩუქეთ. — ჩათუს ძმები უმწეოდ უყურებდნენ დის უბედურებას, ერთი სანუგეშო სიტყვა ვერ ეთქვათ და მდუმარედ უცდიდნენ, რას მოიმოქმედებდნენ რისმაგის ძმები. ჩათუს მოხუცი მამა კი მდუღარე ცრემლებით ტიროდა.

— თურმანი კეთილი და მოსიყვარულე კაცია, რისმაგი ძმასავით უყვარდა, მხოლოდ ბედისწერამ დააშორა ისინი. გევედრებით, ნუ აყვებით გულისწყრომას. თქვენს სამსჯავროზე მომიგვრია ჩემი შვილები; თურმანის სანაცვლოდ გამიწირია ისინი. ობლობას სიკვდილი სჯობია. აქვე განიკითხეთ ცოდვა-მადლი, ჩვენი მომავლის ბედი — შეჰლაღადა დარინემ.

ალმაცგილმა თვალი გაუსწორა ეზოში მოზღვავებულ ხალხს, რომელთა მზერაშიც გამოკრთოდა ვედრება, შეწყალებისა და შებრალების მოთხოვნა.

თვალებგაფართოებული ბავშვები კრთომით შეჰყურებდნენ სამ პირქუშ, მრისხანე მამაკაცს. შვიდი წლის გოგოს უჩვეულო სურათის ნახვამ შიშის ზარი დასცა. ბავშვი ხმის ამოღებას ვერ ბედავდა, მთელი ტანით თრთოდა, ცახცახებდა, ნიკაპი უკანკალებდა, ჩიტისოდენა გული პერანგიდან ამოვარდნას ლამობდა, სლუკუნებდა და ცრემლი სდიოდა. ბიჭებმა დას მწყრალად შეუბღვირეს, არ აპატიეს სისუსტე. მოტეხა ბავშვის ცრემლმა ალმაცგილი. მას სიბრალულისა და შურისძიების დაუოკებელი წყურვილის ნაყური წამწამზე ჩამოეკიდა, ყინულივით ცივი გული შეუძრა, გაულღო და გაუთბო. ძირს დაშვებული ხელი მისდაუნებურად თავზე აცოცდა და ქუდი მანამ ჰმუჭნა ხელში, ვიდრე ბაგრატმა არ მოისაზრა და არ ჩამოართვა.

— წაიყვანეთ ბავშვები, შინ წადით, საქმეს სოფლის რჩეულნი გაარჩევენ! — ბრძანა უფროსმა ძმამ.

— ცოდვა-მადლი სოფელმა განსაჯოს! — კვერი დაუკრა მის ნათქვამს შუათანამ...

---

ლაერტ ჩართოლანი

სიცოცხლეს გაუმარჯოს

ეროვნული

მიცვალებულის შესახვედრად მიმავალ ხალხის ნაკადს ბოლო არ უჩანდა, იდგა გლოვა და ზარი. ქალების წივილკივილი ზღვარს გადადიოდა. ისინი ლოყებს იკაწრავდნენ და თმას ბლუჯაბლუჯად იგლეჯდნენ.

დაწინაურებულთაგან ყველაზე შორსმხედველმა ტყიდან გამოსული ჯგუფი შენიშნა. — „მოასვენებენ! მიცვალებულს მოასვენებენ!“ — ჩამოუქროლა ხალხის უწყვეტ ჯაჭვს პირველმა ცნობამ. ჭირისუფალმა კივილს უმატა, ნაბიჯს აუჩქარა, ქალი და კაცი ერთმანეთში აირია. ჯგუფ-ჯგუფად მიმავალი რიგები გაიშალა, გაიწელა. ჩამორჩენა არავის უნდოდა, საქმე გასწრებაზე მიდგა.

— ორ კაცს მოასვენებენ! — ნიავქარივით ჩამოიქროლა მეორე ცნობამ.

— მეორე ვინ არის? — იკითხა გზის ბოლოში ქლოშინით მიმავალმა მოხუცმა.

— კიდევ ვინმე მოკვდა?

— ორი კაცი მოკლა?

— მეორე კაცის მოკვლა დაუმალია!

— ბრმა ტყვია ორს არ მოკლავდა!

— ეტყობა, განზრახ დახოცა!

— რა თქვა, რამდენი მოვკალიო? — ასე ერთბაშად დაიბადა მრავალი კითხვა და პასუხსაც სასწრაფოდ ითხოვდნენ;

— სანადიროდ მხოლოდ ორნი ყოფილან.

— მაშ მეორე ვინ არის?

— იმ უბედურმა თავი ხომ არ მოიკლა? — იკითხა მოხუცმა.

— თავი მოიკლა? — მის წინ მიმავალმა კარგად ვერ გაიგო ნათქვამი.

— თავი მოუკლავს, თურმანს თავი მოუკლავს! — ზურგიდან დაუბერა ახალმა ნიავმა.

— ცოდვილს სიცოცხლე გაუწირია!

— კაცის ცოდვამ უწია!

— არ შერჩა...!

— უფალმა ღირსეულად დასაჯა!

— ვენაცვალე წმინდა გიორგის, ცოდვა-მადლის ამგვარი განკითხვისათვის!

— იგემოს მისმა ცოლ-შვილმა ობლობის სიმწარე!

— ღმერთმა გაგვასწორა, ახლა ბარი-ბარსა ვართ!

ჭირისუფალმა ერთბაშად ისეთი შვება იგრძნო, გეგონებოდა, მიცვალებული მათ თვალწინ გაცოცხლებულაო. კივილი შეწყდა, ნაბიჯი შეუნელდათ, მხოლოდ აქა-იქ თუ ვინმე მოთქვამდა.

— როგორ მოიკლა თავი, ტყვიით?

— ქარაფზე გადაიჩეხა?

— წინ ჯიხვი მოაქვთ! — ამცნო ხალხს შორისმხედველმა.

— ჯიხვისა და მიცვალებულის ერთად მოსვენება სად თქმულა?

— მიცვალებულის წინ ჯიხვი როგორ წამოიღეს?

— ნახეთ, ხალხნო, ჯიხვიც არ დაუტოვებიათ!

— ეს მიცვალებულის აბუჩად აგდებაა!

— ოჯახის თავის მოჭრაა!

— სიკვდილი არ გვაკმარეს, საქვეყნოდ შეგვარცხვინეს!

— ჩავქოლოთ!

— თავგასულთ ჭკუა ვასწავლოთ!

— ღირსეულად ვიძიოთ შური! — აბობოქრდა, აღელდა, აზვირთდა ხალხი და სიარულიდან უმალ სირბილზე გადავიდა. ბრაზმორეული მოთქმა კივილმა შეცვალა. მამაკაცები გადამწყვეტი შერკინებისათვის მოემზადნენ.

— დედა! მთელი სოფელი ჩვენკენ მოდის! ვილაცას მოასვენებენ!

— ვაიმე, თურმან! ასე მალე...? — იკივლა ჩათუმ და დარინეს მკლავებზე მიესვენა.

— გამაგრდი, დაო, ნუთუ მოგვატყუეს? ესაა ამათი პირობა? რა ხელმა გაიმეტა სასიკვდილოდ ჩემი მაზლი? საყვარელი ძმის მკვლელს მზეს დაუბნელებს შერგილი! — მოთქვამდა და იმუქრებოდა დარინე.

— ალმაცგილს მამის სიკვდილს არ

ეროვნული ბიბლიოთეკა

შევარჩენ. სიტყვა მომცა, არაფერს დავუშავებო, რად მომატყუა? სიტყვა რად გატეხა? — სწვდა კედელზე ჩამოკიდებულ ხანჯალს თორმეტი წლის იასონი, ქარქაშიდან ამოაცურა და კარში გავარდა. ფოლადი ჩამავალი მზის სხივებზე ალაპლაპდა.

— იასონ, დაბრუნდი! არ დამღუპო, იასონ! — უძახდა ბიცოლა.

— შვილო, იასონ!!! — კვნესოდა ჯედა.

— მამა მომიკლეს!

— ბიძა მომიკლეს! — ტიროდნენ ბავშვები.

— იასონ! ხმალამართული საით მირბიხარ? — შეაჩერა თურმანმა.

— გულზვიადი გეზრდება, ძნელად დასაბმელი იქნება, — შენიშნა რისმაგმა.

— სიფიცხით ბიძასა ჰგავს! — იცინოდა თურმანი.

— მამა ცოცხალია!

— ბიცოლა, ბიძია ცოცხალია!

— რისმაგიც ცოცხალია! — აყრიამულდნენ ბავშვები.

— ფრიდონ, გაიმეორე, რა თქვი? — იკითხა ჩათუმ.

— მამა და რისმაგი ცოცხლები არიან!

— ვერაფერი გამიგია, ხან იძხხით დაიხოცნენ, ხან ცოცხლებიაო, რომელი ერთი დავიჯეროო?

— ადექი, დაო, ჩათუ, მძიმე დღე და ღამე გადავიტანეთ. მადლობა ღმერთს, ყველაფერი ასე მშვიდობიანად დამთავრდა. ძმებს მთელი სოფელი დაუპატიჟია, წვეულებას ვიხდით! — ახარა ჩათუს დარინემ.

ეზო ხალხით აივსო, მრავალი კიდევ მოსასვლელი იყო. ვერავინ გაერკვეოდა, ვინ ვის ეხვეოდა, კოცნიდა, ესიყვარულებოდა.

ბაგრატს კიდევ აექავა ხელი, თვალით ეძებდა თებრონეს, რომელიც ეზოს მეორე კუთხეში იდგა და თავვამოდებით კიცხავდა ჭორის გამავრცელებელს:

— ქალებო, ხომ გეუბნებოდით, სიზმრებისა არაფერი დაიჯერება-მეთქი. რა ვქნა, არ გჯერათ, ჯერ ლოგინიდან არა ვარ ამდგარი, რომ თავს დამადგებით, მოსვენებას მიკარგავთ: თებრონე რა დაგესიზმრა? ვინ ნახე, რა ნახე, ლოგინში ვინ ვისთან იწვა? თავი საით ჰქონდა, ზურგშექცევით იწვა თუ გულაღმა? ქმართან იწვა თუ სხვასთანო? გულთმისანი როდი ვარ, ყველაფერი უტყუვრად ამოვიცნო? ჭკუა ისწავლეთ და, ჭორიკნობას თავი დაანებეთ.

— დილას აქეთ სიკვდილზეა ლაპარაკი, სათვალავში კი არავინ გვაკლია, დალაგებით მოყევით, რა მოხდა? — სთხოვა შერგილს მოხუცმა ანტონმა.

— მოვყვები, რაც ვნახე, დანარჩენი ამათ გვიამბონ, — დაიწყო შერგილმა. ის იყო მყინვარზე ავედით, ვხედავთ ნაპრალთან კაცა ზის.

— ეს ხომ რისმაგია?!

— რისმაგია! რისმაგია! — სათითაოდ გაიმეორეს ჩემი ნათქვამი ბიძაშვილებმა და ნაბიჯს ავუჩქარეთ. რისმაგი ქვაზე იჯდა. ფეხის ხმაზე შეკრთა, თვალები მოისრისა, წამოდგა და შეშფოთებულმა უკან დაიხია.

— გამიკვირდა, ვერაფერი გამეგო, ამდენი ხალხი რისთვის მოსულიყო, — სიტყვა ჩამოართვა რისმაგმა. — ამათ თვალებში ვერც რისხვა ამოვიკითხე, არც სიხარული ჩანდა. დიდხანს იდგნენ მუცელში ენაჩავარდნილები, შემდეგ თხუთმეტი კაცი ერთბაშად ჩემთან მოიჭრა.

— — ცოცხალია!

— უვნებელია!

— მშვიდობაა! — ყვიროდნენ და გულში მიკრავდნენ.

— ვინაა ცოცხალი? ვინაა უვნებელი? — ვეკითხებოდი, მაგრამ ვინ მისმენდა? — გამაგებინეთ, რა ხდება? რა მუშტრის თვალით მსინჯავთ და მზომავთ?

— სადაა ჭრილობა? — მკითხა შერგილმა.

— რაა? — გამიკვირდა კითხვა. — აი თურმე რა ყოფილა. უკვე თანმიმდევრობით გავიხსენე, რაც თავს გადამხ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

და: სახლიდან სანადიროდ საღამოს წავედით. მთელი ღამე ვიარეთ, არც დილით დაგვისვენია. ორი ხარჯიხვი მოვკალით, მყინვარის ბოლომდე ჩამოვათრიეთ. სიცხემ შეგვაწუხა და სულის მოსათქმელად ნაპრალის კიდეზე ჩამოვჯექი. თურმანი თავის ქანგიან თოფს უკირკიტებდა. ქვაზე მიყრდნობილს, ნაპრალის სიღრმიდან ამოსული გრილი ჰაერი მესიამოვნა და ღამენათევს ჩამეძინა. ძილში სროლის ხმა მომესმა, ადგილზე შევხტი და ნაპრალის სიღრმეში აღმოვჩნდი. სიცივემ რომ გამომაფხიზლა, გონს მოსულმა თავის ტკივილი ვიგრძენი. ეტყობა, ყინულს მივარტყი და გონებაც იმიტომ დავკარგე. ნაპრალი პატარა იყო, ადვილად ამოვედი. თურმანი ვეძებე, მაგრამ ვერსად მივაგენი. ყვავ-ყორნები რომ არ დახვეოდნენ, ნანადირევს ნაპრალში გადაუძახე და ღამე გამოქვაბულში გავათენე. დღეს გათენებიდან ვეძებე, მაგრამ ამის კვალს ვერსად მივაგენი. ის იყო საგონებელში ჩავარდნილი ნაპრალთან დავბრუნდი, რომ ესენი დამადგნენ თავს.

— მონადირეც ამასა ჰქვია, კაცი ცოცხლად გამოგვატირებინა. —საყვედური ვერ დამალა ანტონმა.

— ისე ეგდო ნაპრალში, სიცოცხლის ნიშანწყალი არ ეტყობოდა — თავი იმართლა თურმანმა.

— დაჭრილი დათვი ხომ არ იყო, რომ დაეგლიჯე? ჩასულიყავი ნაპრალში, გენახა, რა სჭირდა. კაცის ასე მიტოვება თქმულა და გაგონილა?

— თავზარდაცემულმა ამდენი ვერ მოვიფიქრე...

— საკლავები მოიყვანეს. ბესარიონ, ბიჭები წაიყვანე და ხარები დაკალით, თორემ დაგვიანდა. ღმერთს ვთხოვოთ, განსაცდელისაგან მუდამ ასე უვნებლად გვიხსნას.

— იჩქარეთ სუფრის გაშლა, თორემ დაღამდა! — კვერი დაუკრა შერგილს შეზარხოშებულმა მამასახლისმა.

— ბაგრატ, დურმიშხან, ანდრო, რომანოზ, თქვენ ჩვენი ოჯახის მეგობრები ხართ, მოდით, ფერხული გავაბა-ლოთ.

— მტრობა ღმერთმა [illegible], იყოს ცეკვა-თამაში, — იქუხა ალმაცგილმა და სამი ძმის თანხლებით ფერხულში ჩაება.

თურმანის გვარის ოცდაათი რჩეული ვაჟკაცი და რისმაგის ბიძაშვილებიც შეუერთდნენ მოცეკვავეებს.

მოხუცებმაც დაღლილობა არად ჩააგდეს და ახალგაზრდული ხალისით ჩაახვიეს ფერხული.

— დაუკარით საცეკვაო! — აკაკანდა თებრონე და თავადვე დაიწყო სიმღერა. მას ქალთა გუნდი აჰყვა. მამაკაცებმა ბანი მისცეს. ბაგრატს ერთბაშად ისეთი შვება მიეცა, რომ მოეხსნა ხელის ქავილი, რომელიც მთელი დღე ასე სტანჯავდა.

თეთრ კაბაში გამოწყობილმა ოთხმა ქალმა წრე გაარღვია, მათ ცერებზე შემდგარი ოთხი ვაჟკაცი დაედევნა.

— ცეკვა-თამაშში თურმანისა და რისმაგის წყვილი სჯობიან! — შენიშნა ბაგრატმა.

— ვაჟკაცობაში შერგილი და ალმაცგილი! — დასძინა ანტონმა.

ცეკვა-თამაში ეშხში შევიდა, წყვილს წყვილი ცვლიდა.

— ცოცხლად, შვილო, იასონ! — შეაძახა თურმანმა უფროს ვაჟს.

— თამამად, ქვარა, ლაღად გაშალე ხელები! — გაამხნევა ალმაცგილმა თავისი ქალიშვილი.

— გზა დაუთმეთ ჩემს პატარას! — წრეში შეიყვანა შერგილმა პატარა რუსუდანი.

— ტოლს ტოლი არ დაელევა! —გვერდით მოუყენა მას რისმაგმა პატარა ბიჭი.

— მტრობას დაუდგეს თვალები! — გაიხარა შერგილმა.

— შენ გაგიმარჯოს, ჩემო სოფელო, ჩემო ძმებო და დებო! — აღელდა თურმანი;

— შურისძიების მომგონის... სიცოცხლეს გაუმარჯოს! — აენთო ალმაცგილი.

მზისა და სიცოცხლის საგალობელი სიმღერა მთის კალთებს ეფინებოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 50

# შოთა ნიშნიანიძე



## მფრინავი თეფშები

1.

უმალ ტელესკოპებს მიუსხდნენ სწავლულნი,
იქნება როგორმე ახსნან სასწაული.
და ქვეყნებს მოედო ჭორად თუ ლეგენდად,
სხვადასხვა პროგნოზი ბრძენთა თუ რეგვენთა.
— მფრინავი თეფშები!
— მფრინავი თეფშები!
— შორი პლანეტების სიგნალ-დეპეშები!

2.

სასროლო სტენდზე შეჯიბრია
და ცას ეფშვნება
სულ სხვა თეფშები...

3.

გუშინაც დათვრა ურწმუნო თომა
(ალბათ ზედმეტიც აკადრა ცოლმა)
და ლოთი-შფოთის აყალმაყალს როგორც შეშვენის —
სულ ლიწინ-ლიწინ მიფრინავდნენ ჭრელი თეფშები!

მერე ბავშვები აგროვებდნენ
(როგორც ადრევე)
ჰოლანდიური ლანდშაფტების ფერად ნამტვრევებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## უბის წიგნაკში ჩანიშნული

### ღვინის მადლი

სამყაროს წარღვნას მხოლოდ ლოთი ნოე გადურჩა.

●

ზოგჯერ სიფხიზლე უფრო ბრმაა,
ვიდრე სიზმარი.

●

სუვოროვი რომ ძველ სპარტაში გაჩენილიყო,
ალბათ კლდიდან გადაჩეხავდნენ.

●

ვეშაპის ღვიძლში ცხენიანი კაცი ეტევა,
პეპელას ფრთებზე ვერ მაგრდება ყვავილის ფიფქიც.

●

ბალახი, სიტყვა, მინერალი —
სამი უკვდავი წამალია, სამი მაგია.

●

მტარვალი ქსერქსე — ბაბილონის დამანგრეველი,
ხარხარისაგან გარდაიცვალა.

●

სულ რომ არ იყოს ტანჯვა, წვალება,
სნეულება თუ გარდაცვალება,
მაშინ ხომ ქვეყნად არ იქნებოდა
არც თანაგრძნობა, არც შებრალება.

ტკივილო, თუმცა ტანჯვას მარგუნებ
და მიფითრდება სიმწრით ტუჩები,
შენ მაინც ხარ საღვთო სალბუნი
ხვალის იმედით და გაყუჩებით.

გავუძლებ ტკივილს, თუკი მომელის,
ტანჯვას ავიტან, როგორც ტიტანი,
ოღონდ მიმრავლე თანამგრძნობელი,
სხვისი ტკივილის გულთან მიმტანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ომი და მშვიდობა ანუ მახვილისა და ნამგლის დიალოგი

ვინ გადაწყვიტა დავა ორმხრივი,
დასაბამიდან სახელგანთქმული:

— შენ ხარ მახვილი წელში მოხრილი,
— შენ ხარ ნამგალი წელგამართული.

## ჩემგან მოკლული მტერის დატირება

თითქოს უფლის რჩეული სანთელ-საკმეველი ვარ,
კაცის თვალში არა და ღმერთის თვალში მკვლელი ვარ,
შენთვის — ურჩხულ-ციკლოპი, დიდი ცოდვის მქნელი ვარ.
შენც ღვთის გაჩენილი ხარ, რა ვუყოთ, რომ მტერი ხარ...
. . . . . .
ეჰ, ლამაზო ლექსებო, ტყუილად მიწერიხართ.

## პ უ რ ი

არა მცხეთური ან თბილისური, ჩვეულებრივი პური,
არც შოთის პური, არც დედას პური, ლეგენდასავით თქმული,
არამედ სულ სხვა, გამორჩეული პური, ღმერთების პური —
რძემოწოლილი, გაფუებული, როგორც ჯიქანი ფურის.

და სიამაყით გამახსენდება (არა შურით და წყრომით) —
ერთ პურს აცხობდა მონათმფლობელთა, გლადიატორთა რომი.

## ერთი კარგი დღე

მთელი დღე რაღაც მიხაროდა...
და ბოლოს მივხვდი:
ამ დილით იყო — ბრმა ქუჩაზე
გადავიყვანე.

●

ცხოვრება ცირკია, — სიკვდილია
ზედამხედველი, —
ამბობს კამიუ.

და ისტორიაც ცირკი გახლავთ
გლადიატორთა
და ღმერთებია მაყურებლები.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

●

ო, რა სწორია სოფელი,
(არც მოველოდი სხვა სოფელს!)
ვიცინი, კი არ ვცოფდები
თუკი მოშურნე მაცოფებს.

ო, რა მრუდეა სოფელი,
(არც მოველოდი სხვა სოფელს!)
ბიჭებო, მართლა ვცოფდები
თუ მეგობარი მაცოფებს.

## „კაი ყმა“

იგი საკუთარ უთავობას გულით
განიცდის
და მსჯელობს კიდეც,
მსჯელობს თავის უგულობაზე.

●

იქ, ბაობაბის ფუღუროში, დილეგი გახსნეს...

## ორი პორტრეტი

ყანწებთან ომობს,
ფაშვში ისხამს,
ხახაში ისხამს,

წინაპარი კი ჭრილობაში ისხამდა
ღვინოს.

## გულუბრყვილობა

პატარაობას თითქმის ყველა შემომხაროდა:
„დედა, რამხელა გაზრდილაო“ —
და სიმაღლეში ცოტას კიდეც წამიმატებდნენ...

ეჰ, რახანია გავიზარდე და დიდიც გავხდი,
მაგრამ ფერებით აღარავინ არ მეფერება.

ო, ნუთუ, ნუთუ ნამდვილ გაზრდას, ნამდვილ სიდიდეს
ვერავინ ხედავს?

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ტკივილის დღესასწაული

თვრამეტი-ცხრამეტი წლის იქნებოდა შოთა ნიშნიანიძე რომ გავიცანი.

— როდესაც ლექსს ვწერ, საოცრად ვღელავ და შინაგან თრთოლვას განვიცდი, შენ თუ გემართება მსგავსი რამე — მკითხა ერთხელ უნივერსიტეტის ბაღში. მაშინ მეც ლექსებს ვწერდი, თუმცა არაფერს მსგავსს არ განვიცდიდი. არა, რაღაც განცდა კი მაწუხებდა, აბა სხვანაირად ლექსს რა დამაწერინებდა, მაგრამ შინაგანი თრთოლვა? ვიფიქრე, ალბათ ეგ ყველა პოეტს უნდა სჭირდესმეთქი და მოვატყუილე.

— კი, მეც ზუსტად იგივეს განვიცდი-მეთქი. — შემრცხვა და იმიტომ მოვატყუილე.

უფრო გვიან, ლექსების წერას თავი რომ დავანებე და ერთ-ერთ ჩემს პროზაულ ნაწარმოებს ჩავუჯექი, შევკრთი, ზუსტად ის დამემართა, რაზედაც შოთა მელაპარაკებოდა. დამემართა და უზომო სიხარული ვიგრძენი კიდეც. უფრო დიდი ბედნიერება ვიგრძენი, როდესაც შოთას ცოტა უფრო გვიანდელი ლექსები წავიკითხე და იგივე განცდამ შემიპყრო. და რა მადლობელი ვარ ბუნების, რომ ამ თრთოლვას დღემდე არ მივუტოვებივარ, იმდენად არ მივუტოვებივარ, რომ მისმა ერთმა ბრწყინვალე ლექსმა, ქართველი კაცის სევდიანმა და სულისშემძვრელმა სიმღერამ ხარზე მოთხრობა „კორიდაც“ კი დამაწერინა.

აი ახლა, ამ წუთში წინ მიდევს შოთას ახალი ლექსები „შეშლილი პოეტის მონოლოგი სამი ფაბულით“.

ყველა საიდუმლო მომპარა და გამომიმზეურა დალოცვილმა, და ახლა თავდაყირა სიარულს მთხოვს, — თავისი უკურნებელი სენი, — ნიჭიერება უნდა გადამდოს.

სიხარულით ვეხვევი და ვეალერსები. არ ვერიდები. დაე ასე იყოს. ღმერთმა ჰქნას და გადამედოს.

ზოგს მწერლობა დღესასწაული ჰგონია. მწერლობა დაუსრულებელი ტკივილია, დღესასწაული ისაა, ეს ტკივილი რომ გაივლის, მაგრამ რომ არ გადის?! უნდა ვიფიქროთ, რომ მწერლობა მარადიული ტკივილის დღესასწაულია, სხვანაირად აბა როგორ დაწერს ადამიანი ასეთ სტრიქონებს:

...და როცა მიწას მივებარები
ნაჯაფარი და ტანდაკორძილი,
შენზე დამრჩება ისევ თვალები
ანგელოსების ამოკოცნილი...

შოთა, შენ მართლა მისანი ხარი ხარ, წიქარა, კაცად ქცეული და ლექსად დაღვრილი.

შენ ისეთი ადამიანი და პოეტი ხარ, კაცი თვალის დაუხამხამებლად დადგება „ბარიერთან“ შენს გვერდით, შენი გულისთვის, უფრო სწორად შენთვის.

ასეთი ხალხის რიგში მიგულე და ბედნიერი ვიქნები. ის სატკივარი, რომელიც შენ გაწუხებს აგერ უკვე ორმოცდაათი წელია, კიდევ ას წელიწადს ითმინე, ჩემო დიდებულო ძმაო, დანარჩენს შთამომავლობა მიხედავს.

ნოდარ დუმბაძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჩვეულებრივ, იუბილარს სადღეგრძელოს ეტყვიან ხოლმე. დღეს იუბილარი ხარ და სადღეგრძელოს მაგივრად, ტრადიციიდან გადახვევით, უბრალო წერილით მინდა მოგეალერსო.

განსჯისა და შეფასების ასაკს რომ მივაღწიე, იქიდან დღემდე ვეძიებ ქართველის ხასიათს, რათა ჩემთვის მაინც გამერკვია ქართველი კაცის ბუნების მთავარი ნიშნები.

ნურავინ ჩამომართმევს იდეალიზმში, რადგან თვითაც ვერკვევი ამაეზში: მიუხედავად ჟამთა ცვლისა და კაცთა ბუნების ცვალებადობისა, არის ერთი-ორი თვისება ისეთი, ერს რომ სახეს აძლევს და სხვათა, თანასწორთა, შორის გამოარჩევს.

ჰაგიოგრაფიის ძეგლთა, ძველ საისტორიო თხზულებათა შორის მრავალში მოცემულია კაცთა ხასიათები. რეალიზმის ხანა რომ დადგა და ახალმა ქართულმა მწერლობამ იმძლავრა, მანაც მოგვცა ხასიათები ქართველთა. ცხოვრებაზე დაკვირვებაც გვაძლევს პიროვნული დასკვნის საშუალებას.

და ამათთა ყოველთა გათვალისწინებით, ახლა იმ დასკვნაზე ვარ, რომ ქართველთა ხასიათს განაპირობებს თვისება სამი: ვაჟკაცობა, სულგრძელობა და ჭირთათმენა.

რაგინდ ბევრი შემედაოს: სხვათაცა მრავალს აქვს ეგ თვისებებიო, ყველა ეგ ერთი მთავარი თვისების შემადგენელი ნაწილებიაო, სხვებსაც ხომ უთქვამთო, მაინც ვიტყვი ამას: ვაჟკაცობა, სულგრძელობა, ჭირთათმენა.

განა მცირედნი ყოფილან და' არიან ქართველებში ჯაბანნიც, გულნამცეცანიც, მოუთმენელნიც. განა ცოტანი იქნებიან ასეთნი მომავალშიც. მაგრამ მაინც ვიტყვი: ვაჟკაცობა, სულგრძელობა, ჭირთათმენა.

როგორც ჩახედული იმ საქმეში, რასაც ვადგივარ, მეც ვეძებ ხოლმე მწერალთა შემოქმედებაში სამყაროს ასახვის თავისებურებას, ვარჩევ იდეურმხატვრულ დონეს და სხვა ასეთებს. მაგრამ ახლა მეტად დავინტერესდი პიროვნებით, ე. ი. არა იმდენად პიროვნების მიერ ასახული მხატვრული სამყაროთი, რამდენადაც სამყაროს ამსახველი პიროვნებით. მავანნი იტყვიან, ძველი ზღაპარია, მრავალ შეცდომათა სათავეო და სხვა. თქვან. აქ მე თვით ვდებ საზღვარს მართალსა და მცდარს შორის.

ამიტომ მეტად მაინტერესებს პიროვნება შენი.

გარემოებათა გამო მქონდა საშუალება ვყოფილიყავ შენი ამხანაგი ამ 30 წლის მანძილზე, მენახე სხვადასხვა ასაკისა, სხვადასხვა ამბავში, სასიხარულოსა თუ საწყენში, იდუმალ მერკვია შენი ბუნების თვისებები.

და გეტყვი: ხარ ვაჟკაცი, ხარ სულგრძელი, ხარ ჭირთამთმენი. ხარ ქართველი.

ხარ დღევანდელი ქართველი და დღეის ბეჭედით აღბეჭდილია შენი ხასიათი და პოეზია შენი.

შენი პოეზია, ნედლი, ვითარცა გაზაფხულის კვირტი, ქედუდრეკი, ვითარცა დახარებული მოზვერი.

მიხარია, რომ ქვეყნად არსებობ და ქართულ ბგერებს ესიმღერები. მკაცრიც ხარ და გულჩვილიც. მადლიანი ბიჭი ხარ და ავკარგიანი.

იყავი, იარე, დატკბი და დაგვატკბე, სანამ ხარ — ვაჟკაცობით, სულგრძე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლობით, ჭირთათმენით. ქართული სიტყვის უკვდავებით, ლექსის მადლით, რადგან —

> ისევ ფეთქავს, ისევ სცემს, ლეგენდებად თქმული,
> პატარა საქართველოს რაინდული გული...

**თენგიზ ბუაჩიძე**

## როგორც ცერზე მიმინო...

ძვირფასო შოთა!

შენ ხომ არ იცი, მერამდენე ვარიანტია ჩემი ეს მილოცვა, აგერ, ერთი კვირა რომ ვაწვალებ.

ძნელია საყვარელ პოეტს და უერთგულეს მეგობარს რამდენიმე აბზაცით გითხრა ის, რასაც შენზე ვფიქრობ.

როგორ გამოვხატო ორიოდე სტრიქონში ჩემი სიყვარული და აღტაცება შენი პოეზიისადმი, შენი ერისკაცობისადმი, შენი მეგობრობისადმი?

„გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმისო", — ბრწყინვალედ უთქვამს ბრძენ პოეტს, მაგრამ მე მაინც მიჭირს ფორმულებში მოვაქციო სიყვარული და ერთგულება. ისინი მათემატიკური ცნებები როდი არიან, ფორმულის მკაცრ ჩარჩოებში ჩასტიო. მათი შესატყვისი ცნებები ბუნებით არიან უნაპირონი და უსაზღვრონი.

თუმცა პოეზიასაც აქვს თავისი ფორმულები. იქნებ შენივე სიტყვები მოვიშველიო?

ძვირფასო შოთა, მართლაც რომ ისე მოჩანხარ ქართულ პოეზიაში, „როგორც ცერზე მიმინო, როგორც მტკვარზე მეტეხი".

ორმოცდაათმა წელმა არ შეგაშინოს, კიდევ ორმოცდაათი წელიწადი რომ გავა, მაშინაც კი არ ეთქვას ქართველ მკითხველს შენთვის:

> ნუთუ ბაბუამ ჩიბუხიდან სულ გადმოფერთხა,
> თუთუნის კვამლში რა ხილვებიც ცხოვრობდა ერთ ხანს?

**გურამ ფანჯიკიძე**

## ფრთაშესხმული ლექსი

საქართველოს ზნეობათა კვალობაზე იწერება შოთა ნიშნიანიძის ყუათიანი ლექსი.

ახლა იმ ნაკვალევს პოეტური ზნეობა და უღალატო მუზა ჰკვეთს და აღრმავებს.

ამ კვალზეა ჩვენი კაცი დამაშვრალი — გამგებელი სოფლისა — აქილევსის ფარითა და ქუსლით.

ამ კვალზეა ქედმოუდრეკელი მშობლიური ხარი: ჭირნანახი ნიშა, უტყვი, მეტყველი, გამრჯე და მეომარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმ კვალზე და იმ გზაზე იმ „ხარივით“ მიაბიჯებს ღონიერი პოეტი, მოაქვს ხვავრიელი სიტყვა, ფრთაგაშლილი ხორკლიანი ლექსი.

ნიშნიანიძის ლექსს ერთი ძალხმიერი პოეტის საყოფი გზა გაუვლია, გაულევია, თავად მოლექსეს წინ ნახევარი გზა გასავლელი აქვს.

რამეთუ სწამს, რამეთუ უყვარს, რამეთუ სძულს — რა ლარი და რა ხაზია — იმ ნახევარსაც გაივლის.

ვალერიან კანდელაკი

## ქართული ლექსის მეზვრე

„კაცი არ დაბადებულა ჯერ შენი შემშინებელი!“ — აქვს ასეთი სტრიქონი ერთ-ერთ ლექსში შოთა ნიშნიანიძეს. იგი კახელი მევენახისადმი არის მიძღვნილი და სავსეა ხალასი რწმენითა და სიყვარულით. დაახლოებით ასევე შეიძლება ითქვას შოთა ნიშნიანიძის მიმართ, რადგან ისიც ჭეშმარიტად ქართული ლექსის უშიშარი მევენახე, ქართული ლექსის უშიშარი მეციხოვნეა.

სიტყვა „უშიშარი“ შემთხვევით არ მითქვამს აქ ხაზგასმით. ცნობილია, მუხას მეხი ემტერება, ვენახს — სეტყვა და გვალვა, სამივე ერთად კი — მევენახეს, თუ მხედველობაში არ მივიღებთ გადამთიელთა ურდოებს, რომელთაც საუკუნეების მანძილზე უმკლავდებოდა იგი. ამგვარი გამკლავება სჭირდებოდა და სჭირდება ქართული პოეზიის მსხმოიარე ვენახის ყველა მეზვრესაც. ერთი იმ მეზვრეთაგანი, როგორც ადრევე ვთქვით, შოთა ნიშნიანიძეც გახლავთ, რომელმაც ეს-ეს არის ორმოცდაათ წელს გადააბიჯა.

ორმოცდაათი წელი სიჭარმაგის ასაკია და ვენახსაც ხომ ჭარმაგი მეზვრე ახარებს უფრო. ახარებს, რადგან მან უკეთ იცის, ცა როგორ უნდა გაუხსნას დაბურულ ვაზს, რომ სიმწიფეში შესულ მტევნებს სული მოათქმევინოს, თვალი მოაკვრევინოს მზისათვის, მთვარისათვის, ვარსკვლავთა ხომლისათვის.

ლექსის მუზა ყოველთვის მწყალობელი როდია საერთოდ პოეტისათვის. სინამდვილე კი მოითხოვს მისგან ახალ და ახალ პოეტურ სიტყვას. უკვე მართლაც კახელი მევენახის გუმანი, ალღო და უჯიათი შრომაა საჭირო, რაც საბედნიეროდ, არც დღევანდელ ჩვენს იუბილარს აკლია. სხვანაირად ვერც წარმოვიდგენდით, მით უმეტეს, მის შემშინებლად კაცი კი არა, მაცდური მუზაც ვერ გამომდგარა დღემდე... დიახ, ჭეშმარიტ მევენახესავით მუდამ შრომისმოყვარე, წინდახედული, რწენადაუკარგველი და უშიშარი ვაჟკაცია პოეტი შოთა ნიშნიანიძე...

შემოქმედებით ხვავსა და ბარაქას ვუსურვებთ მომავალშიაც ქართული ლექსის ამ შესანიშნავ მეზვრეს!..

შალვა ამისულაშვილი

## გალობის მადლი

დღესდღეობით, არავისთან ისე შინაურულად არ გრძნობენ თავს ქართული ზღაპრის, უძველესი ქართული მითოსის პერსონაჟები, როგორც შოთა ნიშნიანიძის პოეზიაში. მის შემოქმედებას თავიდან ბოლომდე გასდევს ჩვენი ხალხის ცნობიერებაში ღრმად გამჯდარი უბერებელი სიმბოლოები —

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ამირანის სწორუპოვარი ეპოსის მზეჭაბუკები იქნება თუ ერისთვის თავდადებული ისტორიული პიროვნებანი.

შთაბეჭდილება რჩება, ბევრი მისი საუკეთესო ლექსი იმისთვის დაიწერა, რომ ბავშვობისდროინდელი განუმეორებელი სურათები გაცოცხლებულიყო. ბედნიერებაა, როცა პოეტი პირველყოფილი აღქმის უნარს ინარჩუნებს, როცა მისი თვალით დანახულ სამყაროს სინედლე და ფერადოვნება არ აკლდება.

წელიწადის დროთაგან ორი გამორჩეულად უყვარს შოთა ნიშნიანიძეს — გაზაფხული და შემოდგომა, ასაფეთქებლად აღერილი კვირტი და ოქროს წვენით სავსე ნაყოფი. ბუნების ეს ორი სასწაული მთელი მომხიბლაობით წარმოგვიდგება წარმართული ქინით ატეხილ სტრიქონებში. აქ მუდამ შერწყმული და შეთავსებულია ხატი და ბგერა, აზრი და რიტმი... ყოველ საგანსა თუ მოძრაობას თავისი ადგილი აქვს მიჩნეული.

კალმის ორიოდე მოსმა და ყოვლისშემძლე გაზაფხულის გამოღვიძების მოწმენი ვხდებით.. ულრანებში დაბუდებული ზღაპრული ქმნილებები მოუსვენრად დახტიან. გათენებამდე სინჯავენ „ტყის მხიარულ საკრავებს“... სისხლს უფორიაქებენ, ძილს უფრთხობენ ძეხორციელს. მდინარის პირას. ლოდზე ჩამომჯდარ ალის კისკისს თხისჩლიქებიანი, გაბალნული სატირის ბურტყუნი ენაცვლება... ყველაფერი ერთ მძლავრ სიმღერად, „გაზაფხულის მწვანე ჰიმნად“ იბადება და თითქმის აღარ გიკვირს ამ ჯადოსნური სანახაობის მაცქერალის გულიდან ამომხდარი გაოცება:

ეს ფოთლები, ბალახები, ეს ჩიტები, მწერები
მოხტუნავე ნოტებია თუ მფრინავი ბგერები.

არანაკლებ, შეიძლება ითქვას უფრო მეტადაც იზიდავს შოთა ნიშნიანიძეს ჩვენებური შემოდგომის სიმსუყე, რიონის ჭალებში მოშლიგინე თავაშვებული ბახუსის ჭირვეულობა, ხანჯლებივით გაშიშვლებული სიმინდის ტაროებითა და ქარვისფერი აკიდოებით დახუნძლული აივნები, ჩვენი გლეხკაცის მარჯვენით დახვავებული დოვლათი. აქ ფერები ღადღადაა, დამაბრმავებელი, თვალს რომ ვერ გაუსწორებ, ისეთი. ერთი სტროფის მოტანაც კმარა, რომ მილეთის ხალხის გუგუნი მოგვწვდეს, ქართული ბაზრის თავბრუდამხვევი სურნელი ვიგრძნოთ...

იქნებ მზე ჩამოვარდა ბაბილონის გოდლიდან,
ჩამოიმსხვრა დახლებზე და ღვინოდ გადმოდინდა?
იქნებ დევმა საზამთრო დააგორა ზღაპრიდან
და კლდის ძირას მიაფშვნა მკვდრის ელვარე ნაპირთან?

თავიდანვე ზუსტად არის მოძებნილი ხედვის წერტილი, თითქოს ვეება გამადიდებელი შუშით დავყურებთ აფუთფუთებულ სკას. ყველაფერი ზღაპრიდან მოდის და ზღაპარსვე უბრუნდება, მზის ბადაგით დატენილი, ამაღლებული და ძლიერი. ერთმანეთს ენაცვლება ფანტასტიკური ხილვები, მაგრამ წამითაც არ იჩრდილება დღევანდელობის სუნთქვა, მაჯისცემა.

ერთგან შოთა ნიშნიანიძე მადლობას უხდის იმ უცნაურ, ზღაპრულ არსებებს, რომლებითაც ასე ჭარბადაა დასახლებული მისი ლექსები. გულწრფელია და სამართლიანი ეს მადლობა. შთაგონების წმინდა წყაროს სხვანაირად ვერც მიმართავ:

გმადლობთ, დევებო, ტყისკაცებო, ქონდრისკაცებო,
ჭინკებო, ქოსატყუილებო, სადაც არსებობთ!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გმადლობთ იმ ტკბილი შიშისა და სილამაზისთვის,
რასაც ვერა და ველარ განვიცდი.

ეს მხოლოდ წამიერი დაეჭვებაა. ერთი ბიძგი, ბალახის ერთი გაფაჩუნება საკმარისია, რომ პოეტის დაუმცხრალ წარმოსახვაში მისი საყვარელი პერსონაჟების მთელი ლაშქარი ამოძრავდეს, აკი მათვე მიმართავს ამავე ლექსის ბოლოს:

ბავშვობა უკვე გასულია,
რად არ შემეშვით
და ზღაპრებიდან ცხოვრებაში რად გადმოხვედით.

შოთა ნიშნიანიძე გარეგნულად, შესახედაობით თითქოს არ არის გრძნობებს აყოლილი, გულჩვილი პიროვნება. იგი არც მინორული განწყობილების პოეტია, მაგრამ მის წიგნში მეგულება რამდენიმე მშვენიერი, ნათელი სევდით გასხივოსნებული ლექსი, უდროოდ დაღუპულ მეგობართა ხსოვნას რომ უძღვნა ამ ლექსებში ყველაზე მეტად მომწონს ალსარებამდე მისული სიწრფელე, მოუნელებელი ტკივილი, ურომლისოდაც ნამდვილი პოეტი არ არსებობს. ჩრდილების პირქუშ სამეფოში გადასულ ერთ მეგობარს, რომელსაც, ეტყობა, მიზეზთა გამო, სიცოცხლეში იმდენი სითბო ვერ არგუნა, იგი სიზმრების, უკიდეგანო ტალანებიდან გამოიხმობს და ვედრებით ეუბნება:

რად მესიზმრები მწარე ღიმილით,
თვალებს რად წკურავ მწარე ქირქილით,
რას მემართლები, ბიჭო.

სანამ მიყვარხარ და მეყვარები,
ღრიჭოდ დამრჩება სიზმრის კარები,
ხსოვნის კარებიც ღრიჭოდ.

. . . . . . .

ნირი სიკვდილშიც არ შეგიცვლია,
მწარე არა თქვა არ შეგიძლია,
რა გეშველება, ბიჭო!

რაკი სული ხარ და ღმერთს უცქერი, —
შენ უნდა იყო ჩემზე სულგრძელი,
ჩემზე მაღალიც, ბიჭო!

. . . . . . .

რა გაქვს სადაო და საქირქილო,
რით განუგეშო, ჩემო ტკივილო,
ჩემო ამაყო, ბიჭო!

შოთა ნიშნიანიძის ლექსებში ხშირად გვხვდება ერთი ძირიდან დატრიალებული სიტყვები — „გალობა“, „საგალობელი“, „მგალობელი“... ბუნებას მართლაც უხვად მიუნიჭებია მისთვის „გალობის მადლი“. ლაღად ამღერებულ სტრიქონებს ხან „იმერული მგზავრულის“ სიმკვირცხლე დაჰკრავს, ხან კოლხური „ჰარირას“ თავბრუდამხვევი ტემპი, ხანაც გურული „კრიმანჭულის“ განმაცვიფრებელი პოლიფონიურობა, როცა ყველაფერი ერთ გამჭოლ ჰანგს, მთავარ მოტივს ემორჩილება. ვაზივითაა ერთმანეთში ჩახლართული კახური „მრავალჟამიერი“, სვანური „ლილე“ თუ აფხაზური „ვარადა“. ამ დროს ოსტატობის, პოეტური ტექნიკის კვალი თითქმის იკარგება და მე ეს მგონია ყველაზე ჭეშმარიტი ოსტატობა. მას ჰქონდა უფლება, ეთქვა საკუთარ თავზე:

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შემოქმედის მხარეს ვზივარ, მე ვარ შაშვი მგალობელი,
საკალმასოდ, სამუშაკოდ, სააშიკოდ გამოველი.
სხივად მცვივა ნისკარტიდან ხმები საგანთიადონი,
გამაჯიბრეთ ცხრა ბულბული, ცხრა შაშვი და იადონი.

ვუსურვოთ პოეტს მუდამ ერთგული დარჩენილიყოს თავისი ნიჭისა და ტემპერამენტისა, არასოდეს დაცხრომოდეს გალობის ღვთაებრივი ჟინი და კვლავაც ბევრჯერ გავეხარებინოთ, კვლავაც მრავალი ეთქვას ჩვენი დიდი ეპოქის შესაფერი საგალობელი.

ემზარ კვიტაიშვილი

## პოეტი მონუმენტალისტი

პოეტური პარნასის საუკეთესო სამფლობელოები, ჩვეულებრივ, უცაბედი გაელვების გზითაა დაპყრობილი.

შოთა ნიშნიანიძე აქ გამონაკლისია...

უდავოა: მისი პოეტური ხელწერის განმასხვავებელ ნიშნად თავიდანვე იყო აღიარებული მხატვრული მოწესრიგებულობა და შინაგანი ენერგია. მაგრამ ფაქტია: რასაც მან უკანასკნელ წლებში მიაღწია, უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე მისივე ადრეული წარმატებანი.

მე ბევრი მიფიქრია იმ ფსიქოლოგიური ხასიათის მიზეზებსა და საიდუმლოებაზე, რომელიც მუდამ ზურგის ქარივით ქროდა შოთა ნიშნიანიძის ლექსის იალქნებისაკენ. და მჯერა: ამ ძალის წარმომშობი და წარმმართველი საწყისი დღესასწაულობის განცდაშია. ეს გახლავთ დღესასწაული, როგორც დროის განცდისა და განწყობის ფორმა, როგორც სოციალური ყოფის ელემენტი, გაქღენთილი უძველესი და თანამედროვე მითოლოგიის სიმბოლოებით.

შოთა ნიშნიანიძისათვის თავად ლექსია დღესასწაულის ნაწილი: ლექსი — საზეიმო და ამაღლებული, მკაცრი და მომტევებელი; მაშინაც, როცა ის აღიქმება როგორც გამარჯვების დითირამბი და მაშინაც, როცა ისაა სიმშვიდისა და განსჯის ნაყოფი; მაშინაც, როცა ისაა სასოწარკვეთილებასთან ნაზიარები და მაშინაც, როცა ლაღობისა და სიხარულის ანასხლეტია...

ამ თვისებამ შოთა ნიშნიანიძე ლიტერატურული ცხოვრების იმ ეპიცენტრში მოახვედრა, რომელიც მარადი დუღილისა და საბედისწერო გადანაცვლებების მოქადულია. როგორც ლირიკოსმა, აქ მან ნეოკლასიცისტური მანერის ფორმებიც მოსინჯა და კოლექტივისტური აღსარებების სტილისტიკაც; მაგრამ შოთა ნიშნიანიძემ კარგად (და არავისზე ნაკლებად) იცის, რომ შემოქმედებაში მისი ყველაზე გონიერი მრჩეველი — მარტოობაა.

მე მეჩვენება, რომ შოთა ნიშნიანიძემ გამოიმუშავა პოეტურ ნოვაციებთან დამოკიდებულების საკუთარი მოდუსი. მოდერნად მას მიაჩნია არა ის, რაც შეიძლება მექანიკურად ისესხო სხვისგან, არამედ ის, რასაც თვითეულმა და ნიჭის წყალობით — შინაგანად უნდა მიაღწიოს სიტყვასთან განმარტოებით ჭიდილის ჟამს.

ცალკეული თემების დამუშავების სტილისტიკაში შოთა ნიშნიანიძეს ძა-

ლიან ბევრი რამა აქვს საერთო მისივე თაობის ქართველ მოქანდაკე და მხატ-
ვარ მონუმენტალისტებთან.

დაე, დიდხანს არ განელებოდეს მას რწმენა და მოლოდინი დღესასწაუ-
ლისა.

**გიორგი გაჩეჩილაძე**

## ქართული ლექსის ხარ-ლაღი

„ხარს ვგავარ ნაიალაღარს...“

ყველა პოეტი, დიდი იქნება ის თუ პატარა, ჩვენს ცნობიერებაში იწვევს რაღაცნაირ ხატს, მარტოოდენ იმისათვის ნიშნეულსა და უცილობელს. თავისი საკუთარი ხატი ახლავს ყოველ მესიტყვეს. მე რომ მხატვარი ვიყო, შოთა ნიშნიანიძის პორტრეტს ასე გამოვკვეთავდი: დავხატავდი ხარ-ლაღს და ერთი საქვეყნოდ ცნობილი მხატვრისა არ იყოს, უცნაურად მოვიქცეოდი და იმ ხარის პორტრეტს სახელად შოთა ნიშნიანიძეს დავარქმევდი.

ხარი — გამწევი და ხარი — მარჩენალი!

ჯერ კიდევ ქრისტეს დაბადებამდე იყო იგი ქართველი კაცის სალოცავი და ღვთაება.

ცნობილია, ხარს მაგარი ქედი აქვს და ამიტომაც უწევს ხშირად ჭაპანის ზიდვა. მაგრამ მახვილი თვალი იმასაც კი შეამჩნევს, რა ლაღად, რა დიდებულად მიაქვს მას თავისი კუთვნილი უღელი. ის თითქოს მონაა, მაგრამ თავისუფალია ამ მონობაშიც! რადგანაც ის შრომობს, აბრუნებს ბელტს, და ამ შრომაში, როგორც პოეტი თავად მიგვანიშნებს („პურის მკა ალგეთზე“) თავად — ღმერთია ჩართული.

ხარს გამწევი ძალა აქვს და გამწევი ძალისაა შოთა ნიშნიანიძის სტრიქონიც. სტრიქონი მისი გავს ხნულს, გუთნით გავლებულს. — მომიტევოს პოეტმა ასეთი პირდაპირი და უბრალო შედარება, რადგან იგი თავად არის შედარებისა და მეტაფორის ოსტატი — ხოლო სტრიქონის დღეგრძელობა იმდენად არის დამოკიდებული პოეტური სიტყვის დონეზე, რამდენადაც ხარის ქედზეა დამოკიდებული ხნულის სიღრმე. რაც უფრო ღრმადაა ხნული გავლებული, მარცვალი რომ აქვს მიბარებული — სიტყვა და მარცვალი თავისთავად ჰგვანან ერთმანეთს — მით უფრო ხვავრიელ მოსავალს მოელის კაცი.

ბებერი ხარისა რქანიც ხნავენო — ასე უთქვამს ქართველ კაცს.

იქამდე კიდევ ნახევარი საუკუნეა!

**მურმან ჯგუბურია**

## სიცოცხლისა და სიკეთის პოეზია

პოეტი მჟღავნდება ენასთან მიმართებით, რომელიც ავლენს მასში არაცნობიერად დალექილ წინაპართა გამოცდილებას. ამდენად არის სასიცოცხლო თვისება შოთა ნიშნიანიძისათვის სახეობრივი არტისტიზმი, სიტყვაში გამოხატული ახალი წესრიგი, მასში ჩაჭდეული ფერადებისამეტყველება, ხო-

ლო რითმა და მეტაფორა — ის საშუალებანი, რომლებიც სტრიქონებად გამოიტანენ სულის შრეებში დამძირულ ცხოვრების მიკრომოდელს, წინაპართა გენების მიერ ნაანდერძევს. პოეზია ყველაზე უფრო ნაციონალური ფენომენია.

ენა, რომელიც მილიონების გულსა და ფიქრში გამოტარდა, პოეტისაგან მოითხოვს ითქვას არსებულზე მეტი, რადგან მასში უხილავ სიმად თრთის მრავალტანჯული ისტორია ქართლოსიანთა, ყოფიერების იდუმალი ნერვი. ამიტომ არის ესოდენ გზნებით აალებული შოთა ნიშნიანიძის სტრიქონები. ისინი თითქოს კალაპოტში ვერ ეტევიან, აბორგებულ მდინარესავით ანგრევენ ჯებირებს, განგებისაგან დაწესებულს. სიცოცხლის დაუმცხრალი ჟინი, მღელვარე ილუზიის ქარი მოქრის მისი სიტყვებიდან, რომლებიც გადაექსოვა არა მხოლოდ ხილულ საგნებს, არამედ იმ ლანდებსაც, რომლებიც მოგონების მკრთალ დაისში ტორტმანებენ. შ. ნიშნიანიძე არაა კონკრეტული დეტალების, ყოფითი რეალიების პოეტი. ის ესწრაფვის სულისა და განწყობილების ზოგად სახეს, მძლავრ ემოციებს, რათა წარმავალი წუთები შეივსოს წარმართული ქამიდან თუ „ქართლის ცხოვრების“ ფურცლებიდან გადმოსული აჩრდილებით. ამიტომ წარმოიდგენს ყოველივე გარდასულს, ჰეროიკულს, ერის მეხსიერებაში გაელვებულსა და შემონახულს, ჩვენი არსებობის მონაწილედ. ემოცია მისი სამყაროსადმი მიმართების ფორმაა.

ეს გარეგნულად მშვიდი და წყნარი ადამიანი გვავსებს ღელვისა და შფოთვის სულისკვეთებით, გვაქცევს თავისი დრამატული შინაგანი ცხოვრების მოზიარედ. პოეზია ხომ პიროვნული ფსიქიკის თხზვაა სახეებად, პერსონაჟებად, იდეებად. მისი მუზა სიმშვიდისაკენ არ მოგვიწოდებს, არც შეგონებებს გვასმენინებს და არც გამრთობად გამოგვადგება. შ. ნიშნიანიძის ლექსი ჩვენ სულს სიცოცხლის ექსტაზით მუხტავს, რომელიც გზას გვიკვლევს კეთილი და ჟღკაცური გრძნობებისაკენ, მოქმედებისა და ბრძოლისაკენ. ის კიდევ ერთხელ შეგვახსენებს, რომ მიწა, რომელზეც ჩვენ ვდგავართ, ბედისწერის ზარის შემეცნებაში, როგორც სასიცოცხლო ძალთა მომნიჭებელი.

კვლავაც ასეთი ჭაბუკური გახელებით ჟღერდეს ლოცვისა და ყიჟინის ხმებით დატვირთული თქვენი სიტყვა, ბატონო შოთა!

სოსო სიგუა

ეროვნული
ბიბლიოთეკა



*თედო ბექიშვილი*

# სიყვარულით მოქსოვილი გაზაფხული

რეზო ინანიშვილის ნოველების ახალი წიგნი „ჩიტების გამომზამთრებელი“ სწორედ ზამთარში, დეკემბრის სუსხიან დღეებში გამოვიდა, როცა მოუსვენარი ქარით გათოშილია თბილისის ქუჩები, როცა მთებზე ჩამოწოლილი ნისლისა და ჯანღის მიღმა ხვავრიელად თოვს, და როცა გამოდარებულზე, ამ თოვლთან შუქი სინათლესავით ეცემა ქალაქს.

ლურჯ ფონში ჩახატულ წითელპერანგა ბიჭს ცაში წყვილი ჩიტი აუფრენია, თავაღერილი გასცქერის ფრინველებს, ხელებიც იმგვარად გაუშლია, თითქოს ღმერთს ევედრებაო ამ ჩიტების გამო. ჯემალ ლოლუას მარტივი, მაგრამ ნათელი სიმბოლიკით შესრულებული ყდის მხატვრობა უკვე ჰქმნის გარკვეულ განწყობილებას, თუმცა მთავარი და ძირითადი მერეა, მერე, როცა წიგნის კითხვას დაიწყებთ, როცა ბოლო ფურცელსაც სულმოუთქმელად ჩაათავებთ და ფიქრით ისევ წაკითხულს მიუბრუნდებით. უჩვეულო, ორიგინალურია წიგნის პირველივე სტრიქონები, — ავტორისეული წინასიტყვა — სადაც იგი დამაჯერებლად ამტკიცებს, თუ რატომ არ წერს კრებულისათვის ჩვეულებრივ ტრაფარეტულ ანოტაციას. ამ წინასიტყვაში გამოთქმული მოსაზრება ძალზე საგულისხმო და ყურადსაღებია; განსაკუთრებით იგი ჩვენს სალიტერატურო კრიტიკას გამოადგება მაგალითად, იმგვარ კრიტიკას, როცა ზერელე, ზედაპირული აღწერის გარდა ხელთ არაფერი გვრჩება ხოლმე და ნაცვლად ნაწარმოების არსში წვდომისა — მწერალზე საკუთარი ლიტერატურული შეხედულებების თავს მოხვევას ვცდილობთ. რევაზ ინანიშვილი უტყუარად ასაბუთებს, რომ მხატვრული ნაწარმოების ანალიზი უძნელესი საქმეა, რომ იგი დიდი დაკვირვებისა და განზოგადების უნარს მოითხოვს. ლევ ტოლსტოის მოსაზრებაა: მხატვრული ნაწარმოების არსის გადმოცემა ორიოდე სიტყვით რომ იყოს შესაძლებელი, მაშინ ამ ნაწარმოების დაწერა აღარ დაგვჭირდებოდაო. ტოლსტოი ფართო ტილოს გულისხმობდა, მაგრამ ეს დებულება მთლიანად ეხება რევაზ ინანიშვილის მცირე ფორმის ნოველებსა და მინიატურებსაც, დიდი მწერლის გამონათქვამი აქაც ურყევ ჭეშმარიტებად რჩება...

ამ წიგნში არაფერია შემთხვევითი, და მით უმეტეს, სათაური. ესაა ლაიტმოტივი წიგნისა — უმწეოთა, უნუგეშოთა ნუგეში, მეოცნებეთა, შინაგანად სპეტაკ ადამიანთა თანადგომა, იმ ხალხის მშობლიური სიყვარული, „ხელისგულებით ნალეს ქოხებს“ რომ გვანან. ყოველი ნოველის, ყოველი მინიატურის მიღმა ჩვენ ვხედავთ მწერალს, გვესმის მისი გულიდან ამომავალი ხმა, რომელიც ზოგჯერ ყელში ბურთივით ეჩხირება და იმ ზღურბლამდე მიდის, როცა გგონია, საცაა ქვითინი უნდა წასკდეს, მაგრამ ცრემლების დასამალავად ხან ცხვირსახოცს იშველიებს ოსტატურად, ხან კი გვერდზე გაიხედავს, თითქოს იქ, რაღაც უფრო საინტერესო დაინახაო. დასანახს კი მოყურადე თვალი ყველგან იპოვნის, რევაზ ინანიშვილი კი ისეთ უბრალო, ერთი შეხედვით ბანალურ ამბავში ხედავს საინტერესოსა და ამაღელვებელს, ჩვეულებრივ გვერდს რომ ჩავუვლით ხოლმე და

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეიძლება საერთოდ ვერ შევამჩნიოთ. რამდენი ასეთი უხილავი ამოზრდილა რევაზ ინანიშვილის ნოველებსა და მინიატურებში საჩინოდ და დასამახსოვრებლად. ერთი ნოველა უნდა გადმოვწერო ამის მაგალითად: „ზამთრისპირის ბურუსიან დღეს ოთხი თეთრი ვეება ფრინველი უხმაუროდ მოფრინდა და ბაღის ბოლოში, ფოთოლგაცვენილ კაკალზე დაჯდა. ისხდნენ, როგორც ბავშვის ნახატში, ხესთან შედარებით უზომოდ დიდები, ნაცრისფერში შეუღლენთილი თეთრი აკვარელივით, დაღლილები თუ საგონებელში ჩაცვივნულნი. შეშინებულნი უყურებდნენ ღობის ძირში შემალულ ქათმებს.

გამოვარდა კედლის იქიდან ჩემი მასწავლებელი, აკანკალებული ხელით ჩააწყო გადახსნილ თოფში ვაზნები, ჩაიპარა ორღობით და უველაფერი დააზანზარებინა წყვილ გასროლას, მაგრამ ფრინველთაგან არც ერთი არ ჩამოვარდნილა, თითქოს არც შეშფოთებულან, გაშალეს ფართო, გრძელი, ძლიერი ფრთები და თანდათანობით შეერივნენ ბურუსს — რა შეუცნობლობიდანაც მოვიდნენ, ისევ იმ შეუცნობლობაშივე შეიკარგნენ.

მასწავლებელი — ჯანმაგარი, მჭევრმეტყველებით განთქმული კაცი, მრგვალ საფანტს აბრალებდა, მრგვალმა საფანტმა ვერ გაუარა თივთიკსო, მე კი, ათი წლისას, მცენარეებიდან და ცხოველებიდან ჯერ კიდევ სულგამოუმიჯნავ ბავშვს, ძალიან მიკვირდა, როგორ ამბობდა ამას: როგორ შეიძლება მოკლა ქვეყნიდან ქვეყნად მოხეტიალე ზამთრისპირის ულამაზესი სევდა!“

მთელს ნოველას პოეზიის უხილავი ცეცხლი ათბობს და ანათებს, ამ სტრიქონების დამწერი დღესაც „მცენარეებიდან და ცხოველებიდან ჯერ კიდევ სულგამოუმიჯნავი ბავშვია“ და მისი წმინდა, აუმღვრეველი თვალებით შეჰფოფინებს ჩვენს ტყესა და მინდორს, ყვავილსა და ბალახს, ცასა და დედამიწას. ამ წიაღშია მწერლის სული დავანებული, აკი თვითონვე წერს ერთგან აღსარებასავით: „ჩვენ კი დღეისთვისაც იმ ბადრი მთვარის მფარველობა გვყოფნის, როდესაც გვიჭირს, ამობრდღვიალდება ცაზე, ჩვენ დაკარგული ობლებივით შევდივართ მის ქვეშ, ვიჭუჭკებით და მისი სხივებითა და ერთმანეთის სუნთქვით ვითბობთ ნერვიულობით დაწზრალ, აკანკალებულ ხელებს“.

უზადოა რევაზ ინანიშვილის ნოველების არქიტექტონიკა, კომპოზიციური მთლიანობა. იგი დაუფლებულია მცირე ფორმაში დიდის სათქმელის მოქცევის უძნელეს ხელოვნებას, თანაც ამას ისე აკეთებს, რომ არ იგრძნობა ფორმაზე, სიტყვაზე არავითარი ძალდატანება. ქართული ენის ბუნებაში წვდომის დღეთათ მოწადინებული ალღოს წყალობით მისი მოთხრობები სანიმუშოა. ენა სათქმელის გამოხატვის საშუალებაა და არა თვითმიზნურად მოჩუქურთმებულ-მოვარაყებული სამკაული. ეს ენა, ხალასი და გამჭვირვალე, მწერალს ყოველთვის რაღაც საგულისხმოს სათქმელად აქვს მომარჯვებული.

აი, იგი დაწერს: „ჩავიცვი ჩექმები, დავიხურე ჯარისკაცური პანამა, დავიჭირე ჯოხი და დასასვენებლად წავედი“. ეს მარტივობა, სისადავე და უბრალოება მწერლის ენისა, ჩემის აზრით, ქართული ზღაპრებიდან მოდის. იგი მომჭირნეა, არ მრავალსიტყვაობს, ლექსიკური მარაგის სიმდიდრით თავს არ გვაწონებს, თუმცა სადაც დასჭირდება ამ სიმდიდრეს ყველგან ზომიერად იყენებს. აქ ზღაპრები ვახსენე, მაგრამ უფრო სწორი იქნება თუ ვიტყვით, რომ ხალხური სასაუბრო მეტყველების ღრმა, სისხლში გამჯდარი ცოდნაა მწერლის ენის დვრიტა და საფუძველი. მისი სინტაქსი იმდენად ქართულია, რომ უცხო სიტყვების ხმარებასაც კი არ ერიდება. მწერლის ბუნებრივი ქართულის დინებაში თითო-ოროლა უცხო სიტყვაც „მოქართულებულია“ და ყურს სულაც არა გვჭრის. ბევრი მოქართულე ალბათ ვერ გაბედავდა, რომ დაეწერა სიტყვა „შკაფი“, ვერ გაბედავდა, შეეშინდებოდა ენის უცოდინარობა არ დამწამონო, პურის კარადას დაწერდა დამშვიდებული, რომ ენობრივი ლაფსუსი არ დაეშვა. რევაზ ინანიშვილი კი ამ „პურის შკაფს“. ისე თავისუფლად წერს, თუ არ დააკვირდი, ვერც შეამჩნევ.

რევაზ ინანიშვილის ნოველათა უმრავლესობა პირველი პირითაა დაწერილი, რაც განაპირობებს თხრობის ლირიკულობას, გულახდილ, აღმსარებლურ ტონს. აქ სათქმელი, პრობლემატიკა ყოველთვის ერთგვარად შენიღბულია და ნაწარმოებთა სიღრმეშია საგულვებელი. არაფერი ზედაპირზე არა დევს, თითო სიტყვით, თითო ფრაზით მიგვანიშნებს ავტორი თავის სიხარულსა თუ გულისტკივილს. ნოველაში „ორმოცდაათი წლის მამაკაცი“, მოქმედი გმირი ზის მატარებლის საერთო ვაგონში და უცქერის ახალგაზრდა ცოლ-ქმარს, ფარულად ტკბება მათი სიყვარულით, ურთიერთ დამოკიდებულებით. მერე, ღამით, მარტოდდარჩენილი ეს ორმოცდაათი წლის მამაკაცი, იგივე ავტორი — ასეთ ფრაზას წერს: „მთავარია, ადამიანებს რაც შეიძლება დიდხანს შევუნარჩუნოთ სამყაროს საოცრება — სიკეთის შუქი თვალებში“. ნოველა ამით მთავრდება, მაგრამ არ მთავრდება ჩვენი ფიქრი. მთავრდება კი არა და — აქედან იწყება, მთელს ჩვენს დროს, ჩვენს ცხოვრებას გადასწვდება, მრავალგვარი კოლიზიებითა და წინააღმდეგობებით აღსავსე დროს, დროს, რომლის უხილავ მდინარებას ათასგვარი მუჭყი და ლექი მოაქვს

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ამ უმთავრესს ემუქრება, რაც, მართლაც, ყველაზე სანუკვარი და აუცილებელია ადამიანთა მოდგმისათვის. მწერლობის მოვალეობა ხომ ადამიანის სულში სიკეთის გაღვივება და გადარჩენაა, ადამიანებში ამ თვისების შემჩნევა და წარმოჩენაა. ამ გზას მიჰყვება რევაზ ინანიშვილი, მიჰყვება ჯიუტად, თავდაჯერებით, ვისი ფარული მზერა, როგორც უხილავი ობიექტივი, ისე გვიმჟღავნებს ადამიანებში არსებული ამ სიკეთის ყოველგვარ გამოვლინებას. წერის, აზროვნების ამგვარმა მეთოდმა შეიძლება ზოგჯერ იდეალიზაციისაკენაც გადაზაროს მწერლის სიტყვა, ვისი ნოველების (განსაკუთრებით ადრინდელის) ლირიკულმა და პოეტურმა ფერადოვნებამ ზოგს ისიც კი აფიქრებინა, რომ მწერალი ზედმეტად იდეალიზირებულ სამყაროს ჰქმნიდა, სამყაროს, რომელშიც არ ჩანდა ჩვენი დროის მძაფრი კოლიზიები, არ მჟღავნდებოდა ის ტრაგიკული ურთიერთობანი, ასე უხვად რომაა ცხოვრებაში და ნიჭიერი მწერლის თვალთახედვას რომ ძნელად თუ გამოეპარება. პირადად ჩემთვის, არც ადრინდელ ნოველებში და არც ამ წიგნში, ეს მოტივები საძებნი არა ყოფილა. ჩემის აზრით, სწორედ მძაფრი, სოციალური ჟღერადობაა და ზნეობრივ პრობლემებზე ღრმა დაფიქრებაა რევაზ ინანიშვილის პროზისათვის ნიშანდობლივი, ოღონდ, ზემოთაც ვთქვი და აქაც გავიმეორებ — რევაზ ინანიშვილი ოსტატურად მალავს თავის ცრემლსა და ტკივილს, აქცენტი კი მუდამ დადებითზე, ადამიანურზე, ამაღლებულზე გადააქვს, რადგან ცხოვრების ღვრიტა, ადამიანურ ურთიერთობათა მამოძრავებელი ძალა სიკეთეშია და არა ბოროტებაში. მარტოდენ ერთი ნოველის „ხელისგულებით ნალესი ქოხების" ილუსტრაციაც კმარა ამ მოსაზრების დასამტკიცებლად. გარეგნულად ამ ნოველაშიც თითქოს არაფერი ხდება უსაშველო და ტრაგიკული. სადღაც, შორეულ ქალაქში მივლინებით ჩასული მოთხრობის გმირი წერილს სწერს მეუღლეს. სწერს, თუ მოწყენილობისაგან როგორ შევიდა რესტორანში ჭიქა ღვინის დასალევად, როგორ შემოიყვანა ორმა ახალგაზრდამ მშვენიერი გოგონა. ორასი გრამი კონიაკი შეუკვეთეს ოფიციანტს (მეტის ფული არ ჰქონდათ), აცეკვეს ლამაზი გოგო და მერე ნოველის გმირს შესთავაზეს, ერთი ბოთლი „ენისელი" დაგვიდგი და ეგ გოგო ამაღამ შენი იყოსო. ამ ამბით თავზარდაცემული კაცი იმ ბიჭებს ჩხუბს აუტეხს და მილიციაში მოხვდება. იმდენად შემაძრწუნებელია მისთვის მომხდარი ამბავი, რომ მილიციასაც ვერ გაუმხილა ჩხუბის მიზეზი, დედა შემაგინეს და იმიტომ ვიჩხუბეო. „მთავარი სხვა არის, — წერს ნოველის გმირი, — შემიპყრობს ხოლმე რაღაც უცნაური სევდა, საგნობრიობამდე გამკვრივებული სევდა. მეჩვენება რომ... ნუ შეგეშინდება, შეიძლება სულაც ნისლიანობის ბრალი იყოს, — მეჩვენება, რომ მე და ჩემისთანები, ოცდაათიანი წლების ქალაქის გარეუბანში აშენებული ქოხები ვართ, ქაფჩის უქონლობის გამო ხელისგულებით ნალესი. ამ ქოხებში ტრიალებს წყალდაპკურებული მიწის სუნი, კედლებზე ჰკიდია ჟურნალ-გაზეთებიდან ამოჭრილი მწერლებისა და კომპოზიტორების სურათები. ყველაზე თვალსაჩინო ადგილას — შავ ჩარჩოში ჩასმული პაპისა და ბებიას სურათი, პატარა სარკმელები ღიაა, გარეთა რაფაზე პურის ნამცეცები ყრია ჩიტებისათვის... და თუ ჯერჯერობით კიდევ ვარსებობთ ქვეყანაზე, მხოლოდ იმიტომ, რომ დიდ, რკინა-ბეტონის ნაგებობებს არ ვუშლით ხელს. საკმარისია, მოვიდნენ, მოგვიახლოვდნენ, მოგვაყენებენ ბულდოზერებს და ჩაგვაშვავებენ ხევებში"...

ეს პატარა, მართლაც სულისშემძვრელი და „საგნობრიობამდე" გამკვრივებული სევდით დამუხტული ნოველა დიდი სოციალური და დროისმიერი ტკივილითაა დატვირთული. ბიჭები, ვისაც შეუძლია თავიანთი გოგონა ერთ ბოთლ „ენისელზე" „გადაცვალონ", სწორედ სოციალურად, ზნეობრივად და მორალურად საშიში ხალხია, ხოლო ამ ფონზე „ხელისგულებით ნაშენი ქოხების" შიში და დრტვინვა სრულიადაც არაა საფუძველს მოკლებული. ეს შიში, შინაგანი დრტვინვა და წუხილი რევაზ ინანიშვილის არაერთი ნოველიდან გვესმის. განსაკუთრებით მკვეთრად ჟღერდა ამ საგანგაშო ზარების რეკვა გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში", ბოლო ხანს გამოქვეყნებულ მოთხრობაში „გიგლია". მიუხედავად იმისა, რომ მწერალი თითქმის კონკრეტულ სოციალურ-ფსიქოლოგიურ ტიპსა და გარემოს ხატავს, გიგლიას სახე განზოგადოებულ, მასშტაბურ ელფერს იძენს. გიგლიას ცხოვრების თვალითუხილავი ტრაგედია დღევანდელობის ფართო ზნეობრივ-მორალურ პრობლემებს მოიცავს. გიგლიას სულიერი დრტვინვის მიზეზი მხოლოდ მისი ხასიათიდან კი არ გამომდინარეობს (ცივილიზებულ სამყაროს შეუგუებელი, სხვა ყოფიდან და გარემოდან მოსული კაცის სულიერი თვითგვემა), არამედ ამ ცივილიზებული, ერთობ პრაგმატისტული ცხოვრების უშუალო ნაყოფიცაა. ადამიანმა დაკარგა ყველაზე არსებითი — სულიერი სილაღე, შინაგანი თავისუფლების, სიხარულისა და კმაყოფილების გრძნობა. აქ, ჩემის აზრით, დიდი მნიშვნელობა არა აქვს იმ ფაქტს, რომ გიგლია მთიდან ჩამოსული კაცია. ამგვარი სულიერი წყობის პიროვნება საქართველოს ნებისმიერ ქალაქსა და სოფელში შეიძლება დაიბადოს. და ამ მოთხრობის ღირსებაც სწორედ ისაა, რომ ტიპიურის, განზოგადებულის სურათს ხატავს — დიდი შინაგანი სიმართლითა და მწერლური დამაჯერებლობით. მწერლის ეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოთხრობა ერთ-ერთი გამორჩეული ნაწარმოებია და ალბათ იგი ქართული კრიტიკის ყურადღების გარეშე არ დარჩება.

რევაზ ინანიშვილის ახალ წიგნში მკვეთრად წარმოჩინდა მწერლის კიდევ ერთი ძვირფასი თვისება — იუმორის, ძალდაუტანებელი ხუმრობის ხალასი ნიჭი. ნოველაში „ცეტები“, ჩანჩქერივით მოჩქეფს ეს ლაღი, დაუოკებელი სიცილი. კინოკადრებივით ხატოვნად და სწრაფად ენაცვლება სიტუაციები ერთმანეთს. თავისი ქმარშვილის „ცეტობის“ ამბავს მოხუცი ქალი ჰყვება. იუმორი ამ სიტუაციების არაბუნებრიობიდან კი არ მომდინარეობს, როგორც ამ ჟანრის ნაწარმოებებში ჩვეულებრივ ვხვდებით ხოლმე, არამედ — პირიქით. ყველაფერი რაც აქ ხდება ნამდვილის, ცხოვრებისეულის ილუსტრაციაა. საბედნიეროდ, ცხოვრებაში ხომ სიცილი უფრო მეტია, ვიდრე ტირილი (გარეგნულად მაინც!) და თუ მწერალი ცხოვრების მეპატიანეა, არ შეიძლება ამ სიცილის ანარეკლი მის შემოქმედებაშიც არ გამოჩნდეს. ეს პატარა, მხიარული ნოველა ძალზე საგულისხმო სიტყვებით მთავრდება. მთხრობელი, მოხუცი ქალი წამით ჩუმდება, ალბათ თვალებს ფიქრიანად ძირს დახრის და ამბობს: — „მეშინიან, შვილო, ეხლა ესე ვლაპარაკობ და გულიგულში რაღაცა ძალიან მეშინიან. მეჩვენება, რომ გამუდმებით ვიღაცა გვითვალთვალებს ბოროტი თვალით, თან გვითვალთვალებს, თან პირზე ხელს იფარებს, რომ ღიმილიც კი არ დავინახოთ იმისი ჩვენა.

ღვთისმშობელო დედავ, შენ დაგვიფარე შენი კეთილი კალთითა!“ ეს ერთი პატარა აბზაცი დიდი ფსიქოლოგიური სიმართლითაა დამუხტული. უაღრესად ნაცნობი და მშობლიურია ამ მოხუცი ქალის შიში, ათას უბედურებასა და ჭირვარამს გამოვლილი ხალხის გამოცდილებაა ამ სიტყვებში, ისტორიის ავბედითი ჩრდილი წამიერად გადაივლის და უთვალავჯერ აღვლენილი ლოცვის ძველისძველი მელოდია ისევ ხმიანებს: „ღვთისმშობელო დედავ, შენ დაგვიფარე შენი კეთილი კალთით“.

და მაინც, ყველაზე მეტი, უპირველესად თვალში საცემი ღირსება ამ წიგნისა ის გახლავთ, რომ ყოველი ნოველა და მინიატურა, ყოველი გვერდი და აბზაცი განათებულია პოეზიის ნათელი შუქით. რევაზ ინანიშვილის პროზის ეს თვისება, ცხადია, ჩემი აღმოჩენილი არ გახლავთ, საყოველთაოდ ცნობილი ამბავია, მაგრამ არ შემიძლია მეც იგივე არ გავიმეორო და ისიც არ დავუმატო, რომ რევაზ ინანიშვილი თავის ბევრ ნოველაში პოეტური პროზის ფარგლებსაც კი სცილდება. პოეტურია ამ ნოველების არა მხოლოდ ენა და განწყობილებები, არამედ სული და საგანი ასახვისა. იგი, ისეთ თვალით უხილავ განწყობილებებს გადმოსცემს საჩინოდ, საგანთა, მოვლენათა ისეთ უხილავ ურთიერთკავშირებს წარმოაჩენს ნათლად, რაც მხოლოდ და მხოლოდ პოეზიის სფეროში შემოდის, ხშირად ირაციონალურობამდე მისული იდუმალებით სუნთქავენ მისი ნოველები. ამის დასტურია, თუნდაც მსუბუქი, მითიური საბურველით შემოსილი, ულამაზესი „ძილის“ სახე.

ძნელია პოეზიაზე საუბარი, მშრალი მსჯელობის მიღმა თვალსა და ხელს შუა უჩინარდება ის უმთავრესი, რითაც ეს პოეტური წიგნია დამუხტული. იგი უნდა იკითხო, იკითხო ჩუმად, დაგემოვნებით, უნდა გაჰყვე ამ ადამიანური ტკივილებითა და სიხარულით დასახლებულ მრავალფეროვან ქვეყანას და ავტორს წრფელი მადლობა უთხრა სიამოვნებისათვის — ამ წიგნის კითხვამ რომ მოგანიჭა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

*ლერი ალიმონაკი*

# მახსოვრობა

ადამიანის ცნობიერ თუ არაცნობიერ ცხოვრებას, და ამ ცხოვრების დაკავშირებას გარე თუ შიგა სამყაროსთან, მრავალი ასპექტი და მრავალი სახედველი აქვს. ეს კავშირი ყველა პიროვნებაში თავისებური სახითა და ვნებით ვლინდება. თამაზ ჭილაძის ლექსების წიგნის სათაური „მახსოვრობა“ ზუსტად გამოხატავს ერთ-ერთ ასპექტს ცხოვრების შემეცნებისა და თვითშემეცნების პროცესისას. ეს ასპექტი არის თამაზ ჭილაძის, როგორც პიროვნების, დამოკიდებულება წარსულთან და იმ გარემოსთან, რომელთანაც ორგანული თანაფარდობა აკავშირებს თუ აკავშირებდა. აკავშირებდა იმიტომ, რომ წიგნის კითხვისას ისეთი შეგრძნება გეუფლებათ, თითქოს ჭისი ავტორი რაღაც მარადიულ დაკარგულს ეძიებდეს, თითქოს იგი დაკარგვისა თუ პოვნის საბედისწერო საზღვარზე იდგეს; ისეთი განცდა გაქვთ, თითქოს ეს-ესაა იმასაც დაკარგავს, რაც ხელთ უპყრია, რაც მისია. მაგრამ ქვეცნობიერად იმასაც გრძნობთ, რომ ყველაფერი, რაც ჩვენია — ჩვენ არ გვეკუთვნის, ხოლო რაც გვეკუთვნის — წარმავალია და ცვალებადი. ამაში არის თავისებური ძალა ბედისწერისა: „რა შემიძლია, რა უნდა მოგცე? იქნებ ეს წყნარი, ლურჯი საღამო? ან იქნებ ეს ზღვა? ანდა ეს მთები? ან იქნებ ეს გზა, რომელიც სადღაც მდინარესავით მიდის და მიდის...“ კითხულობთ წიგნს და თქვენც ამ გრძნობის ჩუმი მონაწილე ხდებით; იმ გრძნობისა, რომელიც სწორხაზოვანი კი არ არის, არამედ რომლის წიაღშიც იშლება პოეტის შინაგანი ცხოვრება. თანაგრძნობით იმსჭვალებით, რადგანაც პოეტის ეს შინაგანი ცხოვრება მართალია, ღრმად განცდილია, გულწრფელია. ეს რომ ასეა, ამის ცხადი გამოვლენაა ლექსების რიტმი და ინტონაცია. ბლოკი ამბობდა, პოეტი — რიტმი და ინტონაციააო. განსაკუთრებით ინტონაციაში შეიცნობა პოეტის სიმართლე, რაც გარე სამყაროს ნივთებთან თუ მოვლენებთან დამოკიდებულებაში ვლინდება. ერთ მცირედ არაზუსტ ინტონაციას, რაც არ შეესაბამება მასში მოქცეულ სიტყვიერ აზრს, შეუძლია მთლიანად „გათქვას“ პოეტის დაფარული სახე. თამაზ ჭილაძის შინაგან სათქმელს ყოველთვის შეესაბამება მისივე ინტონაცია. ეს კი სიმართლით მსჭვალავს წიგნს და მკითხველიც ცნობისწადილით გადადის ერთი ლექსიდან მეორეზე. პოეტს გულისხმიერი დამოკიდებულება აქვს იმ სამყაროსთან, რაც მისთვის ორგანულია და მშობლიური;

პოეტის შემეცნებაში ღრმა კვალს პოულობს წარმავლობის გრძნობა, რომელთანაც მთელი არსებით არის დაკავშირებული, უპირველეს ყოვლისა კი, თავისი მახსოვრობით. იგი არ ივიწყებს არაფერს იმას, რაც არსისმიერია ადამიანში და რაც მის ზნეობრივ საფუძველს განსაზღვრავს. იგი უკავშირდება წარმავალს არა როგორც უმდგრადსა და ცვალებადს, არამედ როგორც უცვლელსა და დიალექტიკურს. მიდის კაცის ცხოვრება, ნივთიერი სინამდვილე იცვლის სახეს, მაგრამ რჩება განცდა, რაიც წარუშლელია და უცვლელ შედეგებს ატარებს პოეტის სულში. საშინელია იმის განცდა, რომ ოდესღაც „ვიღაცასთან“ და „რაღაცასთან“ გულით იყავი დაკავშირებული, ეს კავშირი სიხარულსა და ბედნიერებას განიჭებდათ, მაგრამ გავიდა დრო და დაირღვა ეს მტკიცე სულიერი ერთობა. ამის განცდა ზნეობრივი ადამიანის გულში ტკივილებს ბადებს, რადგანაც იგი ადამიანურია და განათებული ნათელი მოწიური ცხოვრებით:

წავიდნენ წლები სიჭაბუკისა,
ყველაზე კარგი წლები წავიდნენ...
გვერდზე გამდგარან, თვალს მარიდებენ
ძველი ფიქრები და ოცნებები.

როგორც გვირილას ფურცლები ქარში,
პიმოფანტულან ზღვაზე აფრები
და ცახცახებენ ზეცის სარკეში
ჩაძირულ გემთა მკრთალი ჩრდილები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წარმავლობის ასეთნაირ ასპექტში აქცევს პოეტი ყოველივე იმას, რასთანაც შინაგანი კანონებით არის დაკავშირებული. ასე განიცდის იგი იმ წარსულს, რომელიც შორეულიც არის და ახლობელიც. ასეა, ყოველივეს თავისი კანონზომიერება აქვს: რაღაც ყოველთვის ირღვევა და მიდის, რაღაც ყოველთვის ღორძინობს და მოდის. და ეს მარადიული წრებრუნვა განსაზღვრავს კაცთა მოდგმისა და არსებობის შეუცნობელ კანონებს. ამ განცდით გაასულიერა მან „დმანისის ქვა“. „ახლა კი ლურჯი ხავსი მაცვია და გამოღებულ კარივით ვდუმვარ და აღარ ვიცი, იქნებ არცა ვარ, რაჲ გამაჩუმა, ამქვეყნად თუ ვარ?“ საგნებთან ასეთი ინტიმური დამოკიდებულება, რაც ერთ დროს იქნებ თვით პოეტისათვისაც მიუწვდომელი და გაუცნობიერებელი იყო, ახლა თანდათან აღწევს ცხადიერ ხაზებს, ნელ-ნელა მოემართება ჩვენკენ და გვიხსნის თავის იდუმალ სახეს. მაგრამ ყველაფერი ისეა შესრულებული, რომ ეს ინტიმი ყველას არ ეკუთვნის, ყველას არ ძალუძს თანაუგრძნოს პოეტს. თუმცა ქვეშეცნეულად, იქნებ ფარული ეჭვითაც კი, იგი საერთო თანაგრძნობას მიელტვის. თითქოს ყოველი ლექსი ახალი ჭრილობის დაბადება იყოს, ანდა ძველი იარების პირის გახსნა, კვლავგანცდა ერთხელ განცდილი ტკივილებისა. ამიტომ გრძნობთ, რომ კი არ გაიძულებენ რაიმეს, არამედ გესაუბრებიან თანაგრძნობის განზრახვითა და მოლოდინით. და ყოველივე ეს ისევ მახსოვრობის დაუმარცხებელი ნათელით არის გარემოსილი: „მზე ჩადიოდა და მახსოვრობის ცარიელ ჭურჭელს ავსებდა მისი წითელი შუქი... საღამო ჰგავდა მოსაწყენ ამბავს, ხელმეორედ რომ გიყვება ვიღაც. თითქოს რაღაცა მინდოდა მეთქვა, მინდოდა მეთქვა და ვერ ვბედავდი. თუმცა არავინ არ იყო ირგვლივ... მზე ჩადიოდა...“ ასეთი ინტიმური ფიქრების გამხელა თავისებურ სითამამესთანაც არის დაკავშირებული; ეს უკანასკნელი კი შინაგანი რწმენისა და ღირსების შეცნობის შედეგია. ალბათ სხვანაირად წარმოუდგენელიცაა: თუკი კაცი გრძნობს, რომ შინაგანად მართალი და გულწრფელია, თუკი მისი ნაგრძნობი და ნაფიქრალი სულიერ წიაღშია დაბადებული, მეტ სითამამეს ამჟღავნებს საკუთარი პიროვნების გამოვლენის, საკუთარი თავის „გახსნის“ დროს, რაც მკრეხელობა კი არ არის, — აუცილებელი პირობაა თვითდადგინების რთულ პროცესში. იგი არ ცდილობს „ზნეობრივად“, „წმინდანად“ გამოგვიცხადოს საკუთარი პერსონა (რაც ასე გახშირდა დღეს). პოეტი უბრალოდ თავის ფიქრებს გვიმხელს, თავის შინაგან ცხოვრებას გვაზიარებს და დასკვნა მის ზნეობრიობაზე მკითხველმა უნდა გამოიტანოს. მას აქვს უნარი თავისი „ფილოსოფიური“ აზრები, რასაც ყოფიერების შემეცნების დროს მოიპოვებს, ამგვარი ინტიმურობათა და მსუბუქი სიმძაფრით, ანუ ლირიკული დრამატიზმით შემოსოს. თითქოს იგი მოწადინებული იყოს მარტო კი არ იფიქროს ყოფიერების ურთულეს საკითხებზე, არამედ ჩვენც გვაზიაროს მათ და ერთობლივი ძალით ვეცადოთ მათს ამოხსნას. ეს შინაგანი თანაზიარობა მთელი წიგნის შემაკავშირებელი პირობაა.

ამაოება... ამაოება...
მაგრამ რა ვუყო ამ გულს, რომელიც
მოსჭიდებია კლანჭით დროებას
და მომავლისგან შვებას მოელის,
რომელიც ცხოვრობს მხოლოდ ნუგეშით,
ჩიტივით კენკავს იმედის მარცვალს
და ჩაკარგული ღმერთის უბეში
მწარედ ქვითინებს სიმღერის ნაცვლად.

გრძნობათა და აზრთა ამავე დინებას მიჰყვება ლექსები: „ქუჩის საათი“, „დოსტოევსკის საფლავი“, „აქ ყოველ ღამე...“, „ფიქრი“. ამ თვალსაზრისით საინტერესო ლექსია „სექტემბერი“, სადაც მხატვრული ჩანაფიქრი, ანუ ლექსის „სიუჟეტი“, რომელიც ხშირად ფორმალურ თვისებას ატარებს, აქ თავისი ლოგიკით გამოვლინდა; და ჩვენ განვიცადეთ მარტომყოფი კაცის მდგომარეობა, რომლის გულიცა და სულიც დასერილია ათასნაირი ტკივილებით. ეს კაცი ტოტებშეტეხილ ნეკერჩხალს მოგვაგონებს, რომლის სხეულზეც ცხოვრება მთელ თავის შინაარსს „ხატავს“: „ფერმკრთალი წვიმით განათებული, რტოშეტეხილი ხე იდგა სადღაც... და მე ვხედავდი დანით ამოჭრილ უამრავ სახელს, გულსა და ისარს, წუხილს და ვნებას, სევდას და იმედს, ქალის და კაცის მარტივ სურვილებს“.

ადამიანის გრძნობათა შორის ყველაზე ძლიერი სიყვარულია. იგი ადამიანის დასაბამიერი, არსისეული მოთხოვნილებაა და ბევრი ტკივილი და ტანჯვა მოაქვს სიხარულთან და ბედნიერებასთან ერთად. სიყვარული თავისი არსით მკაცრიც არის და მიუწვდომელიც, მისი წვდომა განსაკუთრებულ ნიჭს მოითხოვს. რერიხს აქვს ერთი სურათი, რომელსაც ჰქვია: „ტიბეტი. მონასტერი მთებში“ (1940). ჰიმალაის თოვლიანი, მკაცრი მწვერვალები ცას შეერთვის, ამ მთების ძირში ჩიტის ბუდესავით შეყუდებულა მონასტერი. რერიხი წერს, რომ „საჭირო იყო მშვენიერების დიადი გრძნობა და რაინდული თავგანწირვა, რათა ამ სიმაღლეზე გაეძლო კაცსო“. ისეთი სიმაღლის წვდომა, როგორიც სიყვარულია, ყოველთვის მოითხოვს მშვენიერებით ტანჯვასა და თავგანწირულობით ტკბობას. თამაზ ჭილაძის ლექსების წიგნში არის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ გრძნობის თავისებური გამოვლინება. და მას არა აქვს კონკრეტული მისამართები, ყველაფერს ამ გრძნობის პრიზმით მსჯვალავს. ადამიანი ხომ თავისი წადიერების სიძლიერით არის მიჯაჭვული გონებას, გრძნობებს, მთელს თავის არსებას. სიყვარულის წადიერება კი ისე ძლიერია და ყოვლის მომცველი, ყველგან და ყველაფერში პოულობს თავის ზღვარდაუდებ გამოვლინებას. პოეტის სიყვარულით დამწვარი გულით თავის ორბიტაში აქცევს სხვა დანარჩენ მოვლენებსაც; სიყვარული წარუვალია (უზოგადესი თვალსაზრისით), რადგანაც მისი დროებითი მარცხიც კი სიყვარულის არსებობის დადასტურებაა. ტკივილი, რომელსაც იგი გვიტოვებს, ისევ სიყვარულით გვაკავშირებს სიცოცხლესთან:

ai, ხომ ხედავ, გავიდნენ წლები
და მაინც შენი ერთგული დავრჩი,
ერთგული სულის და არა ვნების,
ქალის კი არა — უმწეო ბავშვის.

და არა ტანჯვით, არამედ შვებით
ისევ დაგეძებ, ისევ, ვით მაშინ
და შენი თეთრი, ამაყი მხრები
კვლავ განთიადი მგონია ქარში.

სიყვარულის ამ დიად ასპექტში ხორციელდება სამშობლოს სიყვარულიც. მისთვის სამშობლო შინაგანი განცდაა და არა საფიცარი სახელი. მას შინაგანი, მართალი კავშირი აქვს დამყარებული თავის ქვეყანასთან, მის წარსულთან, მის აწმყოსთან და ყოველივე ეს ინტიმურ სამოსშია გახვეული. სამშობლო და პათეტიკა ვერ ეგუებიან ერთმანეთს. ხშირად ისე თვალსაჩინოდ და ცხადიერად გამოაქვთ ეს გრძნობა სააშკარაოზე, თითქოს იგი გასაკვირი რამ იყოს და მათ მეტს არავის ებადოს. სამშობლოს სიყვარულიც ხომ ისეთივე ბუნებრივი განცდაა, როგორც მწყურვალისთვის წყალი; და განა გაგიგონიათ ოდესმე, რომ დარწყულებულს ემპარტავნოს — წყალი შევსვიო!?. სამშობლოს სიყვარულს ხმაური კი არ სჭირდება, არამედ გული —მართალი და უხმაურო. თამაზ ჭილაძისათვის საბედნიეროდ სამშობლო არ ქცეულა სასპეკულაციო ობიექტად; მისთვის სამშობლოს სიყვარული ისეთივე ფიზიოლოგიური, ორგანული განცდაა, როგორც სხვა ადამიანური მოთხოვნილებანი და ამიტომ არც ანიჭებს ამ გრძნობას რაიმე უპირატესობას: იგი ყველგან და ყველაფერში იგრძნობა. პოეტი ასე მიმართავს თბილისს: „ცეცხლწაკიდებულ ზვინივით იწვის გული, რომელიც შენ დაგამგვანე, შენა ხარ ჩემი სამარის მიწა და ჩემი შვილის თბილი აკვანი“. არაგვს: „წყალი კი არა, ჩემი სისხლია, ალესილ ქვებზე გააქვს თქრიალი...“ ტკივილიანი ასოციაციებით არის შესრულებული ლექსი: „ქალაქში უცებ რამ გამახსენა...“ მაგრამ, მე ვფიქრობ, ამ ლექსებთაგან თავისი სიფაქიზით და სინატიფით, გრძნობის სიმართლითა და სახიერებით გამოირჩევა „ყინწვისი“.

შენი დალლილი ღიმილი მაკრთობს,
გაბმული სევდა ამქვეყნიური.
ო, ასე ჩუმად და ასე მარტო
მთებში სხივებზე დნება ყინული.

მე ვერ მოგიტან რტოს იასამნის
და ვერც გაზაფხულს ვერ დაგპირდები...
ჩუმია ზეცა და წვიმასავით
შუბლს მიგრილებენ შენი თითები.

ამ გრძნობაში ბუნებრივად ებადება პოეტს ჩვენი დიდი წინაპრებისადმი თაყვანისცემა და მოკრძალება, მათი ცხოვრების მთელი სიღრმით შეცნობა, ტრაგიკული ხვედრის გაცნობიერება და თანაგრძნობა. ამ განცდით არის შესრულებული ლექსი „სვენცკის ციხკარი...“

პოეზია იდუმალებააო, უთქვამთ და ეს იდუმალება ახლავს თამაზ ჭილაძის ლექსებს. გრძნობთ რაღაცნაირ იდუმალებას და სირბილეს. თითქოს ყოველივე ნივთიერი გამლღვალიყოს და დანაწილებულიყოს, და ამ ცალკეულ ნაწილში, როგორც თვალზე მომდგარ ცრემლში, ჩანდეს მისი შინაგანი ბუნება. თუკი ხშირად მისთვის ბევრი რამ ცხადზე უცხადესია, ბევრი რამ გაუცნობიერებელია და არ უწყის, სად იბადება იგი, სად არის მისი მშობელი ძირი. ეს ურთულესი პროცესია. თვით სამყაროა ავსილი იდუმალებით, ან უფრო სწორად — თავათ არის იდუმალი, ფარული და შეუცნობელი. და ამ იდუმალებიდან არის შობილი რბილი, ნისლიანი და ნათელი სევდა, ის სევდა, რის გარეშეც ჭირს ადამიანური ცხოვრება ამქვეყნად. ასეთი სევდა და მახსოვრობა ერთ მთლიანობას ქმნიან, სადაც ყველაფერი თავის ღრმა გამოხატულებას პოულობს: „მე მძინავს ახლა, მაგრამ ეს ძილი ძილი როდია... მე ზღვა ვარ თითქოს დადუმებული, ზედ ხომალდები მიდი-მოდიან. გული მკერდიდან ამოღებული ვარ და სიფრთხილით მსინჯავს ექიმი, ვარ მეზღვაურის შორი ძახილი — ფსკერზე ჩასული და ჩაღეწილი. მე მძინავს ახლა და ხომალდები ჩემს სულში მძიმედ მიდი-მოდიან...“

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვახტანგ იმნაიშვილი

# ვინ ყიდდა ავსტრიაში ქართულ ხელნაწერებს

ძველი ქართული ხელნაწერები დღეს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაშია გაბნეული და უცხოეთის მეტად თუ ნაკლებად ცნობილი ბიბლიოთეკების თაროებს ამშვენებს.

ერთი ნაწილი ჩვენი ხელნაწერებისა ინახება ავსტრიაშიც. ვენაში, ნაციონალურ ბიბლიოთეკაში, ამჟამად დაცულია 5 ქართული ხელნაწერი, რომელთაგან № 2, ხანმეტი პალიმფსესტი, კარგა ხანია ჩვენი თუ უცხოელი მეცნიერების კვლევის ობიექტად არის ქცეული. კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ხელნაწერებია დაცული გრაცის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ხელნაწერთა განყოფილებაში — მათ შორისაა ცნობილი ხანმეტი ლექციონარი. ამ ქართულ ხელნაწერებს საქართველოდან ძალზე მოშორებით უპოვნიათ მყუდრო სავანე. ზოგი მათგანი სინას მთიდან მომდინარეობს, ზოგის წარმომავლობა კი ჯვარის მონასტერს (იერუსალიმის მახლობლად) უკავშირდება...

ავსტრიის ტერიტორიაზე არ ყოფილა ჩვენი წინაპრების კოლონია ან ქართული კულტურის ცოტად თუ მეტად მნიშვნელოვანი კერა. იმის გამო, რომ ავსტრიასთან საქართველოს არც ძველად და არც შემდგომ რაიმე მნიშვნელოვანი ხელშესახები ურთიერთობა კულტურისა და მეცნიერების დარგში არა ჰქონია და, საერთოდ, მჭიდრო კონტაქტები არ გააჩნდა ევროპის შუაგულში მდებარე ამ პატარა ქვეყანასთან, ამიტომ ავსტრიის მიწაზე მოხვედრილი ჩვენი სულიერი საუნჯის ისტორია შედარებით ნაკლებადაა შესწავლილი. რამდენიმე ძუნწი ცნობის გარდა, რომლებიც ისევ ავსტრიელების მიერ არის მოწოდებული, ჩვენ თითქმის არაფერი ვიცით ქართულ ხელნაწერთა თავგადასავლის შესახებ. ნაკლებადაა ცნობილი ავსტრიაში მოხვედრილი ქართული ხელნაწერების მფლობელთა ვინაობა. არც ისაა დადგენილი, როგორ ჩაუვარდათ ხელთ, რანაირი გზით, ევროპელ, აზიელ ანდა აფრიკელ გადამყიდველებს ქართველთა მონასტრების კუთვნილი უძვირფასესი ძეგლები.

შევეცდებით, ზოგი რამ ამ კუთხით უფრო ნათელი გავხადოთ.

ვენური ხელნაწერები სხვადასხვა დროს არის ბიბლიოთეკის მესვეურთა მიერ შეძენილი. № 1 ხელნაწერი 1873 წლის 8 მაისს იყიდეს 25 გულდენად ანტიკვარ გოლდშმიდტისაგან №№ 2-3-4 ხელნაწერები პროფესორმა ტიურკერმა შეიძინა ბიბლიოთეკისათვის უცნობი ანტიკვარისაგან 1931 წლის 3 იანვარს ალექსანდრიაში. დაბოლოს, 1938 წლის 15 ივლისს ბიბლიოთეკამ ვენაში ნატალია კრონეგერისაგან იყიდა № 5 ხელნაწერი — სახარება. თუ ბიბლიოთეკის დავთარში ჩაწერილ ცნობას დავუჯერებთ, „ეს წიგნი ეკუთვნოდა საქართველოს უკანასკნელ მეფეს (ასეა! — ვ. ი.) პრინც ბაგრატიონ-მუხრანსკის (რომელიც 1921 წელს დაიღუპა). მისმა ქვრივმა ეს სახარება თბილისში გაყიდა 1929 წელს“.

ვენის ქართული ხელნაწერების შეძენის თარიღები დადგენილია. უფრო ბუნდოვანია გრაცის ხელნაწერთა საკითხი. ამ ხელნაწერთა მფლობელი, გრაცის უნივერსიტეტის პროფესორი ჰუგო შუხარტი აკაკი შანიძეს ერთ პირად წერილში სწერდა: ეს ხელნაწერები გასული საუკუნის მიწურულში შევიძინეო. ამჟამად გავრცელებულია შეხედულება, რომლის თანახმადაც ქართული ხელნაწერები შუხარტმა 1895 წელს შეიძინა ვენაში. ეს ცნობა, ჩანს, ეყრდნობა ა. შანიძის ინფორმაციებს, რომლებიც მან სხვადასხვა დროს გამოაქვეყნა „თბილისის უნივერსიტეტის მოამბესა“ და „ხანმეტი ლექციონარის“ წინასიტყვაობაში.[1] შემდგომში ამ ცნობებს იმეორებენ ჟ. გარიტი, ბ. უტიე და სხვანიც, ვინც კი გრაცის ხელნაწერებს იხსენიებს. ამთავითვე უნდა ითქვას, რომ ეს თარიღი არაა ზუსტი. გრაცის ქართული ხელნაწერები შუხარტმა შეისყიდა ორჯერად: №№ 1-2-3-4 ხელნაწერები 1897 წლის იანვარში, ხოლო № 5 — იმავე წლის მაისში. ამის შესახებ სხვა დროს, ცალკე გვექნება საუბარი, ახლა კი შევეხოთ იმ პიროვნებებს, ვის ხელშიც მოხვედრილა ავსტრიის მიწაზე ქართული ხელნაწერები, ვის მიუყიდია ისინი შუხარტისათვის ანდა შეუთავაზებია ქართულით დაინტერესებულ სხვა პირთათვის.

ა. შანიძე ეყრდნობა თვით ხელნაწერის იმჟამინდელი მფლობელის ჰუგო შუხარტის ცნობას, რომ ხელნაწერები ვენის სასახლის ბიბლიოთეკას (Hobbifliothek, შემდგომ ავსტრიის ნაციონალურ ბიბლიოთეკას), სახელდობრ, მის დირექტორს, ფონ ცაისბერგს, შესთავაზა ერთმა ვენელმა მხატვარმა. შუხარტის

---

1. ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე, ტ. VIII, 1928, გვ. 376; ტ. IX, 1929, გვ. 312; 353; ხანმეტი ლექციონარი, 1944, წინასიტყვაობა, გვ. 09.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმ მხატვრის გვარი არ დაუსახელებია, ამდენად, ჩვენც არაფერი ვიცოდით მის შესახებ. ჰუგო შუხართის არქივის შესწავლამ კი ერთგვარად შუქი მოჰფინა ამ საკითხსაც. კერძოდ, გამოირკვა შემდეგი:

1896 წლის შემოდგომაზე ვენის სასახლის ბიბლიოთეკას ავსტრიელმა მხატვარმა ალფონს ლეოპოლდ მილიხმა შესთავაზა 5 სლავური და 4 ქართული ხელნაწერი. დირექტორმა წინასწარ გაასინჯვინა ქართული ხელნაწერები ჰუგო შუხართს, რომელმაც მალე დაადგინა, რომ ხელნაწერების ერთი ნაწილი სინას მთის ქართული მონასტრის კუთვნილება იყო (სინური წარმოშობისა აღმოჩნდა აგრეთვე სლავური ხელნაწერებიც, რომლებიც ვენის უნივერსიტეტის პროფესორმა სლავისტმა ვატროსლავ იაგიჩმა იყიდა). ხელნაწერთა საეჭვო წარმავლობის გამო ფონ ცაისბერგმა უარი თქვა მათ შეძენაზე, მაგრამ გამყიდველს მიანიშნა იმ პირებზე, ვინც შეიძლება დაინტერესებულიყო ქართული სიძველეებით. ასეთთა რიცხვი ავსტრიაში მეტად მცირე იყო, კერძოდ — ვენის უნივერსიტეტის პროფესორი ფრიდრიხ მიულერი, რომელიც ქართულისა და სომხურის მცოდნედ ითვლებოდა, და ჰუგო შუხართი. მაგრამ მიულერმა არ ისურვა ქართულ ხელნაწერთა შეძენა და, თავის მხრივ, მილიხს მიასწავლა ჰუგო შუხართზე. იგი ძირითადად რომანული ენების სპეციალისტად ითვლებოდა, მაგრამ სხვა ენებითაც იყო დაინტერესებული, მათ შორის ქართულითაც, რომლის შესახებაც სწორედ ერთი წლის წიგნი ჰქონდა გამოქვეყნებული (Über das Georgische, ვენა, 1895). საგულისხმოა ის ფაქტი, რომ სწორედ შუხართი იყო ის პირი (და არა მიულერი, რომელიც იქვე, ვენაში, ცხოვრობდა), ვინც ფონ ცაისბერგის თხოვნით წინასწარ კასინჯა ქართული ხელნაწერები სასახლის ბიბლიოთეკისათვის.

დიდი ხანი არ იყო გასული მას შემდეგ, რაც შუხართი ქართულით დაინტერესდა და, როგორც ყოველგვარ ახალ საქმიანობას, დიდ დროს უთმობდა მას და გატაცებით სწავლობდა ძველ ქართულს. ამ მიზნით მას კავშირი ჰქონდა დამყარებული ევროპის უნივერსიტეტებში მოძეცადინე ქართველ სტუდენტებთან, ევროპაში სამოგზაუროდ თუ სამკურნალოდ ჩასულ ქართველ ინტელიგენციასთან და მათი მეშვეობით არკვევდა მისთვის უცხო ენის ძნელად გასაგებ საკითხებს. სხვათა შორის, ამ მიზნით მან საქართველოშიც გაიჩინა მრავალი ნაცნობი და საქმიანი მიმოწერაც გააბა მათთან.[1]

1. იხ. ვ. იმნაიშვილი, ილია ჭავჭავაძის უცნობი წერილი: ილია ჭავჭავაძე (საიუბილეო კრებული), თბილისი, 1977.

ასე იყო თუ ისე, შუხართი და მილიხი წერილების საშუალებით გაეცვნენ ერთმანეთს და ინტენსიური მიმოწერა გააჩაღეს. 1896 წლის 19 დეკემბრიდან 1897 წლის 14 თებერვლამდე, ე. ი. არასრული ორი თვის განმავლობაში, მილიხმა 10 წერილი გაუგზავნა შუხართს გრაცში. თავდაპირველად მილიხი სთხოვდა შუხართს, ხელნაწერების შინაარსი და მათი სავარაუდო ღირებულება დაედგინა, ხოლო შემდეგ, რაკი ხელნაწერების გასასაღებლად სხვა გზას ველარ ხედავდა, აშკარად ცდილობდა, როგორმე შუხართისათვის მიეყიდა ძველქართული წიგნები, რაჰენაირად თავიდან მოეშორებინა ისინი, რადგან ეს ხელნაწერები მას ზარალს უქადდა იმის გამო, რომ გადახდილი ფული ვერ აინაზღაურა.

ვინ იყო მილიხი? ალფონს ლეოპოლდ მილიხი (Alphonse Leopold Mielich). მხატვარი იყო. დაიბადა 1863 წლის 27 იანვარს კლოსტერნოიბურგში (ავსტრია), გარდაიცვალა 1929 წლის 25 იანვარს ზალცბურგში. სწავლობდა პარიზში, ლონდონსა და მიუნხენში. მილიხს უფრო აღმოსავლური მხატვრობა იტაცებდა. გრაცში გაგზავნილ წერილებში იგი იძლევა ძუნწ ცნობებს საკუთარი თავის შესახებ — ამით მან ერთგვარად პასუხი გასცა ჰუგო შუხართის დაჟინებულ (და, ცხადია, სრულიად ბუნებრივ) სურვილს თუ ინტერესს — გაეგო, ვისთან ჰქონდა საქმე.

აი, ფრაგმენტი მისი ერთ-ერთი წერილიდან: „მე ხელოვანი ვარ და, როგორც ასეთი, ხანდახან რაღაც ძველ ნივთებს ვყიდულობ, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა მას ჩვენთვის, ხელოვანთათვის, გამაღიზიანებელი მიმზიდველობა და სიძველის იერი აქვს. მე ბევრს ვმოგზაურობ და, რაკი აღმოსავლეთის სპეციალისტი ვარ, განსაკუთრებული სიამოვნებით ეგვიპტეში დავდივარ. მე იქ წლების განმავლობაში თითქმის ყოველ ზამთარს მივეშურები. სიძველეთა ძებნისას ვპოულობდი ხელნაწერებსაც და სხვ. გავეცანი სიძველეთა სხვადასხვა მფლობელს, მოყვარულს და, ბოლოს და ბოლოს, ამ შუამავლის როლში აღმოვჩნდი" (11. II. 1897).

სხვა მასალებიდან ჩანს, რომ მილიხი ჩვეულებრივი გადამყიდველი იყო, რომელიც ეგვიპტეში შეძენილ ანტიკვარულ ნივთებს ავსტრიაში ასაღებდა და ამგვარი საქმიანობით ითბობდა ხელს. მას ეგვიპტეში, უფრო კი კაიროში, ჰყავდა აგენტები, რომლებიც სიძველეებითა და სხვადასხვა სახის ნივთებით ამარაგებდნენ და სისტემატურად სწერდნენ ამ ნივთების შესახებ ვენაში.

სხვათა შორის, მილიხმა, რომელიც 4 ქართული ხელნაწერის საფასურად 420 გულდენად მოურიგდა შუხართს, უსასყიდლოდ დაუმატა მათ კიდევ 5 ცალკეული ფურცელი, მისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიტყვით, „იბერიულად ნაწერი“ (რომელთაგან სინამდვილეში სამი მართლაც ქართული იყო, ხოლო დანარჩენი ორი — სომხური).

თავის კავშირს კაიროელ ამფსონებთან მილიხი არცა მალავდა. აი, მისი სიტყვები: „რამდენიმე დღის წინ კაიროდან ცნობა მივიღე, რომელშიც, სხვათა შორის, აღნიშნულია, რომ ამგვარი ფურცლები იქ კიდევ არის“ (22. I 1897).

„ამჟამად მე მაქვს ცოტა ხნის წინ მიღებული პერგამენტის გრაგნილი, რომელიც, როგორც ვვარაუდობ, სომხური ან იბერიული შინაარსისაა“ (22. I. 1897).

„ცალკეული ფურცლების თაობაზე მივწერე კაიროში — თანაც სათუოდ — რადგან მე არ ვიცი, როგორ შეაფასებთ ხელნაწერებს და რა უნდა ვუპასუხო ამასთან დაკავშირებით მათს წინადადებას (27. I. 1897).

„ამჟამად რამდენიმე ცალკეული ფურცლის გარდა აქ, ვენაში, არაფერი მაქვს, მაგრამ, ვფიქრობ, რომ მომავალი თვის განმავლობაში კაიროდან ჩემთვის რამე უნდა მოვიდეს“ (14. IV. 1897).

რა აზრისანი იყვნენ ხელნაწერების მეშვეობით მილიხთან დაკავშირებული პირები ვენელი მხატვრის პიროვნებაზე? ფრიდრიხ მიულერი სწერდა შუხართს: „მე არ ვიცნობ ანტიკვარული ნივთებით მოვაჭრეს, რომელმაც სლავური და ქართული ხელნაწერები სახახლის ბიბლიოთეკას შესთავაზა. ყოველ შემთხვევაში, იგი კაი გაქნილი კაცი უნდა იყოს... რატომ არ მიდის ყმაწვილი ლონდონში, პარიზში ან ბერლინში, როცა ვენაში მას ასე ცოტა გასამრჯელოს სთავაზობენ? ალბათ ეშინია იმისა, რომ განძს წაართმევენ და ჰკითხავენ, თუ საიდან მოხვდა იგი მასთან“ (25. XII. 1896).

სრული ჭეშმარიტებაა. მილიხს ეშინოდა, თორემ ის არავითარ შემთხვევაში არ დათანხმდებოდა ქართული ხელნაწერების საფასურად 420 გულდენზე (რამაც იგი აზარალა, რადგან იაგიჩმა სლავურ ხელნაწერებში მას 500 გულდენი მისცა, ე. ი. სლავურ-ქართულ ხელნაწერებში მან მთლიანად 920 გულდენი მიიღო, მაშინ როცა თავად მათში 1200 გადაიხადა და ვარაუდობდა მთელ კომპლექსში 1.500 გულდენის აღებას). მილიხმა ბოლოს და ბოლოს გულიდან გადაიგდო ის მძიმე ტვირთი, რომელიც უკვე კარგა ხანია აფიქრებდა და მოსვენებას უკარგავდა — ვაითუ ქართული ხელნაწერები საერთოდ ვერ გავყიდოო. სხვა ქვეყნებში ხელნაწერების გატანა აშინებდა: ვინ იცის, იქ ვის გადაეყრებოდა. სხვების დასანახად კი გულს იმაგრებდა და მშვიდად აცხადებდა: „შემიძლია დარწმუნებით ვთქვა, რომ ლონდონში, პარიზში, ბერლინში და ა. შ. იმდენად მაღალ გასამრჯელოს მივიღებ, რომ ღირს ამ მიმართულებით საჭირო ნაბიჯები გადავდგა“. მაგრამ ეს ნაბიჯი მილიხს არ გადაუდგამს, არც უცდია. ოღონდ შიშს კი არ ასახელებდა მიზეზად, პატრიოტულ გრძნობას სწევდა წინა პლანზე. აკი წერდა კიდეც: „აღნიშნული ხელნაწერების ავსტრიაში ფიქსირების პატრიოტული სურვილი იყო მთავარი მოტივი სასახლის ბიბლიოთეკასთან ამის თაობაზე კავშირის დამყარებისა. არასოდეს მიფიქრია განსაკუთრებულ ფულად საზღაურზე“ (22. XII. 1896).

„მთავარი კი ისაა, რომ

1. მე მინდა, რაც შეიძლება მალე გავყიდო ხელნაწერები;

2. ჩემთვის სასურველი იქნებოდა მათი ავსტრიაში დატოვება;

3. ვისწრაფო იმისათვის, რომ მათში გადახდილი ფული ყველანაირ ვითარებაში უკან დავიბრუნო“ (28. XII. 1896). „...როცა მიუხედავად ამისა, მე ყველაფერს ვაკეთებ იმისათვის, რომ თქვენ ხელნაწერები ცალკეულ ფურცლებთან ერთად 420-450 გულდენად დაგითმოთ, თქვენ შეგიძლიათ აქედან დაინახოთ ჩემი სიფრთხილე და სრულიად დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ ამას მხოლოდ და მხოლოდ იმის გამო ვაკეთებ ასე, რომ: 1. ხელნაწერები ავსტრიაში დარჩეს; 2. ბოლოს და ბოლოს მოგვარდეს ეს საქმე. მხოლოდ ხსენებული ორი მოტივია ერთადერთი მიზეზი ჩემი დათმობისა. ამაში შეგიძლიათ, დიდად პატივცემულო ბატონო პროფესორო, სავსებით დარწმუნებული ბრძანდებოდეთ“ (3. I. 1897).

მილიხი ხელნაწერებს მხოლოდ და მხოლოდ გადასაყიდად, ხელის მოსათბობად ყიდულობდა. თავად ხელნაწერი მას არ აინტერესებდა. აკი ამბობდა კიდეც თვითონ: „ამ საგნების მეცნიერული კუთხით შეფასებისაგან მე ძალიან შორსა ვდგავარო“ (11. II. 1897). მას ფულის შოვნა აინტერესებდა და, როგორც ჩანს, გადამყიდველობა მისთვის უცხო ხილი არ იყო. ბუნებრივია, ფრთხილობდა კიდეც. სწორედ ამიტომ იყო, რომ სლავური ხელნაწერების გასაყიდად იგი თვითონ კი არ წავიდა, არამედ თავისი მეგობარი ი. გ. მილნერი გააგზავნა. ამის თაობაზე პროფ. იაგიჩი სწერდა შუხართს: „სლავური ხელნაწერები ჩვენ დავიტოვეთ, აღმოსავლურები კი მფლობელმა უკან წაიღო. მე არ ვიცი, სად ცხოვრობს ის. მის სადარბაზო ბარათს მილნერი აწერია. იგი მე მელაპარაკებოდა თავისი მეგობრის, მხატვარ მილიხის სახელით, რომელიც დორნბახში[1] უნდა ცხოვრობდეს“ (26. XII. 96.).

სხვათა შორის, იმავე ი. გ. მილნერის სადა-

1; დორნბახი ვენის ერთ-ერთი გარეუბანია.

[illegible] ბარათი შუხართის არქივშიც აღმოჩნდა. ჩანს, მილნერმა გრაცელ ქართველოლოგსაც მიაკითხა მილიხის დავალებით, რაკი თვითონ, მოუცლელობისა და ავადმყოფობის გამო, ვერა და ვერ მოუხერხდა, პირადად შეხვედროდა თავის ცნობილ კლიენტს.

ასეთია, მოკლედ, გრაცის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ქართულ ხელნაწერთა ისტორიის ერთი ფურცელი...

ავსტრიის წიგნთსაცავებში ამჟამად ფიქსირებული ქართული ხელნაწერების გარდა, გასული საუკუნის უკანასკნელ წლებში ვენაში სხვა, დღეისათვის უცნობი, ძველქართული ხელნაწერებიც უნდა ყოფილიყო ყიდვა-გაყიდვის ობიექტი. ქართული სიძველეებით დაინტერესებულ პირთა წრე კვლავ ვიწროა; ესენია: ფრიდრიხ მიულერი და ჰუგო შუხართი. თუ სხვა სახელიც ამოტივტივდება, მხოლოდ იმისათვის, რომ გადამყიდველთა ხარბი თვალი მიმართოს ამ ცნობილი მეცნიერებისაკენ, როგორც ქართული ხელნაწერების ყველაზე უფრო მოსალოდნელი შემსყიდველებისაკენ. იმ ხანებში ვენაში, როგორც ჩანს, უკვე ცნობილ ძველ ქართულ ხელნაწერთა გარდა, კიდევ რამდენიმე უცნობი ხელნაწერი ტრიალებდა სიძველეთა მოყვარულების ხელში და საიმედო პატრონს ეძებდა. ეს ჩანს შემდეგი ფაქტებიდან:

1896 წლის 3 ნოემბერს ფრ. მიულერი სწერდა შუხართს: „სახახლის ბიბლიოთეკა მხოლოდ 2 ქართულ ხელნაწერს ფლობს: მე ერთი ხელნაწერი მაქვს ჩემთან შენახული“... აქ უზუსტობაა დაშვებული. როგორც ვენის სასახლის ბიბლიოთეკის დირექციამ შუხართს 1897 წლის 19 იანვარს ოფიციალურად აცნობა, იმ დროს იქ მხოლოდ ერთი ქართული ხელნაწერი ინახებოდა (ესაა ამჟამად № 1 ხელნაწერი — ოთხთავი). ამდენად, ამ საკითხში ფ. მიულერი ცდება, მაგრამ მას რომ იმხანად უკვე ჰქონდა ერთი ქართული ხელნაწერი, ამაში მას უნდა ვენდოთ. თუმცა ეს ცნობაც საჭიროებს დაზუსტებას. საქმე ისაა, რომ ფ. მიულერს ძალზე ცუდი კალიგრაფია ჰქონდა, იმდენად გაურკვეველი, რომ გრაცის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ხელნაწერთა განყოფილებისა და ხლავისტიკის ინსტიტუტის თანამშრომელთა კოლექტივმა საერთო ძალებით ვერ შეძლო ფ. მიულერის წერილების მთლიანად წაკითხვა. ფ. მიულერის წერილიდან ზემომოყვანილი ფრაგმენტის შემდეგ არსებული სიტყვები სწორედ გაუშიფრავთა რიგში მოხვდა, ამიტომ აზრი ერთგვარად ბუნდოვანია. მე ვფიქრობ, აქ ლაპარაკი უნდა იყოს არა ძველქართულ ხელნაწერზე, არამედ რომელიღაც თანამედროვე წიგნის, უფრო გრამატიკის, ხელნაწერ ეგზემპლარზე. ამის გამო ხსენებული „ხელნაწერის“ საკითხი ჯერჯერობით ღიად რჩება.

მეორე: 1897 წლის 2 მაისს შუხართისადმი გაგზავნილ წერილში ფ. მიულერი წერდა: „ქართული ხელნაწერი მისმა მფლობელმა მაჩუქა, როცა შეიტყო, რომ მე ხელნაწერს მნიშვნელობას ვანიჭებ. ასე რომ, იგი ახლა ჩემი საკუთრებაა და მის შესახებ ჩვენ მასში[ვე] ვისაუბრებთ. ქართულად მოლაპარაკე ორივე სომეხი წარმოშობით თბილისიდანაა. მე შევიტყვე ერთი სომხისაგან (ჩვენი სომხური და ფრანგული გაზეთების კორესპონდენტისაგან), რომ ამ ბატონებმა (ერთი მათგანის გვარია გალოშიანი) ქართული ხალხური სიმღერები იციან. მე წავაქეზე ისინი ამ ხალხური სიმღერების გამოსაქვეყნებლად, კერძოდ, ჩვენს ჟურნალში“.

იმავე წლის 15 ივლისს ფ. მიულერმა კვლავ მოიხსენია ქართული ხელნაწერების პატრონი: „ხელნაწერი მფლობელმა — ერთმა სომეხმა თანამემამულემ (ე. ი. ავსტრიელმა სომეხმა — ვ. ი.) — მაჩუქა, რადგან ეგონა, რომ მისი ყიდვა მსურდა. ასე რომ, მე მორალურად ვალდებული ვარ, ეს ხელნაწერი შევინახო. მაგრამ თუკი თქვენ ეს ხელნაწერი გჭირდებათ, შეგიძლიათ იგი ჩემგან წაიღოთ, როცა გნებავთ, ნებისმიერი დროით. ისე ჩათვალეთ, თითქოს ხელნაწერი თქვენი საკუთრება იყოს“.

მაშასადამე, ფ. მიულერს, სულ ცოტა, ერთი ქართული ხელნაწერი მაინც ჰქონდა. ვამბობთ, „სულ ცოტაო“, რადგან, ჯერ ერთი, 3 ნოემბრის წერილში მოხსენიებულ ხელნაწერს ჯერჯერობით ძველქართულ ხელნაწერად ვერ მივიჩნევთ. მეორეც, ჩვენს ხელთაა ვენაში მხითარისტების კონგრეგაციის წევრის დოქტორ დაშიანის წერილი (1897 წ. 8 თებერვლით დათარიღებული) შუხართისადმი, სადაც იგი (დაშიანი), სხვათა შორის, წერს: „ის-ის იყო ჩემი პირველი წერილი გამოგიგზავნეთ, რომ ვინმე მიულერი მოვიდა ჩვენს ბიბლიოთეკართან — დოქტორ კალემკიანთან, რათა ორი სომხური ხელნაწერი მიეყიდა. მან გვითხრა, რომ რამდენიმე ქართული ხელნაწერი შეიძინა ბეირუთიდან და რომ მან ისინი, მათ შორის ერთი პალიმფსესტი, სხვა კაცის შუამავლობით ბატონ პროფესორს მიჰყიდა და ა. შ. იმ ორი ხელნაწერიდან ერთი მართლაც სომხური იყო და ნაკლებად ფასეულიც (ფსალმუნი), მეორე კი, ერთი გრძელი გრაგნილი, ქართული გამოდგა და დიდი შრიფტით იყო დაწერილი. კითხვაზე, აჩვენა თუ არა მან ეს გრაგნილი პროფესორს, მან განაცხადა, რომ ეს არ გაუკეთებია, რადგან ეგონა, რომ ეს ხელნაწერი სომხური იყო. ბიბლიოთეკარმა გრაგნილი არ იყიდა, იმ ბატონს კი ურჩია იგი ბატონ პროფე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სორიასთვის ეჩვენებინა. გრაგნილი ძალიან ძველი უნდა იყოს“.

პროფესორი, ცხადია, ფრიდრიხ მიულერია, რადგან ვენელ პროფესორთა შორის მხოლოდ ის იყო ქართულისა და სომხურის მცოდნე; „ვინმე მიულერი“ კი მისი თანამოგვარეა მხოლოდ და, ალბათ, ჩვეულებრივი გადამყიდველია.

აქედან ირკვევა, რომ ფ. მიულერმა ბეირუთში გაყიდული რამდენიმე ქართული ხელნაწერი შეიძინა. აქ გარკვევით წერია — რამდენიმე. ეს ხელნაწერები შეძენილია 1896 წლის 3 ნოემბერსა და 1897 წლის 8 თებერვალს შორის (დავიმახსოვროთ ეს თარიღები).

საკითხავია, აჩვენეს კი ფ. მიულერს აღნიშნული გრაგნილი და იყიდა მან იგი? მე შესაძლებლად მიმაჩნია წამოვაყენო ვარაუდი, რომ ეს გრაგნილი გრაცის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის № 5 ქართული ხელნაწერია. მისმა მფლობელმა („ვინმე მიულერმა“) გრაგნილი მილიხს მისცა (ცხადია, გარკვეულ საზღაურად). მილიხმა ამ დროისათვის უკვე იპოვა ქართული ხელნაწერებით დაინტერესებული პირი — ჰუგო შუხარტი — და მოასწრო კიდეც მისთვის ქართულ ხელნაწერთა ერთი პარტიის მიყიდვა (ამჟამად №№ 1-2-3-4 ხელნაწერები). მილიხმა გრაგნილი კაიროდან მიღებულად გაასაღა და ხანგრძლივი ვაჭრობის შემდეგ შუხარტს დაუთმო 25 გულდენად („დაუთმო“, იმიტომ ვამბობთ, რომ მილიხი აპირებდა ამ ხელნაწერის გაჩუქებას, ყოველ შემთხვევაში, ასე ეუბნებოდა შუხარტს). ამ გარიგებათა თარიღებიც ემთხვევა ერთმანეთს. იანვრის დასაწყისში მილიხს ჯერ კიდევ არა ჰქონდა გრაგნილი, 22 იანვარს კი (10 დღის შემდეგ, რაც 4 გაყიდული ხელნაწერის გასამრჯელო მიიღო შუხარტისაგან) უკვე აცნობა გრაცელ პროფესორს: „ამჟამად მე მაქვს ცოტა ხნის წინ მიღებული პერგამენტის გრაგნილი, რომელიც, როგორც მე ვვარაუდობ, სომხური ან იბერიული შინაარსისაა“. საგულისხმოა ის, რომ წინა წერილებში, რომლებიც 6 და 12 იანვრითაა დათარიღებული, მილიხს კრინტიც არ დაუძრავს გრაგნილის შესახებ. აშკარაა, მას იგი ჯერ კიდევ არა ჰქონდა ხელთ.

საეჭვოა, ერთსა და იმავე დროს ორი ერთნაირი ქართული ხელნაწერი, ჩვეულებრივი კი არა, მაინცდამაინც გრაგნილი, ერთსა და იმავე ადგილას მოხვედრილიყო, ერთ წრეში, და მათგან ერთი უკვალოდ გამქრალიყო, მით უმეტეს, როცა იცოდნენ, რომ ხელნაწერი ძალიან ძველი იყო და, მაშასადამე, ძვირფასიც.

ამგვარად, ვენაში უკვალოდ დაკარგულ ქართულ ხელნაწერთა რიგი გაგრძელდა. თუმცა „უკვალოდ“ მთლად ზუსტად ნათქვამი არ იქნება. მართალია, ჩვენ უკვე ვიცით, რომ ფ. მიულერს რაღაც ქართული ხელნაწერები ჰქონდა, მაგრამ მათ მხოლოდ წერილების საშუალებით ვიცნობთ და მათზე კონკრეტულად რაიმის თქმა არ შეგვიძლია. საბედნიეროდ, ფ. მიულერის კუთვნილი ხელნაწერები მთლად უკვალოდ არ გამქრალა. შუხარტის არქივში შემონახულია მუყაოზე დაკრული ფოტო ნუსხურით დაწერილი ტექსტისა, რომელსაც ქვეშ შუხარტის ხელით აწერია: „ფრ. მიულერის მიერ გამოგზავნილი ხელნაწერიდან“. ამ უცნობი ხელნაწერის კალიგრაფია ძალიან წააგავს გრაცის № 5 გრაგნილის ხელწერას. ეს მსგავსება იმდენად თვალში საცემია, რომ როცა მე ფოტოს დავხედე, თავდაპირველად სწორედ გრაცის ხელნაწერიდან გადაღებული პირი მეგონა: მაგრამ შემოწმებამ დამარწმუნა, რომ ამგვარი ფრაგმენტი გრაცის გრაგნილზე არაა.

ცხადია, ყველაფერს ნათელს მოჰფენდა ფ. მიულერის არქივის შესწავლა, მაგრამ ეს არ მოხერხდა — ფ. მიულერის არქივი უკვალოდაა დაკარგული. შესაძლებელია, იგი სადმე განადგურდა პირველი მსოფლიო ომის დროს ან მერმეც. შესაძლოა, მისმა ნათესავებმა ვერ მოუარეს და მოიცილეს თავიდან, განსაკუთრებით, ქართულ წიგნებს ვერაფერს გაუგებდნენ და ადვილად შეელეოდნენ. ვინ იცის, რა ბედი ეწია მათ.

მხოლოდ ზემოთ დასახელებულ ხელნაწერებთან დაკავშირებული მასალების გაცნობაც კმარა, რომ ერთგვარი წარმოდგენა შეგვექმნას იმ წრეზე, სადაც ყველაზე უფრო ითბობდნენ ხელს ძვირფასი ხელნაწერების გაყიდვით. კაირო და ალექსანდრია ამგვარი ნივთებით ვაჭრობის საყოველთაოდ ცნობილი ცენტრები იყო. ალექსანდრიაში გაყიდული ვენის №№ 2, 3, 4 ხელნაწერები, კაიროში შეიძინა მილიხმა ან იქიდან გამოუგზავნეს ამჟამად გრაცში დაცული ხელნაწერები, ფ. მიულერის კოლექციის ხელნაწერები თითქოს ბეირუთში უნდა იყოს გაყიდული, თუ ერთ-ერთ წერილში მოცემულ ცნობას ვენდობით. შესაძლოა, ეს ქალაქი კვალის asარევადაც იყოს დასახელებული.

ახლა ვნახოთ ამ საკითხის მეორე მხარე — ვინ არიან ამ ხელნაწერებით მოვაჭრენი? ვინ ყიდდა ქართულ სიძველეებს ავსტრიის მიწაზე? გრაცის ხელნაწერები ვენელი პოხეტიალე მხატვრის ალფონს მილიხის ხელში მოხვდა, ფრიდრიხ მიულერისათვის ნაჩუქარ ხელნაწერებს ვენაში მყოფი სომხები ჰყავდათ პატრონად, სხვათ კი ვინმე მიულერი დაატარებდა კარდაკარ, რომელიც იმდენად იყო გათამამებული, რომ, ეტყობა, არაფრის შიში არა ჰქონდა და ვენელ მხითარისტებს მშვიდად სთავაზობდა შავ ბაზარზე ნაყიდ თუ მოპარულ საუნჯეს, ძველისძველ ქართულ ხელნაწერებს, რომელთა სავანედაც მათს შემქმნელებს სულ სხვა ადგილები ჰქონდათ გათვალისწინებული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქეთევან ხარიაშვილი

# დაკარგული ძმა

## (ქართველი ინტელიგენცია და აჭარა-ქობულეთის შეერთება საქართველოსთან)

ვინ მეჩვენება, ვინ მიწვდის ხელებს
დაკარგული ძმის მესმის ყივილი,
საქართველოზე მოჭრილო ძუძუ —
შემაჟრიალებს შენი ტკივილი.

გ. ლეონიძე

თავისი არსებობის მანძილზე საქართველოს მოსვენება არა ჰქონია.

ყოველი მხრიდან აუარებელი მტრით გარშემორტყმული მახვილით იცავდა სამშობლოს საზღვრებს, ენას და სარწმუნოებას.

„რა არ გადაგვხვდენია თავს, რა მტრები არ მოგვსევიან, რა ვაივაგლახი, რა სისხლის ღვრა, რა ღრჭენა კბილთა არ გამოგვივლია, რა წისქვილის ქვა არ დატრიალებულა ჩვენს თავზედ და ყველას გავუძელით, ყველას გავუმაგრდით. შევინახეთ ჩვენი თავი, შევინარჩუნეთ ჩვენი ქვეყანა, ჩვენი მიწა-წყალი!...“ — წერდა თავის დროზე ილია ჭავჭავაძე.

„ლანგ-თემურებმა, შაჰ-აბაზებმა, ალა-მაჰმადხანებმა მოგვსრნეს, მოგვჟლიტეს, მაინც ფეხზე წამოვდექით და მოვშენდით. წელში გავსწორდით, გავუძელით საბერძნეთსა, მონღოლებსა, რომსა, არაბებსა, ოსმალო თურქებსა, სპარსელებსა, რჯულიანსა და ურჯულოსო“. მართლაც და ქართველმა ხალხმა გადაარჩინა თავისი ქვეყანა, მაგრამ ზოგიერთ კუთხეს თურქები დაეპატრონენ, ერთ-ერთი ასეთი წართმეული კუთხე იყო — სამხრეთ საქართველო — აჭარა-ქობულეთი.

„ამრიგად, ოსმალო-თურქებმა, მართალია, ვერ შეძლეს ქართლში გაბატონება და ოსმალური წესების დამყარება, მაგრამ XVI საუკუნის მიწურულისათვის მათ საქართველოს ჩამოგლიჯეს სამცხე, აჭარა, ჭანეთი (ლაზეთი) და თავის პროვინციებად აქციეს“, ვკითხულობთ „საქართველოს ისტორიაში“. ეს კუთხე შემდეგ ვერც ერთმა მეფემ ველარ დაიბრუნა, მეთექვსმეტე საუკუნიდან იმ დრომდე, ვიდრე რუსეთ-თურქეთის ომი მოხდებოდა. ქართული პროვინციები ისეთი დიდი სიმკაცრით გაამაჰმადიანეს, რომ მათ შერჩათ მხოლოდ ენა და ქართული გვარები. გამაჰმადიანებული ქართველები უფრო გაფანატიკოსდნენ. ზოგიერთებმა მთლად დაივიწყეს, რომ ისინი ოდესმე ქართველთა მოდგმისანი იყვნენ.

1877 წელს რუსეთმა დაასწრო ინგლისს, თავისი ჯარები თურქეთის საზღვარს მიაყენა და შეიჭრა. სამწუხაროდ, სწორედ ის პროვინციები იქცა ომის ასპარეზად, სადაც გამაჰმადიანებული ქართველები ცხოვრობდნენ. ომის მთელმა სიმძიმემ მათ მიაყენა დიდი ზარალი. განადგურდა მათი სახნავ-სათესი მინდვრები და დაინგრა მათი სახლ-კარი, მაგრამ რუსეთ-თურქეთის ომის შედეგად გამაჰმადიანებული სამხრეთ საქართველო ძალაუნებურად კვლავ საქართველოს შეუერთდა, დედა სამშობლოს დაუბრუნდა დიდი ხნის წინათ დაკარგული ძმა: ქართველთათვის ეს იყო უდიდესი სიხარული.

1878 წლის 26 იანვარს შეწყდა ომი რუსეთსა და თურქეთს შორის, რა თქმა უნდა სხვა სახელმწიფოთა აქტიური ჩარევის შედეგად.

1979 წლის 24 თებერვალს, შაბათს გამოცხადდა საბოლოო მორიგება.

1878 წელს თბილისში უნდა ჩამოსულიყო გამაჰმადიანებულ ქართველთა დელეგაცია. ამ ცნობამ ქართველი ინტელიგენცია დიდად გაახარა. ამის შესახებ სერგეი მესხი „დროებაში“ წერდა: „წამოიჭრა ჩინებული აზრი, რომ მოეპატიჟნათ დეპუტაციით ჩამოსული ოსმალოს ქართველები და სხვით თუ არაფრით ერთად, ძმურად, პურის ჭამით საზოგადო სუფრაზე, ამ თავით

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაინც დაემტკიცებინათ მათთვის თანაგრძნობა და სიყვარული. ეჩვენებინათ ის სიხარული, რასაც განიცდიდნენ მათი შემოერთებით“. ეს აზრი ეკუთვნოდა დიდ ქართველ მამულიშვილს, საქართველოს კეთილდღეობისათვის თავდადებულს დიმიტრი ყიფიანს. ეს წინადადება დიდი სიამოვნებითა და სიხარულით მიიღო ქართველმა ინტელიგენციამ. ამის შესახებ სერგეი მესხი გვაცნობებს: „ამ მიზნით სადილი მოეწყო მუხრანსკის სასახლის კლუბის დიდ დარბაზში, საზოგადოებამ დღის ორ საათზე დაიწყო თავმოყრა, სამამდე მოგროვდნენ ყველანი, ვინც კი საქართველოს დედაქალაქში წარჩინებული და გამოჩენილი იყვნენ თავის ჭკუით, ჩამომავლობით თუ ჩინებით“.

მასპინძელთა რიცხვი 90 კაცამდე იყო, ხოლო სტუმართა რიცხვი 16 კაცი. დეპუტაციის გარდა ნადიმს ესწრებოდა მაიორი შერიფ-ბეგ ხიმშიაშვილი.

სამ საათზე დიმიტრი ყიფიანმა საზოგადოება მიიწვია სუფრასთან.

სუფრა გამართული იყო სამი მხრით.

შუაში დაბრძანდა გრ. ორბელიანი, იმას მიუსხდნენ: მარცხნივ ჰუსეინ-ბეგ ბეჟან-ოღლი, მარჯვნივ შერიფ-ბეგ ხიმშიაშვილი. შემდეგ ნური-ბეგ ხიმშიაშვილი, ჰუსეინ-ბეგ აბაშიძე, ჰასან-ბეგ ბეჟანოღლი, ართვინის დეპუტატი მეუფთი-ეფენდი სურმანიძე, მღვდლები, სტუმრები.

სერგეი მესხი დაწვრილებით გვამცნობს ამ ნადიმზე წარმოთქმულ გულთბილ სიტყვებს, რომლებმაც განსაკუთრებული ზეგავლენა მოახდინა იქ მყოფებზე.

ჯერ გრიგოლ ორბელიანი წამოდგა, წარმოთქვა ჩინებული სიტყვა:

„ბატონებო!

რას მოასწავებს დღეს ჩუცნი აქ შეყრილობა? რა გვიხარიან? რასა ვდღესასწაულობთ? კრება ესე წარმოადგენს სასიხარულოს მას სანახავსა, როდესაც ერთის დედისა შვილნი, შავის ბედისა გამო, განშორებულნი, დიდხანს ერთმანეთისათვის დაკარგულნი, — ანაზდეულად, მოულოდნელად, შეჰხვდნენ, იცნეს ერთმანეთი და გადაეხვივნენ გულითადის სიყვარულითა, ჩუცენცა ეგრეთვე საქართველოს შვილნი ვიყავით დაკარგულნი ერთმანეთისათვის საუკუნოების განმავლობაში, ბევრი ვიტანჯეთ მტერთაგან. ბევრი გაოხრება გამოვიარეთ, მაგრამ მაინც კი არ დაგვიწყებია დაშორებულნი ჩუცენნი ძმები, თვალი, გული გვეჭირა თქვენკენ, ბატონებო და ვნატრობდით, როდის ალმოვა ჩუცნთვის მზე შეერთებისა; (ისმის გაცხარებული ტაში)...

გვისმინა ღმერთმა, დიდიხნის დაშორებულ ძმებს ვხედავთ და ვნატრობთ, რომ ეს ჩვენი შეერთება იყოს უკუნითი უკუნისამდე, შეურყევლად, რომ დღეის შემდეგ ჭირშიც და ლხინშიც ვიყვნეთ, ვითარცა დედა საქართველოს შვილნი“.

როგორც სერგეი მესხი გვაცნობებს: გრ. ორბელიანის შემდეგ წამომდგარა დეპუტაციის უფროსი წევრი ჰუსეინ-ბეგ ბეჟან ოღლი და წმინდა ქართულის ენით უდღეგრძელებია დიდი მთავარი დიმიტრი ყიფიანი, პირველი ინიციატორი ამ ნადიმისა, მესამე გამოვიდა სიტყვით და აღნიშნა:

„დღევანდელისთანა დღე დიდი ხანია სანატრელი იყო ჩვენთვის... ერთხელ საქართველო ვრცელი და მაგარი ქვეყანა ყოფილა. ამაზედ გვემოწმებიან — ერთის მხრით — გმირული, საისტორიო საქმეები, რომელსაც თვალწინ წამოგვიყენებს ერთი ცარიელი ხსენება ისეთის სახელისა, როგორც მაგალითად ვახტანგ გორგასლანი, დავით აღმაშენებელი, დიდი და დიდადმნათი თამარ მეფე. მეორეს მხრით გვემოწმებიან ისეთი ხუროთმოძღვრებითი ამოსაკითხვები, როგორიც მაგალითად, ციხე-სიმაგრეები და ტაძრები შიგნით, და ტაძრები გარეთ დიდის სიშორიდამ, რომ მოგვითხრობენ ქართველობის ქველობას — ათონის მთიდამ იერუსალიმამდე“. დიმიტრი ყიფიანი მიმოიხილავს საქართველოს წარსულ ვითარებასა და შემდეგ მადლობას უხდის რუსთა იმპერატორის ძლიერებას.

დიმიტრი ყიფიანის შემდეგ ყველას გულისნადები გამოხატა აკაკი წერეთელმა.

„ბატონებო!

ბევრი ქართული ლხინი გვინახავს, ხშირად დავსწრებივართ ქართულს სუფრაზედ, სადაც ჩვეულებრივი მოლხენა და გულგახსნილობა ყოფილა.

მაგრამ ისიც კი არ დაგვრჩენია შეუნიშნავად, რომ ხანდახან იმ მოლხენის დროს ზოგიერთ მოლხინე ქართველების მხიარულ სახეს ჭმუნვის ღრუბელი გადაკვრია...

დღევანდელი ლხინი კი, ვხედავთ, სხვაგვარია: მხიარულება უნაკლულო, და სიხარული ულრუბლო და რას მივაწეროთ ეს? თუმცა თუ თვითეული თქვენგანიც კარგად გრძნობს ამას, მაგრამ მე მაინც ვიტყვი, რომ ამის მიზეზია დროთა ვითარებისაგან დაშორებული ჩვენი მოძმეების, რომლის წარმომადგენლებიც აქა ბრძანდებიან, დღეს ხელახლად ჩვენთან შემოერთება და ძმურად შეკავშირება.

დიახ, ბატონებო, დღეს ჩვენ შეგვიძლიან მივიდეთ ჩვენის წინაპრების საფლავებთან და ჩავძახოთ, რომ მათი ანდერძი ჯერ კიდევ არ გაგვიფუჭებია.

და რა იყო, ბატონებო, ეს ანდერძი?... აქ მე ნამეტანს არას ვიტყვი. ეს ანდერძი იყო დედა ენა და ერობა! ამაების სადიდებლად ბევრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

შრომა გაუწევიათ და დიდი მსხვერპლი შეუწირავთ ჩვენ ნეტარხსენებულ მამა-პაპებს.

პირველი, ე. ი. ენა, ისე მდიდრულად შეუკაზმავთ და ისეთი გემოც მიუციათ, რომ ჯერ კიდევ ვერ მოგვიხერხებია მისი დავიწყება და არათუ ჩვენ, იმ მოძმეებსაც, რომელნიც რამოდენიმე საუკუნეების განმავლობაში დაშორებული გვყავანდნენ, იმათაც კი შერჩენიათ დედა-ენა ტკბილად სასაუბროდ.

ახლა ვხედავთ, ჩვენი წინაპრების დანაპირები აქეთაც და იქეთაც შენახულა და ამით ჩანს, რომ ჩვენს შორის ძმური კავშირი თურმე არასდროს ყოფილა მოშლილი.

მეორე — ე. ი. ერობა, ისე მდიდრულად შეუმუშავებიათ და ისეთ გვარად დაუბეჭდავთ, როგორც გარეგანის ისე შინაგანის საკუთხად. ქართველ ერს საფუძვლიანი ნიშნებით, რომ დღესაც ქართველი ერთის შეხედვისთანავე იცნობა. ესევე ნიშნები დარჩენია ჩვენს მოძმეებსაც, ამის დასამტკიცებლად შორს ნუღარ წავალთ. საკმაოა, რომ აქვე ამ სუფრაზედ მივიხედ-მოვიხედოთ.

ახლა ვხედავთ, რომ ჩვენი წინაპრების დანაპირები იქითაც და აქეთაც შენახულა და ამით ჩანს, რომ ჩვენს შორის ძმური კავშირი თურმე არასდროს არ ყოფილა მოშლილი.

დიახ, დღემდი თუ ცალკცალკე შეგვინახავს ეს ანდერძი, დღეს უფრო ადვილად და ძლიერად ავასრულებთ, თუ კი ძმურად მივსცემთ ერთმანეთს ხელს. დავადგებით ერთს გზას და მივმართავთ ერთ მიზანს. მაგრამ რომ კიდევ უფრო გავძლიერდეთ, ვიცნოთ ჩვენი თავი, დავაფასოთ ჩვენი წინაპრები და თვალ-ყური ვადევნოთ დრო და ვითარებას.

...საჭირო არის, რომ ვიცოდეთ ჩვენის შვილების გამოზრდა... მივცეთ გზა განათლებისა, საჭირო არის და შემდეგ მათ ენერგიასა და ცოდნას ძმებმაც დავახმაროთ ჩვენი გამოცდილება და ისე შეერთებულად ვილვაწოთ, რომ ჩვენს წინაპრებთან პირშავად არ დავრჩეთ...“

აკაკი წერეთლის სიტყვა ხანგრძლივი ტაშის გრიალითა და „ბრავოს“ ძახილით დაგვირგვინდა.

ბოლოს სერგეი მესხი დაასკვნის: ჩვენ ვიპოვეთ ჩვენი დაკარგული ძმები. ჩვენ ახლად შევიძინეთ ჩვენი თანამემამულენი, რომელიც შავ ბედის ბრუნვისაგან თითქმის სამი საუკუნის განმავლობაში გვყავანდნენ მოშორებულნი, განცალკევებულნი, ჩვენ ისინი შევიძინეთ. იმათ ჩვენ შეგვიძინესო. და დაასკვნის „ამ დღეს საქართველოს შვილნი განაწილებულ საქართველოს შეერთებას ვდღესასწაულობდითო, ეს იყო ჩვენი მხიარულების და ნეტარების უმთავრესი მიზეზი. ამით აქვს ამ დღეს 1878 წლის 20 ნოემბერს ჩვენთვის ისტორიული მნიშვნელობაო“. ასეთი დიდი სიხარულით შეხვდა ქართველი ინტელიგენცია სამხრეთ საქართველოს შეერთებას დედა სამშობლოსთან.

როგორც სერგეი მესხი გვაცნობებს: იმ დროს ილია ჭავჭავაძე თბილისში არ იმყოფებოდა, მაგრამ დიდი ილია გვერდს როგორ აუვლიდა ასეთ დიდმნიშვნელოვან საკითხს, როგორიცაა გამაჰმადიანებულ ქართველთა შემოერთება დედა სამშობლოსთან.

1879 წლის „ივერიაში“ იანვრის „შინაურ მიმოხილვაში“ ვკითხულობთ: „ჩვენი ძმები, ჩვენი სისხლ-ხორცი, ჩვენთან ერთად მებრძოლი შავის ბედისა, ჩვენი გმირების ბუდე, ჩვენი მესხეთი, ჩვენი განათლებისა და სწავლის აკვანი, ჩვენი ძველი საქართველო დღეს ჩვენ შემოგვიერთდა“. ილია ჭავჭავაძეს არაფერი არ გამორჩენია მხედველობიდან, მოიხსენიებს იმ მებრძოლებს, რომელთაც ამ ომში მონაწილეობა მიიღეს და თავი შესწირეს. „ივერია“ აღნიშნავს „ამ ომში ბევრი ქართველი ვაჟკაცი დაიღუპა სახელოვანის სიკვდილით და მათი სახელი არავის არ უხსენებია, „...საწყალნო: ეგრე გულ-გმირად თავდადებულნო ყმაწვილნო კაცნო! თქვენ საცა ჭირი იყო, პირველნი იყავით, ნებით თუ უნებლიეთ და საცა ლხინი იყო — უკანასკნელნი! სახელი და დიდება თქვენც, რომელნიც ბედმა სიკვდილისაგან გიხსნათ, რომელთაც ნებით თუ უნებლიეთ აჩვენეთ ქვეყანას, რომ ვაჟკაცობა ქართველობისა უქმი სიტყვა არ არის...“ რომ თქვენ გიცნობთ ჯარი და უბრალო ჯარისკაცნი და სხვა არავინ ზედაც არ გიყურებთ ჩვენშიო. თქვენი სახელი და დიდება სხვამ დაისაკუთრაო. სხვამ დაინარჩუნაო. ამდენის მსხვერპლის შედეგად დიდი ხნის დაშორებული ძმანი ერთმანეთს შეგვყარაო, რომ ამ დიდს საქმეს ძმათა შეერთებისას ჩვენი საკუთარი სისხლი ზედ გადაესხა, მიიღო კიდევ ჩვენი სისხლში ამოვლებულმა ბედმა ჩვენი სისხლის შესაწირავი!... „ნუთუ უსისხლოდ ჩვენ ბედი არას გვითმობს?“

ამ სტატიის უმთავრესი მიზანი შემდეგ სიტყვებში ვლინდება: „ეხლა ჩვენ ერთი დიდი და უდიდესი მოვალეობა გვაწევს. ძმებს ძმურად უნდა დავხვდეთ ყველგან და ყოველიფერში: უნდა იმათთვისაც ვიზრუნოთ, — როგორც ჩვენთვის, იმათთვისაც თავი გამოვიდოთ, როგორც ჩვენთვის, თუ ჭირში ვუძმეთ, ჭირში მივეშველენით, — ჩვენი ერთმანეთის დაურღვეველის კავშირის გაბმაც უეჭველია.

ეს ისმინეთ და გაიგევით ქართველობავ! რა გვიხსნის გზას მაგ კავშირის გაბმისათვის? ერთი უებარი სახსარია სწავლა, ცოდნა და მეცნიერება. აი, წამწყმენდელი ყოვლის უთანხმოებისა, დამადგინებელი ყოვლის ერთობისა, ამამაღლებელი ადამიანისა! აი ჭირთა ამხდელი სახსარი, კეთილდღეობის მომფენი ღონისძიება! სწავლა, ცოდნა, მეცნიერება, — ღონეა იმისთანა, რომელსაც დღეს წინ ველარაფერი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვერ აღუდგება: ვერც მუშტი, ვერც ხმალი, ვერც ჯართა სიმრავლე. ცოდნა უძლეველი ფარია არსებობისათვის“.

ასეთია ჟურნალ „ივერიის“ ბრძნული რჩევა მოძმეთა შორის კავშირის განსამტკიცებლად.

ამ წერილს ხასწრაფო, სათანადო ღონისძიებანი მოჰყვა. № 243-ის 28 ნოემბრის გაზეთ „დროებაში“ ვკითხულობთ: „გორის სამასწავლებლო სემინარიაში გაიხსნა ცალკე განყოფილება, რომელშიაც მაჰმადიანის სარწმუნოების ყმაწვილებმა უნდა ისწავლონ, და მოემზადნენ მასწავლებლებად. ამ თავით ხსენებულ სემინარიაში მაჰმადიანების შვილებისათვის ორმოცი ვაკანსია არის დანიშნული“...

ხოლო ილია ჭავჭავაძემ „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ სხდომაზე განიხილა ბათუმში ქართული სკოლის დაარსების საკითხი და 1881 წელს კიდეც გაიხსნა სკოლა.

ამ სასიხარულო ფაქტს მოჰყვა ბევრი სამწუხარო ამბებიც: ომის შედეგად განადგურებული სოფლების მცხოვრებთა საშინელი, აუტანელი გაჭირვება. თ. წერეთელმა საგანგებოდ იმოგზაურა ახლად შემოერთებულ ადგილებში. დაწვრილებით აღწერა ომისაგან განადგურებული მოსახლეობის გაჭირვებული ცხოვრება. 1876 წლის თებერვლის „შინაურ მიმოხილვაში“ ილია ჭავჭავაძე წერდა:

„ყოველი მხრიდან ისმის, რომ ჩვენი მოძმენი აჭარლები და ქობულეთელები ძალიან ცუდს მდგომარეობაში არიან და ნუგეშსაც, ჯერ — აქამომდე არსაიდან მოელიან... ხელი გაუწოდე შენს დებსა და ძმებსა, რომელნიც დღეს შენთან მოვიდნენ...“

და ბოლოს მიმართავს:

„შეეწიეთ რითაც შეგვიძლიან, ფულით, საჭმლით, საცმელით, ხორაგით! ამას ითხოვს ყველასათვის, საზოგადოდ, კაცთმოყვარეობა და ჩვენთვის კი საკუთრად, ზნეობითი მოვალეობაც ძმისა ძმის წინაშე“.

...„ივერიისა“ და „დროების“ რედაქციები ყოველ-დღე მზად არიან მაგ შეაწირავთა მისაღებადო, ილია ურჩევს შემწირავთ, რომ „დროების“ რედაქციას მიმართონ, რადგანაც ყოველდღე გამოდის და გაზეთს შეეძლება ყოველ დღე აუწყოს საზოგადოებას შეწირულის ფულის ანგარიში და ამასთანავე შემწირველთა გვარებიო.

და კვლავ მოწოდება:

„აბა ქართველობავ, ახლა შენ იცი, როგორ დაანახვებ თავს ახლად შემოერთებულს ძმებს და როგორ დაუმტკიცებ... ქვეყანას მამა-პაპათა ანდერძს „ძმა ძმისთვისა და შავ დღისთვისაო“.

1879 წლის 24 თებერვალს, შაბათს, გამოცხადდა საბოლოო მორიგება. ქართველთათვის ყველაზე შესაწუხებელი და თავზარდამცემი იყო მუხლი მეშვიდე, რომელშიც ეწერა: „...ამ ქვეყნების მცხოვრებლებს, რომელნიც ოსმალეთმა დაუთმო რუსეთს, უფლება აქვთ, თუ მოინდომებენ, სამის წლის განმავლობაში გაჰყიდონ ყველაფერი და გადასახლდნენ საცა ჰსურთ. ამ ვადის შემდეგ ხსენებული ადგილების მცხოვრებნი რუსეთის ქვეშევრდომად ჩაითვლებიან“. ამ ხმას აჰყვნენ, თუ გაჭირვება აიძულებდათ, სამწუხაროდ, ზოგიერთი მცხოვრები მართლა მიდიოდა ოსმალეთში. ჯერ რუსულმა გაზეთმა „გოლოსმა“ გამოაქვეყნა კორესპოდენცია და მერე სხვა გაზეთებშიც გადაბეჭდეს. ამ სამწუხარო, შემაძრწუნებელმა ამბავმა, რომ აჭარა-ქობულეთელები ოსმალეთში გადასახლებას აპირებენო, შეაწუხა და ალაშფოთა მთელი საქართველო.

ილია ჭავჭავაძე კითხულობს: „მერე როგორ? თავის მამა-პაპეულს ბინას, სახლს, კარს, მამულს, დედულს, მამათა სალოცავს, მამათა საფლავს, — სულ ყველაფერზე ხელს უნდა აღებდეს ხალხი და ოსმალეთში მიდიოდეს, რაგონილა?“ ამ ამბავმა მთელი ქართველი საზოგადოება ალაშფოთა.

საქართველოდან აჭარა-ქობულეთში მიდიოდნენ ქართველი ხალხის საუკეთესო შვილები: გ. წერეთელი, თ. წერეთელი, ზ. ჭიჭინაძე და სხვები. სწავლობდნენ მათ მდგომარეობას, იკვლევდნენ, იწერდნენ მათს გულისტკივილს და გაზეთებით აცნობდნენ ქვეყანას მათ გაჭირვებას და საჭიროებას.

თ. წერეთელმა შემოიარა მთელი ახლად შემოერთებული ტერიტორია, აწერდა მათი გაჭირვებისა და წუხილის მიზეზებს და უამბობდა ხალხს გაზეთების საშუალებით.

ზოგი მცხოვრები ეუბნებოდა... ოთხასი წელიწადია თათრების ხელში ვართ, სულით, გულით შევუერთდით, შევეჩვიეთ და უცებ მოგვშორდით, სანამ შევეჩვეოდეთ მოგვიარეთ, ნუ დაგვაბეჩავებთ, გვეხიზმარავეთ (იზრუნეთ ჩვენთვის) ჩვენც გეხიზმარებითო.

ზოგნი კი აცხადებდნენ, ჩვენ ბეგების ლაპარაკს როგორ ავყვებით, ოსმალეთში როგორ გადავიხიზნებით, აქ ბეგები მაინც აღარ გვეყოლებიანო.

ზოგიერთი გამაჰმადიანებული, ოსმალეთში გაქცეული ქართველი უკანვე უბრუნდებოდა თავის დანგრეულ სახლკარს. ქართველმა ხალხმა გამოიღო ხელი მათ დასახმარებლად.

ძმურმა დახმარებამ ბევრი გამაჰმადიანებული ქართველი გადაარჩინა ოსმალეთში გადასახლებას.

მას შემდეგ ასი წელი გავიდა. ახლა აჭარა-ქობულეთი, საქართველოს უძველესი მხარე, ზეიმობს ოსმალთა განთავისუფლებიდან მეასე წლისთავს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

*გიორგი ეკიზაშვილი*

# აბსურდის ცნებისათვის ალბერ კამიუს ფილოსოფიაში

ალბერ კამიუს მსოფლალქმის ძირითადი ნიშნების კვლევისას პირველ რიგში ის საკითხი უნდა გაირკვეს, თუ რამდენად გამართლებულია კამიუს ფილოსოფიაზე ლაპარაკი. ხშირ შემთხვევაში ამა თუ იმ შემოქმედის პირად განცხადებაზე დაყრდნობა, მისი სრული ნდობა მკვლევარს ჩიხში მოაქცევს. ამასთან ერთად არ შეიძლება ყურად არ ვიღოთ თვით კამიუს თხოვნა, არამც და არამც არ აიყვანონ იგი ფილოსოფიის რანგში და მისი ნააზრევი, რაც მისივე მტკიცებით საკუთარი გამოცდილებით მიღებული სიცხადეების გადმოცემის ცდაა, ფილოსოფიურ სისტემად არ მონათლონ.

როდესაც მწერლის მსოფლმხედველობაზე საუბრობენ, ჩვეულებრივ გულისხმობენ მისი „ხედვის არეს“, ანუ რიგს იმ პრობლემებისა და საკითხებისა, რომელსაც მისი შემოქმედება მოიცავს და უფრო მეტად კიდევ იმას, თუ რა კუთხით მიუდგება იგი ამ პრობლემების გადაჭრას, რა გაკვეთილებს გამოიტანს თავისი გმირების გამოცდილებიდან და ქცევის რა ნორმებს უქადაგებს მკითხველს.

მწერალს სრულიადაც არ ევალება ფილოსოფიური ტრაქტატებით გაუმაგროს ძირი თავის ნაწარმოებებს. დოსტოევსკის ერთი ფილოსოფიური ესეც არ შეუქმნია, მის ფილოსოფიაზე კი მკვლევარები დღესაც კამათობენ. მაგრამ ერთია ფილოსოფია, რომელიც მწერლის, ხელოვანის მთელი შემოქმედებითი მემკვიდრეობის შეცნობისას ყალიბდება და სულ სხვაა, როცა ესა თუ ის მწერალი თვით გვთავაზობს თავის თეორიულ შეხედულებებს ცხოვრების აზრისა და ადამიანური არსებობის პირობების შესახებ. კამიუ სწორედ ამ უკანასკნელთ განეკუთვნება. სამართლიანობა მოითხოვს ისიც აღინიშნოს, რომ კამიუ თავის დროისათვის ერთადერთი არ იყო ვინც მოიწადინა ფილოსოფიურად „გაეშიფრა“ თავისი მხატვრული ქმნილებანი ან პირიქით, მხატვრული ნაწარმოებები თავისი ფილოსოფიური მოძღვრების ილუსტრაციად ექცია.

თავის ინტერვიუში, რომელიც 1945 წელს დაიბეჭდა ჟურნალ „Servir“-ში კამიუმ განაცხადა: „მე არ ვარ ფილოსოფოსი და არც იმდენად ვენდობი გონებას, რომ სისტემის ღირებულება ვიწამო. მთავარი, რაც მაინტერესებს, ეს არის ცოდნა იმისა, თუ როგორ მოვიქცევი. უფრო ზუსტად როგორ უნდა მოიქცეს ადამიანი, რომელსაც არც გონებისა სწამს და არც ღმერთისა“. ფილოსოფიურ სისტემათა მტრობა ექსისტენციალისტური ფილოსოფიის ერთი მთავარი თვისებაა. ამიტომ იგი კამიუსთვის არგუმენტად აღარ გამოდგება. ევროპული ექსისტენციალიზმის „რეანიმატორი“ კიერკეგორი თავის დროზე იმას ნანობდა, რომ მისი სიკვდილის შემდეგ ფილოსოფიის მკვლევარები შეეცდებიან მის შემოქმედებას მკაცრი ფილოსოფიური სისტემის სახე შესძინონ. ნიკოლოზ ბერდიაევი თავის წიგნში „შემოქმედების თავისუფლება“ წერს: „მოვა დრო, როცა ცხადი გახდება, რომ ფილოსოფოსობს ადამიანი და იგი ამას სჩადის ისევ და ისევ ადამიანისათვის და რომ ყოველი სისტემის მიღმა ადამიანი დგას“. კამიუს შემოქმედებითი მემკვიდრეობა სწორედ იმ პრობლემებს მოიცავს, რომელსაც ექსისტენციალისტური ფილოსოფია თავისი დაკვირვებისა და შესწავლის საგნად ხდის. ამიტომაც ამ ნაკადის წარმომადგენელთა რიგში კამიუს ჩაყენება სრულიად სამართლიანია.

ბევრი კრიტიკოსი კამიუს ცნობილი ფრანგი მორალისტების (მონტენი, პასკალი, ვოლტერი, შამფორი) ტრადიციების გამგრძელებლად მიიჩნევს. ჟან საროჩი, რომელმაც მთელი მონოგრაფია მიუძღვნა კამიუს, ასე იწყებს თავის ნაშრომს: „კამიუ მორალისტია, რადგან იგი ჭეშმარიტების ძიებაზე მეტად ადამიანურ ღირებულებათა აღმოჩენას ესწრაფვის“. ჟან პოლ სარტრიც ეთანხმება ამგვარ შეფასებას, როდესაც წერს: „კამიუ ჩვენს საუკუნეში არის მემკვიდრე ფრანგი მორალისტებისა, რომელთა ნაწარმოებები აყალიბებენ ფრანგული ლიტერატურის ორიგინალურ ნაწილს“. რას წარმოადგენს ის ღირებულებანი, რომელნიც საფუძვლად ედება ადამიანურ ეთიკას და ადამიანურ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

არსებობასაც გარკვეულ აზრს ანიჭებენ? ამ კითხვაზე პასუხის გაცემის ცდაა ალბერ კამიუს ფილოსოფიური ესსე „სიზიფის მითი". ამ წიგნის ავტორობამ კამიუ თანამედროვეთა თვალში „აბსურდის მეხოტბის" გვირგვინით შემოსა, თუმცა კი კამიუ დაჟინებით ითხოვდა, რომ ეს ნაშრომი მისი აზროვნების „ნულოვან წერტილად", მისი აზრის ევოლუციის საწყის ეტაპად მიეჩნიათ.

თავდაპირველი განზრახვით ესსე უნდა ყოფილიყო ვრცელი მსჯელობა თვითმკვლელობის პრობლემაზე. ნაშრომის პირველი თავი „აბსურდი და თვითმკვლელობა" ასე იწყება: „არის ერთადერთი ჭეშმარიტად სერიოზული ფილოსოფიური პრობლემა: თვითმკვლელობა. დადგენა იმისა, ღირს თუ არა ცხოვრება იმად, რომ იცხოვრო, ნიშნავს პასუხი მოუძებნო ფილოსოფიის ძირითად კითხვას". უკვე აქედანვე მჟღავნდება კავშირი თვითმკვლელობასა და აბსურდს შორის, რადგან თვითმკვლელობა თვით წარმოაჩენს ადამიანური არსებობის გონიერების საკითხს. დოსტოევსკის „ეშმაკების" გმირი კირილოვი თავს იმიტომ იკლავს, რომ უღმერთო სამყაროში, ამ აქტს ადამიანის თავისუფალი ნების უმაღლეს გამოვლინებად მიიჩნევს. ამრიგად, მისთვის თვითმკვლელობა ადამიანის ძლიერების მანიშნებელია. კამიუ სრულიად საწინააღმდეგო პოზიციაზე დგას. მისი აზრით, თვითმკვლელობა ადამიანის მიერ საკუთარი უძლურების აღიარებაა. ეს არის კაპიტულაცია ცხოვრების წინაშე. კამიუ თვითმკვლელობის კიდევ ერთ ღრმა საფუძველს აღმოაჩენს — ადამიანის მიერ საკუთარი არსებობის უაზრობის უეცარ ხილვას, რაც იწვევს უეჭველ კატასტროფას. თითოეული ჩვენთაგანი ცხოვრობს ისე, როგორც ყველა მის გვერდით მყოფი. ყველას აქვს თავისი ინტერესები და საქმიანობა, ჩვეული რიტმი ცხოვრებისა, სამსახური, ახლობელთა წრე, საყვარელი გართობა. და აი, უცაბედად ყოველდღიურობის რიტმი ირღვევა, ყველაფერი სახეს იცვლის. ადამიანი თითქოს ახლა შეიცნობს საკუთარი ჟესტების და მოქმედებების უსაფუძვლობას. „ნებაყოფლობით სიკვდილი, — წერს კამიუ, — გულისხმობს იმას, რომ ადამიანმა შეიცნო, თუნდაც ინსტიქტურად, ჩვევათა სასაცილო ხასიათი, არსებობის უსაფუძვლობა და ყოველდღიური ფუსფუსის უნაყოფობა". თუ კი ამ „შეცნობამდე" ყველაფერს აზრი ჰქონდა, ეს იმიტომ, რომ ადამიანი შეეჩვია ცხოვრებას და ყოველდღიურობის მანქანურ რიტმს აყოლილს, აზრადაც არ მოსვლია საკუთარი ყოფიერების გონივრულობაზე ეფიქრა. უმთავრესი ხასიათი ჩვევისა იმაში მდგომარეობს, რომ იგი მიაძინებს გონებას. ის მოქმედებანი, რომელთაც ყოველდღიურობაში ჩაძირული ადამიანი ასრულებს, გონების ჩარევას არ ითხოვს. ე. წ. „მინერალური არსებობის" დონეზე დასული ადამიანის გონებას არაფერი აღელვებს. იგი არაფერზე არ მსჯელობს და ყველაფერს ერთნაირი გულგრილობით იღებს. მაგრამ დგება „ჟამი შეცნობისა". ეს ის წუთია, როცა გონება იღვიძებს და აღმოაჩენს, რომ ყოველივე, რაც აქამდე მისთვის ესოდენ ჩვეული, ახლობელი და ნაცნობი იყო, კატასტროფული სიჩქარით შორდება. სამყარო, რომელიც განუყოფელ ნაწილად საკუთარ თავს მიაჩნდა, უხეშად იშორებს მას და ადამიანიც სულ უფრო ნათლად ამჩნევს „უცნობის ნესტიან ცქერას". კამიუს აზრით, საკუთარი უცხოობის შეგრძნებაა ის პირველი ბიძგი, რომელიც აიძულებს გონებას ამოქმედდეს, ყოველივეს ახალი თვალით შეხედოს და ღირებულებათა გადაფასება მოახდინოს. „სამყარო, რომლის ახსნა, თუნდაც არასრულყოფილი ხერხებით შესაძლებელია, შინაურული ხდება ადამიანისათვის, — წერდა კამიუ, — მაგრამ ერთბაშად ილუზიებსა და სინათლისგან დაცლილ სამყაროში ადამიანი უცხოდ გრძნობს თავს. ეს განდევნილობა საბოლოოა, მას თან არ ახლავს არც დაკარგული სამშობლოს გახსენება და არც აღთქმული ქვეყნის იმედი". საკუთარი უცხოობის ხილვა მტანჯველი შეგრძნებაა. ალბერ კამიუმ, როგორც ამას თვით მოგვითხრობს, საკუთარ თავზე განიცადა ეს გრძნობა ჩეხოსლოვაკიაში მოგზაურობისას. სწორედ აქ, თავის სამშობლოს მზიურ ნაპირებისგან შორს, შეიგრძნო მწერალმა „არსებობით გულისრევა". „სიკვდილი სულში" ასე უწოდა მან თავის პატარა ნოველას, რომელშიც სცადა [illegible] დაშორებული, უცხო ატმოსფეროში მოხვედრილი მოგზაურის განცდები გადმოეცა. „ჩემს გარშემო ყველა უცნობი იყო და ყველანი თავისი ცხოვრებით ცხოვრობდნენ. მათი არსებობიდან მე არაფერი მეკუთვნოდა. ათასობით კილომეტრი მაშორებდა ჩემს მშობლიურ მხარეს. მე არ მესმოდა ამ ადამიანების ენა. ქუჩაში გამვლელები მისწრაფდნენ და სწრაფად მშორდებოდნენ. თავგზა ამებნა". ეს უკვე პირველი სიმპტომებია ღრმა წუხილისა, ნიშნებია იმ აღმოჩენისა, რომელიც უცხო მხარეში გადახვეწილ ყველა მოგზაურს უფორიაქებს სულს. „და აი, — აგრძელებს კამიუ, — იხდება ჩვევათა ფარდა, ჟესტებისა და სიტყვების კომფორტაბელური ქსოვილი, რომელიც აქამდე სულს ამშვიდებდა, ირღვევა და წარმოჩნდება წუხილის ფერმკრთალი სახე. ადამიანი პირისპირ რჩება საკუთარ თავთან და მე მის ბედნიერებას ვერ ვირწმუნებ. ადამიანსა და საგნებს შორის ღრმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაპრალი ჩნდება“. უცხოობის ამ მოულოდნელ გრძნობას ვერსად დაემალები. კამიუც ცდილობდა დაეძლია კაეშანი, პრაღის ძველი სასახლეები, მუზეუმები, ხელოვნების ნიმუშები — აქ ეძიებდა იგი შველას, მაგრამ მაინც იძულებული ხდებოდა ყოველდღიურობას დაბრუნებოდა. აქ კი ყველაფერს, მისივე სიტყვებით, კაეშნის ბეჭედი ედო. სამყაროსადმი გაუცხოებას, საკუთარი ცხოვრებისადმი გაუცხოება მოსდევს თან. ეს კიდევ უფრო მაღალი ეტაპია გაუცხოებათა რიგში. „სიზიფის მითის“ ავტორი აბსურდულობის შეგრძნებასაც სწორედ ამ სიცხადეს უკავშირებს. „განხეთქილება ადამიანსა და მის ცხოვრებას შორის, აქტიორსა და დეკორაციას შორის — აი ეს არის აბსურდულობის გრძნობა“, — ასკვნის კამიუ.

აბსურდის აღმოჩენაზე როცა ლაპარაკობს, კამიუ პირველ რიგში ხაზს უსვამს მის, თუ შეიძლება ასე ითქვას, „უცაბედობას“. აბსურდი ერთბაშად, ყოველგვარი შემზადების და გაფრთხილების გარეშე წარმოუჩნდება ადამიანს, იგი შეიძლება ზეციურ გამოცხადებას შევადაროთ ან უცაბედ შოკს. აბსურდი ყოველდღიურობაში იმალება და თავის წუთს ელის. აი, როგორ აღწერს ამ პროცესს თვით კამიუ: „დგება დრო, როცა დეკორაციები ირღვევა. დილით ადგომა, ტრამვაი, ოთხი საათი დაწესებულებაში ან ქარხანაში, სადილი, ტრამვაი, ისევ ოთხი საათი შრომა, ვახშამი, ძილი და ასე ორშაბათი, სამშაბათი, ოთხშაბათი, ხუთშაბათი, პარასკევი, შაბათი ერთდაიმავე რიტმში. სწორედ ამ გზის გავლას ვანდომებთ მთელ დროს. მხოლოდ ერთ დღეს წარმოჩნდება ის „რატომ“ და ყველაფერი იწყება გაკვირვებით შეზავებული დაღლილობისაგან. აი ეს არის მთავარი. მანქანური ცხოვრების აქტების ბოლოში დაღლილობაა. მაგრამ ამავე დროს იგია სწორედ პირველი ნიშანი ცნობიერების ამოქმედებისა“. გონება იღვიძებს და ადამიანი ახალი თვალით უყურებს სამყაროს. ცნობიერების ამ საბოლოო გამოღვიძებას აქამდე უხილავი სიცხადეების აღმოჩენა მოყვება თან. აქ ისევ თვითმკვლელობის საკითხს უნდა დავუბრუნდეთ. სამყაროს სახეცვლა ბევრისთვის ძნელად ასატანი ხდება და ბევრსაც არყოფნისკენ, არაფრისკენ უბიძგებს. თუკი ცხოვრება, რომლითაც აქამდე ადამიანი ცხოვრობდა, სამყარო, რომელთანაც ესოდენ გაშინაურებული იყო, ახლა უცხოა მისთვის, რაღა აზრი აქვს ყველაფრის თავიდან დაწყებას? თუ კი ადამიანი იძულებულია ეძიოს პასუხი გონების კითხვაზე და ამასთან ერთად გრძნობს, რომ ეხლება მისთვის უცნობ და მისდამი მტრულად განწყობილ საგნებს, კამიუს სიტყვებით აბსურდის კედლებს, მაშინ შეიძლება უმჯობესი იყოს ყველაფრის ერთი დარტყმით განადგურება, სამყაროს იგნორირება... ყოველივე ამას ერთი სირთულეც ახლავს თან. გონების მიჩუმება აღარ შეიძლება. იმ პირველ „რატომს“ უამრავი კითხვა სდევს. კამიუს დღიურებში ერთი ასეთი ჩანაწერიცაა — იტალიაში მოგზაურობისას მუზეუმებში მას ხშირად უნახავს პატარა შავი დაფები, რომლებსაც სიკვდილმისჯილთ ააფარებდნენ თვალებზე განაჩენის აღსრულებისას. ეს იყო ილუზიური გაქცევა იმისგან, რაც აუცილებლად უნდა მომხდარიყო, იმედგადაწურული ადამიანის საბოლოო ცდა თვით სიკვდილის უარყოფისა. სწორედ ასეთ გაქცევას წააგავს გონების მიჩუმების, ისევ ძილის მდგომარეობაში მისი დაბრუნების სურვილი. თვითმკვლელობაც გონების მოშთენაა და კამიუ სწორედ ამიტომ ერთხელ და სამუდამოდ უარყოფს ამ გზას. გონება, ცნობიერება ის ერთადერთი შესაძლებელი სიმდიდრეა, რომელსაც, კამიუს აზრით, ადამიანი ფლობს. მაშინ, როცა ახალი ღირებულებების ძიების დრო დგება, სწორედ გონება უნდა იყოს ადამიანის ერთგული მხლებელი. ამიტომაა, რომ გონების შენარჩუნებაში ხედავს კამიუ ადამიანურ ღირსებას, რადგანაც როგორც თვითონ აცხადებს „ყველაფერი ცნობიერებით იწყება და ყველაფერს ის ანიჭებს ღირებულებას“. ამრიგად, პირველი ალტერნატივა გადაწყვეტილია — თვითმკვლელობის გზა უკუგდებულია. ადამიანს ისღა რჩება, რომ გააგრძელოს ცხოვრება, მაგრამ ახლა მთელი მისი არსებობა ახალ წესს უნდა აჰყვეს. ეს ის წესია, რომელსაც აბსურდის ხილვა კარნახობს ადამიანს. აბსურდი მთლიანად ცვლის ადამიანური არსებობის პირობებს. ამიერიდან, იცხოვრო ეს ნიშნავს — აცოცხლო აბსურდი. ტერტულიანეს ცნობილი ფორმულის მსგავსად. —აბსურდი უნდა იწამო. „როგორ შემიძლია უარვყო ის, რაც თვალნათლივ წარმოჩნდება, არ შევიგრძნო სიმძიმე იმ ტვირთისა, რომელიც მხრებზე მაწევს?“ — კითხულობს კამიუ და იქვე ასკვნის — „იმ წუთიდან, როდესაც აბსურდს შევიცნობთ, იგი ყველაზე უფრო მტანჯველი და მწველი განცდა ხდება სხვა განცდათა შორის“. „სიზიფის მითის“ ავტორი თავს არიდებს აბსურდის განსაზღვრას. იგი თავის ესსეში მხოლოდ მისი მახასიათებელი ნიშნების ჩამოთვლით კმაყოფილდება. კამიუ აფრთხილებს თავის მკითხველს: „საქმე არ ეხება აბსურდის განსაზღვრას. მთავარია ჩამოთვლა იმ შეგრძნებებისა, რომელსაც აბსურდი გამოააშკარავებს“.

პირველი სიცხადე, რომელიც აბსურდის ფონზე ვლინდება, ადამიანის მიერ მისივე არსებობის „საზღვრულობის“ შეგრძნებაა. იგი დროის ფენომენს უკავშირდება. აქ კამიუ ერთგულად მიყვება ადამიანის სიკვდილის წინაშე ყოფიერების ეგზისტენციალისტურ თეზას. თუ კი აქამდე დრო იმდენად იყო ღირებული ადამიანისათვის, რამდენადაც იგი შესაძლებლობას

ძლევდა მას „შემდეგისთვის“, ხვალისთვის, ან უფრო ხანგრძლივი დროისთვის გადაედო თავისი გეგმების რეალიზაცია, რაც ადამიანის და დროის გაშინაურების ილუზიას ქმნიდა, ახლა იგი ხვდება, რომ ხვალინდელი დღე სულ უფრო აახლოებს სიკვდილს, ანუ იმ ზღვარს, რომელიც იასპერსის გამოთქმა რომ მოვიშველიოთ „— ყოველ შესაძლებლობათა შეუძლებლობას“ გულისხმობს. „დგება დღე, — წერს კამიუ, — როცა ადამიანი ამბობს: მე ოცდაათი წლის ვარ. იგი ამით თავის ახალგაზრდობას ამტკიცებს. მაგრამ ერთდროულად იგი გარკვეულ მიმართებას იკავებს დროისადმი და მასში თავის ადგილს მოიხვეჭს. იგი ხვდება, რომ იმყოფება ერთ განსაზღვრულ მონაკვეთში იმ წრედისა, რომელიც ბოლომდე უნდა გაიაროს. იგი დროს ეკუთვნის და იმ შიშის წყალობით, რომელიც მას აიტანს, დროს თავის უბოროტეს მტრად იგულვებს. იგი მოისურვებს ხვალინდელ დღეს, და ეს მაშინ, როცა ყველაფერი მასში წინააღუდგება ამ სურვილს. სხეულის ეს ამბოხია სწორედ აბსურდი“. ე. ი. სხეულს აშინებს ის, რაც დროის დასასრულს მოელის მას. „ადამიანი უფრო ადრე ეჩვევა სიცოცხლეს, ვინემ იწყებს აზროვნებას“, — აცხადებს კამიუ. იგი, შეიძლება მისდაუნებურადაც, უამრავ ძაფს გააბამს სიცოცხლესთან და ამ ძაფების გაწყვეტა მეტად რთულია. იმ ნოველაში, რომელზეც ზემოთ გვქონდა საუბარი, „არსებობით გულზიდვის“ განცდას თან ახლავს სიკვდილის აღმოჩენა. ბუნებაც და სამყაროც წარმოუჩენენ ადამიანს მის მოკვდაობას. ბუნებისადმი გაუცხოება მაშინ იწყება, როდესაც ადამიანი მისი მარადიულობის ფონზე საკუთარი არსებობის „დასაზღვრულობას“ ჩაწვდება. იგი ხვდება, რომ ბუნება და სამყარო სრულიად გულგრილია მისდამი და რომ შეუძლებელია მათი თანაგრძნობის და მხარდაჭერის მოპოვება. „ჩვენი ბედის მომაკვდინებელი სინათლის შუქზე ხდება მოხილვა სრული უმიზეზობისა. არავითარი მორალი, არავითარი მცდელობა არ შეიძლება აპრიორულად იქნეს გამართლებული იმ სისხლიანი მათემატიკის წინაშე, რომელიც ჩვენს არსებობას აწესრიგებს“, — წერს კამიუ.

აბსურდის შეგრძნების შემდეგი საფეხურია სამყაროს შეუვალობის, შეუღწევადობის შეცნობა. გამოღვიძებულ გონებას სურს ყოველივე, რასაც თავის გარშემო ხედავს, საკუთარ განზომილებამდე დაიყვანოს. მისი უპირველესი სწრაფვა — სამყაროს ერთიანობაში მოხილვაა. მას სურს ადამიანური ენით ახსნას სამყარო და დაუახლოვდეს მას. მაგრამ გონების ყველა ცდა მტრულ დუმილს აწყდება. ჩვევათა რგოლის შლა სამყაროს ნამდვილი სახით წარმოუჩენს ადამიანს. უფრო ადრე ჰაიდეგერი აღნიშნავდა გონების ცდის უნაყოფობას. სარტრისა და სიმონ დე ბოვუარის რომანების გმირებიც სამყაროს საგნების პირისპირ აწყდებიან ადამიანური არსებობის „ზედმეტობას“, სამყაროსა და ადამიანს მარადიულ მტრობას. ფაქტიურად კამიუც ასეთსავე პოზიციაზე დგას: „ყოველი სილამაზის სიღრმეში იმალება რაღაც არაადამიანური, და ეს ბორცვები, ზეცის სიმშვიდე, ხეთა მკრთალი მოხაზულობა კარგავს ერთბაშად თავის ილუზიურ აზრს, რომელსაც მათ თვითონვე ვანიჭებთ და ამ წუთიდან ყოველივე ეს ისევე შორს არის ჩვენგან, როგორც ოდესღაც დაკარგული სამოთხე. საუკუნეების სიღრმიდან მოშვებული პირველსაწყისი შუღლი სამყაროსი ჩვენც გადმოგვეწვდება. ერთი წამი და ვეღარ ვუგებთ მას, რადგან საუკუნეების მანძილზე მასში მხოლოდ იმ ფიგურებს და სურათებს ვარჩევდით, რასაც ადრევე თვითონვე შევძენდით. ახლა კი ძალა აღარ გვყოფნის ასეთი თამაშისათვის. სამყარო გვაგვირბის, რადგან თავის ნამდვილ სახეს იბრუნებს. ეს დეკორაციებიც, აქამდე ყოველდღიური ჩვევებით შენიღბული, თავის ჭეშმარიტ სახეს დაგვანახებს. საგნები სულ უფრო და უფრო გვშორდებიან.

აი, სწორედ ეს შეუვალობა და უცხოობა სამყაროს მიმართ ჰბადებს აბსურდს“. ადამიანის გონება აღიარებს, რომ არ ძალუძს სამყაროს საიდუმლოებათა წვდომა. მსგავსად მეტერლინკის „ლურჯი ფრინველისა“, ისინი მუდამ მოუხელთებელნი რჩებიან, რადგანაც სამყარო აღარ პასუხობს ადამიანური გონების სწრაფვას სიცხადისა და სამყაროს საიდუმლოებათა გააზრებისაკენ. ადამიანს ისღა რჩება, რომ სამყაროს ირაციონალურობა აღიაროს. აქვე უნდა ვეძიოთ აბსურდის ფესვებიც, რადგან იგი ცნობიერებისა და სამყაროს ირაციონალიზმის შეჯახებიდან იბადება. თავისთავად აბსურდი, კამიუს აზრით, არც სამყაროშია და არც ადამიანში. კამიუს ღრმა რწმენით, ადამიანური ცნობიერებაა ის ერთადერთი, თუმცა ყოვლისშემძლე ძალა კი არა, რომელიც შეიძლება აბსურდს დაუპირისპირდეს. რაც შეეხება სამყაროს, მასზე მხოლოდ იმის თქმა შეიძლება, რომ მას არა აქვს გონი და რომ იგი ირაციონალურია. „ეს სამყარო, — წერს კამიუ — თავისთავად უგონივროა — აი ყველაფერი, რის თქმაც შეიძლება მასზე. მაგრამ ის, რაც აბსურდულია, ამ ირაციონალიზმის შეჯახებაა სინათლის თავგადადებულ მოთხოვნასთან, რომელიც ადამიანის სიღრმეებში იმალება. აბსურდი იმდენადაა დამოკიდებული ადამიანზე, რამდენადაც სამყაროზე. ამიტომაა, რომ დღეს იგია მათი ერთადერთი კავშირი: აბსურდი ისეთივე ძალით აერთიანებს მათ, რა ძალითაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

მხოლოდ სიძულვილს შეუძლია ადამიანების გათიშვა. აი, ის, რისი შეცნობაც ძალმიძს თვალნათლივ ამ უკიდეგანო სამყაროში, რომელშიც ჩემი ცხოვრებაა მოქცეული". არაადამიანურობა მხოლოდ სამყაროს არ ახასიათებს, იგი თვით ადამიანებშიც ბუდობს. ეს ის ძალაა, რომელიც ადამიანებს ამორიშორებს, ერთს მეორის ჯალათად აქცევს და მათ შორის უცხოობის გადაულახავ ზღუდეს აგებს. განა ამ ძალის ნიშნის ქვეშ არ იშლება ჟ. პ. სარტრის პიესის „ცხრაკლიტულის" გმირების ტრაგიკული თავგადასავალი? ამ ძალის მოქმედების შედეგია, რომ ესოდენ აუტანელი ხდება მეორეს (autrui) არსებობა, ვინც სარტრის აზრით, გაასაგნებს ყველაფერს, რასაც მისი ხედვა გადაწვდება, სხვისი ხედვის არეში მოქცეული ჩემი „მე" ჰკარგავს თავის სუბიექტურობას და სამყაროს დამახასიათებელ ობიექტურობას შეიძენს. სწორედ ამ მტრული ძალის მეშვეობით ხდება თავისთვისობის (pour-sci) გადასვლა თავისთავადობაში (en-soi) და ჩემი თავისუფლებაც სწორედ იქ თავდება, სადაც იმ სხვისი, ანუ მეორე ადამიანის არსებობა იწყება. ამიტომაა, რომ სხვების გვერდით არსებობა ანუ არსებობა — სხვისთვის, უფერულ და უსახო მასაში, ჰაიდეგერისეულ Man-ში ჩაძირვა, ადამიანის არაჭეშმარიტ არსებობად მიიჩნია ექსისტენციალისტურმა მოძღვრებამ. „ადამიანებიც გამოასხივებენ არაადამიანურს, — ასკვნის კამიუ, — სიცხადის წუთებში მათი ჟესტების მექანიკური ასპექტი, მათი ყოველგვარ აზრს მოკლებული პანტომიმა, სისულელედ აქცევს ყველაფერს, რაც მათ გარშემოა. ვიღაც ტელეფონზე ლაპარაკობს მინის ჯიხურში. სიტყვები ჩვენამდე ვერ აღწევს, მხოლოდ მის უაზრო მიმიკას ვარჩევთ. იბადება კითხვა — რატომ ან რისთვის ცხოვრობს ეს კაცი? სწორედ ეს უხერხულობა, რომელსაც განვიცდით, როცა ადამიანის არაადამიანურობას ვეხლებით, ბადებს აბსურდულობის შეგრძნებას". ამრიგად, ადამიანები ავტომატის დონეზე დადიან და მათი მოქმედების მიზეზებიც ისევე გაუგებარია, როგორც სამყარო, რომელშიც არსებობა უხდებათ მათ. ამიტომაცაა, რომ ეჭვის ქვეშ დგება თვით აზრი და დანიშნულება ადამიანური ცხოვრებისა.

უფრო მაღალ საფეხურად აღიქმება, ზემოთმოტანილ შეხედულებათა ავტორების მიერ, საკუთარი თავისადმი გაუცხოება. ეს შეგრძნება ჯერ კიდევ გონების გამოღვიძების დროს იბადება და იგი ადამიანის მიერ საკუთარი ცნობიერების აღმოჩენას უკავშირდება. ადამიანი, ბუნების შვილი და ადამიანი გონების მფლობელი — აი, ის დუალიზმი, რომელიც კამიუზე ადრე სხვებსაც აფიქრებდა. თუ კი აქამდე შესაძლებელი იყო ბუნების მიერ შემოთავაზებული სიამოვნებით ტკბობა, თუ კი იქმნებოდა ილუზია ბუნებისა და ადამიანის ერთობა — მეგობრობისა, ახლა გონება ამ მასკარადს ველარ გააგრძელებს. იგი საკუთარი არსებობის მიღმა გაიყვანს ადამიანს და მას ახალი კუთხით წარმოუდგენს. საქმე იქამდეც მიდის, რომ სარკეში საკუთარი ორეულის ხილვაც ბადებს შეგრძნებას უცხოობისა და ეს კიდევ ერთი კომპონენტია აბსურდის განცდისა. ადამიანი დარღვეული კავშირების აღდგენას ცდილობს. მას მუდამ თან სდევს დაკარგული ბედნიერების და იმ პირველი ერთობის ნოსტალგია. მაგრამ, საუბედუროდ, საკუთარი გონება ყოველ ნაბიჯზე უმტკიცებს ამ ცდის განწირულობას. კამიუს დასკვნაც ერთობ პესიმისტურად ჟღერს: „აბსურდი იბადება ადამიანური ძახილის და სამყაროს უგუნური დუმილის შეჯახებიდან. ამის დავიწყება არ შეიძლება. უნდა მოვეჭიდოთ ამ სიცხადეს, რადგან ადამიანური ცხოვრების ყველა შესაძლებელი შედეგი სწორედ მისგან გამომდინარეობს. ირაციონალური, ადამიანური ნოსტალგია და აბსურდი, რომელიც მათი დაპირისპირებიდან იბადება — აი, სამი პერსონაჟი ერთი დრამისა". ეს ადამიანური დრამა და ადამიანური ღირსებაც, კამიუს აზრით, იმაში მდგომარეობს, რომ იგი ბოლომდე გაითამაშოს. თუ კი აბსურდის ორი შემადგენელი ნაწილიდან რომელიმე ერთი, ადამიანური გონება ან სამყაროსეული ირაციონალიზმი მოიხსნა და უგულებელყოფილ იქნა, მაშინ აბსურდის მთლიანობა ირღვევა. აბსურდის „ჭეშმარიტებებს" ვერსად გაექცევი. სარტრიც სწორედ ამას უკიჟინებდა კამიუს იმ პაექრობაში, რომელიც მწერლის მეორე ფილოსოფიური ნაშრომის „ამბოხებული ადამიანის" გამოცემას მოჰყვა თან. „კამიუ ცდილობს არ მოანგრიოს ის წინააღმდეგობა, რომელსაც ადამიანის გონებას თვითვე უპირისპირებსო", — აცხადებს სარტრი. შეჯახება, რომელიც აბსურდს აყალიბებს, გარდუვალი და მარადიული ხასიათისაა და ამიერიდან იგი შესძენს აზრს ადამიანის არსებობას. ყველა ის საშუალება, რომელსაც ფილოსოფოსები თავაზობენ ადამიანს, და რომელიც ამ ბრძოლის დათმობას გულისხმობს, კამიუსთვის მიუღებელია. ღმერთის ნებაზე დანდობაც ეკრძალება ადამიანს, რადგანაც აბსურდით თვალხელილი ადამიანისათვის ღმერთისკენ მიმავალი ყველა გზა დახშულია. ეს გონების ღალატს ნიშნავს და კამიუ ამ ცდებს „ფილოსოფიურ თვითმკვლელობას" უწოდებს. გონების სრული ნდობაც არ შეიძლება. იგი არაფერს გვეუბნება სამყაროს შესახებ. მას არ ძალუძს გაარჩიოს კეთილი და ბოროტი, ჭეშმარიტებას და სიყალბე. მაგრამ მიუხედავად ამისა, სწორედ მისი წყალობით აღუდგება წინ აბსურდს ადამიანი. იმედი იმისა, რომ ერთ დღეს გონება ყველა პრობლემას თავის ახსნას მოუძებნის და ნათელს

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოჰფენს, რომ ბოლოს და ბოლოს დაიძლევა სამყაროს ირაციონალიზმი, „კამიუსეულ ადამიანს" არა აქვს. ამის თაობაზე ანდრე ნიკოლა თავის მონოგრაფიაში აღნიშნავს: „უნდა გამოვრიცხოთ იმედი თუ არ გვსურს ვუღალატოთ ადამიანს და გადავუშალოთ მას შეუძლებლის ჰორიზონტები". იმედით ცხოვრება სამყაროს ირაციონალიზმის საკითხის მოხსნასთანაა გაიგივებული. გონება კი რჩება, მაგრამ ქრება მისი ჭვრეტის საგანი და იშლება თვით აბსურდი. აბსურდის შემადგენელი ნაწილებისადმი ადამიანის მიმართება გულისხმობს „ჰოსაც" და „არასაც". ეს არც „აბსოლუტური აფირმაციაა" და არც „აბსოლუტური ნეგაცია". ამრიგად, აბსურდი წარმოგვიდგება, როგორც ერთიანობა, ორი ერთმანეთის წინააღმდეგ მებრძოლი ძალისა. აბსურდის მიღება, როგორც პირველსაწყისი ჭეშმარიტებისა, თავის შედეგებს გამოიღებს. რობერ დე ლუპე თავის ნაშრომში, რომელიც კამიუს ფილოსოფიას მიუძღვნა, წერს: „აბსურდის ხილვა აღვიძებს გონებას და გამოგლეჯს მას ყოველდღიური ჟესტების რიგს. და მაინც უნდა დავუბრუნდეთ ყოველდღიურობას, უნდა ვიცხოვროთ დღიდან დღემდე". კამიუსაც ეს კითხვა აფიქრებს: რას ნიშნავს იცხოვრო მსგავს სამყაროში? „სიზიფის მითში" კამიუ ადგენს ადამიანური არსებობის მიზანს და ადამიანურ ღირებულებათა მთელ სისტემას სთავაზობს მკითხველს. პირველი შედეგი, აბსურდის შეცნობიდან გამომდინარე, პირველი სიცხადე, ადამიანის მიერ ჭეშმარიტი თავისუფლების მოხვეჭაა. „აბსურდი ერთ სიცხადეს წარმოაჩენს: არ არის ხვალინდელი დღე. ეს არის ამიერიდან ჩემი ღრმა თავისუფლების მიზეზი". აბსურდის წესზე აგებულ ცხოვრებაში ყველა ღირებულება ერთმნიშვნელოვანი და ტოლფასია და მოქმედებების რიგიდან არც ერთის გამორჩევა არ შეიძლება. აქედან იბადება გულგრილობის გრძნობა. სიკვდილი ადამიანს აიძულებს აღიაროს, რომ მისი სიცოცხლის ყველა დღე ერთმანეთს გავს, და რომ ადამიანი თავის აწმყოს უნდა მოეჭიდოს. ეს გულგრილობა ადამიანურ აქტებსაც გადაწვდება. ის, რომ არ არსებობს პრივილეგირებული აქტი და რომ არც მიზნებს ჰქონიათ დიდი ღირებულება, კიდევ ერთხელ ადასტურებს ადამიანის თავისუფლებას. „აბსურდის ადამიანი", ე. ი. ის, ვინც, კამიუს განმარტებით, ჭვრეტს აბსურდს და მას უცილობელ სიცხადედ აქცევს, კარამაზოვის მიერ აღმოჩენილ ცხოვრების წესს შეუთანხმებს თავის არსებობას. „ყველაფერი დაშვებულია", — ამტკიცებს დოსტოევსკის გმირი, რომელმაც ღმერთის სიკვდილი იწამა და ისურვა მისი მცნებებისათვის ამბოხებული ადამიანებისათვის მახალები ღირებულებანი შეენაცვლებინა. „აბსურდის ადამიანი" არ არჩევს, რადგან იცის, რომ საბოლოო ჯამში ყველა არჩევანი ტოლფასია. სარტრთან ადამიანი იმდენადაა თავისუფალი, რამდენადაც მას საშუალება აქვს არჩევანისა; კამიუ კი თავის „აბსურდის ადამიანს" არჩევანის აუცილებლობისაგან ათავისუფლებს. ასეთი ადამიანისათვის საზრუნავი ახლა ერთია — რაც შეიძლება მეტი იცოცხლოს. „სიზიფის მითს" კამიუმ პინდარეს სიტყვები დაურთო ეპიგრაფად: „ო, სულო ჩემო! ნუ ესწრაფვი მარადისობას, განვლე ველი შესაძლებლობისა". ხანგრძლივი ცხოვრების საბოლოო მიზანს აბსურდის ადამიანი რაც შეიძლება ბევრი გამოცდილების დაგროვებაში ხედავს. მთავარია, არა როგორ იცხოვრებ, არამედ რამდენს იცხოვრებ. ასე ხდება აბსურდის შუქზე ხარისხობრიობის რაოდენობრიობის შეცვლა.

თავის მკითხველს კამიუ სთავაზობს აბსურდის ადამიანის მოდელებს. პირველი ასეთი მოდელი აქტიორია. ის ერთი ცხოვრების მანძილზე უამრავ გამოცდილებას გაივლის, რადგან სცენაზე განსახიერებული გმირების ცხოვრებით უხდება არსებობა. ეს კი ახანგრძლივებს და ამდიდრებს მისსავე ცხოვრებას. მეორე მოდელი ცნობილი დონ-ჟუანია, ესპანელი იდალგო, ბრწყინვალე და მოხიბვლელი, მანდილოსანთა გულთამპყრობელი. ისიც მსახიობის მსგავსად ერთგულია აბსურდისა, ისიც გამოცდილებებს აგროვებს, არარად აგდებს იმქვეყნიურ სასამართლოს და ჯოჯოხეთის ყველა წუქარას ასე ეპასუხება: „გადამიდე სიკვდილის ვადა!". იგი მზადაა, იმქვეყნიური სიტკბოების შესანარჩუნებლად ზეცასაც კი შეებრძოლოს, ან თვით სიკვდილი გამოიწვიოს ორთაბრძოლაში. „ის, რის სახელითაც მოქმედებს დონ-ჟუანი — წერს კამიუ, — რაოდენობრიობის ეთიკაა. არ იწამო საგანთა ღრმა აზრი — აი, თვისება აბსურდის ადამიანისა... დონ-ჟუანი ქალების კოლექციონერობაზე სრულიადაც არ ფიქრობს. იგი ესწრაფვის მათი რიცხვის და ამასთან ერთად საკუთარი სიცოცხლის შესაძლებლობების ამოწურვას. იგი უარყოფს სინანულს, იმედის ამ ნაირსახეობას". დონ-ჟუანთან ერთად აბსურდის ადამიანის მოდელად კამიუს დამპყრობიც ესახება. ამ უკანასკნელმა კარგად იცის, რომ ბრძოლას არავითარი ფასი არა აქვს, რადგან სამყაროში ყველაფერი ნიველირებულია. რა თქმა უნდა, იგი გამარჯვებას ესწრაფვის, მაგრამ, და აქაც კამიუს სიტყვას მოვიშველიებთ: „ერთადერთი და ჭეშმარიტი გამარჯვება სწორედ ისაა, რომელსაც ადამიანი ვერასდროს ვერ მოიხვეჭს". სწორედ ეს იმედგადაწურული ბრძოლა, ეს მუდმივი პროტესტი შესძენს აზრს მებრძოლის თუ დამპყრობის არსე-

ბობას. მებრძოლის კამიუსეული ტიპი ერთობ ახლოსაა ფრიდრიხ ნიცშეს ზეკაცთან. ისიც ხომ კარგად გრძნობს მთელ სირთულეს მის მიერ არჩეული ცხოვრების გზისა და მიუხედავად ამისა, მაინც „ჰო"-ს ეუბნება მას. ორივე კარგად ჰვრეტს „მარადიულ წრებრუნვას" სიცოცხლისა, მაგრამ ორივე მტკიცედ მიუყვება ერთხელ არჩეულ ბრძოლის, ამბოხის გზას. კამიუს მებრძოლი თავისი მცდელობით ადამიანის სიდიადეს ამტკიცებს. „ყოველი ადამიანი, — წერს კამიუ, — ვარკვეულ მომენტში, თავის თავს ღმერთს უტოლებს და ეს მტკიცება იქედან მოდის, რომ განხილვის ჟამს ადამიანი საკუთარი გონების სიდიადეს წვდება. მხოლოდ დამპყრობთ შესწევთ ძალა და უნარი ასეთი სიმაღლის წვდომისა. მაგრამ მათი ძალები ადამიანურ ძალებს არ აღემატება და ისინი მუდამ ადამიანურის ფარგლებში რჩებიან". ეს მტკიცება იმას უნდა ნიშნავდეს, რომ კამიუს აზრით, მებრძოლის ან დამპყრობის და თუნდაც ზეკაცის საქმე მხოლოდ ერთეულთა ხვედრი არაა, არამედ ყველა იმისა, ვისაც აბსურდი მოუხილავს. მაგრამ იგი არც აქ ღალატობს თავისი მასწავლებლის მრწამსს და „აბსურდზიარებული" ადამიანების რიცხვს სწორედ იმ მოდელებით შემოფარგლავს, რომელსაც თვითონვე შემოგვთავაზებს. ის, რაც აახლოებს ამ მოდელებს, მათი ნათელჭვრეტის უნარია. მათ იციან, რომ ძნელია, შეუძლებელიც კი აბსურდის დაძლევა და ამიტომაც საკუთარ ცხოვრებას ამ ჭეშმარიტებაზე ააგებენ. სხვებზე უფრო ვრცლად, როცა სიტყვა „აბსურდის გმირებზე" ჩამოვარდება, კამიუ ხელოვანზე ლაპარაკობს. ხელოვნება, რომელსაც კამიუს აზრით, აბსურდის გრძნობა ასაზრდოებს, ადამიანური ღირსების კიდევ ერთი მოწმობაა. ეს არის მტკიცება, საკუთარი არსებობის პირობების წინაალმდეგ, ადამიანური ამბოხის სიდიადისა, ეს არის მუდმივი მცდელობა, ბრძოლა, რომელსაც თან ახლავს ადამიანური ძალების უკმარობის შეგრძნება. თუმცა კი ხელოვნება ვერ გადაჭრის აბსურდის წინააღმდეგობებს, იგი კიდევ ერთხელ ამტკიცებს ადამიანის თავისუფლებას. კამიუს აზრით, ხელოვნება ღმერთთან ჭიდილია, რადგანაც იგი ახალ სამყაროს ქმნის, და მას „ღვთის მიერ ბოძებულს" დაუპირისპირებს. ხელოვანი იმასაც გრძნობს, რომ მისი ნაწარმოებები შეიძლება საუკუნეებს ვერ გაჰყვეს, მაგრამ თვით შემოქმედებითი პროცესია მისი არსებობის საფუძველი.

თავის თეორიულ მტკიცებებს კამიუ ერთი მითოლოგიური მაგალითით განამტკიცებს. კამიუს წყალობით, ძველბერძენი მეფე სიზიფეც აბსურდის გმირად იქცევა, და ეს იმიტომ, რომ მითის ახალი ავტორის აზრით, იგი თავისი მოქმედებით, ერთადერთ შესაძლებელ ადამიანურ ღირსებას ამტკიცებს ამ აბსურდულ სამყაროში. ღმერთებმა სასტიკი სასჯელი ადეს სიზიფეს. ძვირად დაუჯდა მეფეს მიწისა და მიწიერი სიამოვნებების სიყვარული. უნაყოფო, უშედეგო შრომა, რომელსაც არ ახლავს იმედი ბედნიერი დასასრულისა — რა უნდა იყოს ამაზე უფრო მტანჯველი ადამიანისათვის? სიზიფე მაღალ მთაზე ეზიდება ლოდს. მწვერვალზე ატანილი ლოდი ძირს გორდება, სიზიფეც ქვემოთ ბრუნდება... და ისევ და ისევ ნიცშესეული „მარადიული წრებრუნვის" პრობლემა დგება კამიუს გმირის წინაშე.

კამიუსთვის მთავარი იყო ერთი რამ, წარმოეჩინა ნათლად: რამეთუ არ ეპუება ღმერთების ნებას, რომელთაც მისი სისუსტის ხილვა სურთ, ბერძნული მითის გმირი საკუთარი და საერთოდ ადამიანის ღირსებისათვის იბრძვის. ეს შეგრძნება ეხმარება მას ლოდთან ჭიდილში. სიზიფეს დამარცხება მრისხანე ღმერთებისა და უსამართლო ბედის წინააღმდეგ მებრძოლი ადამიანის დამარცხება იქნებოდა. ამრიგად, ლოდი, რომელიც სიზიფეს სასჯელი უნდა ყოფილიყო, მისი გამარჯვების სიმბოლოდ იქცევა. ეს ის იარაღია, რომლითაც იგი ღმერთების ნებას შეებრძოლება. სიზიფე თვითონ ირჩევს თავის ბედს, გადააქცევს რა ლოდის ზიდვას თავის პირად საქმედ და თავისი სიჯიუტით ღმერთებზე მაღლა დგება. სიზიფე უფრო ძლიერია, ვიდრე მისი ლოდი. ამიტომაცაა რომ კამიუ „მაჟორული" აკორდით ამთავრებს თავის ნაშრომს: „მე მთის ძირში ვტოვებ სიზიფეს, აქ მას მისი ტვირთი ელის. მაგრამ სიზიფე გვასწავლის იმ უმაღლეს ერთგულებას, რომელიც უარყოფს ღმერთებს და ძლევს კლდეებს. ისიც ფიქრობს, რომ ყველაფერი რიგზეა. მწვერვალებისკენ სვლაც კი ავსებს ადამიანის გულს. სიზიფე ბედნიერი უნდა წარმოვიდგინოთ!" კამიუს სიზიფე დოსტოევსკის „მიწისქვეშა ადამიანს" გვაგონებს. მანაც ხომ იწამა აბსურდის კედლების დაუძლევლობა და როცა ცხოვრების ტრაგიზმი იხილა, გადაწყვიტა კუთხეში მიმჯდარიყო და მტრული ძალისთვის ნიშნი მოეგო. ეს ის ამბოხია, რომლითაც არც ძველის ნგრევა ხდება და არც ახლის შენება. სიზიფეს პოზაც ბედისადმი მორჩილებას გულისხმობს. რჩებიან ღმერთები, რჩება მძიმე ლოდი და სიზიფე, რომელსაც საბოლოო გამარჯვების სიხარულის განცდა არ უწერია. ამიტომაც საეჭვოა, სიზიფეს ბედნიერება. კამიუსთან ერთად, სხვა ბევრმაც იწამოს. ადრეც აღვნიშნეთ, რომ აბსურდი და აბსურდულობის განცდა, კამიუს ფილოსოფიური აზრის საწყისი ეტაპია მხოლოდ, მისი მსოფლხედვის ამოსავალი წერტილია. კამიუც მრავალგზის ხაზგასმით აღნიშნავდა ამ ფაქტს: „თუ კი სარტრი აბსურდს თავისი ფილოსოფიის ბოლო პუნქტად მიიჩნევს და „არსებობით გულზიდ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვის“ იქით ვეღარ იხედება, მე აბსურდის ლოგიკა და კიდევ უფრო იმ გზების ძიება მიტაცებს, რომელთა საშუალებით თვით აბსურდის დაძლევა უნდა მოხდესო“, — წერდა კამიუ. „სიზიფეს მითის“ ფილოსოფია კამიუს აზრის ევოლუციის ნეგატიურ ეტაპს მიჰყვება და განსაზღვრავს. ეს არის ინდივიდუალური, სიზიფესეული ამბოხის პერიოდი, როცა კამიუს ჯერ კიდევ არ მოუნახავს დადებითი და ნაყოფიერი სამოქმედო პროგრამა თავისი გმირებისათვის. ეს ის დროა, როცა პოლ ელუარის სიტყვები რომ მოვიშველიოთ, ჯერ არ მომხდარა გადასვლა „ერთის ჰორიზონტიდან ყველას ჰორიზონტზე“.

ცნობილი რუსი მკვლევარი ვ. კუზნეცოვი ამასთან დაკავშირებით თავის ნაშრომში წერს: «Таким образом, качав свои размышления о человеке целым рядом совершенно песимистических констатаций. Камю в конечном счете приходит к своеобразному трагическому оптимизму, утверждая, что даже безнадежная борьба человека с бесчеловечностью является источником высшей радости и счастья». («Французская буржуазная философия XX — века»).

მაგრამ ძნელად დასაჯერებელია, რომ ეს ტრაგიკული ოპტიმიზმი, რომელსაც „სიზიფეს მითის“ ავტორი ქადაგებს, მისმა მკითხველმა სამყაროს შესწორების და მისი გაკეთილშობილების ოპტიმალურ საშუალებად მიიჩნიოს.

ისევე როგორც ჟან-პოლ სარტთან „არაფერი“ (Neant), კამიუსთანაც „აბსურდი“ ონტოლოგიურ რეალობას იძენს და აყალიბებს ადამიანის ბედის ტრაგიზმს. ექსისტენციალისტური პესიმიზმის საფუძველი, უპირველეს ყოვლისა, იმ სულიერ ატმოსფეროში უნდა ვეძიოთ, რომელიც ესოდენ დამახასიათებელი იყო ომის წინა და ომისდროინდელი საფრანგეთისათვის. მსოფლიო ომის საშინელება, საფრანგეთის ოკუპაცია, განხეთქილება რიგითი ფრანგისა და მმართველი წრეების მისწრაფებათა შორის — აი, ის ტრაგიკული პირობები, რომლებიც ხელს უწყობდა ადამიანური მცდელობის საბოლოო მარცხისა და მის ძალთა უკმარობის ქადაგებას.

ალბერ კამიუს ტრაქტატიც ამ დროის გამოძახილია და იგი ნათლად წარმოაჩენს არა მხოლოდ მისი ავტორის, არამედ იმდროინდელი ფრანგული ინტელიგენციის გონების აღრევასა და სულიერ მერყეობას.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# გამარჯვებული სიკეთე

ავთანდილ გალდავაძე — „სიცოცხლე სავსეა სიკეთით“, გამომცემლობა „ნაკადული“, რედაქტორი ა. ბრეგვაძე, 1979 წელი.

ავთანდილ გალდავაძის ახალი წიგნის წაკითხვისას, უნებლიედ ამოტივტივდა მეხსიერებაში რ. გამზათოვის ერთი გამონათქვამი: „მე არ გეხვეწებით — მომეცით-მეთქი თემა! მე გთხოვთ მომცეთ თვალები!“ ამ ფრთიანმა სიტყვებმა კიდევ ერთხელ შეგვახსენა ერთი ჭეშმარიტება: მწერლისათვის კრედოს, შემოქმედებითი ნიუანსების გადმოსაცემად არსებითი მნიშვნელობა არა აქვს რა თემაზე წერს იგი.

და მართლაც, ისტორიის შორეულ ლაბირინთებში დაგვატარებს, სამამულო ომის ავბედითი წლების ექო აღწევს ჩვენამდე, დღევანდელ ცხოვრებისეულ ტკივილებზე ჩაგვაფიქრებს, ამ ცხოვრების ბობოქარ, დაძაბულ სიტუაციებს გაგვანდობს, თუ წმინდა ფსიქოლოგიური, ფერწერული ეტიუდებით ხატავს ადამიანებს, ყველგან თანაბრად იგრძნობა ავთანდილ გალდავაძის ფრიად თავისებური, ორიგინალური ხედვა.

ავთანდილ გალდავაძის მოთხრობებში არ არის თვითმიზნურად დახლართული სიუჟეტები; ეს არ არის ე. წ. „ამბის“ მოყვარული მკითხველისათვის განკუთვნილი წიგნი. მისი „მკაცრი“ პროზა თავბრუს ვერ დაგახვევს ზიგზაგებით, სულისშემძვრელი, სისხლისგამყინავი სცენებით. მოთხრობების ამოსავალი წყარო ადამიანის შინაგანი ბუნებაა. სულის სიღრმიდან იწყება ავტორის ხედვა, იქიდან აღიქვამს იგი მოვლენებს, გარემოს,ირგვლივ მოფუსფუსე ადამიანთა ყოფას. იგი დაჟინებით ცდილობს—ღრმად ჩაწვდეს მოქმედ პირთა შინაგან არსს, თავისი თვალით დანახული გვაგრძნობინოს და დაგვანახოს საგანი თუ მოვლენა. თვით უმნიშვნელო, ყოფით დეტალებსაც კი საგანგებო ქსოვილში ახვევს, რათა მთლიანობის ძალუმად წარმოჩენისათვის გამოიყენოს იგი. ეს კი არც თუ ისე იოლი გზაა თხრობისა, რამეთუ სხვა მწერლურ ღირსებებთან ერთად, უპირველესად მოითხოვს სიმახვილით გამორჩეულ მზერას, სწორედ ისეთ „თვალებს“, რ. გამზათოვი რომ ნატრობს.

კრებულში შეტანილ ნაწარმოებთაგან უპირველად გამოირჩევა, არა მარტო მოცულობით, არამედ ავტორისეული ტენდენციის დასახასიათებლადაც მოთხრობა „სიცოცხლე სავსეა სიკეთით“ (ალბათ შემთხვევით არც ავტორს გამოუტანია კრებულის საერთო სათაურად იგი). მოთხრობაში ქრონიკასავით გაივლის მკითხველის თვალწინ გლეხი ბიჭის დათოს ცხოვრება, მოყოლებული რევოლუციის პირველი წლებიდან (ჯერ მამა გამოდის სცენაზე, უღებს შვილს ცხოვრების კარს), ვიდრე ომისშემდგომ წლებამდე. ათასგვარი ცხოვრებისეული პერიპეტიებით აღსავსე ამ ვრცელი დროის მონაკვეთის ჩატევა, მართალია, საკმაოდ მოზრდილ მოთხრობაში ავტორს მოვლენათა, ურთიერთობათა ფრაგმენტული აღწერის საფრთხის წინაშე აყენებდა, მაგრამ ავთანდილ გალდავაძე ოსტატურად აზერხებს ძირითადი მომენტების წინა პლანზე წამოწევას, მახვილს იმ ეპიზოდებზე სვამს, სადაც კარგად წარმოჩინდება გმირის სულიერი ავ-კარგი. მწერალი ბოროტებას არ ამარცხებს სოციალურ ბრძოლაში. სიკეთის საწყისი — დათო თვითონვე ერკინება სამკვდრო-სასიცოცხლოდ მის გზაზე აღმართულ „ფოცხვერივით ფიცხ, აფთარივით გაუტანელ, დოლივით ორპირ“ ირემაძეს; „ქლესა, მუქთახორა, გაიძვერა ფიდოს“ და ბოროტების უდიდეს სიმბოლოს ფაშიზმს. მოთხრობაში დახატულია ჩვენი ისტორიული ყოფის რეალური სურათი. თხრობაში ავტორის ჩართვა, რასაც არც თუ იშვიათად იყენებს მწერალი, ეტყობა იმისათვის არის გამიზნული, რათა კიდევ უფრო გაძლიერდეს დოკუმენტურობის შთაბეჭ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დილება. (სიტყვამ მოიტანა და ვიტყვი: ეს მოთხრობა მშვენიერი ნედლი მასალაა კინოსცენარისათვის).

ხაზგასასმელია ისიც, რომ მწერალი დაკვირვებულად იცნობს ჩვენს მთიანეთს, მის ადათ-წესებს, ისტორიას, ადამიანებს. ეს ბევრ ნიუანსში გამოსჭვივის, კერძოდ, კარგად ჩანს ეთნობრივ აქსესუარებშიც. აქ ავტორი მართლაც რომ მისთვის საყვარელი ფერების და სურნელების სტიქიაში ტრიალებს.

მწერალმა პირველ წიგნშივე გამოიჩინა ლექსიკისადმი მეტად ფაქიზი დამოკიდებულება. სიტყვებში ჰარმონიას, საამო ჟღერადობას, შეუცნობ შესაძლებლობას ეძებს. შეუპოვრად, ჯიუტად ცდილობს იპოვოს ახალი, „გაუცვეთავი" სიტყვები, ბევრი მივიწყებული, კუთხური, ამოდ სასმენი სიტყვა აქვს ჩართული თხრობაში. ამასთან, კიდევ უფრო თვალში საცემია სინტაქსური ფენომენისადმი რუდუნებითი დამოკიდებულება.

ამ მოთხრობებმა კიდევ ერთხელ შეგვახსენეს, რომ მხოლოდ სტერეოტიპებითა და დოგმებით დაუმძიმებელ შემოქმედს გააჩნია პარადოქსების უნარი (ეს თანაბრად ეხება როგორც ენისადმი დამოკიდებულებას, ასევე თვით წინდაწინ მზადგანზრახულ შესაძლებლობათა გამოვლინებას). ხოლო უპარადოქსებოდ კი არც ფანტაზია, არც ახლის ნაღდი ძიება და საერთოდ, არც ჭეშმარიტი შემოქმედებითი ხედვა არსებობს.

გამოგიტყდებით, როცა გავიგე, რომ ამ ლამაზი მოთხრობის ავტორი გზათა მშენებელი ინჟინერი ყოფილა, გავოცდი. იმანაც გამაკვირვა, რომ არც ერთ მოთხრობაში, ოდნავადაც კი არ არის მინიშნებული ავტორის სიახლოვე ტექნიკასთან, მშენებლობასთან, ტექნიკურ ინტელიგენციასთან.

კანონზომიერი იქნება, თუ მწერლის შემოქმედებაში შემდგომ თავს იჩენს ახალი ტიპაჟი, გამოჩნდება დღევანდელი მშენებლის დაძაბული, რთული ცხოვრება, მეტად საინტერესო სულიერი სამყარო.

ჩვენ გვწამს, რომ ავთანდილ გაღლოვაძეს შესწევს ამის უნარი.

ზურაბ ლეშკაშელი

# გრძნობა — კეთილი, აზრი — ღირსი მიყურადების

გრიგოლ ჯუღუხიძე — „გალავანი შუა ქალაქში", გამომცემლობა „ნაკადული", რედაქტორი ბელა შალვაშვილი, 1978.

**ლექსის** წერის მოთხოვნა ინტუიტური მისწრაფებაა გაერკვე გარემომცველი სინამდვილისა და საკუთარი „მე"-ს განსაკუთრებულობაში. ერკვევი მარტოდმარტო, ლექსი კი, როგორც მკვლევარი-შემოქმედის მცდელობის შედეგი, დასტამბვისთანავე გასხვისდება ხოლმე და მრავალთა გრძნობა-გონების საჩხრეკ-დასადირებელ ობიექტად იქცევა. სწორედ გასხვისებული ქმნილების დამოუკიდებელი არსებობის ცოდნა აიძულებს შემოქმედს საწყისშივე განსაზღვროს საკუთარი საზოგადოებრივ-ლიტერატურული პოზიცია და გააცნობიეროს, რომ შემდგომში შესაძლო გადახალისება-გარდასახვა, ღალატი კი არა, ამ პოზიციის დადგენაა და მისადმი ერთგულება.

გრიგოლ ჯუღუხიძის საზოგადოებრივი პოზიცია, ვფიქრობთ, მისი უკანასკნელი კრებულის დასახელებაშივე მჟღავნდება — „გალავანი შუა ქალაქში". „გალავანი" საერთოდ ცნობიერების, კონკრეტულ შემთხვევაში კი სინამდვილის ავტორისეული ახსნის ძალისა და უნარის მახასიათებლად აღიქმება, „ქალაქი" — შემოქმედის გეოგრაფიული კუთვნილების აღმნიშვნელად, „შუა" კი მოქალაქეობრივი მოვალეობისადმი მისი მიმართულების მსაზღვრელად. სხვა სიტყვებით, ქალაქელი პოეტის მიკროსამყაროს ცენტრალური მოვლენების წარმოჩენაა კრებულის მიზანი და სავსებით კანონზომიერია, რომ მასში, თანამედროვე ყმაწვილკაცის საწუხარ-სანეტაროს სამზერეთიდან, ლირიკულადაა გააზრებული მარადიული მზის გალავნით შემოსაზღვრული სამყოფის მრავალფეროვნება; პოეტის ლიტერატურულ პოზიციას კი „თქმა მართლისა სიმართლისა" საზღვრავს და რაც უფრო გაფართოვდება „ნუცუბიძის ფერდობზე" მდგარი სახლის „ფანჯრის ის ჩარჩო", რომელშიაც სრულად ჩაუსვამს მას — „თბილისი — ქართველების დიდი ნახატი — ათასხუთასი წელიწადის ნამუშევარი", მით უფრო სანდო, საინტერესო და მტკიცე იქნება იგი. ვიდრემდე კი, სამყაროს „მეტყველი მდუმარების" მსმენელი, საკუთარი სმენით მოპოვებულიდან სხვათა სასმენად ვარგისისა და სასურველის შექმნას ცდილობს და ვფიქრობთ, ყოველ სხვა მახასიათებელზე მეტად, „ბუნების მიერ ბოძებული ნიჭიერების ის თვისებაა"

მისთვის ნიშანდობლივი, რასაც „ბეჯრისალში მიუწვდომლების უნარს, ანუ სწვდნენ სიღრმი-ლეს“ უწოდებენ. სწორედ ურთიერთმტრობისა და სწრაფ-ცვალებადი ფილოსოფიური ინტერ-პრეტაციისაკენ მისწრაფების შედეგია ციკლი „გასაუბრება მზესთან“, კრებულის უკეთეს ნახევრად რომ გვესახება. „დედა ხარ ჩემი... სინათლეს აუქვევ, რომ გავარჩიო შავი და თეთრი... გიყურებ თვალში, მოვრბივარ შენს-კენ მე მარად შენი მორჩილი ბავშვი“, — მარ-თლაც ბავშვური ალტაცებით მიმართავს პოეტი მზეს და იქვე, თითქოს თქმულმა ჩააფიქრაო პირველად, ჩრდილისა და ჩრდილოვანის გააზ-რებას ლამობს: „წამოგცდა სხივი და გაჩნდა ჩრდილიც კაცის და ფოთლის, ბალახის, მხე-ცის... შენ მიეც სუნთქვა კეთილს და ბოროტს, ქვასა და წვიმას, ზენას და ქვენას. — შენ არ შეგეძლო გარჩევა შვილთა და ერთნაირად მოგ-წონდა ყველა“. იქნებ ამ განურჩევლობიდანაა ჩრდილიც და ჩრდილოვანიც? იქნებ არც მზე ბრწყინავს ყველასათვის, თუმცალა ყველას თანაბრად ანათებს? იქნებ ნათელშივეა ბნელის საწყისი? „შენ ვინ შეგკადროს ძალით მოხმო-ბა, ძალით წვა ანდა გამოდარება, მაგრამ შენ არ ჰქმენ მისი არსობა? შენ არ ჩაუსვი სულში ეშმაკი, რომ ალმასივით გზებზე ებრწყინა და ეტკარცალა ლორთქო ბალახში? მორჩა, გათავ-და, გწამდეს ამიერ ყველასთვის აღარ ამობ-რწყინდები!“ უსასოოა, მაგრამ არც პოეტს აკრთობს და არც მზეს განალიგებს ეს „ალმო-ჩენა“, რამეთუ „მარად ძლიერთა ხვედრი იყო მსხვერპლის გაღება, შეუძლებლის აღსრულე-ბა და ქმნა წყალობის“.

სათნოებათა შორის უპირველესი, აზრის გა-დაცემის უნარია, შემდეგი — გრძნობისა. პოე-ზია დანიშნულებას გაამართლებსო, — უთქ-ვამთ, — თუ გრძნობა მისი კეთილია, აზრი კი — ღირსი მიყურადების. გვსურს, გრიგოლ ჯულუხიძის გრძნობაკეთილობისა და აზრის ღირსსაცნობობის დასტურად, მკითხველს „ნა-დირობა ანუ რა უხარიათ გამარჯვებულებს“ შევთავაზოთ: „გაოფლილ მწევარს ცალი თათი უპყრია მაღლა ნიშნად ძლევის და გამარჯვები-სა. ფერხთით ხავსივით გართხმულია საბრალო შველი, დამთავრდა მწარე მოლოდინი დასას-რულისა... წუთი და მწევარს ენაცვლება თავადვე იგი, ვინაც მყეფარი უდაბურ ტყის რისხვად აქცია... ლამაზ ყელიდან სისხლი მოდუღს საყ-ვედურივით, ჩამორბის დაბლა, ბილიკ-ბილიკ, სოფელი, ეზო... საკვირველებავ! — გალადრუ-ლი ყელი და სისხლი ეს მერამდენედ მონადი-რის უგულო ლექვებს თვალებს უნათებს გან-თიადივით. ნუთუ ეს არის მარჩენალი სიხარუ-ლისა? თოვს და ჯალაბი ინაწილებს უსუსურ ნეკნებს, მონადირეს კი ცალი ტორი უპყრია მაღლა, ნიშნად ძლევის და გამარჯვებისა. თოვს... ლაფაროში ეძალება სიცივე მწევარს და გადა-ტანილ ბრძოლებით თბება. შიმშილს კი თრგუ-ნავს, რადგან იცის, არავის უყვარს ძაღლი, რომელიც ეტანება საკუთარ ნადავლს“.

ვაჟა ყუბუსიძე

# ქმნა ნათლისა

> პარუირ სევაკი — „იქმენინ ნათე-ლი“, სომხურიდან თარგმნა გივი შაჰნაზარმა, გამომცემლობა „მერა-ნი“, რედაქტორები: ზ. მედულაშვი-ლი, ე. კეჭალმაძე, 1979 წელი.

სომეხი პოეტის პარუირ სევაკის რწმენის სიმბოლო:

მეცა მაქვს ჩემი რწმენის სიმბოლო —
სხარტი იგი
და მახსოვს მუდამ:
უსახლკაროდ რომც დარჩე, გიჯობდეს —
ხელოვნებაში ზედსიძედ ყოფნას!

მართლაც ძნელი წარმოსადგენია უფრო საბ-რალობელ დღეში ჩავარდნილი კაცი, ვიდრე ხე-ლოვნებაში ზედსიძედ გრძნობდე თავს და ვინ იცის, იქნებ არა მარტო ხელოვნებაში ხდება ხოლმე ასე. მაგრამ სევაკი სულიერი ცხოვრე-ბის ამ ურთულესი გამოვლინების სივრცეებში ხალვათად გრძნობს თავს, არა ჩანს რა მისთვის უცხო და დაფარული, არაფერია უგრძნობი და მოუხილავი.

ქართველი მთარგმნელი — პოეტი გივი შაჰ-ნაზარი:

„პარუირ სევაკი „ყოველ შემთხვევისათვის“ ხელში კალამს არასოდეს იღებს. მისი ყოველი ლექსი, ყოველი სტრიქონი შთაგონების ნაყო-ფია და იმდენადაა დამუხტული, რომ მისი სუ-ლისა და გონების ძალმოსილების ჭეშმარიტი დასტურია. იგი სიკეთისაკენ, სინათლისაკენ დაძრული დიდი პოეტური ძალაა.

პარუირ სევაკის ეს კრებული თავისი სული-ერი მიმართულებით რთულია და უაღრესად სა-ინტერესო. ვიცით, ჭეშმარიტი პოეზიის ლოყ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვარული ქართველი მკითხველი არაერთხელ დაუბრუნდება ამ ლექსებს და მისი რთული პოეტური მღელვარების სიღრმეებს ეზიარება“.

სწორედ ეს დაუჩუმარი პოეტური მღელვარება, ყოფნა-არყოფნის ს[illegible], [illegible] სნელი კითხვების წინაშე ფილოსოფიური ჩაღრმავება, ადამიანის სულის და სულიერების მანამდე უცნობი კუთხე-კუნჭულების [illegible] ურება. [illegible] პირველ [illegible] (ჯერ არა კვლევა), და [illegible] ვაკს იმ პოეტად, ვინც თითქოს [illegible] დაგვანახა ეს ხილული ქვეყანა, გვ[illegible] თავი და მიგვაახლოვა მოყვასს, [illegible] ურთიერთობას.

მე არ ვეძიებ,
ეძიებს იგი,
ვისაც ჰქირდება რამე იპოვოს.
მე კი... არ ვიცი, როგორ მივაგნო
რაცა მაქვს იმის ჩვენების უნარს.

რაოდენ გვჭირდება ახლა ამ უნარის [illegible] ნება! რაოდენ ძვირფასია ჩვენთვის ახლა იმის შეგრძნება, რომ თვალსაწიერზე ბევრი ახლობელი გვეგულება და ქვეყანა გულსავსე, უ[illegible] ვილი ადამიანებით არის დასახლებული. სევაკი, სომეხი პოეტი, ვისაც, როგორც მთარგმნელი აღნიშნავს, „ეროვნული კარჩაკეტილობისა“ არაფერი სცხია, გვაახლოვებს ჩვენ ცხრა მთისა და ცხრა ზღვის გაღმა მცხოვრებ უცხო ხალხებთან და მათ ჩვენად გვაგულებინებს. თითქოს ოდნავ შეცბუნებულებიცა ვართ — აქამდისაც ხომ ვიცოდით ყოველივე ეს, დღემდეც ხომ ვგრძნობდით ამას, მაგრამ თურმე პოეტის სიტყვა ყოფილა საჭირო, რომ ძირისძირობამდე მოგვეაზრა თითქოს ბოლომდე ნაგრძნობ-ნააზრევი, რაც მხოლოდ ახლა გაგვეცხადეთ მთელი სიგრძე-სიგანით. მხოლოდ ახლა გახდა საჩინო მრავალი იღუმალთა იღუმალება, აქამდე ქვეცნობიერად რომ გვაფორიაქებდა. ასე ცხადლივ და მოულოდნელად (როგორც ყველა ნამდვილი პოეტი), შემოდის ჩვენს არსებაში პარუირ სევაკი, რთული აზროვნების, ძნელად საკითხავი და ალსაქმელი პოეტი. იგი თეთრი და თავისუფალი ლექსით აზროვნებს, რაც მისთვის იმდენადვე ბუნებრივჩანს, რამდენადაც არაბუნებრივად ჟღერს ქართული პოეზია დღევანდელი ევროპელი თუ ამერიკელი მკითხველისთვის (კერძოდ, ასე ყოფილა ინგლისში, სადაც ჭეშმარიტი კარჩაკეტისის თქმით, რითმიან ლექსს საბავშვო ლექსად აღიქვამენ). ეს მოვლენა ახირება არ გახლავთ და თანამედროვე ადამიანის გამძაფრებულ მოთხოვნილებას უნდა მიეწეროს. თავისუფალი ლექსის გადმოღება უეჭველად დიდ სიძნელეს უქმნის მთარგმნელს და თუ გივი შაჰნაზარმა წარმატებით გაართვა თავი ამ სირთულეს, ეს მისი ნიჭის, პოეზიასთან პატიოსანი დამოკიდებულების, დაუზარელი შრომის წყალობა უნდა იყოს. უკვე რამდენი წელია იგი თავს დასტრიალებს სომეხი პოეტის პოეზიას, არ შეკრთომია დაბრკოლებებს და მისხალ-მისხალ გადმოჰქონდა ნაგრძნობ-განცდილი; ამ თარგმანს აქვს ყველაზე მთავარი თვისება: იგი გაღელვებს. მეტი რაღა უნდა ითქვას!

სევაკის პოეზიის ამ კრებულს ოდნავ არქაიზებული იერი დაჰკრავს. გვხვდება მოძველებული ლექსიკა: რამეთუ, ვითარცა, თვის, ოდეს, ტფილი და სხვ. აქ არის ასეთი სტრიქონებიც:

1. ჩემთა ბაგეთა დამხშობ ამბორს
	დავინთქავ ჩემში.
2. რამეთუ... თქვენშიც გადმოვრეკო
	ჩემგან ცხენები,
რამეთუ... თქვენშიც იჭიხვინონ...

მცდარი ფორმები: ჩემში, შენში, ჩვენგანში, შენგანში და სხვ.

უცხოური სიტყვები ჰორიზონტი, ექსპერიმენტატორი, ინსტინქტურად და სხვ.

ყველაფერ ამას იოლად მოევლება, როცა მთარგმნელი ერთი-ორად გაზრდის კრებულს და მეორედ გამოსცემს, თუმცა შეიძლება გივი შაჰნაზარი განზრახ ხმარობდეს ამ სიტყვებსა და მოძველებულ ფორმებს, შეიძლება ასე უკეთ განიცდება სევაკი; ჩვენ კი მაინც გვგონია, რომ პარუირ სევაკის პოეზია სიახლითა და პოროცით თანამედროვე პოეზიაა და თარგმანიც თანამედროვედ უნდა ჟღერდეს (სამწუხაროდ, სომხური ენის უცოდინარობამ პირში წყალი ჩაგვაგუბებინა და ამის თაობაზე ვერაფერი ამოგვაღებინა).

ეს მშვენიერი კრებული საქართველოს სსრ მწერალთა კავშირთან არსებულმა მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურული ურთიერთობების მთავარმა სარედაქციო კოლეგიამ მოამზადა და გამომცემლობა „მერანმა“ ერთად დიდი ტირაჟით გამოუშვა.

ბიძინა მაჭუტაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „ყაბუსნამე“ ქართულად

ქიქაუსი — „ყაბუსნამე“, თარგმანა ა. ლომთაძის, გამომცემლობა „მეცნიერება“, რედაქტორი ალ. გვახარია, 1978 წელი.

არ ვიცი, მეჩვენება თუ მართლაც ასეა — საქართველოში დიდაქტიკური თხზულებები იშვიათად იქმნება და ასევე იშვიათად ჩნდება ხოლმე წიგნის ბაზარზე. კაცმა რომ თქვას ნამდვილი, მაღალმხატვრული ნაწარმოები (რა ჟანრსაც უნდა განეკუთვნებოდეს იგი), ზოგადად, ცოტა დიდაქტიკის რაიმე ნიშნებს ატარებს, როგორც ჩვენთან, აგრეთვე სხვა ერების ლიტერატურებშიც.

მე მგონია, არა მარტო საბას „სიბრძნე სიცრუისა“, გურამიშვილის „სწავლა მოსწავლეთა“, არჩილის „საქართველოს ზნეობანი“, არამედ რუსთაველის, ბარათაშვილის, ილიას, აკაკის, ვაჟას, გალაკტიონის და სხვ. შემოქმედებებიც მრავლად მოიცავენ დიდაქტიკისათვის დამახასიათებელ კომპონენტებს. სხვანაირად ალბათ წარმოუდგენელიცაა, რადგან ყველაფერი, რაც კი ამ ცისქვეშეთში, ასე თუ ისე ფასეული დაწერილა, იწერება ანდა შემდგომში დაიწერება, გამიზნულია (ან უნდა იყოს!), იმისათვის, რათა ადამიანებს სიკეთისა და მშვენიერების, კაიკაცობისა და ადამიანურობის გრძნობები გაუღვიძოს.

მაგრამ პირდაპირ ამ მიზნის (ზნეობრივი აღზრდა, სიბრძნის სწავლება, დარიგება) ხორცშესხმას რომ გულისხმობდეს, ასეთი ლიტერატურის ხვედრითი წონა ერთობ მცირეა. შეუცვლელი კია მრავლად არსებობდეს, ვინაიდან ბავშვებს, ახალგაზრდობას უთუოდ ესაჭიროებათ „საკვები მასალა“ როგორც ფიზიკური და სულიერი, აგრეთვე საღ გონების გამომუშავებისათვის, რომლის გარეშე სიქველისა და კაცთმოყვარეობის გრძნობებზე ლაპარაკი არ ეგების.

წინამდებარე წიგნის ქართულად თარგმნა და გამოცემაც გამართლებული და მოსაწონია.

წიგნი ორმოცდაოთხი კარისაგან შედგება და ყოფა-ცხოვრების თითქმის ყველა სფეროს შეეხება. ვერ ვიტყვი, აქედან ყოველი საკითხი, რასაც ავტორი განიხილავს, ყოველმხრივ, გლობალურად იყოს ახსნილი და დაკონკრეტებული, მაგრამ ისიც და ისეც, როგორც წიგნშია წარმოდგენილი ავტორის სიტყვით „სასარგებლო იქნება და ბედნიერებას აგრძნობინებს შემქმნელსაც და მკითხველსაც, გადამწერსაც და მსმენელსაც თუ ეს [illegible] ნ, თუ ალაჰი ამას ისურვებს, რადგან იგია ერთადერთი და ყოვლის მძლე“.

ალაჰის „ერთადერთობის“ რა მოგახსენოთ, ისე კი მართლაც დიდად გამოსადეგი და მისაღებია ამ მოძღვრებიდან ბევრი რამ. ყველა შეგონებისა თუ არაკის, წესჩვეულებათა და რჩევა-დარიგებათა აქ ციტირება შორს წაგვიყვანდა, ამიტომ რამდენიმე მაგალითის მოტანით უნდა დავკმაყოფილდეთ.

1. სწავლულთ უთქვამთ: ბრძენთა რჩევა-დარიგებების მოსმენით მღვრიე გონებას იმდიდრებენ; გონების თვალისათვის სურმა და თუთია სიბრძნე არისო. ამიტომ ასეთ სიტყვებს გულისყურით უნდა მოსმენა და დაწაფება. (კარი მეშვიდე).

2. კაცთან კაცი იყავი და ადამიანთან ადამიანი, რადგან ყველა კაცი ადამიანი არ არის. (კარი მეშვიდე).

3. ბრიყვებთან ნუ იმეგობრებ, რადგან ბრიყვი არც მეგობრად გამოგადგება და არც მტრად. (კარი მერვე).

4. შენი თავი თვით განსაჯე, რათა სხვისი განსჯა არ დაგჭირდეს. (კარი მერვე).

5. ყოველი მონა, რომელსაც ყიდულობენ და ყიდიან, უფრო თავისუფალია, ვიდრე ის, ვინც საკუთარი მუცლის მონაა. (კარი მერვე).

არაკი: გამიგონია, რომ ვიღაც ასი წლის მოხუცი, კუზიანი და წელში მოხრილი, ჯოხის ბიჯგებით მოლასლასებდა. ერთმა ყმაწვილმა მას დაცინვით უთხრა: — შეიხო, ეს მშვილდი რა ფასად იყიდე, ვინძლო მეც ასეთი ვიყიდოო.

— თუ სიბერეს მოესწრები, ისედაც გიწყალობებენ, თუმცა კი სიბერის ღირსი არა ხარო, — უპასუხა მოხუცმა.

ვფიქრობ, ზემოთ მოტანილი ციტატებიდანაც ნათელი ხდება ის ბრძნული შეგონებანი, რაც ამ წიგნშია გამჟღავნებული.

დღეს შეიძლება ამ დებულებებიდან ყველა მისაღები არ იყოს, მაგრამ ნუ დაგვავიწყდება რომ ნაწარმოები შექმნილია XI საუკუნის დამლევს და იმ დროის სოციალურ-პოლიტიკური მდგომარეობა დიდად განსხვავდება აწინდელისაგან.

მთავარი სხვაა. ადამიანები იბადებიან, ცოცხლობენ, იღვწიან, ფიქრობენ და ბოლოს, ყველა ერთი გზით, ერთი მდინარით მიედინება იმქვეყნიური სამყოფელისაკენ. მაგრამ უნდა წავიდნენ ისე, რომ ბოროტების, უსამართლობის, ავკაცობის და არაკაცობის ოდნავი ნაკვალევიც კი არ დატოვონ განვლილ გზაზე.

„ვიდრე დღე და ღამე ერთმანეთს ენაცვლება, მზის ტრიალი ნუ გაგაკვირვებს“. ჰო, წიგნის ლაიტმოტივი და ამავე დროს, მისივე [illegible]ლები.

ქართული დიდაქტიკური ლიტერატურის მოყვარულთათვის ანიკას ლომთაძის ეს თარგმანი ფრიად საყურადღებო შენაძენად უნდა ჩაითვალოს.

კონსტანტინე ამირიძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კულტურული ცხოვრების ქრონიკა

## ავღანეთი

### „ოქროს ბორცვის" საუნჯე

ტილ-ტეპეს უსახელო ბორცვმა, რომელიც ჩრდილოეთ ავღანეთში, ქალაქ შიბარგანის მახლობლად მდებარეობს, გაათცა ქვეყანა თავისი განძეულით. კაცის თვალთაგან დაფარული უმდიდრესი განძეული ემარხა აქ და იშვიათად თუ შეამჩნევდა ადგილობრივი მკვიდრი ვინმე, როგორ ამოჰქონდათ ზემოთ თაგვებს, თავიანთ სოროებს რომ თხრიდნენ, ოქროს მძივები და სხვა ნაკეთობანი. მერე წვიმა რეცხავდა ამ ნივთებს. სწორედ ამიტომ შეარქვეს ხალხში ამ ადგილს ტილ-ტეპე, რაც „ოქროს ბორცვს" ნიშნავს.

უკვე მეოთხე სეზონს მუშაობდნენ ტილ-ტეპეში არქეოლოგები, მაგრამ ხანდახან ადამიანის თავის ქალას თუ წააწყდებოდნენ, სხვა არაფერი ეპოვათ. და აი უცებ, გაიელვა ექსპედიციის ერთ-ერთი წევრის ბარმა და გაბრწყინდა ყვითელი ლითონის ბალთა. ეს უმდიდრესი განძეულის პირველი მერცხალი იყო. როცა სამარხი გაწმინდეს, მზეზე აციმციმდა ათასობით პატარ-პატარა ოქროს ნივთი.

ექვსი გაუძარცვავი სამეფო სამაროვანი აღმოაჩინეს აქ არქეოლოგებმა. მეცნიერებისათვის მართლაც რომ დაუჯერებელი ამბავია! ტილ-ტეპეში ნაპოვნია მრავალი მრგვალი, ოთხკუთხა, სწორკუთხა, პოჩუქურთმებული ოქროს ბალთა, რომლებიც ძველად ამშვენებდნენ მდიდრულ სამოსელს.

აღმოჩენილია აგრეთვე რამდენიმე მაღალმხატვრული ოქრომჭედლური ნაკეთობა, რომლებიც მეტყველებს ძველი ოსტატების დახვეწილ ხელოვნებას. ესენია: რთული ფორმის ოქროს გვირგვინები, რომლებიც გარეგნულად ხეს მოგვაგონებენ, ტოტებზე ჩიტები რომ შეუფუფულან, ფრთოსანი ღმერთებისა და გარეული ცხოველების გამოსახულებიანი საყურეები და სხვ. იმისათვის, რომ აღენიშნათ, რა წარჩინებული მდგომარეობა ეჭირათ სიცოცხლეში, განსვენებულებს კისერზე აცმევდნენ ერთ კილოგრამამდე წონის ოქროს გულქანდებს, ხოლო ფეხებზე — მძიმე ოქროს სამაჯურებს. ანტიკური ხელოვნების ნატიფ ყაიდაზეა დამზადებული მოცრო საყურეები, [illegible]ივები ბეჭდები და ყელსაბამ.ები. ამ ნ[ი]ვთებზე გამოსახულია შეშინებული [ი]რემი, ცხენი, რომელსაც ჯიქი დასძგერებია, აგრეთვე ფრთოსანი, ფანტასტიკური ურჩხულები. ოქროს ხანჯლის ქარქაშზე ორი ურჩხული ახატია: ერთი ბასრი კბილებით ჩაფრენია ფეხში მეორეს. ყველაფერი ეს ისე არის შესრულებული, ნახატი იმდენად დახვეწილია, რომ ბადალს ვერ უპოვით მთელ ანტიკურ ხელოვნებაში.

ანტიკური ხელოვნების ეს „ცხოველთა გამოხატვის სტილი" მანამდე ცნობილი იყო მხოლოდ ციმბირში, ყაზახეთში, სკვითების ყორღანების გათხრების შედეგად, ავღანეთში კი მეცნიერები პირველად გახდნენ ამის მხილველნი.

ტილ-ტეპეს სამაროვანის გათხრების დროს ნაპოვნია აგრეთვე ოქროს, ფირუზით ინკრუსტირებული აბზინდები, რომლებიც დელფინებზე გადამჯდარ ამურებს, აგრეთვე საომრად ამხედრებულ ანტიკური ხანის მეომრებს მოგვაგონებენ. ზოგიერთ ნივთზე ხანდახან მთელი სცენაა გამოსახული. მაგალითად, ფანტასტიკურ არსებაზე ზის ხელიხელგადახვეული წყვილი; ერთი მხრიდან მათ ლოცავს ფრთოსანი ქალღმერთი ნიკე გვირგვინითა და პალმის რტოთი, ხოლო მეორე მხრიდან — წვერმოშვებული სილენი, ხელში თასი რომ უპყრია. აქვე ნაპოვნია აგრეთვე ანტიკური ხელოვნების სხვა ფასდაუდებელი შედევრები.

## ამერიკა

### ოკლაჰომის ექსპერიმენტი

ოკლაჰომის პრიმატების შესასწავლ ინსტიტუტში საინტერესო ცდას აყენებენ. მეცნიერები თვალყურს ადევნებენ, თუ როგორ ასწავლის დედალი შიმპანზე ვაშუ ჟესტის ენას თავის ნაშვილებს 11 თვის შიმპანზე ლოულისს. თვითონ ვაშუს ამ ენას ფსიქოლოგი როჯერ ფოუთსი 1966 წლიდან ასწავლის.

„მეცნიერებაში ეს პირველი შემთხვევაა, როცა მაიმუნი ადამიანის მეშვეობით მიღებულ ცოდნას გადასცემს

უმცროს თაობას, — განაცხადა დოქტორმა ფოუთსმა. — არც კი ველოდი, ყველაფერი ისე კარგად წარიმართა“.

ვაშუმ სწრაფად შეასწავლა პატარა ლოულისს ჟესტები, რომლებიც ნიშნავს: სმას, ჭამას, ცხელას, ხილს, მომეცის და სხვ. ვაშუ 200 ნიშანს ფლობს და ხშირად ხმარობს ერთად სამ-ოთხ სიტყვას, ადგენს ელემენტარულ წინადადებებს. მისთვის ნაცნობია აგრეთვე ზოგიერთი აბსტრაქტული ასოციაცია. მაგალითად, იგი ნიშან „ჭუჭყიანს“ ხმარობს მათ მიმართ, ვინც მას შეურაცხყოფას აყენებს.

## ინდოეთი

### მერვე საუკუნის „კონდიციონერი“

**საინტერესო** აღმოჩენის მოწმენი გახდნენ ინდოელი არქეოლოგები სოფელ ანტიჩაკის მახლობლად გათხრებისას, რომელიც ბიხარის შტატში, მდინარე განგთან მდებარეობს. დიდი ბუდისტური უნივერსიტეტისა და მერვე საუკუნის მონასტრის ნანგრევები რომ გაწმინდეს, აღმოჩნდა ჰაერის გასაციებელი უნიკალური საინჟინრო ნაგებობა. მერვე საუკუნის „კონდიციონერი“ მაღალი ნაგებობაა, სადაც მოთავსებული იყო წყალსაცავი. ამ ნაგებობიდან თავქვე მიედინებოდა არხები — ჰაერგამტარები. წყლით გაცივებული ჰაერი ჰაერგამტარებით ნაგებობაში შედიოდა, სადაც, არქეოლოგების აზრით, ინახებოდა ძველისძველი ხელნაწერები.

## ინგლისი

### შექსპირი: მსახიობი, პოეტი, დრამატურგი თუ მითი?

**ვინ** იყო უილიამ შექსპირი? სამი გრძელი საუკუნის მანძილზე გაისმის ეს კითხვა და ჯერჯერობით ერთმნიშვნელოვანი პასუხი ვერავის გაუცია. განუმეორებელი ფაქტია „მაკბეტის“ ავტორის მთელი შემოქმედება და ამ შემოქმედების საოცარი გავლენა ადამიანთა ყველა თაობაზე. გავიხსენოთ თუნდაც ის ამბავი, რომ ყოველწლიურად მსოფლიოს თეატრების სცენაზე იდგმება სამი ათასამდე სპექტაკლი შექსპირის პიესების მიხედვით.

სულ ახლახან ინგლისელმა სესილ კლარკმა ჯონ მორტიმერის სცენარით დადგა სატელევიზიო სპექტაკლი „უილიამ შექსპირი“. მორტიმერი დაეყრდნო გენიალური დრამატურგის „სრული“ ბიოგრაფიის მწირ მონაცემებს და გადაწყვიტა აესახა პოეტის ცხოვრების ყველაზე მნიშვნელოვანი მონაკვეთი — მისი ლონდონში ჩამოსვლიდან (დაახლოებით 1588 წ.) მშობლიურ სტრატფორდში დაბრუნებამდე, სადაც 1564 წელს აპრილში დაბადებულა და იქვე 1616 წელს გარდაცვლილა.

ცნობილია, რომ შექსპირი 18 წლისა დაქორწინებულა და სამი შვილი შესძენია. მერე ლონდონში ამოჰყო თავი; მსახიობობდა ელისაბედის დროის ყველაზე სახელგანთქმულ თეატრებში, დიდი სიყვარულით უყვარდა მერი ფლემინგი, იდუმალი „შაოსანი ქალი“, ვისაც სონეტებში უმღერა; იყო პოეტისა და დრამატურგის კრისტოფერ მარლოუს მეგობარი და თანამზრახველი... შექსპირის ცხოვრებაზე სწორედ იმდენი ვიცით, რამდენიც ცნობილია მის თანამედროვეთა ძუნწი ცნობებიდან, აგრეთვე ზეპირი გადმოცემით.

— შევეცადეთ ჩვენს სურათში გვეჩვენებინა არა მარტო შექსპირი, არამედ მისი ეპოქა, იმდროინდელი ლონდონი, საერთო ვითარება და პრობლემები, — განაცხადა ფილმის რეჟისორმა კლარკმა.

შექსპირის როლს ასრულებს ტიმ კერი, დედოფალ ელისაბედს განასახიერებს პეიშენს კოლიერი.

---

გარეკანის მე-2 გვერდზე „ალექსანდრ პუშკინი“ — შესრულებული ტიტე შეყილაძის მიერ.

**კრიტიკისა და პუბლიცისტიკის განყოფილება მასალებს მიიღებს არა უმეტეს ერთი საავტორო თაბახისა.**

**ტელეფონები:** მთავარი რედაქტორი — **99-85-81**, მთ. რედაქტორის მოადგილე — **72-26-32**, მდივანი — **72-44-78**, განყოფილებათა გამგეები — **72-26-35**, პროზის — **72-26-30**, **ლიტერატურული თანამშრომლები — 72-47-62, „ცისკრის“ დამატება — 72-17-01, საკორექტორო — 72-48-75.**

გადაეცა ასაწყობად 18. 6. 79 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 23. 7. 79 წ., ქაღალდის ზომა 70×108. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 10. პირობით ფორმათა რაოდენობა 14. სააღრ.-საგ. თაბახი 15.85. შეკვ. № 1775. უე 00758. ტირაჟი 36,650.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის 14
Типография издательства ЦК КП Грузии. Тбилиси, ул. Ленина, 14.

ნ 53/121

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფასი 60 კაპ.

*ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ*

**«ЦИСКАРИ»**

ИЗДАТЕЛЬСТВО
ЦК КП ГРУЗИИ
ИНДЕКС 76236